ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანიფესტი

1

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთექვსმეტე

44431

3550

Тбилисский филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

1

19 იანვარი / სახელგამი 39

საქართველოს
პარლამენტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

ადმინისტრაცია:
ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ალიო მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლევან ასათიანი

გად. წარმ. 14/I — 39; ხელმ. დასაბ. — 20/II — 39 წ.
შეკვ. № 101; მთავლ. რწმ. № 2698 ტირ. 4500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსი ლენინზე

შუალამისას ავდგები და სულ დავიფთხობ ძილსა,
ხელში ავიღებ ჩონგურსა, გათლილსა ვერხვის ხისას.
ერთი მეძროხე ბიჭი ვარ, ვიცი ბილიკი ტყისა.
არ დამაძინებს, ოხერი, ღამით ღმუილი მგლისა.
დავჯდები მთვარის შუქზედა, ხელში ავიღებ წიგნსა,
ძმებო, შაირი უნდა ვთქვა ამ ოციოდე წლისა:
ძვრა იყო დედამიწისა, ჭექა-ქუხილი ცისა.
სისხლმა შეღება მინდვრები და უბეები მთისა.
ზოგი დახოცეს თათრებში, ზოგი ვარშავის ძირსა.
დაჭრილი გდია ვაჟკაცი, მტერს უკრიჭინებს კბილსა.
მაგრამ არ აცლის ოხერი, პატრონა თითბერისა,
მოხვდება, გადმოვარდება, როგორც ნატეხი კლდისა.
აღარც ცრემლები მშობლისა, აღარც ანდერძი ღვთისა,
დაჯდება შავი ყორანი, მარტო იტირებს ისა.
საბრძოლველად დარაზმულან ჯარები ლენინისა,
მშრომელთა მამამ ლენინმა პირი გასინჯა ხმლისა.
მაგრამ არც მდიდრებს ეძინათ, ჯარი გამოჩნდა მტრისა:
ყველა კუთხიდან დაიძრა, როგორც ტალღები ზღვისა.
ლენინს როგორ დაამხობენ, დახვედრა იცის მტრისა,
გვერდით დაუდგა სტალინი, როგორც არწივი მთისა.
დიდხანს უვლია ციმბირში, გადაჭრა იცის გზისა.
საცა მიადგა ბურჟუებს, — ბურჟუას ცრემლი სდისა.
საცა შემოხვდა ღარიბებს, — შუქი ჩამდგარა მზისა.
ქარხნები მუშებისაა, მიწები — გლეხებისა.
ესროლეს, შეკრეს მთა-ბარი დიდი საბჭოთა მხრისა,
საზღვარზე ჯარი ჩამწკრივდა წითელი დროშებისა.
ჩაუვლის ვოროშილოვი, ლურჯა ულაყზე ზისა;
თუ ბიჭი არის, გამოჩნდეს სადმე ლაშქარი მტრისა.
მარტო ვარ, ჩონგურს დავძახი, ძილი დავაფრთხე მტრისა,
ლენინს ხსენება, ბიჭებო, სიცოცხლე სტალინისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. გრიშაშვილი

ახალი წელი

შენს სადღეგრძელოს, ახალო წელო,
ვსვამ ქაშანურის ძველი ფიალით,
მადლად მიიღე ეს სადღეგრძელო —
ჩემი სურვილი, ჩემი ტრფიალი!

სადაც წახვიდე — ქვაც აგიმწვანდეს.
ყლორტები გექცეს მებრძოლ ბიჭებად,
იარო — დევის ნამუხლარს ჰგვანდეს
შენი ყოველი გადაბიჯება.

გულში ჩაინთე ერების ძმობა,
იდიდებოდე დიდის დიდობით.
იყავ მდიდარი, ვით „გამარჯობა“,
ღარიბი — როგორც სიტყვა „მშვიდობით“.

მტერი ვერ ამჩნევს შენს თვალს ახელილს,
გიტევს... თამამად, იყავი ფრთხილი!
კენჭებს ეცვრიან ხშირად იმ ხეხილს,
რომელსაც ბლომად ასხია ხილი.

აავსე თასი! შესვი! გაამოს!
აგევსოს დღენი, ახალო წელო,
რომ ქვეყნის დუშმანს, ბნელს, უღიმღამოს,
ეს გამარჯვებაც დაუსახელო.

იდიდოს შენი ნორჩი სახელი,
შენს სადღეგრძელოს ყოველ წელს ვსვამდე,
ერთად ვიაროთ, — ჩამკიდე ხელი, —
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

1939. 1/I.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ახალი ხმელეთი

რომანი

ქინა ტკბილი, ქინა მწარე,
ქინა სვი და ქინა ჭამე.
ხალხური

წინა ღამით...

იმ დღეს ბარაქიანად თოვდა. საღვამიჩაოში სათხილამურე თოვლი დაჰყარა. შეშინებული გლეხები სახლებს დარაჯობდნენ — სახურავი არ ჩაინგრესო.

საღამო ხანს ერთბაშად გადაიღო. თურქეთის მხარეს ცისკიდური მოიწმინდა. უსიცოცხლო მზის სხივებმა მორცხვად დახედეს თეთრ ნაბადში გახვეულ კოლხეთის მიდამოებს. რძისფერი ნისლი კოცონივით აინთო, მეწამულად შეიღება მზის გამოთხოვებისას. გურიის მთების მწვერვალები გუმბათებივით ალაპლაპდნენ.

საღვამიჩაოს სოფლის საბჭოში ზარი აგუგუნდა.

„მარცხი თუ რამეა"!.. — ფიქრობენ ზარის მოწოდების ხმაზე საშველად გამოქცეული სოფლელები.

ზოგს ცეცხლი აშინებს, ზოგს სახლების სახურავები. მიიჩქარიან, მაგრამ უკვალავ თოვლში გზა საოცრად გაუგრძელდათ ზოგიერთებს.

ზარის მოგუდული ხმა თანდათან ძლიერდება. თოვლი ყრუ არის, მაგრამ საგანგაშო გუგუნი მეზობელ სოფლამდის აღწევს. საღვამიჩაოს შუაგულში თოფიც გავარდა. ახლა ყველანი დარწმუნდნენ: უთუოდ რაღაც უბედურება მომხდარაო. გასულ წელს რომ კოოპერატიული დუქანი დაიწვა, მაშინ ასე აჟღარუნებდნენ ზარს. თოფებსაც ისროდნენ, ხალხი „ფეხად დადგა" პირველსავე დაძახილზე, მაგრამ დუქანს ვეღარაფერი უშველეს.

დღესაც თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ საღვამიჩაოელები.

საბჭოს შენობის წინ ხალხი ჩოჩქოლობს. ზოგი მხიარულ გუნებაზეა, ზოგი წარბჩამოშვებული, ზოგსაც დანა პირს არ უხსნის.

— რა ამბავია? — მოუთმენლად კითხულობენ ახლადმოსულნი. სახლების სახურავებსა და ბუხრის მილებს შეჰყურებენ — მარცხი ხომ არაფერიაო.

პირდაპირ პასუხს არავინ იძლევა. ერთმანეთს მისჩერებიან, [illegible] რას იტყვისო. ჩოჩქოლსა და გაუთავებელ ღრიანცელში ერთი რამ ისმის მკაფიოდ: მოსკოვის გადმოცემაა, ხუმრობა საქმე არ [illegible]

აგერ, უტუ ბერულავა „თავისიანებში“ ჩამდგარა და [illegible] ბა რადიო-გადმოცემის დედააზრს. ზოგჯერ ხმას აუწევს და, ვითომ მხიარულ გუნებაზეაო, წაიოხუნჯებს კიდეც.

პარმაღის იქითა მხარეს ბონდო ოჩიგავა ჩამჯდარა კომკავშირელებში და დინჯად უხსნის ამხანაგებს სადაო საკითხებს. ყველგან ცხარედ საუბრობენ, ერთმანეთს არ აცლიან სიტყვის დამთავრებას.

ჯგუფების შემადგენლობა წამდაუწუმ იცვლება. დაინტერესებულან ახალი ამბის გაგებით, ერთ ადგილას ვეღარ სძლებენ, ხან სად წაუგდებენ ყურს, ხან კიდევ სად. მოთმინება აღარავის ჰყოფნის.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ოთახში „ცხვირს ვერ შეჰყოფს კაცი“. თავმჯდომარეს ოფლი ასკდება ამ ზამთრის ყიამეთში. სახეზე მოქანცულობა დამჩნევია. ჩახლეჩილი ხმა ხშირად უწყდება და გამუდმებით წყალს წრუპავს.

ასე შეწრიალებული კარგა ხანია არ უნახავთ საღვამიჩაოელები. დაბინდდა, მაგრამ შინ არავის მიეჩქარება.

ექვსი წლის წინანდელი ამბავი აგონდება ზოგიერთებს. ოცდაერთ იანვარს, საღამოს რვა საათზე, ტელეგრაფმა საზარელი ცნობა მოიტანა მოსკოვიდან: ილიჩი აღარა გვყავს, ცას ბოძი გამოეცალაო.

რამდენი თვალი იცრემლებოდა იმ ღამეს საბჭოთა კავშირში. რამდენი მილიონი გული იკუმშებოდა საყვირების სამგლოვიარო გუგუნის დროს.

საღვამიჩაოს კომკავშირის უჯრედის მდივანი ბონდო ოჩიგავა თვალებდაგუდული იჯდა ამხანაგებს შორის და კრების გახსნას ვერ ახერხებდა.

სამგლოვიარო საღამო დუმილით აღნიშნა ბონდოს უჯრედმა.

შუაღამისას საგუშაგო გამართეს. კომკავშირელები პარტიელებთან ერთად გამოდიოდნენ საპატიო ყარაულში. ბონდო ხანშიშესულებს ემუდარებოდა: შენ მაგიერ მე ვიმორიგეებო.

საღვამიჩაოელი მშრომელები მახლობელივით გლოვობდნენ დიდი ილიჩის გარდაცვალებას.

მხოლოდ უტუ ბერულავა მოილხენდა იმ ღამით „თავისიანებში“. სვამდნენ შავბნელ სადღეგრძელოებს და სალოსებივით ხითხითებდნენ.

ეს იყო ექვსი წლის წინათ. საუკუნეს უდრის ზოგჯერ ისტორიის მოკლე გადასარბენი. ეს წლებიც სწორედ ასეთი იყო.

ბერულავამ უსაზღვრო გულისტკივილით მოიგონა იმდროინდელი სადღეგრძელოები, მოიგონა, მკითხაობა რომ არ გაუმართლდა, და მძიმედ ამოიოხრა. მოსკოვის ხმა დღეს უფრო მძლავრად ისმოდა მსოფლიოს ყოველ კუთხეში. კრემლი დღეს რადიო-სადგურებით ესაუბრებოდა მსოფლიო პროლეტარიატს. რუხფარაჯიანი ფოლადის კაცი სიტყვას ამბობ-

და: ილიჩის ანდერძს ჩვენ შევასრულებთ, ბოლშევიკები ფიცის გატეხას არ ვართ შეჩვეულნიო.

ამ სიტყვას თავიანთ ხმას უერთებდნენ საბჭოთა კავშირის მშრომელები: ვლადივოსტოკიდან შავ ზღვამდე, ბალტიიდან ჭიდრე პამირამდე. სჯეროდათ ფოლადის კაცის. ენდობოდნენ მას.

ბონდო ოჩიგავა და მის გვერდით დარაზმული „ალმასივით ბიჭები“ აღტაცებით უსმენდნენ კომინტერნის სახელობის რადიო-სადგურს. ისინი წინასწარ გრძნობდნენ, რომ სასოფლო მეურნეობაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იწყებოდა. სიხარულით ეგებებოდნენ ბრძოლის ველსა და მტრების შემოტევას. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გამარჯვება მათი წილხვედრი იქნებოდა.

უტუ ბერულავა და მისი თანამოაზრენიც გრძნობდნენ გარდამწყვეტი წუთების მოახლოებას. ფარხმლის დაყრა არც ამათ „მოსდიოდათ ჭკუაში.“ ჯერ კიდევ გავსინჯავთ მკლავის ღონეს, დიაცურად თავს არ დავჩრითო, — ამხნევებდნენ ერთმანეთს.

ამიტომ მიატოვა ბერულავამ სოფლის საბჭოს შენობაში თავმოყრილი ხალხი. წასვლის წინ „თავისიანები“ გააფრთხილა: ოჯახებს მიხედეთო და თვითონაც ოჯახს მიაშურა.

ნაშუალამევს რომელიღაც ეზოში თოფი გავარდა. ბჟოლის კენწეროზე შეყუჟული ეზოს მამალი მოწყვეტილი კვახივით დაასკდა გაყინულ თოვლს. თოვლი ანკარა სისხლით შეიღება.

მეზობელ ოჯახში ძროხა ახროტინდა. თავმონაწიერი ბავშვები ზრიალით შემოეხვივნენ ოჯახის მარჩენალს, მაგრამ ფხამოლესილმა სატევარმა თავისი გაიტანა გაბოროტებული პატრონის ხელში. ცოტა მოშორებით ღორების ჭყვიტინმა შეაშფოთა უძილო ღამე. სამზადებში გათენებამდე ენთო ცეცხლი და ცხარედ ბჭობდნენ: აბა, ვინ იტყვის, რა მოგველისო.

ბერულავას ეზოც შეიღება სისხლით. უზარმაზარ სარახე ქვაბში ნაწევარი უშობელი იხარშება. უტუ სისხლიანი თვალებით მისჩერებია საქონლის ბაგას: რომელი გავიმეტოო.

გათენებისას წიქარა დაკლა და ხელებგათოშილი ცეცხლს მიუჯდა.

მოხარშულ ხორცს ცხელი ოშხივარი ასდიოდა... უტუს ბრძანებით სუფრა რახანია გაშალეს, მაგრამ მაგიდას ჯერ არავინ ეკარებოდა სიახლოვეს.

ერთადერთი ფაცხა არ შეშფოთებულა ამ დღეს საღვამიჩაოში. ეს იყო იორდანე ღვამიჩავას განტოლვილი ოჯახი. იორდანე მოშორებით იდგა სოფლიდან. ზარის ხმა იქამდე არ აღწევდა. დაბინდებისას იორდანემ ფაცხა დათოლა, ადრე ივახშმა და დაიძინა. სიზმარი რა არის, გათენებამდე სიზმარიც არ უნახავს...

თავი პირველი

ლეჟერი შეშით დატვირთული კარჭაპა ფოთს მიუახლოვდა. ფებერვლის სუსხით გათოშილი მენავე მძიმედ უსვამს ნიჩბებს, ხელებს შენაცვლებით იორთქლებს. უძილობაც აწუხებს, მაგრამ შემცვლელი არავინა ჰყავს და ტკბილი მთქნარებით იტყუებს თავს.

იორდანე ღვამიჩავამ ნაშუალამევს ახსნა კარჭაპა ჭალადიდის სანაოზე (შუალამემდე შეშას აწყობდა...). მთვარის შუქსა და საკუთარი მკლავების გამძლეობას მიენდო. ალიონი ფოთში შემოხვდა (წინასწარ ჰქონდა ეს მანძილი გამოზომილი). გახარებულმა სამშვიდობოს გასვლით, ღიღინი შეაგება მეწამულ განთიადს.

კარჭაპა ტაატით შედის ფოთის ნავთსადგომში. ღვამიჩავა ნაპირისკენ ეძალება საჭეს. სანაოზე გამოსულ ხალხს ათვალიერებს. კარჭაპა წითელ ხიდს ქვემოთ მიადგა ნაპირს. იორდანემ ერთხელ კიდევ მოავლო ხალხს თვალი, ნაცნობი ვერავინ შენიშნა და თერთმეტ-თორმეტი წლის თავშიშველ ბიჭს დაუქნია ხელი: მომეშველეო.

იორდანემ თოკი ესროლა ბიჭს. კარჭაპა ოსტატურად მიაგდო ნაპირზე. ნიჩბები დაალაგა თუ არა, თვითონაც ნაპირს მიაშურა. გადახტა, მაგრამ მანკიანი ფეხი მიწას რომ ვერ დააკარა, მწარედ ამოიკვნესა.

ბუზღუნით დაბა კარჭაპა. თავშიშველ ბიჭს ვერცხლის აბაზიანი აჩუქა. მორცხვად გამოართვა ბიჭმა ფული. ხელი დამჯიღა და გაიქცა. იორდანე ტივის ხეზე ჩამოჯდა. გაქცეულ ბიჭუნას თვალი გააყოლა. ისე მწარედ ამოიოხრა, გული კინაღამ ამოაყოლა.

მოგვიანებით სამგზავრო ჩანთა გახსნა იორდანემ. არყის შუშას საცობი მოხადა და დაბჩენილი პირი მიაგება.

სული რომ მოითქვა, ხრინწიანი ხმით ჩაახველა: ხელმეორედ მოიყუდა არყის ჭურჭელი.

მზე ამოვიდა.

იორდანემ საუზმის ნარჩენი ჩაალაგა. წვერ-ულვაში შეისწორა და ჩიბუხს მოუკიდა. ამ ხნის განმავლობაში სანაოზე მოფუსფუსე ხალხისთვის თვალი არ მოუშორებია.

— სად დაიკარგა ის ოჯახქორი! — აღმოხდა წყრომით.

კარჭაპას პატრონის მზრუნველი თვალი შეავლო და პორტში გაეშურა. ფოთი ჯერ კიდევ დილის ბურუსში იყო გახვეული. ზოგან ბამბის უშველებელ ქულასავით ეგდო კვამლისფერი ნისლი.

რკინისგზის სადგურში ორთქლმავალი ქშიტინებდა. იორდანემ იაზრა: მატარებელი პორტში მიდისო და გზა გადაყელა.

დიდხანს ალოდინეს იორდანე. ფეხით წასვლა მაინც ეძნელებოდა. ღამის ნოტიომ მოტეხილი ფეხის ტკივილები გაუახლა. არც არსად მიეჩქარებოდა მაინცდამაინც. წურწუმიას დუქანში მისვლას ყოველთვის მოასწრებდა. ის კი აოცებდა: რატომ ჩვეულებისამებრ არ შემომხვდა

ნავთსადგომში წურწუმიას ბიჭიო. მაგრამ თვითონვე ანუგეშებდა თავს, იქნებ გადაავიწყდა შეპირება ან საქმე რამ გაუჩნდა დილაადრიანადო.

პორტში რომ ჩამოხტა, ნაცნობი მტვირთავი შემოხვდა. ახალი რა იციო, როყიოდ ჰკითხა იორდანემ. სხვა შესაკითხი [illegible] მოგონა იჩქითად შეფეთებულ ნაცნობთან.

— რალა ახალი, ჩემო იორდანე... მთლიანი კოლექტივიზაციის ამბავი შენც გეცოდინება... ქვეყანა შეწრიალებულია.

— რა გვიშავს მერე... — ჩამოართვა სიტყვა იორდანემ. — ერთად ყოფნა არ სჯობია? ლამაზი ცოლის პატრონებმა იკითხონ, თორემ ჩემს ჭლექიან დედაკაცს ძაღლი არ შეხედავს.

იორდანემ ცალყბად გაიცინა.

— არც შენ გყავს ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი, ნუ გენაღვლება... — ანუგეშა იორდანემ ნაცნობი მტვირთავი და იქედნურად ჩაიხითხითა.

მტვირთავმა ამრეზილად შეხედა იორდანეს, ბრაზი ვეღარ შეიმაგრა და გესლიანი კილოთი მიახალა: კაია, ხუმრობის გუნებაზე ხარო.

— მოგცლია, ჩემო კირილე! — გამოიცვალა კილო იორდანემ. — მე თუ არ მინდა, კოლექტივში კი არა, სამოთხეში ვერვინ შემიყვანს... თუ კოლექტივი გლეხიკაცისთვის სასარგებლო იქნება, ხვეწნა რად მინდა... თვითონვე შევამტვრევ კარებს... თუ არა და...

— კირილე! ვაგონში უშველე, თუ კაცი ხარ! — მოაძახეს კირილეს მტვირთავებმა.

— ცეცხლმა დასწვა ვაგონიც და საწყობიც... — წაიბურტყუნა კირილემ და ვაგონისკენ წაფრატუნდა.

იორდანემ თვალი გააყოლა აბუზღუნებულ კირილეს...

კარგა ხანს იდგა გაშტერებული. ბოლოს ხარბად შეხედა ბაჯაღლო სიმინდით გაპირთავებულ საწყობს. შურით და ბრაზით აივსო.

მტვირთავებს ზანტად აჰქონდათ ვაგონში უშველებული ჯვალოს ტომრები. ვეღარ გაუძლო იორდანემ. მოსხლტა და გაექანა. კოჭლობა აღარ ემჩნეოდა, ისე შეწყობილად მიჰქონდა მანკიანი ფეხი.

თეთრ ხიდზე რომ შედგა, მხოლოდ მაშინ ჰკითხა თავისთავს, ნეტა სად მივიჩქარიო. ნაბიჯს უკლო. ოფლით შეჭენჭილი შუბლი სახელოთი მოიწმინდა.

ნავთსადგურს გემმა მოაყვირა.

სირენის გუგუნი მიწყნარდა თუ არა, მოტორიანი კატარღა ელვასავით გაჰქრა პორტიდან და რამდენიმე წუთის შემდეგ უცხოეთის სატვირთო გემს „ლანკაშირს“ შემოუძღვა ბოლაზში. „ლანკაშირმა“ პორტის იმ ყურეს მიაშურა, სადაც უცხოეთის გემები განუწყვეტლივ იტვირთებოდნენ ჭიათურის მარგანეცით. ნაპირიდან ასიოდე მეტრის მანძილზე დადგა და ღუზა ჩაუშვა.

ღუზის რახრახმა მიიპყრო იორდანეს ყურადღება.

„რამოდენაა, ეგ უპატრონო! უთუოდ სიმინდისთვის იქნება მოსული“.

იორდანემ თვალი გააყოლა ყომრალი კვამლის გრეხილებს. „ჭვენა ამოვარდებაო, — გაიფიქრა, როცა კვამლის მიმართულებას შეხედა, თუმცა დილის ქვენამ დარი იცის, ძველთაგან ასე გამიგონიაო, — დასძინა თვითონვე.

ქალაქის საათმა ათჯერ დარეკა.

იორდანემ ყური სცქვიტა. წურწუმია ახლა დუქანში იქნებაო, გაუელვა და ქალაქის ცენტრს მიაშურა. იორდანემ დაწვრილებით იცოდა თავისი მუშტრის, მიკიტან წურწუმიას ასავალ-დასავალი. ღამის ორ საათამდე ვაჭრობდა წურწუმია. ოთხ საათამდე დუქანს ალაგებინებდა. თვითონ დახლს ანგარიშობდა ან საგანგებო ღვინოს შეექცეოდა. გათენებისას მიდიოდა შინ. სამაგიეროდ დილით ყოველთვის იგვიანებდა. ათზე ადრე ჯერ არავის უნახავს დუქანში მისული.

ამიტომ არა ჩქარობდა იორდანე. ჯერ კიდევ ადრე ეგონა. საათის ზარი რომ დათვალა, ერთბაშად აჩქარდა.

სასტუმრო „თბილისს“ რომ გაშორდა, ექვნებისა და ზანზალაკების ჟღარუნი შემოესმა. „კონკა“ მობარბაცებდა იორდანეს ზურგს უკან. გასაჩერებელი შორს იყო. ბევრი აღარ აცხელა. ლიანდაგზე ავიდა (რატომღაც მომაღლოდ იყო დაგებული ფოთის „კონკის“ ლიანდაგი), ლიანდაგს შუა ჩადგა და ხელი ასწია.

„კონკის“ კუჩერი აბუზღუნდა. ცხენს მათრახი გადააწნა, მაგრამ ჯაგლაგა რაკი ერთხელ დადგა, ადგილიდან მის დაძვრას ერთი ორმოტრიალი დასჭირდა. იორდანემ დრო იხელთა და „კონკაზე“ ასვლა მოასწრო.

უსაზღვროდ კმაყოფილი იყო, რომ ოინი გაუვიდა.

ქალაქის საბჭოსთან ჩამოხტა. კომინტერნის ქუჩას გაჰყვა მხარმარცხნივ.

*

* *

იორდანე სამიკიტნოს კარს მიადგა. იქამდე ისე მივიდა, განზე არ გაუხედავს, არც სახლების ნომრები შეუთვალიერებია. თითქო საკუთარ ოჯახში მიდიოდა. კარს რომ შეხედა, ერთბაშად უკან დაიხია.

მოვტყუვდიო, გაიფიქრა.

ფილაქანიდან ქუჩაზე გადავიდა და აბრას დააკვირდა.

„რესტორანი კოლხიდა“, — ეწერა ახლადშეღებილ აბრაზე. კედლებიც ახალი შეღებილი იყო, კარებიც.

შედგა იორდანე. უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ...

მაგრამ წურწუმიას სამიკიტნოს გვერდით მყოფი დუქნები თავის ადგილას დაინახა და შეყოყმანდა.

კიდევ შეხედა აბრას. წურწუმიას გვარი ვერსად მიაგნო. ფილაქანს დაუბრუნდა და კარი ფრთხილად შეაღო. ცალი თვალით შეიჭვრიტა სასადილოში.

ეროვნული

წურწუმია ბუფეტში იდგა. თეთრი ხალათი ეცვა. ულვაშებიც ... ეცნო იორდანემ ფოთში ცნობილი მიკიტანი. ცხვირპირი ჩამოსტიროდა. გამხდარიც კი მოეჩვენა. სახე დანისპირივით დავიწროვებოდა.

კარის ჭრიალს მიაქცია ყურადღება. იორდანეს თვალი მოჰკრა და უსულგულოდ დაუძახა, შემოდიო.

იორდანემ ახლა გაბედულად შეაღო კარი და სასადილოში გაიბიჯგა. საღებავებისა და მოხრაკული კერძის სუნი ეცა.

— რემონტი გაგიკეთებია, ჯოტო ბატონო! — სალამთან ერთად მიაგება იორდანემ. დოინჯი შემოიდგა და სახამებლით გატკიცინებულ სუფრებს გადახედა.

თხუთმეტი წელიწადია აქ დადის იორდანე, მაგრამ ასეთი სისუფთავე ჯერ არ შეუმჩნევია.

— ძვირი ქე დაგიჯდებოდა, — განაგრძო იორდანემ, როცა სასადილო დარბაზი კიდით-კიდემდე ჩაათვალიერა.

— მე რაღა დამიჯდებოდა, ჩემო იორდანე! — ცალყბად გაიღიმა ჯოტო წურწუმიამ; ეს ღიმილი გულაჩუყებული კაცის ტუჩების მოძრაობას უფრო წააგავდა.

— რავა, კაცო, უფასოდ გაგიკეთეს?

— ჩამომართვეს... ახალი „ხაზეინი“ ყავს ახლა ამ ჩემს რესტორანს. მე სამსახური მომცეს და... ქვით!

იორდანემ მარცხენა ულვაში გადმოატრიალა, ენა მიაშველა და ჭალარაშერეული ჯაგარი პირში ჩაიბღუჯა.

— ასეა, ჩემო იორდანე! ან კოლექტივში, ან სამსახურშიო: ხომ გაიგე მთავრობის დადგენილება. კერძო ვაჭრობა ფშტ! გათავდა...

— აბა, ჩამოგართვეს კი?!

ჯოტომ მარცხენა წარბის აწევით გაუმეორა დასტური. კონიაკის ბოთლს თავი მოხადა და ორი ჭიქა გაავსო.

— თითო სახარება შევვეწიოს, — მიუჯახუნა ჭიქა წურწუმიამ და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— ცოლშვილი გიდღეგრძელოს, შენი თავი ნუ მოუშალოს, — წაიბუტბუტა იორდანემ და სავსე ჭიქას რომ შეხედა, თვალები დააფახურა. გულში კი ასე გაიფიქრა, როდის იყო წურწუმია არაყსა და კონიაკზე რომ მეპატიჟებოდაო.

სავსე ჭიქა ისევ დახლზე დადგა.

წურწუმიამ რაღაც იაზრა და გულმოდგინედ დააძალა: დალიე, თუ გიყვარდე, ძველი კონიაკია, ნამგზავრზე მოგიხდებაო.

იორდანემ ხათრი არ გაუტეხა, ჭიქა ხელმეორედ აიღო და წრუპვით გამოსცალა.

— შეშა ჩამოიტანე? — მოგვიანებით ჰკითხა წურწუმიამ.

— ჩამოვიტანე, მაგრამ...

ალარ დაასრულა. მძიმედ ამოისუნთქა.

ჯოტომ კიდევ გაავსო ჭიქები. მოწყენილ იორდანეს ეშმაკურად გაუღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითოც მივაყოლოთ, იორდანე! ახლა მეც ჯამაგირის კაცი ვარ. „ნალოგების“ ალარ მეშინია.

ასწია და გესლიანად ჩაიხითხითა. ჯამაგირის ქარაგმა იმისთვის დასჭირდა, ეგრძნობინებინა იორდანესთვის: ფულს ვიხდი, უფასო მასპინძლობა არ გეგონოსო.

სამ-სამი რომ დასცალეს, წურწუმიამ შორიდან მოუბოდიშა, სანაოზე ბიჭი ველარ შეგახვედრეო. აუხსნა საქმის ვითარება, რესტორანის ჩამორთმევის ამბავი დაწვრილებით უამბო. გამანადგურეს, ულუკმაპუროდ დამტოვესო. შენობა ხომ წაიღეს, ინვენტარსა და მოძრავ ქონებაშიც ერთი გროში არ მომცესო. ჩემი დისწული მოსვლისთანავე დაითხოვეს და გამომგზავნიც ალარავინ მყავდა სანაოზე შესახვედრადო.

— საწყალი ბონდო, დაითხოვეს? — შეიცოდა იორდანემ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ჯიბრზე რესტორანშიც არავინ შემოდიოდა. ოფიციანტები კუთხეში მიყუჟულიყვნენ. ზოგი თვლემდა, ზოგი საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

ჯოტო ისევ თავის გასაჭირს უამბობდა იორდანეს. მოხერხებულ დროს მთავრობის აუგსაც ჩაურევდა. თანაც იორდანეს აიმედებდა, დიდხანს ვერ იბოგინებენ, კოლექტივიზაციის საკითხში უთუოდ მოიტეხენ კისერსო.

იორდანე გაოგნებული უსმენდა. მას საკუთარი გასაჭირი აწუხებდა. ჯოტომ ეს იცოდა და განგებ მტკივან იარას აჭერდა ფეხს.

— ვაი, ცოლშვილო! — ალმოხდა იორდანეს.

ჯოტომ გადასწყვიტა დღესდღეობით ესეც საკმარისიაო და ახლა ისევ შეშაზე ჩამოუგდო სიტყვა: შევალ გამგესთან, მოველაპარაკებიო.

იორდანემ თავი ასწია და მწყრალად მიახალა:

— ვის მივცე ჩემი ნაოფლარი?

— ჩემისთანა ფასს კი არ მოგცემს, მაგრამ... ტყვილა გადაყრას, ასე გირჩევნია. ვუთხრა? — ჩააცივდა ჯოტო.

— როგორც სჯობდეს, — ორჭოფად მიუგო იორდანემ.

— ვნახოთ, რას შემოგაძლევს...

ჯოტომ არდაგი შეისწორა და გამგის ოთახში გავიდა. გარეთ ჩოჩქოლი ატყდა. კარი გაიღო და რესტორანში მეზღვაურები შემოვიდნენ. გულმკერდი მოეხსნათ. ბრინჯაოსფრად გარუჯულიყვნენ.

იორდანეს თვალი დარჩა ზღვის ლომებზე.

დარბაზის შუაგულში დასხდნენ მეზღვაურები, „მწარე“ მოითხოვეს. ერთმა „ჭაჭა“ ახსენა. ხელი ყანყრატოზე მიიდვა და ოფიციანტს ბავშვივით შეეხვეწა, ნამდვილი ჭაჭა მოგვიტანეო.

ოფიციანტმა დაკვეთა რომ წაიღო, მეზღვაურებმა ახლა თავიანთ შორის გააბეს ხმამაღალი საუბარი.

— მაშ, კალკუტაში, ივან ივანიჩ, არა?

— დიახ, კალკუტაში.

— ბედნიერი კაცი ხარ, ივან ივანიჩ! მომბეზრდა ეგ ოდესა-ბათუმი. ასე მგონია, ჩემი ბინის აივანზე ბოლთასა ვცემ. სამი დღე-ღამის გზაა... მესმის, სამთვიანი რეისი. ოდესა—კალკუტა. აი ნამდვილი მგზავრობა. ოკეანეს რა სჯობია!

კარი კვლავ გაიღო და რესტორანში სათვალიანი კაცი შემოვიდა. ბელგიური ფეტრის შლიაპა ეხურა. ტურისტული ჭრელი კოსტიუმი მოხდენილად ედგა ტანზე. წამოსადეგ ვაჟკაცად გამოიყურებოდა. სუფთად პირმოპარსული იყო, თავდაჭერილობითა და მიხვრა-მოხვრით უცხოელობას ამჟღავნებდა. ფოტო-აპარატი „ლეიკა“ მხარიღლივ ჰქონდა გადაგდებული.

სათვალიანი ბუფეტთან შედგა. ჯერ დარბაზი ჩაათვალიერა. მეზღვაურების დანახვაზე ოდნავ შეიჭმუხნა, შებრუნდა და ბუფეტს დაუწყო მუშტრის თვალით ცქერა. წინ იორდანე შეეფეთა.

სათვალიანი უცებ გამოკოცხლდა. მარცხენა წარბი ნიშანდობლივად შეათამაშა და ფოტო-აპარატზე გაიკრა ხელი.

იორდანე მიზანში ამოიღო და ფოკუსის დაყენებას შეუდგა.

იორდანემ ზურგი შეაქცია თავხედ უცნობს. ბრაზიც მოერია: რომელი კანონის ძალით მიჭვრიტინებს დურბინდითო. აზრადაც არ მოსვლია, თუ ის დურბინდი ფოტო-აპარატი იყო.

სათვალიანს მღელვარება დაეტყო. წინიდან წამოუარა. თავი დაუკრა და მუნჯურად ანიშნა, სურათი უნდა გადაგიღოო.

იორდანემ იუარა. შეტრიალდა და კვლავ ზურგი უჩვენა. სათვალიანი მაინც არ ეშვებოდა. ისევ წინ დაუდგა და აპარატი მოიმარჯვა. როცა იორდანემ ხელმეორედ გააქნია ხელი უარის ნიშნად, „ლეიკა“ აწკაპუნდა და კმაყოფილებით სავსე უცნობი მაგიდას მიუჯდა. იორდანეც კმაყოფილი დარჩა, რომ უარით გაისტუმრა ეს უცნაური კაცი.

კანტორიდან ჯოტო დაბრუნდა. ისე მოღუშული იყო, გეგონებოდათ, ეს არის იფეთქებს და აქაურობას დალეწავსო.

— ჯოტო, ვინ ოხერია ეს სათვალიანი?

ჯოტომ ირიბად გადახედა სათვალიანს. იცნო. ღიმილით მიესალმა.

— უცხოელია. კაი კაცია, ჩემო იორდანე! — უპასუხა ჯოტომ.

კანტორიდან რესტორანის გამგეც გამოვიდა. იორდანეს შორიდან მიესალმა.

— კარგი შეშა გაქვს, ძმობილო?

— თხემლაა, მაგრამ რიცხლას გააწბილებს, — არ დააყოვნა იორდანემ.

— რა ეღირება საჭენი?

— მე რას მეკითხებით... ჯოტომ კარგად იცის, რას მაძლევდა.

გამგემ ჯოტოს გადახედა.

— შვიდი თუმანი მივცეთ? — ჰკითხა მოგვიანებით.

— ჩვენი იორდანეა, ნუ ვაწყენინებთ... შვიდთუმანნახევრის ანგარიში გავუსწოროთ...

გამგე დათანხმდა. ბიჭს დავუძახებო, სთქვა და სამზარეულოსკენ გაბრუნდა.

ჯოტომ დრო იხელთა: ბევრი ვემუდარე, მაგრამ ვერაფერი შევასმინე, ექვსი თუმნიდან დაიწყო, შვიდ თუმანს ფეხი აღარ მოუცვალა. შერცხვა, თორემ იმ ხუთ მანეთსაც არ გაიმეტებდა, ისეთი თარსი ვინმეაო.

იორდანემ ქეზი მოიბა: ჩალის ფასია, შვიდთუმანნახევრად ფოთში ჩამოტანილი შეშა როგორ მივცეო?! რიონს გავატან და მაგ ფასად კარჭაპას არ გადმოვცლიო, — დაუმატა ხანმოკლე დუმილის შემდეგ.

— ჩემისთანა ფასს ვინღა მოგცემს, ჩემო იორდანე? ის დრო წავიდა... თუმცა, დაიცა... მაკარ გვასალიას ხომ იცნობ? ბაზარში რომ ვაჭრობს....

იორდანემ თავი დაუქნია.

— წადი იმასთან. უთხარი ჯოტომ გამომგზავნა-თქო. მისთვის ჯერ ხელი არ უხლიათ, ვიღაც დიდი კაცი ყოლია ნათესავი... წადი... წადი... ის კარგ ფასს მოგცემს...

სამზარეულოდან გამგე გამოვიდა. მას ოცი წლის ჭაბუკი გამოჰყვა.

— სანდრო, გაყევი ამ კაცს, — მიუთითა გამგემ იორდანეზე. — შეშა ჩაიბარე და ანგარიში იქვე გაუსწორე...

იორდანემ თავი გააქნია...

— ნუღა აგვიანებთ. — გადახედა გამგემ სანდროს და იორდანესაც აგრძნობინა, წადიო.

— მაგ ფასად ვერ დავცლი, ამხანაგო! ცხრა თუმან ნაკლებ საკენი შეშა როგორ დავაწყო.

— შეშას გააჩნია, შე კაცო! თხემლაა...

— რა ვქნა, თუ ხელს არ მაძლევს... როგორ გადმოვცალო.

— შენ იცი. ჯოტოს ხათრი, თორემ... თხემლა შვიდ თუმნადაც არ ფასობს.

გამგემ თვალი აარიდა იორდანეს, რაღაც ჯოტოსთვის უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელი ჩააქნია და სანდროს მიმართა: შენ მაინც წადი, სანდრო, სანაოზე. დღეს შეშა ბლომად იქნება და იყიდეო.

სანდრო უსიტყვოდ გავიდა რესტორანიდან. მას მიჰყვა იორდანეც. ფრატუნით მივიდა კართან: ფეხი უკან რჩებოდა. ფიქრობდა: იქნებ ცოტა მაინც წამიმატონო. ყოყმანით გააღო კარი, ერთხელ ნაცემი ძალლივით მიიხედა უკან და უცხოელის მოხეტიალე თვალებს შეეფეთა.

ხმა არავინ გასცა. არც არავინ გამოედევნა, როგორც ამას წურწუმიას ხაზეინობის დროს იყო დაჩვეული.

ქუჩა ბუზღუნით გადასჭრა და ბაზარს მიაშურა. თვალწინ უცხოელი ედგა მომარჯვებული აპარატით...

*
* *

აქაც მოტყუვდა იორდანე. მაკარ გვასალიამ ტუჩი აიბზეკა, რა მეშეება, დღეს-ხვალ დუქანს ჩამომართმევენ, უგროშოდ ვრჩებიო. მოჰყვა წილადობილას: სახლი ჩამომართვეს, მიწა-მამული... ახლა უკანასკნელ დუქანსაც მტაცებენო.

იორდანე გაოგნებული უსმენდა. გულში საკუთარი ცეცხლი უტრიალებდა: რატომ გამოვიქეცი, ნაღდი მუშტარი ხელიდან გავუშვიო. ჯოტოსაც შეუკურთხა ორ-სამჯერ: იმან გამაბრიყვაო.

ადგა და წასვლა დააპირა.

მაკარ გვასალიამ კართან მისვლა აცალა. სახელურს წაეპოტინა, მობრუნდიო, — დაუძახა.

— ჯოტოს გამოგზავნილი კაცი ასე როგორ გაგიშვა... თუ კაი შეშაა, დაცალე... ხელვიწროდ ვარ, მაგრამ...

დახლი გამოსწია და წვრილ ფულს აუსვა ხელი.

— ჰაი გიდი, დროებავ! სადღაა ვაჭრობა. სანამ ჩემი თავის პატრონი ვიყავი, მოგეცა ლხენა, ხელგაშლილობა მიყვარდა. დღეს რა ვქნა? დილას აქეთია, თუმანი ვერ მივაჭრია. ვანო! — გასძახა გვასალიამ მზარეულის თანაშემწეს, რომელიც დროშერჩევით ოფიციანტობასაც სწევდა ჭუჭყიან სამიკიტნოში. — წაყევი ამ კაცს და შეშა ჩაიბარე. ხუთი თუმნის კვალობაზე უნდა გავსწორდეთ, — მიუბრუნდა გვასალია იორდანე ღვამიჩავას.

— ხომ არ გაგიჟდი! — შეჰყვირა შეურაცხყოფილმა მეშეშემ. — ჩამოტანის ფასია... შეშის დაყენებას შრომა აღარ უნდა? სულელი ჩემი თავი! შვიდთუმანნახევარი მაძლიეს, უარი ვთქვი... აქ კიდევ ხუთი თუმანიო...

იორდანეს მეტისმეტი ბრაზისაგან დასცხა. საკინძი მოიღლიტა. ბანჯგვლიან მკერდზე კუნძისოდენა მუშტი დაიბაგუნა.

— რას მიწყრები, ჩემო ძმაო! ჯოტოს ხათრით-მეთქი, თორემ... რა მეშეება... ორი საჟენი რცხილა მიწყვია ეზოში... იქნებ მაგის დაწვას ვერც მოვესწრო.

— ცოლშვილს გეფიცები, ჯოტოს გამგემ მაძლია შვიდთუმანნახევარი.

— კაი ფასი შემოუძლევია, წადი და ჩააბარე.

ცეცხლი მოედო იორდანეს. ენა ველარ მოიბრუნა.

— სირცხვილით როგორ მივბრუნდე, — აბლუკუნდა მოგვიანებით.

გვასალიამ ყური არ ათხოვა, გულში ასე გაიფიქრა, რომელი არიფი მე მნახე, სოფლელი გლეხი მოტყუებას მიპირებო.

— ექვსი თუმანი მაინც მომეცი.... — მოგუდული ხმით აღმოხდა იორდანეს. ამ ხმაში მუდარაც ამოიკითხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ТБИЛИССКИЙ
საქართველოს პარლამენტის

— რას მევაჭრები, ჩემო ძმაო? — მწყრალად მიუგო გვასალიამ. — ხომ გითხარი, შეშა არ მჭირდება-მეთქი! თუ მადლობელი იქნები, ხუთი თუმნის ანგარიშს გაგისწორებ.

— მარჯვენა შეახმეს, ვინც დღეიდან ნაჯახს ხელი მოჭიდოს! — დაიგმინა იორდანემ და დახლს მიუახლოვდა. ერთი უმისამართოდ შეიგინა გულის მოსაოხებლად, დაიხარა და გვასალიას გაუწოდა დაფრუშნული მარჯვენი: მოიტა, რასაც იძლევიო.

*
* *

იორდანემ თავი ველარ გაართვა ოჯახური საწვრილმანოების ყიდვას. ფული ეცოტავებოდა. შინ ორი კვირის სარჩო არ გააჩნდა და შიშობდა, სიმინდის საფასო არ შემომეხარჯოსო. თანაც აბუზღუნებული მარინე ედგა თვალწინ. წამოსვლისას სამჯერ მოაგონა: საპონი, მარილი, ასანთი და ლილა არ დაგავიწყდესო. თუ ცოტა რაიმე გადაგრჩეს, ნახევარი ბათმანი ლობიო წამოიმძღვარეო.

— კუდიანი დედაკაცი! სად მაქვს ამდენი? — ცხარობდა იორდანე და წამდაუწუმ შეშაში აღებულ ფულს ითვლიდა.

მზე გადაიხარა.

იორდანემ კარჭაპა ახსნა და შინისკენ დაიძრა. ისე დაქანცული იყო, მოდიდებული რიონის ზვირთებს ველარ უმკლავდებოდა. პირქარიც ამოიჭრა იორდანეს სავალალოდ. ცარიელი კარჭაპა ნაფოტივით ათამაშდა აგოლგოთებულ ზვირთებზე. იორდანე გულმოდგინედ უსვამდა ნიჩბებს, მაგრამ წინ ველარ მიიწევდა. შორით მაყურებელს ეგონებოდა: კარჭაპა ერთ ადგილას დგას და მენავე ანკესებს უთვალთვალებსო.

დიდის ვაგლახით გასცდა დამრეცს და მდორეში შესულმა შეღავათი იგრძნო. ქალაქის ბოლოს გაუწალდავ მინდორზე თავშეყრილი ხალხი შენიშნა. ჯარიანობაზე გამოსულებივით ირეოდნენ ერთმანეთში. საქონლის შემზარავი ბღავილიც მოესმა იორდანეს.

განცვიფრდა. ამდენი ხანია აქ დადის და ამ მიყრუებულ ადგილას ხალხი არასდროს შეუნიშნავს.

ნაპირისკენ მიეძალა. გოჭის ჭყვირილმა ყურთასმენა დაუყრუა.

„ახალი ბაზარი გაუხსნიათ“ — გაიფიქრა და ნაპირს მიადგა. კარჭაპა ძირდამპალ ბაგირზე დააბა, თვითონ ხალხს შეერია.

„ნეტა რა საბაზრო ადგილი ნახეს ამ უდაბნოში! არც დუქნები, არც ფარდულები“...

აგერ, ჯერ კიდევ გაუთელავი მოლიც შენიშნა იორდანემ. გარშემო ლაქაშების ტევრი. რიონის მხარეს ჭილოფა და სატევარა.

სოფლელები სჭარბობენ ბაზარზე, თითო კალათა ან ტომარა უწყვია ფეხებთან თითოეულ მათგანს. დგანან გაშეშებულნი და ხელცარიელ ხალხს უნდო თვალით უყურებენ. თუ ვინმეს მიიჩნევენ სანდოდ, ვანზე გაიხმობენ და რაღაცას ეჩურჩულებიან.

იორდანე გაოგნებული დადის ამ კუთხიდან იმ კუთხეში. გრეების ჭყვირილი და ქათმების კრიახი ესმის, მაგრამ ვერც პირუტყვსა და ვერც ფრინველს ვერსად ხედავს. ჯიბრზე არც არავინ ეპატიჟება იორდანეს: მობრძანდი — საქონელი გამისაღეო. უფრო მეტი: მეუახლოვდება თუ არა იორდანე ორს, ერთმანეთს შორის ჩუმად მოსაუბრეს, საუბარი წყდება, აქეთ-იქით მიდიან და, როცა იორდანე ჩაივლის, მხოლოდ შემდეგ აგრძელებენ დაწყებულ საუბარს თუ ვაჭრობას.

მოგვიანებით იორდანესაც წასჩურჩულეს: ხორცი თუ გინდაო.

— სად გაქვს ხორცი? — გაოცებით ჰკითხა იორდანემ ხანშიშესულ გლეხს, რომელიც თავმოკრულ ტომარას შორი-ახლო უტრიალებდა.

— აქა მაქვს, შე კაცო!

ტომარას თავი მოხსნა და ასო-ასოდ აჩარქული ხორცი უჩვენა. იორდანემ ირიბად შეხედა ხორცის ვაჭარს და ზურგი შეაქცია. ხორცის ფასი სადა მაქვსო, — წაილუღლუღა თავისთვის.

ბურვაკიც შესთავაზეს იორდანეს.

ცნობისმოყვარეობამ აიტანა: ეს გამოზამთრული საქონელი რა ხელმა გაიმეტა დასაკლავადო.

აქოთქოთებული კრუხები რომ დაინახა, თვალები დასჭყიტა: აქ რაღაც ამბავიაო. რამდენჯერმე შემოუარა ბაზარს, მაგრამ ნაცნობი ვერავინ ნახა. ისე ვინ რას ეტყვის უცნობსა და „საეჭვო“ ადამიანს.

აგერ, თავდახრილი გლეხი შეათვალთვალა იორდანემ. ყაბალახით თავპირი შეებურა. ცხვირი-ღა უჩანდა. ჰკითხა: ლობიო ხომ არ გაქვსო.

— ლობიოს ხორცი არ სჯობია? — უპასუხა თავპირშებურულმა.

— ხორცის ფასი სად მაქვს...

ტომრებსა და კალათებს შორის ჩამჯდარმა გლეხმა თავი ასწია.

— იორდანე ხარ? — ჰკითხა ჩურჩულით, თითქო ვინმე უთვალთვალებს და ნაცნობობის გამომჟღავნებისა ეშინიაო.

— უტუ! ეს რა გიქნია, კაცო? რატომ დააქციე ოჯახი? — გაიოცა იორდანემ.

უტუმ ამოიგმინა. კალათას თავსახურავი გაუსწორა.

— ოჯახი მაშინ დამექცა, ჩემო იორდანე, როცა ძიკი გვახარია და გურიიდან მოთრეული გოგოლაძე გამიხადეს ამხანაგებად. იმათ შევაჭამო ჩემი ნაკვდავი? უნიფხოების კოლექტივი! შეხრავენ, თუ ვინმე რამეს შეიტანს საერთო ფონდში და... დაწყნარდებიან.

იორდანე უცებ გამოერკვა. ყველაფერი ნათელი გახდა მისთვის. წვერი ჩამოისწორა და სამძიმრის კილოთი უთხრა: რას იზამ, ცოცხალი ადამიანი ყველაფერს უნდა ელოდე ცხოვრებაშიო.

— შენი არ ვიცი და მე კარგს აღარაფერს მოველი „ამათ“ ხელში. თუ სოციალიზმი ღატაკობას ნიშნავდა, მაგისთვის რაღა ბრძოლა და სისხლის ღვრა უნდოდათ? ეჰ, ვაგლახ, ჩემო ნაკვდავო ოჯახო! იორდანე! — მოუბრუნდა უტუ ნაცნობ მენავეს, — წეიღე ერთი ბეჭი, როცა გექნება, მაშინ გადამიხადე.

— მეხუმრები, უტუ-პატენი! ბეჭის ფასი მე კი არა...

— წეიღე, შე კაცო, თუ დაგირჩეს, მომეცი... თუ არა და ღმერთმა შეგარგოს... მშრომელი კაცი ხარ, შენზე ალალი იქნება. ჭურჭელი არაფერი გაქვს გასახვევი?

— ჭურჭელს რავა ვერ ვიშოვი, მაგრამ... რა ეღირება უტუ-პატენი?

— თუ გექნეს, ერთი თუმანი წამომიგდე, აუწონავად გაძლევ, ხომ ხედავ...

იორდანემ ფარაჯა გადასწია და ქამრიდან დაკეცილი ტომარა გამოიძრო.

— ხუთ მანეთს ახლა დაგიტოვებ და დანარჩენს ამ ათ დღეში მოგართმევ.

— ხეირი ნახე!

უტუმ ტომარში ჩაუშვა აუწონავი ხარის ბეჭი. თავი წაუკრა და იორდანეს გადასცა. გააფრთხილა: ჩქარა წაიღე, არავინ დაგინახოსო.

იორდანე შურდულივით გაექანა კარჭაპასკენ. რიონის პირას მაკარ გვასალიას შეეფეთა. ხორცით გოდორი გაევსო და მენავეს ევაჭრებოდა, როგორ ჩამიყვან შუა ბაზარშიო.

იორდანემ თვალი მოარიდა მიკიტანს.

კარჭაპა რომ ახსნა, ჩოჩქოლი მოესმა.

— მილიცია! — დაირხა ხმები აქეთ-იქიდან. ყველა გასაქცევს ეძებდა.

ჩოჩქოლსა და აურზაურში იორდანემ მხარმარცხნივ მოუსვა და ჩქარა სამშვიდობოს გავიდა.

*

* *

ფოთის მიდამოებს რომ გაშორდა იორდანე, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან — დარწმუნდა, საფრთხეს ავცდიო და ნიჩბების მოძრაობა შეანელა. ცარიელი კარჭაპა შიშინით მიიკვლევდა გზას მდინარის აღმა. აფურთუნებული ზვირთები ხან მარცხნივ არწევდა კარჭაპას, ხან მარჯვნივ. სწორი გეზის აღება თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ამბობდა იორდანე: ცარიელი კარჭაპით უკან დაბრუნება უფრო ძნელია, ვიდრე დატვირთულით შესართავისკენ გამგზავრებაო. თუ პირქარიც ამოიჭრებოდა, იორდანე თავბედს იწყევლიდა.

შებინდებამდე წყნარი ამინდი იდგა. დღელამის გაყრისას ქვენა ამოვარდა. ნაოსნობაზე ქარს გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ იორდანეს კრიჭა შეეკრა სიცივისაგან. არც ფარაჯამ უშველა, არც მეგრულმა ჩაბალახმა. გზადაგზა ჭავლის ნარნარს დააკვირდა, ცას ახედა და გადაჭრით სთქვა: თქეში წამოვაო.

იორდანე ნიჩბებს მიეძალა. ოჯახში ხელდამშვენებული მიდიოდა, მაგრამ „ახალ ბაზარზე" ნახულმა და გაგონილმა მწარედ ჩააფიქრა. ფიქრებში გეზი დაჰკარგა და გაუვალ მორევში შესტოპა.

— ეეჰ! — ყვედრებით წამოიძახა იორდანემ. მხრები შეათამაშა და ნიჩბები ოსტატურად მოუსვა. მორევს ზემოთ უკანასკნელი სახიფათო ჩქერი ჰქონდა გადასალახავი. იორდანე ჩქარობდა, როგორმე ჭრაქის ანთებამდე გაევლო ფარსაგიანი ადგილები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორდანემ ერთხელ კიდევ აჰხედა ცას, ჭიატი ვერსად იპოვა, თითქოს ცა გაჯით გაულესიათო. საწვიმარი ღრუბლები ჯერ კიდევ შორს იყვნენ, მაგრამ წვრილი ჟინჟღი ქინძისთავის ყუნწისოდენა ბუსუსებით ფარავდა ფარაჯას.

იორდანე მთელი ძალღონით მიიწევდა წინ. ნისლში გახვეულ სანაპიროებს აღარ უყურებდა. მისახვევ-მოსახვევებით სცნობდა ადგილმდებარეობას და ზუსტად იცოდა, რამდენი კილომეტრი განვლო ფოთიდან სანაომდე, რამდენი ჰქონდა გასავლელი... აქ ყოველი ქვა და კენჭი ნაცნობი იყო იორდანესთვის. ზოგჯერ ფიქრებში გართულს გადაავიწყდებოდა ხოლმე ერთბაშად დაქანებული ჩანჩქერი, ან საღამოს ბინდბუნდში შორიდან ძნელად შესამჩნევი მოხვეული, და კარჩაჭა ახალფეხადგმული ბავშვივით ტორტმანობდა მოპირდაპირე ტალღების მოულოდნელი დაჯახებისას. ზოგჯერ ტალღა კარჭაპას გადაალაჯებდა და ნავის ფსკერი წყლით იფარებოდა.

დღესაც ორსამჯერ მოასკდნენ ასეთი ტალღები იორდანეს კარჭაპას. პირველად იმარჯვა იორდანემ, ოსტატურად გაუსხლტა ტალღებს, მაგრამ უკანასკნელმა დაჯახებამ კარჭაპა ცხვირით გადაუშვა მორევში. იორდანეს ფეხები დაუსველდა. ფეხების დასველება ცუდად ენიშნა და ყვედრებით აღმოხდა: კვიმატი დღე შემხვდა გამჩენგამწყრალიო. ჭრაქი მაინც არ აანთო. გადაწყვეტილი ჰქონდა „ქაჯების საბუქნაოს“ უსინათლოდ გასცდენოდა როგორმე.

„ქაჯების საბუქნაო“ იორდანემ შეარქვა ამ სახიფათო ადგილს. მის მეტმა ეს სახელწოდება არავინ იცოდა, მაგრამ იორდანე უსაზღვრო კმაყოფილებას გრძნობდა აქ გავლა-გამოვლისას: თავი მოჰქონდა, მოხდენილი სახელი გამოვუგონეო.

მენავეებს ეშინოდათ „ქაჯების საბუქნაოზე“ მარტოდ გავლა. შიშობდნენ: არ ავყირავდეთო. მხოლოდ იორდანე იყო მათ შორის შეუპოვარი. თხუთმეტი წელიწადია აქ მოგზაურობს, თანამგზავრი არასოდეს არა ჰყოლია და არც რაიმე ფათერაკი შეხვედრია დღემდე. დღესაც რიხით გადალახა საფარსაგო ადგილი, კარჭაპა მდორე მორევში შეაცურა და თავმომწონედ მიიხედა უკან — გაჯობე თუ არაო.

მოგვიანებით აანთო ჭრაქი იორდანემ. პური გატეხა და ლოლნა დაუწყო. წყლის ჭურჭელისთვის რომ წამოიწია, მანკიანი ფეხი ეტკინა. ამოიკვნესა და ისევ დაჯდა. წვივის ძვალს მოავლო ხელი გარედან, ხომ არაფერი ვიტკინეო. ცუდ ამინდში იორდანე ყოველთვის გრძნობდა მოყრუებულ ტკივილებს, თითქოს მარცხენა წვივის ძვალში რკილი უზის და ძვალს უხრავსო. დღეს ერთბაშად ასტკივდა ფეხი. ტკივილი ძარღვებს აჰყვა და გული აუცრიალდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იორდანემ ხელი უშვა ნიჩბებს. პაჭიჭი გაიხადა. სველი შარვლის ტოტი მუხლისთავამდე დაიკოტავა. ჩაბალახი მოიხადა და მანკიანი ფეხი შეიხვია.

სითბომ ოდნავ მიუყუჩა ტკივილები.

იორდანემ მხოლოდ ეხლა იგრძნო საშინელი დაღლილობა და წინაღამით უძინარს, თვალები შეუხორცდა.

ტკივილებმა ისევ გამოაფხიზლეს იორდანე. გაწვიმდა. ქარიშხალიც ამოიჭრა. იორდანემ იკადრა ნაპირისკენ გაქანება, მაგრამ ქარმა და წვიმამ ჭრაქი ჩაუქრო. იორდანე უკუნ ბნელში დარჩა ღვთისანაბარად. სინათლეს დაჩვეული თვალები დიდხანს ულონო აღმოჩნდნენ სიბნელესთან ბრძოლაში. მოგვიანებით ალღო აიღო, ადგილმდებარეობა იცნო და გადასწყვიტა მახლობელ მოსახვევამდე როგორმე მისულიყო. იქ მწყემსების კარავი ეგულებოდა და ნავის ნაპირზე მიყენებაც არ იყო ძნელი.

წვიმამ იმატა. იორდანეს წინათგრძნობა გაუმართლდა. ნამდვილი ტროპიკული თქეში წამოვიდა.

გულს მაინც არ იტეხდა. კარჭაპას ბრმად მიაქანებდა სათავისკენ. გრძელ მოსახვევს რომ მიუახლოვდა, ნაპირისკენ დაიჭირა გეზი. გუმანით მიაგნო ნავის მისადგომს და ვაივაგლახით გავიდა ნაპირზე.

ცარიელი კარჭაპა აკვანივით ირწეოდა აფურთუნებულ ზვირთებზე. იორდანეს სიმშრალე აღარ გააჩნდა ტანფეხსაცმელში.

„კვიმატი დღეა-მეთქი, ტყვილა კი არ ვიძახდი“, — აბუტბუტდა თავისთვის.

თოკი ხელის ფათურით მოძებნა, კარჭაპა ჩირგვზე დააბა და სანამ თქეში გადაიღებდა, მწყემსების კარავს შეეფარა.

ფარღალალა კარავი ქარს ვერ იმაგრებდა და დასველებულმა მენავემ ყბისძვალი ველარ დაამაგრა სიცივისაგან. იორდანემ ცეცხლის დანოება გადასწყვიტა. ასანთი იპოვა, მაგრამ სისველის გამო ვერც ერთი ღერი ვერ გააჩაღა.

ზის იორდანე ფერდებჩალეწილ კარავში და წვიმის გადაღებას ელოდება. წვიმის შხაპუნი გარკვევით ესმის, მაგრამ ხანგრძლივი ლოდინით ძარღვებმოშლილი მენავე ხშირად გაიხედავს ხოლმე გარეთ. უმთვარო ღამე საწვიმარ ღრუბლებს სულ მთლად დაულუსკუმებია.

იორდანეს თვალწინ უტრიალებს „ახალ ბაზარზე“ ნახული და გაგონილი. თანაც შინ მიეჩქარება: ოჯახის დარდიც აწუხებს და სიცივისაგან გათოშილს გათბობა და მოსვენებაც ენატრება, მაგრამ ტაროსი თითქოს იორდანეს ეჯიბრებაო, შეუნელებლად წვიმს და ქარიც თანდათან ძლიერდება.

ხელმეორედ ასტკივდა ფეხი იორდანეს. კარვის ბოძს ზურგით მიეყრდნო, მანკიან ფეხს სრესა დაუწყო, იქნებ სისხლი ავამოძრაო და ცოტათი მაინც მიყუჩოსო. ყოველივე ცდა ამაო იყო. ფეხის ტკივილი თანდათან მატულობდა.

— იმ კურთხეულიშვილს არ გადავერჩინე, ის არ მერჩივნა, — გაიფიქრა მოგვიანებით და მისდაუნებურად შორეულ წარსულს მოავლო თვალი: — თუ მთელ ჩემ ცხოვრებაში წვალება მომელოდა, რატომ მაშინ არ ამომხდა სული...

ბიბლიოთეკა

იორდანე ფიქრებს გაჰყვა და თვალწინ წარმოუდგა თავისი ახალგაზრდობა, ჭიათურის მიდამოები, მრეწველ სიდერიდის მაღარო. მოაგონდა მაღაროს მუშები, რომელნიც, ვინ იცის, ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში სად ჩაკვდნენ გადასახლებასა და გაციმბირებაში. იორდანეს დღესაც ახსოვს ზოგიერთი გაციმბირებულის გვარი, მაგრამ ვინ მოკვდა, ვინ დარჩა — აღარ იცის. ოცდახუთი წლის ამბავი არც ისე ადვილი მოსაგონებელია. მაშინ ჩვიდმეტი წლის თუ იქნებოდა იორდანე. ქვეყანა რევოლუციის ქარცეცხლში იყო გახვეული.

იორდანემ ბავშვობა სოფლად გაატარა. მშობლები ადრე დაეხოცა. ის ყველაზე უმცროსი იყო ბარდღა ღვამიჩავას ოჯახში. მშობლების სიკვდილის შემდეგ იორდანეს დები დათხოვდნენ. უფროსი ძმა დუტუ ჭალადიდის ჭაობს გაექცა და ვიღაც უშვილო აზნაურს ჩაესიძა გურიაში.

მარტოდ დარჩენილმა იორდანემ გაჰყიდა ყველაფერი, მამისეული ფაცხისა და ეზო-მიდამოს გარდა, და ჭიათურაში გაემგზავრა საქირაოზე.

გზაში სულ იმას ფიქრობდა: ნეტა როგორი ქალაქია ჭიათურა, ფოთზე დიდი თუ იქნება... ნაცნობი ვინმე თუ შემხვდებაო.

დილით ჩავიდა ჭიათურაში. შემოდგომის ჯერ კიდევ ცხელი მზე დაჰქათქათებდა გადატრუსულ მიდამოებს. კედლები შავად იყო შელესილი. სახლები, ხეები, ბოძები შავად გამოიყურებოდნენ. ქუჩაში შავი მტვერი იდგა. სადგურს რომ გასცდა, მდინარის შხუილი მოესმა. შეხედა: ისიც შავი ფერისა იყო.

იორდანემ მიდამოებს დაუწყო თვალიერება. შორს ხრიოკ კარჩხლებში მოსჩანდნენ გვირაბები, კიდიდან კიდეზე გადაჭიმული მავთულები. მავთულებზე რახრახით ადი-ჩადიოდნენ პაწია ვაგონეტები. მუშები არსად სჩანდნენ. ვერც ქალაქი დაინახა იორდანემ. იფიქრა, მთებს გადაღმა თუ არისო და შარას გაჰყვა. წყალს გაღმა რამდენიმე უშნო სახლი და ხუხულებივით ერთმანეთზე მიდგმული დუქნები დაინახა.

იორდანემ მეფურნესთან შეუხვია. ცხელი შოთი მოაჭრევინა. ხურდა რომ გამოართვა, მორიდებით ჰკითხა, ქალაქი საით მხარეს არისო.

— რომელი ქალაქი, ბიძი? — გაიკვირვა მედუქნემ.

— ჭიათურა.

მედუქნეს გაეცინა.

— ჭიათურა, ეს არის, ბიძი.

— ეს არის ქალაქი? ფოთზე პატარა ყოფილა. მუშები სადღა არიან?

— მაღაროებში!.. აი ზევით... — გაიშვირა ხელი მედუქნემ. — ნათესავი გყავს ვინმე? — შეეკითხა იორდანეს ხანმოკლე დუმილის შემდეგ.

— არა... საქირაოზე ვარ ჩამოსული და... იქნება ვინმე დამეხმაროს-მეთქი.

მეფურნემ შარაზე მიმავალ ჩალვადრებზე ანიშნა: მაგათ გაჰყევი და პირდაპირ მაღაროში მიგიყვანენო.

იორდანე შორიახლო გაჰყვა ჩალვადრებს. გზადაგზა ზოგ მაგვანს გამოელაპარაკა. თავისი გასაჭირი უამბო, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. მთელი დღე ალმა-დალმა ხეტიალში დააღამა. ახლოს არავინ გაიკარა. უწლოვანო ხარო, — უხეშად მიახლიდნენ ხოლმე დამქირავებელნი და უარით ისტუმრებდნენ უკან.

ღამე სადგურზე გაათია იორდანემ. შინ დაბრუნება მაინც ვერ გადასწყვიტა: ცარიელ ფაცხაში რა ვაკეთოო, — ფიქრობდა სასოწარკვეთილი...

იორდანეს გააკრჭოლა. ფიქრებიდან გამოერკვა. ფეხის ტკივილი ოდნავ მიყუჩებოდა, მაგრამ ქარშეთი და ისხარი წვიმა წარღვნით იმუქრებოდნენ. უცებ ნავი მოაგონდა. მივირბენ და დავხედავ, — გაუელვა. მაგრამ კარავიდან თავი ველარ გაჰყო გარეთ. ბედს შეურიგდა და ისევ წარსულზე ფიქრს შეჰყვა დროს მოსაკლავად.

დიდხანს დაეხეტებოდა იორდანე მაღაროებში. დიდხანს ეძებდა საშუშაოს უბინაო და მიუსაფარი. ნოქრებსა და ათისთავებს თავი გააბეზრა — უწლოვანი ვარ, მაგრამ ძალლონე მერჩისო... ბოლოს, მუშებმა დაატანეს თვალი უსაქმოდ მოხეტიალე ახალგაზრდას, ვინაობა გამოჰკითხეს და მალე სამუშაოზედაც მოაწყვეს...

იორდანეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ჯანლონეს მართლაც ბავშვობიდანვე არ ემდუროდა ღვამიჩავა. ბარდღას ოჯახში ის იყო ყველაზე ჯანმრთელი და თვალტანადაც ახოვანი. ერთგულებასა და მუყაითობაშიც ვერვინ დასდებდა წუნს, ამიტომ... დაიწყო თუ არა მაღაროებში მუშაობა, ამხანაგების ყურადღება მიიქცია და ბევრი ახლო მეგობარი გაიჩინა.

იორდანე კმაყოფილი იყო ჭიათურაში ჩასვლით. უკვირდა კიდეც: ეს მუშები რა კარგი ხალხი ყოფილაო. განსაკუთრებით მოსწონდა ჭალარა მუშა გაბრო მაჩიტაძე. გაბრომ მოაწყო იორდანე სამუშაოზე. ბინაზეც მანვე შეიკედლა. საღამოობით გაზეთების კითხვას შეაჩვია და მოგვიანებით მუშათა მოძრაობაზედაც ჩამოუგდო სიტყვა.

იორდანე დაეწაფა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ხშირად ღამის თორმეტ საათამდე იჯდა ძია გაბროს ოთახში და მუშებს აკრძალულ წიგნებს უკითხავდა (იორდანეს სოფლის სამრევლო სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ჩინებული წერა-კითხვა იცოდა).

ერთ საღამოს მუშათა წრე ახსენა ძია გაბრომ... ცენტრიდან ჩამოსულ წრის ხელმძღვანელზედაც ჩამოაგდო სიტყვა. იორდანე ცნობისმოყვარეობამ აიტანა. ძია გაბროს შეეხვეწა, მეც წამიყვანეო.

ძია გაბრომ სურვილი შეუსრულა. იორდანე „რევოლუციურ ნათლობაზე“ წაიყვანა.

ის ღამე თეთრად გაათენა იორდანემ. მაშინ პირველად გაიგონა ხელმძღვანელისაგან: მუშათა მოძრაობა, მჩაგვრელი და დაჩაგრული კლა-

სი... მაგრამ ერთი რამ გაუკვირდა: ცენტრის ხელმძღვანელად ეს ახალგაზრდა კაცი ვინ აირჩიაო. ის რატომღაც წვერებიან ჭალარას მოელოდა ხელმძღვანელად, ეს კაცი კი, ოცდახუთისაც არ იქნებოდა. ლაპარაკობდა სადად, ყველასათვის გასაგები ენით. ხშირად ეღიმებოდა, ოხუნჯობდა კიდეც. მუშები (მათ შორის იორდანეც) სულგანაბულნი უსმენდნენ ხელმძღვანელს.

მუშათა გამარჯვება თვით მუშათა საქმეაო, — სთქვა ხელმძღვანელმა და იორდანეს თვალები მუშტისოდენა გაუხდა. დაძაბული იდგა, გეგონებოდათ: ადგომას ფიქრობს და ადგილიდან ვერ დაძრულაო.

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, — დაასრულა სიტყვა ხელმძღვანელმა, — ხვალ, პირველ მაისს, უდიდესი საპირველმაისო დემონსტრაცია უნდა მოეწყოს ჭიათურაში... მაშ, დემონსტრაციაზე, ამხანაგებო!

შუაღამე გადასული იყო, ხელმძღვანელი რომ წავიდა. ძია გაბრომ ჭიშკრამდე მიაცილა უცხო კაცი და უკან დაბრუნდა.

— სადაურია? — იკითხა ერთმა.

— რა გვარია? — წასძლია ცნობისმოყვარეობამ იორდანესაც.

— არ ვიცი, — მოკლედ მოსჭრა ძია გაბრომ და წრის წევრებს ისეთი თვალით შეხედა, ყველას აგრძნობინა, ასეთი შეკითხვები უადგილოაო.

— მაშინ რალა ამხანაგობაა, თუ ერთმანეთს არ ვენდობით, — წყენით შენიშნა ერთმა.

— ამხანაგობა სხვაა, იატაკქვეშ მუშაობა კიდევ სხვა... — მიუგო ძია გაბრომ და წრის წევრებიც უხმოდ წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ბინებისაკენ.

თავბრუდახვეული იორდანე მოუთმენლად ელოდა ჩიტის დაძახილსა და პირველ განთიადს.

— ეხ, ბიჭი მაშინ ვიყავი... — წამოიძახა ერთბაშად იორდანემ და გარეთ გაიხედა.

ქარი ჩამდგარიყო, მაგრამ ისევ კოკისპირულად წვიმდა... ცოტათი მოცისიერებულიყო კიდეც. იორდანეს იმედი მიეცა, საცაა გადაიღებსო და ძველ ადგილს დაუბრუნდა, ბოძს მიეყრდნო და ისე მაგრა დაამთქნარა, კინაღამ ღრანჭი მოექცა.

— რა დრო იყო!.. ახალგაზრდა ვიყავი და გულში ჩიტი მიფრინავდა, თორემ... ამდენ ტანჯვას რა გაუძლებდა! ხალხს თავი ჰქონდა განწირული. ციხე-ციმბირი არავის აშინებდა... არც ტყვია და სახჩობელა...

იორდანეს თვალწინ დაუდგა საპირველმაისო დემონსტრაცია.

იმ დღეს ალიონზე ადგა იორდანე. საგარეო ტანისამოსი ჩაიცვა. სახლის პარმაღზე გამოვიდა და ძია გაბროს დაუკაკუნა. ძია გაბროც რახანია ამდგარიყო. მასაც საგარეო ტანისამოსი ჩაეცვა და გაზეთს ათვალიერებდა.

— მზადა ხარ, იორდანე? აბა, შენს გაზრდას, ერთი პერეგრინაში აირბინე და ეს წერილი გადაეცი შალვა გობრონიძეს. ხომ გახსოვს გობრონიძე?

— როგორ არა, ძია გაბრო! მაღალ-მაღალი კაცია.

— ჰო... აბა, გასწი. ერთ საათში აქ გაჩნდი. ჩვენ სადგურის წინ ვიქნებით.

იორდანე მწევარივით გადახტა ეზოს ალაგეზე და აღმართს შეუდგა.

ძია გაბრომ ამხანაგებს ჩამოუარა და ჩქარა სადგურში გაჩნდა.

ნელ-ნელა იკრიბებიან მუშები. რკინისგზის მოხელეები შეწრიალებული არიან. ჯინჯილებიანი ჟანდარმი ადგილს ვეღარ პოულობს მოსასვენებლად. ხან პერონზე გამოვარდება. ხან სადგურის უფროსთან შეირბენს. ხან სამორიგეოში შეიხედავს. მოზღვავებულ ხალხისათვის ხმა ვერ გაუცია. ბოლოს ტელეფონს დაეძგერა და ენის ბორძიკით აცნობა შორაპანს — მუშები დემონსტრაციაზე გამოდიანო.

ამ დროს სადგურის ეზო და ბაქანი ხალხით იყო გაჭედილი. ნიშანსვეტთან ორთქლმავალმა დაიყვირა.

მუშები რკინისგზის ბაქანზე გამწკრივდნენ.

მემანქანეს ხელებით ანიშნეს: დადექიო. ორთქლმავალი დადგა. მემანქანესთან ძია გაბრო მიიჭრა. მიესალმა და რაღაც ნიშანი მისცა.

აგუგუნდა ორთქლმავალი. საგანგაშო სტვენა ათ წუთს გაგრძელდა.

— დროა, ამხანაგებო! — გაისმა ვილაცის მკვეთრი ხმა და დროშაც გაიშალა.

იორდანე ღვამიჩავა გობრონიძის რაზმთან ერთად სწორედ ამ დროს შემოუერთდა სადგურის წინ თავშეყრილ მუშებს. ძია გაბროს თვალი მოჰკრა და მისკენ გაექანა.

— მოვედით! — აცნობა იორდანემ ძია გაბროს.

— ყოჩაღ, ჩემო იორდანე! — მოუწონა სისწრაფე ძია გაბრომ და მხარზე ხელი დაჰკრა.

დემოსტრაცია დაიძრა.

ნაზად შრიალებს ბროწეულის ყვავილისფერი დროშა. მარსელიეზას ეშხით აგზნებული გამყივანი სარდლის მაგიერობას სწევს: გასწი, გასწი, წინ, წინ, წინო.

ზღვა ხალხის აგოლგოთებული ტალღები წალეკვით იმუქრებიან, თითქოს დავიწროვდა შარაგზა, შეიკრა კალაპოტი და ჭიათურის ყოველი კუთხიდან მოხეთქილმა მუშათა კოლონებმა შიშისზარი დასცეს მეპატრონეებსა და პოლიციას.

— ამხანაგებო! — გაისმა მგზნებარე ხმა სახელდახელოდ აღმართულ ტრიბუნიდან.

შეწყდა მსვლელობა. ტრიბუნის გარშემო წრე გაფართოვდა. ხმაგაკეედილნი უსმენენ ორატორს.

— ჩვენი ხელმძღვანელი! — აღტაცებით წამოიძახა იორდანემ და ძია გაბროს ჩოხის კალთაში სტაცა ხელი: შეხე, ვინ ლაპარაკობსო.

დადუმდა ირგვლივ ყველაფერი.

მდინარის შხუილს ნაკადივით შეერთვის ხელმძღვანელის ფოლადისებური ხმა.

ეს ხმა ხუთიათასი მუშის ამოძახილია. ხუთიათასი მაღარელის მკერდიდან ამოხეთქილი რისხვა და მუქარა.

— ყაზახები! — დაირხა ხალხში მოულოდნელად.

იორდანემ მოხედვა ვერ მოასწრო, ხმალამოწვდილი ყაზახი ეკვეთა ტრიბუნას. იორდანე შიშმა აიტანა: ხელმძღვანელს არაფერი მოუვიდესო... ერთხელ სასოწარკვეთით გადახედა შეწრიალებულ დემონსტრანტებს და თვითონაც აღარ ახსოვს, როგორ გაჩნდა ტრიბუნასთან.

ატყდა სროლა. სროლას სროლით უპასუხეს მუშებმა.

— ცეცხლი, ბიჭებო! — დაიქუხა ძია გაბრომ ყაზახთა ერთი ჯგუფის ტრიბუნასთან მიახლოვებისას და მკერდგაგლეჯილი ესაული უზანგს გადმოეკიდა.

იორდანემ თითზე იკბინა სიხარულისაგან, მაგრამ იელვა ხმალმა და თავგაჩეხილი ძია გაბრო დუჟმორეულ ულაყის ფლოქვებ-ქვეშ ჩაილეწა.

ყაზახი მედროშეს გადაწვდა დროშის გასატაცებლად.

იორდანემ ხალხი გაარღვია და როცა ყაზახმა დროშა აიტაცა, ყაზახის ცხენს უნაგირზე მოექცა. ყაზახს წელზე მოავლო ხელები და ცხენს ქუსლი ჰკრა.

ცხენმა ბუმბულივით გააქროლა მხედრები.

იორდანე ცალი ხელით დროშას ექაჩებოდა, ცალი საყელოში წაევლო ყაზახისთვის და მის დახრჩობას ლამობდა.

დაფეთებული ულაყი უგზოუკვლოდ მიაქანებს ქორდედალივით ჩაბღუჯულ მხედრებს.

იორდანემ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა. ყაზახს ხელი მოუგრიხა და დროშა გამოსტაცა. ეს არ აკმარა, მოგუდულსა და გასავათებულს კეფაში ნიდაყვი წაჰკრა, გაიქნია და ხსტეში გადაისროლა.

— დროშა მომაწოდე! — მოესმა იორდანეს ნაცნობი ხმა, მაგრამ მიხედვა ვერ მოასწრო — ვაიმე ნანაო, — დაიგმინა და თვითონაც ცხენიდან გადმოვარდა.

იორდანე ფიქრებიდან გამოერკვა.

— თვალი რომ გავახილე... — ბუტბუტებს თავისთვის იორდანე, თითქოს ვინმეს ესაუბრებაო, — თავი სიზმარში მეგონა. უცხო ადგილას ვიყავი. ვილაც თეთრხალათიანი კაცი საოპერაციო ხელსაწყოებს ასუფთავებდა. გვერდით ის ჩვენი ხელმძღვანელი მეჯდა. თვალი გავახილე თუ არა, უმალვე მკითხა: როგორ ხარ, ძმობილო, ტკივილები ძალიან გაწუხებსო? გავშტერდი. კარგა ხანს გონს ვერ მოვედი. ფეხის ტკივილმა გამომაფხიზლა. ფეხი მტკივა-მეთქი, ვუპასუხე.

ხელმძღვანელი თეთრხალათიან კაცს მიუბრუნდა: მე უნდა წავიდე ამხანაგო გიორგი; გაბარებ ამ ამხანაგს და... კომიტეტის სახელით გავა-

ლებ კიდეც: ფეხი ისე უნდა მოურჩინო, მანკი რაიმე არ დაუტოვო... ხომ გესმის?!

— ძვალია დაზიანებული, — შეყოყმანდა ექიმი, — შესაძლოა — მოსაჭრელიც გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს შემომეყარა. თავს ძალა დავატანე და არაფერია-მეთქი, — წავილუღლუღე. ნეტა მაშინ ამომხდოდა სული...

ხელმძღვანელი ჩემსკენ მობრუნდა. ხელი ჩამომართვა... შუბლზე მაკოცა და წავიდა.

მას შემდეგ აღარსად შემხვედრია. სახელი და გვარი მაინც ვიცოდე მისი, — ამოიოხრა იორდანემ და გარეთ გაიხედა.

მოცისფერებულიყო. აღარ წვიმდა.

იორდანემ თვალები მოისრისა და რიონს გადახედა.

ცარიელი კარჭაპა აკვანივით ირწეოდა აფურთუნებულ ზვირთებზე.

ნიჩბებს მიუჯდა და უამინდობით შეყოვნებულმა მეშეშემ თავგამეტებით მოუსვა სათავისკენ.

თვალწინ მეგრული ფაცხა და განიერი შუაცეცხლი უტრიალებდა.

თავი მეოთხე

საღვამიჩაოს სოფლის საბჭოს ეზოში უჩვეულო ფაცი-ფუცია. კომკავშირელები დილას აქეთია განუწყვეტლივ აგუგუნებენ ეკლესიიდან გადმოტანილ ზარს. ზარი კრებაზე მოუხმობს ხალხს. საბჭოს თავმჯდომარე, მიხა კარსანიძე, მღელვარებას ველარ იმაგრებს: თორმეტ საათზე დანიშნული კრება სამზედაც აღარ გროვდება.

მიხამ წინადღით გააფრთხილა სოფლელები, უთენია ზარის რეკა ასტეხა. მაგრამ საბჭოს ეზოში ორმოცი სული თუ იქნება სამას კომლიან სოფლის მცხოვრებთაგან.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე, პაჭუ ხორავა, რახანია ზის საბჭოს შენობის პარმაღზე და თვალს ადევნებს ეზოში ჯგუფებად თავშეყრილ გლეხებს.

აქ არის რაიკომის ინსტრუქტორი: ტიტე ვაშალომიძე. ტიტე ძველი კომკავშირელია. ნაცნობ ამხანაგებს შეხვედრია და მათთან საუბრობს.

დროგამოშვებით საათს დაჰყურებს ინსტრუქტორი. ეტყობა, ისიც ელოდება ხალხის დაყოვნების გამო.

— სამი საათია, ამხანაგო მიხა! — საყვედურის კილოთი მიმართა ხორავამ საბჭოს თავმჯდომარეს.

— რა ვქნა, ამხანაგო...

ხორავამ აღარ მოუსმინა თავმჯდომარის ახსნა-განმარტებას. პარმაღი მიატოვა და კუშტად დაეშვა ეზოში.

შეურაცხყოფილი თავმჯდომარე ტიტესთან მიიჭრა. მღელვარებას ველარ იმაგრებდა. ტუჩები ჩატეტკილი ჰქონდა.

— ამხანაგო ტიტე! — ძლივს მოიბრუნა სული კარსანიძემ: — მითხარი, თუ ძმა ხარ, როგორ მოვიქცე? ძალა ვიხმარო?

ტიტე კომკავშირელებს გამოეყო, კარსანიძეს ხელი გამოსდო და მუა ეზოში გაბიჯგულ ცაცხვისკენ წაიყვანა:

— ძალა როგორ იქნება, ამხანაგო მიხა.

— აბა, რა ვქნა, კაცო? ნებით არ მოდიან, ძალით ნუ გამოიყვან... დამახჩვეთ და ის იქნება...

— მოთმინება, მოთმინება, ამხანაგო მიხა! დღეს არ გამოვიდნენ... დავაცალოთ. ხვალ კიდევ მოვსინჯოთ ნიადაგი... შევაგნებინოთ, ავუხსნათ, განვუმარტოთ. თუ არაფერი გასჭრის... ძალა მუდამ ჩვენს ხელშია.

მიხა ოდნავ დაშოშმინდა. ჭრელარშიანი ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა. ცაცხვის ძირში სკამლოგინზე დასხდნენ. მასლაათი გააბეს.

ცოტა ხანს უკან ხორავა შეუერთდა გამარტოებულებს.

— ეს არის შენი კრება? — ცალყბად მიახალა პაჭუ ხორავამ და უკმაყოფილების გამოსახატავად ტუჩი აიბზუა.

— ძალას ნუ იხმარო და... ნებით, ხომ ხედავთ, არ მოდიან, — კვლავ იფეთქა ოდნავ დაშოშმინებულმა თავმჯდომარემ.

— ვინ მოგახსენათ, ძალას ნუ იხმარო... თქვენ იცით თუ არა გლეხების ფსიქოლოგია... გლეხი ნებაყოფლობით სამოთხეში არ შეგყვება. კულაკები ხომ არ დაგავიწყდათ... რამდენი კულაკი გყავს დაპატიმრებული? რამდენი გადაასახლე?

მიხას კრიჭა შეეკრა. ტიტეს გადახედა, თითქოს შველას ემუდარებაო. ტიტემ დაასწრო: გლეხობის ძალად გამოყვანა რა საჭიროაო.

— აბა, რა არის, ყმაწვილო, საჭირო? დავიკრიფოთ გულზე ხელები და ველოდოთ, როდის შევლენ გლეხები კოლექტივში? კარგად აგითვისებიათ თქვენ პარტიის პოლიტიკა. მტრის წინააღმდეგ ძალას ნუ ვიხმართ?

— მტრის და არა გლეხობის მიმართ, ამხანაგო პაჭუ!

— ერთი, თუ ძმა ხარ... დაიწყებ სოლომონბრძენობას. კულაკები მტრები არ არიან? კულაკები არ უნდა განადგურდნენ? თუ ისინიც „შეეზრდებიან სოციალიზმს“?

ტიტემ იგრძნო გადაკრული სიტყვების სიმწვავე. ცეკას ინსტრუქციები ამოიღო და პაჭუს გაუწოდა: წაიკითხეო.

— წაკითხული გვაქვს, ამხანაგო! მართალია, ფილოსოფიური კატეგორიები არ გაგვიზეპირებია, მაგრამ ორი ღერი ანაბანა ჩვენც გვისწავლია ოდესღაც...

— რა შუაშია ფილოსოფიური კატეგორიები? — აილეწა ტიტე ვაშალომიძე, რომელმაც თავის თავზე მიიღო ხორავას მოურიდებელი ქარაგმა. — პარტიული მუშაკისათვის ფილოსოფია ხელწამოსაკრავი არ უნდა იყოს, ჩემის ფიქრით, — დაუმატა ვაშალომიძემ და ინსტრუქციები გულის ჯიბეში ჩაიბღუჯა. — ცოდნა და განათლება არავის არ აწყენს.

— ვიცი, არ აწყენს... მაგრამ არც თქვენ გაწყენთ იცოდეთ ბევრი რამ პარტიის ცხოვრებიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგალითად?

— მაგალითად, თუ გინდა ის ამბავი, როცა თქვენ, ახალგაზრდები, წიგნებს ჩაკირკიტებდით, ჩვენ, ძველი ბოლშევიკები, თავგანწირვის ფილოსოფიას ვუნერგავდით ერთმანეთს სამოქალაქო ომებში... რევოლუცია სისხლითაა მოპოებული, ამხანაგო, სისხლით... ციდან კი არ ჩამოფრენილა... მტერი და ხელისშემშლელი დღესაც ბევრი გვყავს... მეტი სიფხიზლე გვმართებს. ამიტომ მე შემომაქვს წინადადება, გამოვყოთ სამეული და დავავალოთ კონტრრევოლუციური ელემენტების სრული განადგურება. აგრეთვე საჭიროდ მიმაჩნია შეიარაღებული ბრიგადების შედგენა მოსახლეობის გამოსაწვევად. არც ერთი სრულწლოვანი კაცი და ქალი არ უნდა დააკლდეს ხვალინდელ კრებას. დრო მიდის, ამხანაგებო! ხვალ-ზეგ მინდორში თესლი უნდა გავიტანოთ და... ჩვენ ჯერ კოლექტივი ვერ ჩამოგვიყალიბებია. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონია. მომხრე ხართ თუ არა?

— მე მომხრე ვარ, — იჩქარა საბჭოს თავმჯდომარემ.

— მე კი მგონია, ძალდატანებით ხალხის გამოყვანა სასურველ შედეგს არ გამოიღებს, დაფრთხებიან.

— კულაკობის იზოლიაციაზე რას იტყვით?

— აჩქარება არც აქ გვარგებს, რადგან შესაძლოა საშვალო გლეხი კულაკთა ფენაში მოჰყვეს და პირიქით...

ხორავამ იფეთქა:

— საშვალო, საშვალო! საშვალოსაც არ აწყენს შეჯანჯღარება... დამიჯერეთ... სამოქალაქო ომის ჯანდარაში გამოვლილ კაცს ალლო არ უღალატებს. ბევრი მინახავს მე საშვალო გლეხი... სანამ მაუზერის ლულას არ მივაბჯენდით ხახაში, ლუკმა პურს არ წამოგვიტეხდნენ ერთი კვირის უჭმელ-უსმელ მებრძოლებს... მაშ, ასე... სასოფლო კრება ხვალ თორმეტ საათზე. დღეს საღამოს პარტორგანიზაციის სხდომა მოვიწვიოთ...

— კარგი! მე ჩემს მოსაზრებას ჩავაწერინებ ოქმებში... რაიკომში მოვილაპარაკოთ, — მტკიცედ განაცხადა ვაშალომიძემ და ქუდი დაიხურა.

დაიშალნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ გლეხებს გამოუცხადა, კრება ხვალისთვის გადაიდოო და საბჭოს ოთახში შევიდა.

გლეხები ჩოჩქოლით გაშორდნენ საბჭოს ეზოს. პაჭუ ხორავა ჯერ კიდევ ცაცხვის ძირში იჯდა და პაპიროსს აბოლებდა. ხანშიშესული კაცი წაადგა თავს. მდაბლად მიესალმა, ხელი გამოსდო და ჭიშკრისკენ წაიყვანა. გაღიმებული შეცქეროდა თვალებში. ჭალარაშერეულ წვერს დარბაისელივით იფხოკავდა. ისე ეჩურჩულებოდა რაღაცას, გეგონებოდათ, სოფლის ექიმბაში უჟმურით დაავადებულს ულოცავსო...

პაჭუმ თავი დაუქნია ჭალარა კაცს. გამოეთხოვა და უკან გამობრუნდა. საბჭოს თავმჯდომარემ ფანჯრიდან გააყოლა თვალი შინ მიმავალ ხიტი მალანიას...

— ცხენის ქურდი, მამაძაღლი!.. — წაილულღლულა თავისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

იორდანე ღვამიჩავას ფაცხაში ცეცხლი მინელდა. მარინეს სასოება გამოელია ქმრის მოლოდინში. საცაა შუაღამე გახდება. იორდანე ჯერაც არა სჩანს. თვლემამ წასძლია მარინეს. გაუხდელი მიწვა და თვალები მილულა.

ძაღლის ყეფამ დაუფრთხო მოსვენება. ბუზღუნით წამოდგა. მუგუზლები შეასწორა და თვალების ეღვლემით მიადგა ფაცხის კარს.

ჭრიალით გაიღო კარი. თებერვლის სუსხი იგრძნო მარინემ. ნისლი გაწოლილიყო რიონის ნაპირებზე. მთვარის შუქი ღრუბლებს ჩაეყლაპა. გული შეეკუმშა, თითქო ჭვალმა გაჭკრაო.

ჭიშკართან ძაღლმა დაიყმუვლა. მარინემ ძლივს გაარჩია ალაგესთან დაყუნტული ეზოს ნაგაზი, გეგონებოდათ, ისიც პატრონს ელოდებაო.

— ათაია! — წყრომით შეუძახა მარინემ.

ათაიამ დაიყეფა, ეზოს შემოურბინა, მობრუნდა და ისევ ყმუილს მოჰყვა.

— ფისი შენს ხახაში! — მიაწყევლა გულგასიებულმა მარინემ და ბუზღუნით შევიდა ფაცხაში. ცუდად ჰქონდა დაცდილი ძაღლის ყმუილი და ჩიტის დაძახება.

იორდანე იგვიანებდა.

— ფარსაგი არაფერი სჭირდეს იმ საცოდავს...

მარინეს გააჟრჟოლა. ციებცხელების წინ აჟრჟოლებდა ასე მარინეს. დღეს ციება ადრიანად მოიხადა და ცუდად ენიშნა სხეულის უნებური ამოძრავება. შავ ფიქრებს თავი მოარიდა. ბავშვებს საბანი შეუსწორა და ცეცხლის პირას მოიფთხნა.

სადღაც შორს თოფი გავარდა.

მარინე შეკრთა. წაუყურადა. სროლა გამეორდა. გახშირდა კიდეც.

— მეზობელი მაინც მყავდეს მახლობლად!

შიშმა აიტანა მარინე. საღვამიჩაომდე ორი კილომეტრი იქნება. მახლობლად ძეხორციელი არავინ დაჭაჭანებს. ფარღალალა ფაცხა აბა რა თავშესაფარია. ჭუჭრუტანებში „მგელი გავარდება“.

ბავშვებს გადახედა მარინემ. გული გაუმაგრდა.

მოგვიანებით სროლა მიწყნარდა, მაგრამ ახლა ცხენების თქარათქურმა შეაშფოთა ფაცხის მყუდროება. შლიგინით ჩაუარეს ფაცხას ცხენოსნებმა.

მარინემ მეორედ სცადა ეზოში გახედვა. ფაცხის კარს მიადგა, მაგრამ გაღება ველარ გაბედა. სარაზი ხელში შეაცივდა.

ათაიამ ყმუილი შესწყვიტა და გაშმაგებული დაეძგერა ეზოს მესერს, გეგონებოდათ, შორიდან ვილაც ახელებსო.

— არ გაუშვა, ათაია! — მიაძახა მარინემ გაბღეზებულ ნაგაზს.

ქეზმობმული ათაია შარაზე გავარდა. დაიღლოფინა და თავპირგლეჯით გამოუდგა ვილაცას. რიონის პირას რომ გაირბინა, ლრენასა და ყეფას უმატა.

პასუხად თოფი გავარდა. ათაიამ კივილით მოაშურა პატრონის ეზოს. სადღაც მიიმალა და გარინდდა.

მარინეს ცეცხლი შემოენთო ათაიას ცოდვით, მაგრამ მიშველება მაინც ვერ გაბედა.

ისევ სიწყნარე გამეფდა. მარინემ ხელმეორედ წასთვლიმა ცეცხლის პირას. ჩაიფერფლა მუგუზლები. ცეცხლის გამტანი ჯირკი თუ გაიჩინჩხალებდა ხანდახან.

*

* *

ნაშუალამევს ქვენამ დაუბერა. ჯანღი და ნისლი გურიის მთებისკენ გააქანა. მთვარის შუქი დაეცა გარინდულ მიდამოს.

იორდანემ ნიჩბებს მოუსვა. ეზო-მიდამოს მიახლოებამ ძალონე შემატა დაქანცულ მენავეს. ნავაჭრი მსუბუქად წამოიკიდა ზურგზე და ფაცხას მიაშურა. თავმომწონედ მიაბიჯებდა იორდანე. თუმცა იმასაც მშვენივრად გრძნობდა, რომ შუალამისას მას არავინ შეჰყურებდა, არც მტერი და არც მოყვარე. ნავაჭრით ხელდამშვენებულს მაინც დიდი გული მიჰქონდა ოჯახში.

ათაიამ უმალ იცნოსა პატრონის დაბრუნება და წკმუტუნით გამოეგება. მარცხენა წინა ფეხს ძლივს მოათრევდა და დაბორკილი ცხენივით აკანტურებდა თავს ყოველი ნაბიჯის გადადგმისას. როცა მიუახლოვდა, ტირილს მოჰყვა. მოეფადილა იორდანეს, წამოგორდა და, თითქოს შესჩივისო, მტკივანი ფეხი გაუწოდა.

იორდანეს ელდა ეცა სისხლიანი ფეხის დანახვაზე. გაიჩქარა, ტვირთი პარმაღში დააგდო და სანამ შინაურები გაიღვიძებდნენ, ასანთის შუქზე გაუსინჯა ნაგაზს ჭრილობა.

ათაია ადამიანივით კვნესოდა, როცა პატრონი ღია წყლულზე ახლებდა ხელს ანაზდეულად.

— ნატყვიარია! — ხმამაღლა დაასკვნა იორდანემ და უმისამართოდ შეიგინა.

ხმაურობაზე მარინეს გამოეღვიძა. ფიცხლავ ცეცხლი შეანთო და თავშალწამოხვეული გამოეგება ქმარს. ათაია გასისხლიანებული რომ დაინახა, ლოყები მოიპოტნა.

— რა მოუვიდა, დედაკაცო, ამ ძაღლს?

მარინეს კრიჭა შეეკრა. დაცუცქდა და ნაგაზს მოეფერა.

— გარეთ გახედვა ვეღარ გავბედე... — თავის მართლების ტონი დაიწყო მარინემ, თითქოს მას ბრალი მიუძღვის ეზოს ერთგული დარაჯის დაკოჭლებაშიო, — ვიღაც სახლკარდაქცეულმა თოფი ესროლა... დევიწვი მაგის ცოდვით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თოფი?!

იორდანე ფიქრებმა გაიტაცა. ფოთის ამბები მოაგონდა. ბაზარში გატანილი საქონლის ხორცი... ღორის ფელიკები... ბუდიდან ძალად წამოგდებული კრუხები.

— თოფი ესროლეს? — თუთიყუშივით გაიმეორა იორდანემ. წამოდგა. ნავაჭრი ფაცხაში შეათრია. ხარის ბეჭს მოზრდილი ნაჭერი მოათალა და ათაიას წაუგდო.

მარინემ თვალები დასჭყიტა ხორცის დანახვაზე. ძაღლის ულუფა დაენანა, მაგრამ ქმრის ხათრით არაფერი სთქვა.

— ნეტა გადარჩეს... — ნაღვლიანად წაიდუდუნა მარინემ და ნავაჭრის ამოლაგებას შეუდგა.

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, — უპასუხა იორდანემ და ცეცხლს მიეფიცხა.

კარგა რომ შეცხუნდა, მარინემ ვახშამი გაუშალა იორდანეს. ცივი ჭადის ნაფრეხი ღადარში ჩააფიცხა.

იორდანე მადიანად ილუკმებოდა.

მარინე თვალში შეჰყურებდა ოჯახის ბურჯს. ელოდა, აი ახლა დაიწყებს ახალი ამბების მოყოლასო, მაგრამ დრო გადიოდა, იორდანე უბრად შეექცეოდა ვახშამს.

მოთმინების ფიალა აევსო მარინეს. ჯერ უწყინარი საყვედური შეაპარა გამგუნებულ ქმარს, მერე მოხსნა თავი და შეკითხვებით ყური გამოუჭედა.

იორდანეს ლაპარაკის მადაც გაეხსნა და თითქოს ჯავრს იქარვებსო, ხელაღებით მოუყვა ცოლს ნახულსა და გაგონილს.

— იქცევა ქვეყანა! — დაასრულა ცოლთან მასლაათი იორდანემ და ბარეთ გაიხედა. — ალიონი ამოსულა.

— დედაია, მოგიკვდა მარინე... მოგკალი უძინარი კაცი ამდენი ქაქანით.

ადგა და ლოგინი გაუშალა.

იორდანეს წამით გადაავიწყდა ყოველგვარი გასაჭირი და დღეს შემოხვეული უსიამოვნებანი... ერთი ხმამაღლა დაამთქნარა, ტახტზე ჩამოჯდა და კრუსუნით გაიხადა ჩასველებული წუღა და პაჭიჭები. კრუსუნი ნებივრობისა და ოჯახში ყოფნით გამოწვეული კმაყოფილების ნიშანიც იყო. შინ ყოფნა ყოველგვარ ჭირვარამს უქარვებდა იორდანეს.

ის იყო ფეხთ გაიხადა იორდანემ, რომ ჭიშკარი აჭრიალდა და ეზოში ორი ცხენოსანი შემოშლიგინდა.

— იორდანე! — ცივი ხმით დაიძახა ერთმა.

— ეი, მასპინძელო! — უფრო ახლოდან მოისმა იგივე ხმა. დაძახილს ცხენების ფეხთა ბაკა-ბუკიც მოჰყვა: მხედრები ერთ ადგილას ათოხმახებდნენ გავეშებულ ბედაურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინეს კანკალი დააწყებინა, თითქოს გააცივაო.

იორდანემ უსიტყვოდ იგრძნო მარინეს შეშფოთება. გაცვეთილ წუღებში ფეხები გაუყარა და გარეთ გაიხედა.

— რომელი ხარ?

— დღეს კრებაზე რატომ არ ბრძანდებოდი? — მკვახედ მიახალა წინა მხედარმა.

იორდანემ თვალი მოიჩრდილა. შეიარაღებული მხედრები ვერ იცნო და საგონებელში ჩავარდა, ნეტა რომელ კრებას მეკითხებაო.

— არ გესმის?

— შინ არ გახლდი, ბიძიკო! ახლა დავბრუნდი ფოთიდან, ჯერ ტანზეც არ გამიხდია.

— ფოთიდან... მოუნახავს ამასაც სეირნობის დრო...

— რას მეყაშმიერები, ბიძიკო, სეირნობის გუნებაზე, გეტყობა, თქვენ ხართ, რომ ამ შუალამეზე შეგიკაზმავთ ცხენები.

— შენ ცოტა ენას მოუკელი, თორემ... შუალამეზე... — გამომწვევი კილოთი გაიმეორა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილმა იორდანეს სიტყვები და ლაგამი ისე მოქაჩა, გეგონებოდათ, ცხენი იორდანეს უნდა დააჯახოსო. — მე შენ გიჩვენებ სეირნობას...

— დაჩუმდი, როსტომ! — წყრომით შეუტია გამძვინვარებულ როსტომს მხლებელმა ახალგაზრდამ, რომელსაც თოფი მხარიღლივ გადაეგდო და მშვიდად იჯდა სადავემიშვებულ ცხენზე.

— ხვალ, თორმეტ საათზე, სოფლის კრებაა, ბიძია იორდანე, — წყნარად გამოუცხადა მეორე ახალგაზრდამ იორდანე ღვამიჩავას და სთხოვა, ნუ დაიგვიანებო.

— ვინც არ გამოცხადდება... გადამჭრელი ზომები იქნება მიღებული, — დაუმატა როსტომმა. — მოაწერე ხელი ამ ქაღალდზე.

როსტომმა ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფარატინა გაუწოდა იორდანეს.

— სად მცალია, ბიძი, საკრებოდ, თავზე ცეცხლი მეკიდება.

— უარს ამბობ?

— რა ქაღალდია, ბიძი? — შებორძიკდა იორდანე.

— გაფრთხილების... ცოლიც უნდა დაესწროს კრებას... გამომართვი!

იორდანემ ყოყმანით ჩამოართვა ქაღალდი. ფაცხაში შევიდა და ცოტა ხანს უკან ხელმოწერილი სია უკან დაუბრუნა.

— კი, მაგრამ, რაზე გვიბარებენ, ის არ უნდა ეწეროს მაგ ქაღალდში?

— კოლექტივი უნდა ჩამოყალიბდეს, ბიძია იორდანე! — განუმარტა მეორე მხედარმა.

— მოხვალ კრებაზე და იქ გეტყვიან, — ჩაურთო როსტომმა. — რამდენი დრო დავკარგეთ ერთი მოსახლის გასაფრთხილებლად... რა მოგარბენიებდა ამ უსიერ ტყეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, ბიძი... კაცია და გუნება... სულერთია, თქვენ მაინც ვერსად დაგემალება კაცი.

— ხედავ, როგორ მაგრად „დაუმოძღვრავს" ვიღაცას... — იორდანეს გასაგონად მიმართა როსტომმა ბონდო ოჩიგავას და ცხენს ქუსლი ჰკრა.

მას ბონდო მიჰყვა.

გულშემოყრილი შებრუნდა იორდანე ფაცხაში. გაშტერებული ჩამოჯდა ტახტზე და ტანსაცმელის გახდა ვეღარ მოახერხა.

მარინემ ვეღარ მოითმინა და მოჰყვა ხმამაღლა წყევლა-კრულვას.

— თოფით კრების მოწვევა?! ღმერთო, რას შევესწარი. — წაილუღლუღა იორდანემ და მითელგაცვეთილ საბანში გაეხვია.

მამალმა მეორედ იყივლა.

*
* *

მიხა კარსანიძის ოჯახშიც გვიან ჩააქრეს სანთელი. მიხას დაბრუნებას უცდიდნენ.

პარტორგანიზაციის კრება გაგრძელდა. სამეულმა სხდომა დილის სამ საათზე ძლივს დაასრულა.

კრების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ შინ მიიპატიჟა რაიონის წარმომადგენლები. ვაშალომიძე უარზე გადგა: რატომ შეგაწუხო, ცხენი კარგი მყავს და ერთ საათში შინ გავჩნდებიო. არ მოეშვა კარსანიძე. ცხენს ლაგამში ხელი ჩაავლო და საღვამიჩაოსკენ მიაბრუნა.

ვაშალომიძემ დასთმო. გაჰყვა კარსანიძეს, მაგრამ დღევანდელ კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებით იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ ბრაზსა და ბოლმას ვეღარ იმაგრებდა. ისე ივახშმეს, ხმა არ ამოუღია. ეს შენიშნა ხორავამ. სუფრის გასამხიარულებლად ჯერ მიხას ქალს, ჩუტას გაეხუმრა. შემდეგ მიხა ამოიღო მიზანში და ტიტეს ჩათრევაც მოინდომა, მაგრამ ვერ აცდუნა რაიკომის ინსტრუქტორი: საუბარში მაინც ვერ ჩაითრია.

მიხამ ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოები წამოიწყო. იქნება ღვინომ გასჭრას და ვაშალომიძეს გუნება შეეცვალოსო, მაგრამ ამაოდ. მორჩა თუ არა ვახშამს, ტიტემ დიასახლისს მადლობა გადაუხადა და გაზეთების თვალიერებას შეუდგა.

ხორავამ იწყინა ვაშალომიძის გამგუნება: „მატრაკვეცა ლაწირაკი", — გაივლო გულში და თვითონაც მოიღუშა.

— მოისვენეთ, ბატონო! — მიუთითეს სტუმრებს გაშლილ ლოგინზე.

სინათლე ჩააქრეს.

ტიტემ სცადა დაძინება, მაგრამ არ იქნა, თვალები ვერ დაიმორჩილა. ფიქრებმა დასძლია. წელან ჩატარებული სამეულის სხდომა თვალ-

წინ დაუდგა. ტიტე დამარცხდა სამეულის სხდომაზე. თითებმა გაიმარჯვეს. ბევრი იბრძოლა ვაშალომიძემ, არაფერი არ დასთმო, რაც თვითონ უკანონოდ და პარტიის პოლიტიკის უხეშ დამახინჯებად [illegible] მაგრამ თითები... თითებმა გადასჭრეს სასწორ-სამართალი.

აი, გადაშალეს სოფლის მცხოვრებთა სია. საბჭოს თავმჯდომარე ცნობებს აწვდის საშეულს. ჩახაია კოკი. მევახშე. ჰყავს ორი მოჯამაგირე. ორი უღელი ხარ-კამეჩი, სამი მეწველი ძროხა. საკარმიდამო მიწა ორი ჰექტარი. სახნავ-სათესი სამი ჰექტარი. ფიზიკურ შრომას არ ეწევა. საზოგადოებრივ მუშაობაში არ მონაწილეობს.

— რას იტყვით, ამხანაგო ტიტე? — განგებ შეეკითხა რაიალმასკომის თავმჯდომარე.

— განკულაკდეს! — მოკლედ და უყოყმანოდ მოსჭრა ვაშალომიძემ.

— კვარაცხელია ჯიბო, — განაგრძობს საბჭოს თავმჯდომარე: — ყოფილი მეჯოგე. ამჟამად ჰყავს ორმოცი სული საქონელი. ხუთი ცხენი. ხმაწართმეულია. მიწა-მამული იჯარით აქვს გაცემული.

— განკულაკდეს! — არ დააყოვნა ვაშალომიძემ.

ხორავამ ულვაშებში ჩაიცინა. იფიქრა: გასჭრა ჩემმა ქარაგმამ. ვაშალომიძე მოტყდა, წინააღმდეგობის გაწევას ველარ ბედავსო.

— განაგრძეთ, — დააჩქარა ტიტემ საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც კომლთა სიას ისევ თავიდან ათვალიერებდა.

— ღვამიჩავა მიხა...

ტიტე შეიშმუშნა. აქამდე ნიდაყვს დაყრდნობილი წელში გასწორდა. თვალები ნიშანდობლივად დააფახურა, თითქო ახლა გააღვიძესო.

— შეძლებული არ არის, მაგრამ ანტისაბჭოთა ელემენტია. სოფლიდან უნდა გავასახლოთ, როგორც არასაიმედო პიროვნება.

— საბუთი? — შენიშნა ვაშალომიძემ.

— საზოგადოებრივ მუშაობას გაურბის.

— რა დაავალეთ?

— როცა არ ვენდობით, რა უნდა დავავალოთ! ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ გლეხებში მთავრობის საწინააღმდეგო ჭორებს ავრცელებს...

— დამისახელეთ მაგალითი, — შეაჩერა კარსანიძე რაიკომის ინსტრუქტორმა.

ხორავა აქამდე გაოგნებული უსმენდა ვაშალომიძის კითხვა-პასუხს. მოტყუვდა რაიალმასკომის თავმჯდომარე. ვაშალომიძემ სწორედ იქ აიმაღლა ხმა, სადაც ხორავა არ მოელოდა. ეს ცუდად ენიშნა. სიტყვა აიღო და მიხა ღვამიჩავა მიწასთან გაასწორა. მამხილებელი ფაქტი კი ვერცერთი ვერ დაასახელა. ბოლოს გაბრაზდა. მაგიდას მუშტი დაჭკრა და პათეტიურად განაცხადა: თქვენ იცით, ღვამიჩავას ოჯახის შემადგენლობა რომ ნამდვილი კონტრებია...

— იონაც?

— იონა მამასთან არ ცხოვრობს, მაგრამ, ალბათ, ისიც დროს ელოდება.

— დიახ, დროს ელოდება, — ჩამოართვა სიტყვა კარსანიძეს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ: — იონა საეჭვო კომკავშირელია. მე დაგიმტკიცებთ ამას. ძველ პარტიზანს ბოლშევიკური ალღო არ უღალატებს.

— ალღო კარგია, ამხანაგო პაჭუ, როცა ის ფაქტებთან არის დაახლოებული. ასე ზეპირად კაცის გაბიაბრუება და მტრად გამოცხადება როგორ იქნება? თქვენ იონა ღვამიჩავას არ იცნობთ. მე კი რამდენიმე წელი ვმუშაობდი მასთან ერთად. ის ყოველთვის მოწინავე კომკავშირელი იყო. სწორედ ამიტომ გაგზავნა რაიკომმა ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში... ღვამიჩავას სტუდენტობაშიაც არ გაუწყვეტია კავშირი ჩვენს ორგანიზაციასთან. საგაზაფხულო არდადეგებს ის მუდამ საცდელ სანერგე მეურნეობაში ატარებს. სამაგალითოდ დააყენა მყნობისა და შეჯვარების საქმე. თქვენ კი ზეპირად გაიძახით, საეჭვოა, სანდო არ არისო. ფაქტებია საჭირო, ამხანაგებო, ფაქტები.

— ელოდეთ ფაქტებს... შე დალოცვილო, ფაქტი რომ მოგვცა, ავდგებით, მივწერთ პოლიტსამმართველოს და ცოპ! გავათავებთ. ჩვენ ჩვენი საკუთარი ბოლშევიკური ალღო გვიკარნახებს, რომ მიხა ღვამიჩავას ნაშიერი საბჭოთა სისტემის ერთგული არ იქნება.

— არ ვიცი... მე პირადად საკმაოდ არ მიმაჩნია თქვენი განცხადებები მიხა ღვამიჩავას ოჯახის კულაკთა სიაში მოსაყოლებლად. მე წინააღმდეგი ვარ, — გადაჭრით განაცხადა ტიტემ და მოითხოვა მისი პირადი აზრის ოქმში შეტანა.

— შეიტანეთ ოქმში, — გამომწვევი კილოთი გაიმეორა ხორავამ და კარსანიძეს მიმართა, განაგრძეთო.

სამეულის სხდომა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სამი კომლი ერთხმად შეიტანეს განსაკულაკებელთა სიაში. ცოტა გაუგებრობა გამოიწვია სოფლის მღვდლის, ონოფრე კარტოზიას კანდიდატურამ. ტიტემ აქაც აიღო სიტყვა ონოფრეს დასაცავად. დაამტკიცა, რომ ონოფრე მღვდელმსახურებას არსად არ ასრულებს. ნათლობა-ქორწილებში არ დადის. ოჯახს საკუთარი შრომით ინახავს. შვილები მასწავლებლები ჰყავს. მათ შორის ერთი პარტიელია, ერთიც კომკავშირელი. ერთად-ერთი მისი ნაკლი ის არის, რომ ანაფორას არ იხდის...

— საქმეც ეს არის, — გამოაზოგა პაჭუ ხორავამ: — გეკითხებით, ამხანაგო ტიტე, რატომ არ იხდის ანაფორას? რას ელოდება?

— ძნელია, ამხანაგებო, ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა. შეიძლება ონოფრე მორწმუნეა და მიტომ არ იხდის ანაფორას. გულში რა უდევს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ თავისი მოქმედებით, ოჯახის წევრთა დამოკიდებულებით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მას განსაკულაკებელთა სიაში ვერ მოვაქცევთ.

— მაშინ ხმის უფლებაც მივცეთ... — დაცინვით სთქვა ხორავამ.

— უკაცრავად... ანაფორიან მღვდელს ხმის უფლებას არ მივცემთ და მას სასჯელად ესეც ეყოფა. ქონებრივად კარტოზია ღარიბთა ფენას მიეკუთვნება, ხომ მართალია?

კამათი შეწყდა. შეთანხმდნენ. კარტოზიას ხელი არ ახლეს. უდაოდ გადასწყვიტეს ფეხზე მოვაჭრე შალომა ჯიჯეიშვილის საკითხიც. არც მას ახლეს ხელი.

სია ჩაათავეს. პაჭუ ხორავა ფეხზე წამოდგა, გაიზმორა და ეანჯარასთან მიდგა.

— მოთავდა? — იკითხა ტიტემ და თვითონაც ფეხზე წამოდგა.

საბჭოს თავმჯდომარე შეყოყმანდა, სია დახურა. მოთავდაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ერთბაშად გადაიფიქრა, სია ისევ გადაშალა და უკანასკნელი გვერდი ორჯერ ჩაათვალიერა...

— ერთიც დარჩა, ამხანაგებო... — ნაწყვეტებად სთქვა მიხამ, გეგონებოდათ გასამეღავნებლად ვერ იმეტებსო.

ხორავა მიტრიალდა. ტიტე ისევ სკამს დაუბრუნდა.

— ვინ არის?

— ხიტი მალანია. ცხენის ქურდი. მევახშე. ექიმბაში. ნამდვილი წურბელა და მავნე ადამიანი. დღესაც წაღლეტით ინახავს ოჯახს, — სეტყვასავით წაუშინა კარსანიძემ.

— ვიცნობ, — დაემოწმა ვაშალომიძე. — ჩასწერეთ!

— მოითმინეთ, ამხანაგებო! — აიღო სიტყვა პაჭუ ხორავამ. — ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ მალანიას შესახებ.

ტიტემ და საბჭოს თავმჯდომარემ პირი დააღეს. არ მოელოდნენ, თუ პაჭუ ხორავა მალანიას გამოსარჩლებას იკისრებდა.

— მართალია, ამხანაგებო, მალანია ყოფილი ცხენის ქურდია... მევახშეობასაც ეწეოდა ერთ დროს... სახელგატეხილი კაცი იყო, უთუოდ... მაგრამ...

— არც ერთი „მაგრამ", ამხანაგო პაჭუ! — ველარ მოითმინა რაიკომის ინსტრუქტორმა და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს სიტყვა შეაწყვეტინა: — მალანია ნამდვილი ხორცმეტია საბჭოთა საზოგადოებრივობის. ის უნდა დაიხვრიტოს... არამც თუ...

— მოითმინეთ, ამხანაგო ტიტე! ჯერ მე დამაცალეთ და შემდეგ თქვენ სთქვით თქვენი მოსაზრება...

— მალანია თავის წარსულით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მის დღევანდელ მუშაობას...

— რომელ მუშაობას? — კვლავ იფეთქა ვაშალომიძემ.

— საზოგადოებრივს, — გაუსვა ხაზი ხორავამ და განგებ დინჯი კილოთი განაგრძო: — თქვენ ყველამ იცით, რომ მალანიამ სანერგე მეურნეობას უღლად კამეჩი შესწირა... თქვენ ისიც იცით, რომ ბორანის ასაშენებელ ფონდში მალანიამ ასი თუმანი შეიტანა. ეს თქვენს ოკალწინ მოხდა, ამხანაგო მიხა! გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მალანია აგვისტოს ავანტურის დროს იარაღით ხელში ებრძოდა ავანტურისტებს... კიდევ მეტი: 1919 წ. საშა გეგეჭკორის რაზმს მალანიამ ხუთი შეკაზმული ცხენი აჩუქა... როგორც მახსოვს, ორი შაშხანაც გადმოგვცა რაზმელებს. ყოველივე ეს ასწონ-დასწონა ჩვენმა რაიკომმა

თავის უკანასკნელ სხდომაზე, თქვენ არ ესწრებოდით ამ სხდომას. ამხანაგო ტიტე, დიახ... ასწონ-დასწონა და ხიტი მალანია ახალი ორგანიზაციის „კოლხიდმშენის“ მომარაგების რწმუნებულად დანიშნეს. მალანია ამ დღეებში შეუდგება მუშაობას... ასე რომ... ხიტი მალანია [illegible] სიაში შეტანა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უხერხულია.

— მართალია, უხერხულია! — დასთანხმდა ერთბაშად საბჭოს თავმჯდომარე. — მე ეს არ ვიცოდი, — თავის მართლების მიზნით დაუმატა მანვე.

— სისულელეა! — გაცხარდა კარსანიძის უეცარი ფერისცვალებით ტიტე ვაშალომიძე.

— რაიკომს მე ვერ გავუსწორებ, ამხანაგო ტიტე! — უხერხულობიდან თავდასაღწევად მიიშველია მიხამ რაიკომის დადგენილება. არც რაიალმასკომის თავმჯდომარეს აწყენინა და ვაშალომიძეს წინაშეც თავი იმართლა: რა ვქნა, პატარა კაცი ვარ, რაიკომს ხომ არ შევებრძოლებიო. ამიტომ დასთმო ასე ერთბაშად, თორემ ხიტი მალანია ისე არავის სძაგდა საღვამიჩაოში, როგორც კარსანიძეს.

— მე დაჟინებით მოვითხოვ მალანიას განკულაკებასა და გადასახლებას, — არა ცხრებოდა ვაშალომიძე.

— რაიკომის დადგენილება? — ჩასჭიდა ხელი კარსანიძის მოსაზრებას რაიალმასკომის თავმჯდომარემ. — შევებრძოლოთ რაიკომს?

— რაიკომი გადახედავს თავის დადგენილებას. შეცდომის გამოსწორებას სამარცხვინოდ არ თვლიან ბოლშევიკები... — ურყევი კილოთი თქვა ვაშალომიძემ და მიხას შეხედა, მეთანხმები თუ არაო.

უყარეს კენჭი. ტიტე იაქესავით დარჩა. აქაც თითებმა დაჩაგრეს ვაშალომიძის მოსაზრება.

ტიტემ თავი გააქნია. ერთბაშად გამოერკვა. ბურუსი გაიფანტა და კვლავ სცადა თვალების დახუჭვა. თვალები დაიმორჩილა, მაგრამ ფიქრებსა და მოხეტიალე აზრებს თავი ვეღარ გაართვა. ერთი წამით შესწყვიტა სუნთქვა, შესწყვიტა აზროვნება, მაგრამ, თითქოს საბნიდან გამოძვრაო, მის თვალწინ კვლავ დადგა პაჭუ ხორავა. პაჭუ თავგამოდებით იცავს ცხენის ქურდს მალანიას. აზვიადებს მის დამსახურებას. მოწმედ საშა გეგეჭკორის რაზმს იშველიებს. თვითონ გეგეჭკორსაც. რა ჰქნას ვაშალომიძემ? გეგეჭკორის რაზმში მას არ უბრძოლია. გეგეჭკორი ცოცხალი აღარ არის, რაზმელებსაც არავის იცნობს ვაშალომიძე. თუგინდ იცნობდეს ვისმეს, ვის ეხსომება დღეს ათი-თორმეტი წლის წინანდელი ამბავი? ვის ეხსომება ხიტი მალანიას საჩუქარი? იქნებ ცხენები კი მოუყვანა რაზმს (ვინ იცის?), მაგრამ სასყიდელი აიღო თუ ფეშკეშად გადასცა, ამას ვინ დაადასტურებს? თოფები გადმოგვცაო. დავუჯეროთ? თუმცა რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთ ძველ პარტიზანს... დღეს პარტორგანიზაციის კრებაზე ორი საათით დაიგვიანა ხორავამ. შეზარხოშებულიც მოვიდა. დასთან ვიყავი და ცოტა შემაყოვნდაო, — მოიბოდიშა კრების წინაშე. რა უფლება გვაქვს, ესეც არ დავიჯეროთ, რომ ხო-

რავა ნამდვილად დასთან იყო, რომელიც სამი წელიწადია არ უნახავს?.. მეტყველების უნარი იმიტომ ხომ არა აქვს ადამიანს, რომ სინამდვილე დაფაროს... მოხდენილად ითვალთმაქცოს... არა, სისულელეა! ბოლშევიკი ხომ გაიძვერა ფრანგ დიპლომატის გზას ვერ გაჰყვება... ბით-უმეტეს, რომ ხორავას ტალეირანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი არაფერი გაეგება...

აქ შესწყვიტა ფიქრი ვაშალომიძემ. დაარწმუნა თავი, რომ ხორავა გულწრფელად მოქმედებს. თუ სცდება, აქაც გულწრფელად... გულწრფელად დაშვებული შეცდომა ყოველთვის ადვილად სწორდება. საქმე ის არის, თავის დროზე შეაგნებინო კაცს შეცდომა. მიუთითო. დაუმტკიცო. დააჯერო. ტიტეს სიჭაბუკეც უშლის ხელს. რაგინდ სიბრძნე სთქვას, სირეგვნედ ჩამოართმევენ ხანდაზმულები (ასე ეჩვენება ზოგჯერ ტიტეს!). აბა რა მოსატანია ყოველი კამათის დროს „მე ძველი პარტიზანი ვარ", „ძველ ბოლშევიკს ალღო არ უღალატებს". ვინა სთქვა, რომ ხანშიშესულობა შეცდომებისაგან აზღვევს ადამიანს? ამბობენ, კაცი რომ ხანშიშედის, ბრძენი ხდებაო. მაგრამ ადამიანი თუ სიჭაბუკეში რეგვენი იყო, სიბერით სიბრძნეს ხომ ვერ შეიმატებს? ხორავა ხანშიშესული არ არის, მაგრამ თავის წარსულით ისე იკვეხის, თითქოს სამოქალაქო ომის ფრონტებზე ერთ მხარეს თეთრები იბრძოდნენ, ხოლო მეორეს — პაჭუ ხორავა. ხორავა, ისევ ხორავა და სხვა არავინ.

ეს არ მოსწონს ტიტეს.

განა ტიტეა დამნაშავე, თუ სამოქალაქო ომის დროს ის ცხვირმოუხოცელი „ღლაპი" იყო და გაკვეთილებს იზეპირებდა? განა ტიტეა დამნაშავე, თუ ის გვიან გაჩნდა ქვეყანაზე და მამა-პაპათა ნამოღვაწარში წილი არ უდევს? სამაგიეროდ ვაშალომიძე შეგნებული, განვითარებული, რწმენით აღსავსე მებრძოლია. ის სისხლი სისხლთაგანია იმათი, ვინც თავისუფლების მოპოებისათვის ბრძოლაში დალია სული... და მოპოებული თავისუფლების შესანარჩუნებლად განა ისეთივე თავდადება არ არის საჭირო? ვინა სთქვა, ბრძოლები დამთავრდაო?!

ტიტეს ჩაეძინა.

ცოცხალი დილა გათენდა საღვამიჩაოში. ცისკიდური მოწმენდილი იყო. კაცი იფიქრებდა, გვალვა დადგა, თაკარა დასწვავს ყველაფერსო. საღვამიჩაოელები სხვანაირად მსჯელობდნენ: რა სანდოა აქაური დარი, შეიძლება საღამომდე თოვლი მოვიდესო. საბუთი: უხსოვარ დროიდან მოყოლებული გამოცდილება იყო. არსად ისე არ იცვლება ამინდი, როგორც კოლხეთში. საქართველოში მარტის თვეს ეძახიან შეხმუხსა და შეპრეკილს. კოლხეთში სხვა თვეებიც ვერ დაიკვეხნიან მარტის წინაშე. სოფლელებმა ეს კარგად იციან და ეზო-მიდამოდან უსაწვიმროდ ფეხს არ იცვლიან ხოლმე. ქალაქელები ქუჩიდან ქუჩაზე უქოლგოდ არ გადავლენ. თაკარა მზეში კალოშებიან მოსიარულეს წააწყდებით ქუჩაში. ეს ნიშნავს: რამდენიმე საათის წინ წვიმდა, მგზავრი საწვიმარ ტანსაც-

ბლით გამოვიდა შინიდან, მაგრამ უკან დაბრუნება ვეღარ მოასწრო, ამინდი შეიცვალა და გაგანია სიცხეში კალოშები ფეხებზე შერჩა.

მიხა კარსანიძის ოჯახში სტუმრებს ჯერ კიდევ ეძინათ. მზე მიადგა ფანჯრებს. ანარეკლი ტიტეს მოხვდა თვალებში. ბუზღუნით წამოდგა. ჩაიცვა თუ არა, პარმაღზე გავიდა. გაზეთებში ჩარგო თავი.

ხორავა უდარდელად ხვრინავდა. საბანში ისე გახვეულიყო, ნიკაპი აღარ უჩანდა.

მხოლოდ მასპინძელი ამდგარიყო გათენებამდე და ეზოში ფოთიალობდა. სანეხვედან ნაკელი მოჰქონდა მანდარინების სასუქად. თეთრი პეპლებით შეფრქვეულ ბუჩქებს გარშემო უბარავდა მიწას. ზოგან ნაცარს აყრიდა. ტიტე რომ დაინახა, სამუშაო მიატოვა და თვითონაც პარმაღზე გაჩნდა.

— პაჭუს სძინავს?

განგებ ჰკითხა კარსანიძემ. უნდოდა შეეტყო, გამოძინების შემდეგ გუნება თუ შეეცვალა ვაშალომიძესო.

— არ ვიცი, — უგულოდ უპასუხა ტიტემ. გაზეთისათვის თვალი არ მოუშორებია.

— საუზმის დროა... — წაილაპარაკა კარსანიძემ და ოთახში შევიდა.

თავი მესამე

უთენია ზარის რეკა ასტეხეს საღვამიჩაოში. სოფლელები დიდიხანია დაეჩვევნენ ზარის უთავბოლო ჟღარუნს და ყურს აღარ იბერტყავენ. კრება თორმეტ საათზე არის დანიშნული... და განა წუხანდელი გაფრთხილების შემდეგ კიდევ ზარის რეკა იყო საჭირო? ხელის მოწერა განა ასე ადვილად დაავიწყდება სოფლელ კაცს? თამასუქის გაცემამდე, კიდევ ჰო, ცხრა ხატზე დაიფიცებს სიცრუეს, რაგინდ მორწმუნე იყოს, მაგრამ თუ თამასუქი გასცა ან უბრალო ხელწერილზე მურში ამოსვრილი ცერი დააბეჭდა, სტამბოლში ჩაგყვება. თანაც ის რადა ღირს, ბრიგადელები რომ იმუქრებოდნენ: „ზომები იქნება მიღებულიო“... ეს სამი სიტყვა ყველას ლურსმანივით ჩაეჭედა მახსოვრობაში.

ამიტომ ჩვეულებრივზე ადრე ისადილეს დღეს საღვამიჩაოელებმა. ქალაქებში ამ დროს საუზმობენ ხოლმე.

ქალი და კაცი, ჭაბუკი და ხანშიშესული საკრებოდ ემზადება. ზარი ისევ გუგუნებს სოფლის საბჭოს ეზოში. უზარმაზარი ცაცხვის ძირში ბავშვებს ჯგროდ მოუყრიათ თავი, რიგში ჩამდგარან და მოუთმენლად ელოდებიან ზარის თოკის ხელში ჩაგდებას. ზარის რეკა თოფის გასროლასავით ახარებს ბავშვებს. დროც უცნაურად აქვთ განაწილებული: თითოს ოცი შემოკვრა ერგება. ერთი გამალებით ექაჩება თოკს, დანარჩენები ერიხმად სთვლიან. მოზრდილები განაწესს არღვევენ და ძალით ცდილობენ ანგარიშის აღრევას, რა არის, ორჯერ-სამჯერ გარდამეტი

მოასწრონ და ცოტა მოგვიანებით გადააბარონ ამხანაგს თოკის სანეტარო მარყუჟი.

— დაამტვრიეს ზარი ამ ჟამის გასაწყვეტლებმა, — ამბობენ საყვედურის კილოთი მორწმუნენი, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი ეკლესიის გახსნის და წირვა-ლოცვის აღდგენისა. უფლება-ლესაც აქვთ, წირვა კანონით არავის აუკრძალავს, მაგრამ რა ძალა აქვს ასეთ კანონს, როცა ამ „ჭირის გასაწყვეტმა“ „კომსოლიებმა“ ზარი საბჭოს ეზოში გადაიტანეს, ეკლესიას გუმბათის ჯვარი მოაცილეს, ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვრები, ხატები და მოძღვრის სამოსელი კომკავშირის უჯრედში გადაზიდეს. ერთ მოძველებულ ანაფორიდან არახჩინები შეიკერეს, დანარჩენი სოფლის დრამწრის ინვენტარში ჩარიცხეს...

და ანტიქრისტეები მთავრობამ არ დასაჯა, მაგრამ ვერც ყოვლის შემძლე უფალმა შესძლო მათთვის რაიმე ვნების მიყენება. უღმერთო კომკავშირელებს თავიც არ წამოსტკენიათ წმინდა ეკლესიის „შეურაცხყოფის“ გამო.

ზარის დარეკა და მორწმუნეთა შერისხვად დავარდნა ერთი იყო. ასავსავებდნენ დამჭკნარ ხელებს, გულზე მჯიღებს იბრაგუნებდნენ.

დღესაც ადრიანად იჯერეს გული წყევლა-კრულვით და სადილობისას კრებაზე გასწიეს.

ხალხი ნელნელა გროვდება საბჭოს ეზოში. ხანშიშესულები ცალკე შეყრილან, ჯეელები ცალკე. კომკავშირელები და პიონერები ხან სად მიიჭრებიან და ხან სად. მათ ერთ ადგილას ვინ გააჩერებს!

მორწმუნეები ჩუმ-ჩუმად იწყევლებიან ამათ დანახვაზე.

ქალიც ბევრი სჩანს ეზოში. ზოგი საბჭოს სახლის პარმაღზე გადმომდგარა და ჭორის ბუქი დაუყენებია.

— დავჯდეთ და ვკეროთ ასმეტრიანი საბნები, — წიწმატებს ძაძებიანი დედაკაცი და ყბას წისქვილის სარეკელასავით არაკრაკებს.

— უიმე, უიმე, ღმერთმა ნუ შეგვასწროს მაგ დღეს! — ჩუმ-ჩუმად იპოტნიან ლოყებს დანარჩენები.

— რას ჭორიკანაობთ, ქალებო? — ქაქანით შეუერთდა მოლაყბე დედაკაცებს იორდანე ღვამიჩავას ცოლი, მარიწე. რამდენი ხანია მარინეს მეზობლები არ უნახავს, არც ოჯახში, არც ჯარიანობაზე. დღეს ძალისძალად „გამობერტყა ნაცარი“, როგორც სოფლელები ამბობენ ხოლმე, და დაინახა თუ არა ნაცნობები, პირდაპირ იმათ მიაშურა.

სახე უღიმოდა მარინეს. ნაცნობების გადასაკოცნად ტუჩები თავსაფრის ყურით მოიწმინდა. მარჯვენა ხელი კაბის კალთაზე შეიმშრალა და... ძაძებიან დედაკაცს მიადგა ჯიქურ.

მარინე სახტად დარჩა.

მეზობლის დედაკაცებმა ეჭვის თვალის შეხედეს მეშეზე ღვამიჩავას ცოლს. ძაძებიანმა ტუჩი აიბზუა და ხელის ჩამორთმევის ნაცვლად გამომწვევი კილოთი მიახალა: ასე მაგრად ვინ დაგმოძღვრაო.

გაწვდილი ხელი ჰაერში გაუქვავდა მარინეს. ღიმილი უცებ შეაკვდა ციებცხელებით გაბიცებულ ტუჩებზე. ისე შეკრთა და შეჩქვიფდა მოულოდნელი თავდასხმისაგან, რომ ენის შებრუნება ვეღარ მოახერხა. ვერც უკან დახევა მოიფიქრა. დადგა ალაიაში განატარებულ ბედნიერ უსაზღვრო მღელვარების გამო კანკალი აუვარდა.

— ჭორიკანობთ... გამოჩნდა „ატუკატი"! — ზიზღით გამოაზოგა ძაძებიანმა და მარინეს ზურგი შეაქცია.

მეხი დაეცა მარინეს. მეტყველების უნარი დაეკარგა. გაყინულ თვალებს ხან ვის შეაფეთებს და ხან ვის, მაგრამ მოსარჩლეს ვერავის ჰხედავს უმიზეზოდ გაანჩხლებულ დედაკაცებს შორის.

მარინეს გული აუჩუყდა. შეატყო, ცრემლებს ვეღარ შევიმაგრებო და პარმაღის კუთხეს მიაშურა. განმარტოებით მოიფრთხნა იატაკზე და კურცხალი გადმოჰყარა.

— რამ გააცოფა აი ჭირის გასაწყვეტი? რავა გველივით ასისინებენ საშხამავ ენას! „დაგმოძღვრესო", ვითომ რაო მაგ ნამუსგარეცხილმა?

მარინეს გული ამოუჯდა. შერცხვა, თორემ ხმამაღლა ზლუქუნს აღარაფერი ერჩივნა.

ეს შენიშნა მიხა ღვამიჩავას ცოლმა, ვადასრმ. გული მოეთუთქა. აყბედებულ დედაკაცებს მიაწყევლა და მარინეს გვერდით გაჩნდა. დაჯდა და დაბალი ხმით შეუცაცხანა: რას აყოლიხარ მაგ შარახვეტია დედაკაცების ლაქლაქსო.

მარინემ თვალები ამოიწმინდა. მორცხვად შეხედა ვადასის.

— ქალო, ვის რა დავუშავე, რომ ცოფიან ძაღლებივით დამესიენ!.. მაგ ქვეყნის შარას მაინც რა ვაწყენიე? სამი წელიწადია თვალით არ მინახავს...

— დაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს!

— დაგმოძღვრესო... უხეირო „ატუკატიო"... ღმერთო, ნუ გადამრევ!

მარინემ პირჯვარი გამოისახა.

— კარგი, თუ ღმერთი გწამს! შენ გაასწორებ მთა და ბარს?

ზარის წკარუნმა დაარღვია მყუდროება.

თავმჯდომარე ხალხს მოუწოდებდა: აქეთ მოიწიეთო.

კრების პრეზიდიუმი პარმაღზე გადმოეტანათ. ორ სვეტს შუა შილაია გადაფარებული მაგიდა იდგა. ირგვლივ — სკამები. საბჭოს შენობის კედლები ლოზუნგებით იყო მოჩითული.

საბჭოს თავმჯდომარე, კარსანიძე, იდგა მაგიდის უკან და დაუსრულებლივ აწკარუნებდა ზარს.

ხალხი ჩოჩქოლით გროვდებოდა პარმაღის წინ გაშლილ მინდორზე. კრება ცის ქვეშ უნდა ჩატარებულიყო.

*
* *

ნაშუადღევს ტაროსი შეიცვალა. ყომრალი ღრუბლები [illegible] ცისკიდურზე. კრება გრძელდება. გარინდულნი უსმენენ მომხსენებელს. ტრიბუნაზე ხორავა დგას. მისი გაბზარული ხმა ხეირიანად ვერც კი აღწევს კრების უკანა რიგებამდე. იქ მყოფნი მაინც და მაინც არ იტკივებენ თავს მოხსენების მოსმენით. ისე სხედან, გეგონებათ, ჩასაფრებულნი არიანო.

წინა რიგებში სოფლის ახალგაზრდობა ჩამწკრივებულა. ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. ჩურჩული ელვის სისწრაფით გადადის კუთხიდან კუთხეში. ბონდო ოჩიგავა შუაში ჩაუსვამთ კომკავშირელებს. ბონდოს გვერდით იორდანე ზის. განაბული უსმენს მომხსენებელს. ახალგაზრდებს არც კი უყურებს. მისი ყურადღება ტრიბუნისკენ არის მიქცეული. ხანდახან შეიჭმუხნება, თვალებს მილულავს, თითქო შორეულს, უკვე მივიწყებულ ამბავს იგონებსო. წამიც და იორდანე მთელი არსებით უსმენს მომხსენებელს.

— სოფლის ღარიბი გლეხობა, — ამბობს მომხსენებელი, — საშვალო გლეხობასთან ერთად უნდა გაერთიანდეს ერთს მთლიან კოლმეურნეობაში. გაერთიანების საფუძველი ნებაყოფლობითია.

კრებამ ერთხმად ამოისუნთქა. გეგონებოდათ, აქამდე ეს ხალხი ერთ უზარმაზარ ქვევრში იჯდა და ქვევრს ერთბაშად ორგო ახადესო.

შვება იგრძნო იორდანემაც. ფიქრებში შესტოპა: „ნებაყოფლობას რა სჯობია... მინდა, შევალ... არ მინდა, არ შევალ... იქნება არ მწამს შენი კოლექტივი... ახალი საქმეა და ვინ იცის... რა ბედი ეწევა... ჯერ ის შევიდეს, ვისაც სჯერა და სწამს კოლექტივის გამარჯვება... თუ სახეირო იქნება, ჩვენც მივყვებით“...

— მე დარწმუნებული ვარ, — დაასრულა მომხსენებელმა: — საღვამიჩაოელები შეგნებულად შეხვდებიან პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებას და, როგორც ერთი კაცი, გაერთიანდებიან კოლმეურნეობათა რიგებში.

— ეს არის ნებაყოფლობითი? — ჩაილაპარაკა იორდანემ და უკან მიიხედა, სხვები როგორ ხვდებიან მომხსენებლის მოწოდებასო.

დიდხანს ათვალიერა ნაცნობები, ახლო მეზობლები, მაგრამ ვერაფერი ამოიკითხა მათ სახეზე. შეძლებულნი უცნაურად იღიმებოდნენ. იორდანემ ასე გაიფიქრა: ამ ღიმილის უკან უთუოდ რაღაც იმალებაო.

უტუ ბერულავას მოჰკრა თვალი, ისიც მხიარულ გუნებაზე იყო. გუშინ ცხვირპირი ჩამოსტიროდა. „ქვეყანა იქცევაო“, ამბობდა. ახლა კი... რა მოხდა?

იორდანემ თავი ჩაჰქინდრა. მოხეტიალე ფიქრებს თავი ვეღარ გაართვა.

ბონდო ოჩიგავამ აიღო სიტყვა.

უკანა რიგებში ხმაურობა ატყდა. თავმჯდომარე იძულებული შეიქნა გაფრთხილება მიეცა წესრიგის დამრღვევთათვის.

ბონდომ კაპოტივით გადახედა უკანა რიგებში ჩასაფრებულ ბობოლებს, წყალი მოსვა და სიტყვა განაგრძო.

კომკავშირის სახელით ლაპარაკობს ბონდო. მისი ხმა-გამფრთიანებელი კომკავშირული ხალისით და აღფრთოვანებით. მისი სიტყვები სხვებსაც უნერგავს ახალი საქმისადმი ნდობასა და სიყვარულს. მაგრამ სიტყვა ხომ სიტყვაა მაინც.

გლეხის გული რას დაგიდევს ლამაზი სიტყვებით დახატულ სამოთხეს, თუ ის საქმით არ არის დასაბუთებული. საბუთები ჯერ კიდევ არ გააჩნია ბონდოს. უფრო მეტი: ამ სამიოდე წლის წინათ საღვამიჩაოელმა კომკავშირელებმა კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს. ბონდო იყო მეთაური. თემსაბჭოს სახნავ-სათესი ფონდიდან თორმეტი ჰექტარი მიწა მიიზომეს. დატრიალდნენ ენტუზიასტები. მიწა ადრიანად დათესეს, ადრევე გამარგლეს და გათოხნეს. მაგრამ აგვისტოს შუა რიცხვებში მოიხსნა ცამ პირი, მოსკდა და წამოვიდა... თვენახევარს იწვიმა. თავნაყარი სიმიდის ყანა წელამდე წყალში შეცურდა. დაღრა და გაყვითლდა ზღვასავით დამდგარი ნათესი. გამოდარებისას ერთბაშად დაცხა. წყალი გათბა და ისედაც ჩაყვითლებული ყანა ყინვით დამზრალს დაემსგავსა.

დაიღუპა წლის მოსავალი. დაიღუპა წვითა და დაგვით მოპოებული ნდობა და იმედი. კოლმეურნეობა ვალებით დაიტვირთა. ვალები იოლად ჩამოსწერეს, მაგრამ გაბზარული ნდობის გამრთელებას აღარაფერი ეშველა.

ბონდო თავგამოდებით ამტკიცებდა: ტაროსმა დაგვღუპა, წყალდიდობამ და ჭაობმა დაგვაზარალაო, მაგრამ ცარიელზე დარჩენილ კოლმეურნეებს ახსნა-განმარტებამ არაფერი უშველა.

დაიშალა ბონდოს პირველი კოლექტივი.

ამიტომ დღეს თავის სიტყვაში გვერდი აუხვია ბონდომ პირველი კოლექტივის არსებობის გახსენებას. თუ სხვები შეახსენებენ — ბონდოს სათანადო პასუხი მზად აქვს: კოლხეთის ჭაობების ამოშრობის იდეა დღეს უკვე მომწიფებულია. აქა-იქ წვრილი სამუშაოები შესრულებულია და საბუთად ესეც კმარა. საცაა მთელი სიგრძე-სიგანით გაიშლება ამოსაშრობი მუშაობა. მთავრობას მილიონები აქვს გადადებული კოლხეთის ამოსაშრობად... ჰო-და, თუ ვინმე ჭაობებსა და წყალდიდობას მოიმიზეზებს, ბონდო ჭაობების ამოშრობაზე ჩამოაგდებს სიტყვას. აქ სიტყვა საქმეს შეერწყმება და უნდობლობის ჭიაც ჭაობთან ერთად გაცამტვერდება. ეს სჯერა ბონდოს. ის სხვებსაც დააჯერებს. ამიტომ ლაპარაკობს ასეთი რიხითა და გამბედაობით, ამიტომ მოუწოდებს სოფლელებს, ადრიანად გავერთიანდეთ კოლექტივშიო.

— ადრე თუ გვიან კოლმეურნეობა და კოლმეურნეები იდღესასწაულებენ თავიანთ ბრწყინვალე გამარჯვებას, — დაასკვნა ბონდომ. — ამიტომ ჩვენ, საღვამიჩაოს თემის კომკავშირელები, 17 ახალგაზრდა, ერთხმად ვუჭერთ მხარს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას და, როგორც ერთი კაცი, ვეწერებით კოლექტივში.

აქა-იქ ტაში გაისმა.

მარინემ თავი ველარ შეიკავა და თითონაც თავდავიწყებით შემოჰკრა დამჭკნარი ხელები.

ძაძებიანმა დედაკაცმა მგლის თვალი უჩვენა სახე-წამოფაკლულ მარინეს, პირი მიიბრუნა და მოლაყბე დედაკაცებს მოურიდებლად წასჩურჩულა: მე ხომ ვამბობდი, „დამოძღვრილი“ ჰყავთ-მეთქი.

მარინემ იაზრა: ჩემზე ჭორაობენო და კვლავ ასტეხა ტაშის ცემა. მას სხვებიც აჰყვნენ და უკანა რიგებში ჩასაფრებულები რომ არ გაქვავებულიყვნენ, ტაში ოვაციად გადაიქცეოდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სადღაც შორს ბაყაყები გლოვობდნენ ჭაობსა და ჭონჭყოში გატარებულ ცხოვრებას.

ცაცხვის კენწეროზე ვასაკამ დაიყიპყიპა.

გაწვიმდებაო, — იწინასწარმეტყველეს ხანშიშესულებმა.

ყომრალი ღრუბლები დევებივით მოიწევდნენ კოლხეთისკენ.

— მე შეკითხვა მაქ, ამხანაგო თავმჯდომარე! — დაარღვია სიჩუმე უტუ ბერულავამ.

— რაღა დროს შეკითხვაა, კამათი დავიწყეთ?

— მიეცით, — წასჩურჩულა კარსანიძეს ტიტე ვაშალომიძემ.

ტიტე გვერდით ეჯდა კარსანიძეს და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს კრების მსვლელობას. ბერულავა თავიდანვე ამოღებული ჰყავდა ტიტეს ნიშანში. წინასწარ გრძნობდა, თუ რა განწყობილებით იყო მოსული სოფლის კრებაზე, ამიტომ წასჩურჩულა კარსანიძეს, მიეცი სიტყვა, ვნახოთ, რას შეგვეკითხებაო.

— ამხანაგო ბერულავა!

— უკაცრავად, უკაცრავად! — აღარ დააცალა ბერულავამ. — თუ ლაპარაკის ნება არ გვქონდა, არ ვიცოდი. ბოდიში შეწუხებისათვის...

— სთქვი, მოქალაქე, რა გაქვთ შესაკითხავი! — აიმაღლა ხმა კარსანიძემ.

— თქვენ ახლა ბრძანეთ, არ შეიძლებაო... თუ არ შეიძლება, აღარ ვიტყვი.

ბერულავა დაჯდა. მან გვერდით მჯდომ კოკი ჩახაიას ბლიკვი წაჰკრა და ორივემ გესლიანად ჩაიქირქილეს.

კარსანიძემ ახლა იაზრა, აქ რაღაც ამბავიაო, და აღარ მოეშვა ბერულავას: გაგვაგებინე, რა გაქვს შესაკითხავიო.

— სიტყვას ავიღებ და მაშინ მოგახსენებთ, — უღიმღამოდ უპასუხა ბერულავამ, დაჯდა და ჩახაიას კვლავ წაჰკრა ბლიკვი, ხომ კარგად გამოვძვერიო.

სარდიონ გოგოლაძემ აიღო სიტყვა. საყვედურებით დაიწყო. მომხსენებელმა კულაკებსა და შეძლებულებზე არაფერი სთქვაო. პირველად ეს კითხვა უნდა გაგვეხილა, კოლექტივის ჩამოყალიბებას შემდგომ უნდა შევდგომოდითო.

ტიტემ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

კრების დაწყებამდე ტიტემ სწორედ ასეთი წინადადება შეიტანა პრეზიდიუმში, მაგრამ ვერც რაიაღმასკომის თავმჯდომარე და ვერც კარსანიძე ვერ დაითანხმა, აურზაურს გამოიწვევს და კრება ჩაგვეშლებაო, ასაბუთებდნენ ისინი თავიანთ მოსაზრებას.

გოგოლაძეს სხვებიც აჰყვნენ: ჯერ კულაკების საკითხი უნდა გადაგვეჭრაო. კარსანიძე იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა — ეს საკითხი მორიგ კითხვად გვიდგას დღის წესრიგშიო.

გოგოლაძე მაინც არა ცხრებოდა. შეცდომაა ამ კითხვის მეორე რიგში დაყენება. კულაკები აქაც სხედან კრებაზე და ხელს გვიშლიანო.

— მაგალითად?

— დაასახელეთ! — წამოიძახეს ხალხიდან.

— მაგალითად, უტუ ბერულავა. ამ ერთი კვირის განმავლობაში სამი სული მუშა საქონელი დაჰკლა, წვრილფეხი გაანადგურა. მოჯამაგირე მოისყიდა, ცხენზე შესვა და გურიაში აფრინა ვიღაც ნათესავთან... ცოტა ხანს უკან, ალბათ, თვითონ წაბრძანდება გურიაში, გადამალულ ცხენს გაჰყიდის და დაბრუნდება. ასე ანიავებს ეს წურბელა სახალხო ქონებას.

— რომელ „სახალხოზე“ ლაპარაკობ?.. როდის მეხმარებოდი საქონლის გაზრდაზე?—წამოიძახა ბერულავამ.

ჩახაიამ ჩოხის კალთა დააგლიჯა: დაჩუმდი, ნუ აჰყვებიო.

კრება შეჩოჩქოლდა. წინა რიგებიდან უკან მიიხედეს, ზოგმა ზიზღით, ზოგმაც თანაგრძნობით. თანამგრძნობთა რიცხვში იორდანეც აღმოჩნდა. მას მოაგონდა გუშინდელი სურათი, ფოთის „ახალ ბაზარზე“ ნახული, და ასე დაასკვნა: ჩამორთმევის რომ არ შეშინებოდა, უტუ გამოზამთრულ საქონელს სახორცედ არ გაიმეტებდაო.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაუბრუნდა ამ საჭოჭმანო საკითხს: „რატომ მე არ მყავს ამდენი საქონელი... შრომით ხომ მეც ვშრომობ? თერთმეტი წელიწადია ცხენის ფულს ვაგროვებ და ვერ შევაგროვე. ფაცხა თავზე დამალპა და სახურავი ვერ გამოვუცვალე. ბავშვები ურძეოდ დამიჭლექდენ“.

იორდანემ დაფრუშნულ ხელებზე დაიხედა. ხელის გულები რომ ერთმანეთს წაუსვა, ჭობოსანი მოაგონდა. გაეცინა. დაცინვას უფრო ჰგავდა ეს სიცილი. იორდანე თავის თავს დასცინოდა...

— ახია ჩემზე და ჩემისთანებზე!—წაიბუტბუტა და გარინდდა.

პაჭუ ხორავამ რაღაც წასჩურჩულა კრების თავმჯდომარეს. კარსანიძე გაშეშდა. ჩაიტეტკა, გაყვითლდა. მერე ერთბაშად წამოფაკლდა. ზარი აიღო და გოგოლაძეს შენიშვნა მისცა: საკითხს ნუ უხვევო.

გაცხარდა გოგოლაძე. გოგოლაძეს როსტომი გამოესარჩლა.

— ძალიან კარგად ლაპარაკობს! — წამოიძახა ძიკი გვახარიამაც.

ხორავამ ამრეზილად გადახედა გვახარიას. კარსანიძეს მოშორდა და თავისი ადგილი დაიკავა კრების პრეზიდიუმში.

ვაშალომიძე კრების თავმჯდომარეს მისჩერებოდა. მშვიდად იყო, გეგონებოდათ, კრების მსვლელობას თვალყურს არ ადევნებსო.

გოგოლაძემ რიხით დაასრულა. ხელის შემშლელი [illegible] ბა, მაგრამ ჩვენი თემის მოწინავე გლეხები დასძლევენ [illegible], კოლექტივი ჩვენშიაც იხეირებსო...

კანტი-კუნტად დაუკრეს ტაში გოგოლაძეს.

უკანა რიგებში ჩასაფრებულნი ისევ სდუმდნენ.

კრება გრძელდებოდა.

მოგვიანებით უტუ ბერულავამ აიღო სიტყვა.

ხალხი შეიშმუშნა.

თვალი გააყოლეს ტრიბუნისაკენ გაქანებულ ბერულავას.

უტუ შხამიანი ენის პატრონია. დაწყობილი ლაპარაკიც ეხერხება. უცნაურ რაღაცას მოელიან მისგან: რაკი სიტყვა მისცეს, უტუ უკან აღარ დაიხევსო, — ფიქრობენ ზოგიერთები.

უკანა რიგები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს უტუს გამოსვლას.

უტუმ ნელი ხმით დაიწყო. მოჰყვა თავის თავგადასავალს. მეფისა და მენშევიკური მთავრობების ლანძღვა-გინებას. ქათინაურებით შეამკო საბჭოთა ხელისუფლება, ბოლშევიკების კანონ-სამართალი. შრომასა და გამრჯელობას ახლა დაუდგა გაზაფხული, მშრომელ ხალხს ახლა გაუთენდაო. ზარმაცებსა და უქნარებსაც გადაჰკრა მათრახი: მუდამ წუწუნებენ, მთავრობის ხელის შემყურენი არიან, არც თვითონ შრომობენ და არც სხვებს ანებებენ პატიოსანი შრომით თავი ირჩინონო.

იორდანე პირდაღებული უსმენს ბერულავას. ხანდახან შეხმუხვივით შეხტება. თავი სიზმარში ჰგონია.

უტუ დინჯად განაგრძობს:

— ამხანაგებო! რატომღაც ყველას ასე ჰგონია, უტუ ბერულავა ქვეყნის დამაქცევარიაო. გოგოლაძეს და ძიკი გვახარიას რომ ჰკითხოთ, უტუს გაციმბირებაზე უყოყმანოდ მოაწერენ ხელს. ვითომ სწორია ეს ამბავი? ინებეთ და შეამოწმეთ. ჯერ გოგოლაძეს დახედეთ ხელის გულზე, მერე ჩემთან მობრძანდით და დარწმუნდებით, ვინ არის ჩვენს შორის ნამდვილი მშრომელი და ოფლის მღვრელი. უტუს ქონება აქვსო... ვეჟო! დღე და ღამე ვშრომობ, წელებზე ფეხს ვიდგამ და რა გასაკვირია, ქონება მქონდეს. გოგოლაძე სადილობისას გამოძვრება ლოგინიდან. მე და ჩემი ცოლშვილი ჩიტის დაძახებამდე სამუშაოზე ვართ. ბევრს ვშრომობთ, მაგრამ ღვთის მოცემული ქონებაც ქე გვაქვს. უტუ გადავასახლოთო, ბრძანა გოგოლაძემ. რატომ? განა იმისთვის, რომ სხვაზე მეტს ვშრომობ? აკი თვითონ სთქვა, უტუს ქონება სახალხოაო. თუ ამის შეგნება კი აქვს გოგოლაძეს, ციმბირს რაღას მემართლება. ხარი გაყიდაო, მართალია, გავყიდე ცალი ხარი.

— ცალი კი არა, სამი... სამი სული მუშა საქონელი გაანადგურე! — წამოიძახა გოგოლაძემ.

— კარგი. თუ შენ ხარ ჩემი ოჯახის კანტროლი, შენ დაგიჯერონ. მე თუ მკითხავენ, ერთი ფეხმოტეხილი ხარი დავკალი... ეს იყო და ეს.

— სტყუი, უტუ! — ვეღარ მოითმინა იორდანე ღვამიჩავამ და ფეხზე წამოიჭრა. ხელი თავმჯდომარისკენ გაიშვირა: ჩამწერეთ.

ხორავამ ბეჯითად ჩაათვალიერა იორდანე. თვალები მოლულავდა თითქო რაღაცას იგონებსო.

უტუმ ყური არ ათხოვა იორდანეს წამოძახილს. კილოც არ შეუცვლია, ისე დინჯად და აუღელვებლად განაგრძო სიტყვა.

— გაერთიანებაზე მიდგა საქმე? — განაგრძობს უტუ. — კეთილი და პატიოსანი! თქვენ ხომ იძახით, უტუ მესაკუთრეა, შეძლებულიაო. ხომ ვარ შეძლებული, ხალხო?

— ხარ! — დაემოწმნენ ზოგიერთები.

— კეთილი! თქვენ ხომ იმასაც ამბობთ, უტუ მიუკარებელია, ძუნწია, კერძო მესაკუთრეაო? ამბობთ. მოდი, ერთი ვქნათ, ამხანაგებო! პატივცემულმა მომხსენებელმა ბრძანა, მთავრობამ დაადგინა კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბებაო. სახნავ-სათესი ფართობების და მუშა-საქონლის გაერთიანებაო. ვინ წავა, თქვენის ფიქრით, მთავრობის წინააღმდეგ? თქვენ გგონიათ, უტუ ბერულავა? სცდებით, ამხანაგებო! მე მშრომელი კაცი ვარ. შრომით ყველგან კარგად ვიცხოვრებ. ტრაბახობად ნუ ჩამითვლით და ჩვენს თემში უტუ არავის არ ჩამოგრჩებათ, არც შრომაში და არც ამხანაგობაში. ჰო-და, იმას ვამბობდი, რაკი გაერთიანებაზე მიდგა საქმე, მოდით, კომუნა დავაარსოთ, ამხანაგებო, გავაერთიანოთ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, ავარჩიოთ კაი სამოსახლო, ჩავრაზმოთ კოხტა ოდები და ვიცხოვროთ ერთად. თუ ზარმაცები და უქნარები გამოგვერევა კომუნაში, ცოტა ხანს გაგვიჭირდება, მაგრამ ერთმანეთის მიბაძვით ისინიც გამოსწორდებიან და წინ წავა ჩვენი საქმე...

— ყოჩაღ, უტუ! — წამოიძახა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ და ტაში შემოჰკრა.

კრება ამოძრავდა. ჩურჩულიც გაისმა აქა-იქ, მაგრამ ხორავას არავინ გამოესარჩლა ტაშის დაკვრაში. ეს შენიშნეს უკანა რიგებში ჩასაფრებულებმა. ერთმანეთს გადახედეს და ხორავას ტაშისცემას თავიანთი შეუერთეს.

კრების უმრავლესობა დაიბნა. ხან უტუს შეჰყურებენ, ხან რაიაღმასკომის თავმჯდომარეს. ვერ გაუგიათ, რას ნიშნავს, უტუმ რომ კომუნის დაარსება მოითხოვა, ბევრი ასე ფიქრობს: უტუ კულაკია, სულერთია, ქონებას ჩამოართმევენ და რას კარგავს, თუ კომუნის დაარსებას მოითხოვს, კომუნაში თვითონაც დარჩება და ქონებასაც შეინარჩუნებსო.

ზოგს ასე მოეჩვენა, შეიძლება უტუს მთავრობის წარმომადგენლები წინასწარ მოურიგდნენ, შენ კომუნის დაარსება მოითხოვე და შენს ქონებას ხელს არ ვახლებთო.

რაიაღმასკომის თავმჯდომარის „ყოჩაღ, უტუ"-ს წამოძახილიც თითქო ამას ადასტურებს.

იორდანემ ასე დაასკვნა: ციც, გაქექილო ბობოლავ, თვალს გვიხვევ და თავის დაძვრენას ფიქრობ.

ვაშალომიძემაც ასე ახსნა უტუ ბერულავას მოწოდება: კულაკური ფანდია და სხვა არაფერიო, მაგრამ გაოცებული დარჩა ხორავას წამოძახილით. გადასწყვიტა, კრების დასრულებამდე მოლაპარაკებოდა ხორავას. გვერდით მიუჯდა და რაღაც წასჩურჩულა.

ხორავა შეიქმუხნა. აღარ დააცალა და მოკლედ მოუჭრა: შენ ვერ ხვდები საქმის ვითარებასო.

ბუნდოვანმა პასუხმა სულ დააბნია ვაშალომიძე. სიტყვა შეუბრუნა: ხედავთ თუ არა, ვინ ეთანხმება თქვენსა და უტუს მოწოდებას? კულაკების კომუნას აარსებთ?

— ?!

— რას იტყვით, ამხანაგო პაჭუ! — არ ეშვებოდა ტიტე.

ხორავამ მოკლედ მოუჭრა: საბოლოო სიტყვაში მოგახსენებთ ჩემს აზრსო.

„მოგახსენებთ“ ბევრის მეტყველი იყო ტიტესთვის, მაგრამ ტიტე კამათში გამოსვლას აპირებდა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კიდევ რაღაც წასჩურჩულა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს.

— სცდებით, ამხანაგო ტიტე! — მკვახედ უპასუხა ხორავამ,—პარტიის როდი კრძალავს კომუნის დაარსებას, თუ ნიადაგი მზად არის ამისათვის.

— თქვენ როგორ გგონიათ? ვითომ მზად არის? — ჩააცივდა ვაშალომიძე.

— მზად არის, — უყოყმანოდ განაცხადა ხორავამ და ვაშალომიძეს პირი მოარიდა.

— არ მესმის, გუშინ კულაკების დახვრეტას მოითხოვდით... დღეს კულაკების კომუნას აარსებთ!

ხორავას გასაგონად სთქვა ვაშალომიძემ და თვითონაც კრებისაკენ იბრუნა პირი.

ხორავამ უშენიშვნოდ ვერ დასტოვა ვაშალომიძის უკანასკნელი სიტყვები. კვლავ მიიბრუნა პირი მისკენ. მაგრამ ახლა ვაშალომიძე გაკერპდა და ყურადღება აღარ ათხოვა ხორავას ახსნა-განმარტებას.

ხორავამ დასთმო. ვაშალომიძეს ხელი გამოსდო და პარმაღიდან საბჭოს თავმჯდომარის ოთახში გაიყვანა.

კრება გრძელდებოდა.

მოგვიანებით იორდანე ღვამიჩავა ავიდა ტრიბუნაზე. ბინდდებოდა. თქორიც წამოვიდა. კრებას მაინც არავინ მოჰკლებია. გაქვავებულნი ისხდნენ თავიანთ ადგილას. ბევრი ფეხზე იდგა.

იორდანე ღვამიჩავას ტრიბუნაზე გამოჩენამ ბევრი გააკვირვა. რახანია, იორდანე კრებაზე არ უნახავთ, არც საზოგადო საქმეზე. არავინ იცის, რას იტყვის იორდანე. როგორ შეხვდება ის კოლექტივში გაერთიანების საკითხს. მეზობლებს იშვიათად ხვდება იორდანე. შეხვედრისას

ენაძვირობს. არ უყვარს თავის ჭირვარამზე ლაპარაკი. თითქო არც ქვეყნის ავკარგი აინტერესებს. მეზობლებიც გულგრილად ხვდებიან სალვამიჩაოდან ჭაობში გახიზნულ იორდანეს.

„ვნახოთ, რას იტყვის?“ — თითქმის ერთსადაიმავე დროს გაიფიქრეს იორდანეს მეზობლებმა. იორდანე ულარიბესი გლეხია. შეშისმჭრელი. წვრილი ცოლშვილის პატრონი.

ყველა მას მისჩერებია.

ხორავა და ვაშალომიძე გაჭარხლებული გამოვიდნენ საბჭოს ოთახიდან.

იორდანემ ყაბალახი მოიხადა, წვერ-ულვაში ჩამოისწორა. დამცინავი ღიმილით გადახედა კრებას, ჩაახველა და წყნარად დაიწყო.

— ტყვილა როდი უთქვამთ, ენას ძვალი არ აქვსო, — დაიწყო იორდანემ. — დადექი და იქაქანე. ბევრს იცრუებ, ტაშს დაგიკრავენ, მოხდენილად იცრუებ, მაღლა აგწევენ. გულში ვინ ჩაგხედავს?

ხორავამ წარბი შეიკრა. ნიდაყვს დაეყრდნო და გულმოდგინედ წაუყურა ღვამიჩავას ქარაგმებს.

ბონდოს ხმამაღალი სიცილი წასკდა. მას სხვებმაც მიბაძეს. კრება გამოცოცხლდა.

— მე ლაპარაკს არ ვაპირებდი, ამხანაგებო, არც კრებაზე მოსვლა მინდოდა... ეს ახალგაზრდა დამიმოწმებს, რომ საკრებოდ არ მეცალა.

იორდანემ როსტომისკენ გაიშვირა ხელი.

როსტომი გაწითლდა. თითქო ახლა შერცხვა წუხანდელი საქციელისო.

— ვერ დავაჯერე, რომ დრო არ მაქვს-მეთქი! — განაგრძო იორდანემ, — სია გამომიწოდა: ხელი მოაწერეო. ცოტა არ იყოს, დამემუქრა კიდეც: ზომებს მივიღებთო. „ზომებმა“ შემაფიქრიანა და მიტომ გეახელით. ეს ისე, სასაკათაშორისოდ. ჩივილი აზრად არ მაქვს, რადგან ეს პირტიტველა ახალგაზრდა არაფერ შუაშია. მან დავალება შეასრულა. თუ ცოტა გადააჭარბა, ალბათ, ახალგაზრდობით მოუვიდა. ახალგაზრდას რეგვენობა ეპატიება, თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ „თოფითა და ჯინჯილით“ კრების მოწვევა შეუფერებელი საქციელია საბჭოთა მთავრობისათვის. სროლის ატეხა და ეზოს ძაღლების დახოცვა კიდევ უფრო მიუღებელი.

— ვინ ისროლა თოფი? — ჰკითხა ვაშალომიძემ.

— ვინ იყო, არ ვიცი. შარას გადაღმა მოხდა ეს ამბავი. თოფი გავარდა და ფეხმოტეხილი ძაღლი წივილ-კივილით შემოვარდა ეზოში. ესეც ისე... სასხვათაშორისოდ. ახლა საქმეზე მინდა ორი ღერი სიტყვა ვთქვა. მომხსენებელმა ბრძანა: კოლექტივებში უნდა გავაერთიანოთ გლეხკაცობაო. უტუ ბერულავამ კომუნა მოითხოვა. მე აღარ მესმის, ვინ სტყუის და ვინ მართალს გვეუბნება. მთავრობა კოლექტივს მოითხოვს. ხალხის წარმომადგენელი (არ ვიცი, ვინ დაავალა!) დავბასეს ეუბნება მთავრობას: ბარემ კომუნა დაგვიარსეთო. ვითომ ნარდის თამაშია ეს

ცხოვრება? ახლა საკითხავია, როგორი გულით იძახის უტუ დავბასეს... ალალი, მართალი გულით თუ ისე... ფახისათვის. მე ვფიქრობ, თვალის ასახვევი ფახი-ფუხია თქვენი დავბასე, უტუ-პატენი!

— გამოჩნდა „ნარდოუნიკი"... მერე, მერე, იორდანე? — გამოსწვევი კილოთი წამოიძახეს უკანა რიგებიდან.

— მერე და, — ჩამოართვა სიტყვა იორდანემ: — მე რომ იორდანე ღვამიჩავა ვარ, არც უტუ ბერულავასი მჯერა და, სამწუხაროდ, პატივცემული მომხსენებლის სიტყვაშიც ეჭვი მეპარება. მე მგონია, ორივე ალაცას მიმალავს და ტყუილს ამბობს. ჩემი ხნის კაცის მოტყუება ძნელი საქმეა... ამხანაგებო!

ხალხი შეჩოჩქოლდა, ბევრს გაუკვირდა, რას ამბობს, როგორ ბედავსო.

ხორავამ თავი ასწია. ამრეზილად შეხედა ღვამიჩავას. კრების თავმჯდომარეს შენიშვნა მისცა: წესრიგისკენ რატომ არ მოუწოდებ ორატორსო.

— ბონდო ოჩიგავა დიდის რიხით ლაპარაკობდა კოლექტივზე. მას ტაში დაუკრეს. ჩემმა დედაკაცმაც კი დაუკრა ტაში. მე ეჭვი არ მეპარება ბონდოს გულწრფელობაში. ის ბროლივით სუფთა ადამიანია. ახალგაზრდაა... ახალი ცხოვრება იტაცებს... წარსულის სიბინძურე და ტალახი მას არ მოხვედრია. ვინ იცის, ახალგაზრდებმა იქნებ ქე მოახერხონ შეხმატკბილება და კოლექტივმაც გაიმარჯვოს და იხეიროს მაგათ ხელში... მაგრამ თუ მრუდი და მართალი კოლექტივში შეიყრის თავს ან უტუს კომუნაში...

— შენ უტუს თავი დაანებე! — გაცხარდა ბერულავა.

— უკეთესია, შენ თვითონ დაანებო თავი კომუნის დაარსებას... შენ კომუნის იმდენი გჯერა, რამდენიც მე რიონის უკან გაბრუნების... აქ ფანდები ვერ გიშველის, უტუ-პატენი! — დინჯად უპასუხა იორდანემ.

— რა ფანდები?

— მოგახსენებთ. მე, ამხანაგებო, თავიდანვე გითხარით, სიტყვის თქმას არ ვაპირებდი-მეთქი! ერთი ღარიბი კაცი ვარ. ქარვასლები მე არ მიდგას და ეზო-მამულის დარდი მე არ მაწუხებს. ერთი მეგრული ფაცხის და ჭირიანი თხის პატრონი კაცი ვარ. თუ ვინმე კოლექტივის მომხრე გამოჩნდება, პირველი მე უნდა ვიყო. ახლა მკითხეთ, მინდა ასეთ პირობებში კოლექტივში შესვლა? არ მინდა. რატომ?

— საინტერესოა, რატომ არ გინდა? — წამოიძახეს ხალხიდან.

— იმიტომ, ჩემო კეთილო, რომ ტყუილსა და თვალთმაქცობაზე აშენებული ბედნიერება მესკია ჩიტივით გაგიშპება ხელიდან. უტუ ბერულავა კომუნის მომხრეა: ჩავრაზმოთ კოხტა ოდები და ვიცხოვროთ ერთადო. გულწრფელად იძახის ამას? რა თქმა უნდა, არა. ხუთი ქცევა ეზო ეკლიანი ტრიფოლიატით აქვს ტყრუშულშემოვლებული. ეზოში ჩიტი ვერ ჩაუფრინდება და ეს კაცი კომუნაში აპირებს შესვლას? თქვენი რა მოგახსენოთ და მე თავს ვერ გავიაბდლებ ამ სიბერის დროს. თუ

კოლექტივში ან კომუნაში შესვლას ფიქრობდა, გუშინ გამოზამთრულ საქონელს რად ხოცავდა... გაზაფხულზე კაცის ხელი მოიმეტებს მუშა-საქონელს დასაკლავად? ფეხმოტეხილი ხარი დავკალით? კარგი, ერთი ფეხმოტეხილი იყო. მეორე? მესამე? უშობელი? გასახედნი მოხვერი? კვერცხებიდან წამოგდებული კრუხები? ყველა ფეხმოტეხილი იყო? აბა გაბედოს და დაფიცოს, არ გამიყიდიაო. გუშინ ამდროს მოხდა ეს ამბავი. წუხელ გამოეცვალა აზრი და კომუნის მომხრე გახდა? არა, ამხანაგებო! უტუსთანა სხვაც ბევრია. ამიტომ არ მჯერა კოლექტივის, ამიტომ არ მაქვს მისი იმედი. მომხსენებელს ეს მთავარი საკითხი გამორჩა. რომ მაერთიანებ, ვისთან მაერთიანებ? ჯერ ეს გადავწყვიტოთ და მერე იმაზე ვიმსჯელოთ, ვის სურს და ვის არა გაერთიანება. აქ კი, გამოდის უტუ ბერულავა, მოითხოვს, კომუნა დავაარსოთო, და მთავრობის წარმომადგენელი ტაშს უკრავს...

— შეაჩერეთ... შავრაზმელი!.. — იფეთქა ხორავამ და ფეხზე წამოიჭრა. — დააპატიმრეთ! — უმისამართოდ გასცა ბრძანება.

იორდანემ დამცინავი ღიმილით გადახედა რაიალმასკომის თავმჯდომარეს. ხალხს ზურგი შეაქცია და რიხით განაცხადა: უკეთესია, ნამდვილი შავრაზმელები დააპატიმროთ, კოჭლი იორდანე სულერთია არსად გაიქცევაო.

შეიქნა ჩოჩქოლი. არევ-დარევა. სანამ თავმჯდომარე კრებას დააწყნარებდა, წვიმაც წამოვიდა. ცისქვეშ კრების გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, პრეზიდიუმმა საჩქაროდ მოითათბირა და კრებას აცნობა, სხდომის გაგრძელება ნავახშმევისათვის არის დანიშნულიო.

საბჭოს ეზო დაელვებაში დაცარიელდა. ზოგმა ოჯახს მიაშურა. ზოგი პარმაღზე ავიდა.

იორდანე ტუსაღივით იდგა პარმაღის გვერდით და ფეხს არ იცვლიდა. ვაშალომიძემ ჰკითხა, თქვენ რაღას უცდითო.

იორდანემ თავი ასწია და მგლოვიარედ უპასუხა:

— დაპატიმრება მიბრძანეს და მეც ველოდები.

— წადით! — უთხრა ვაშალომიძემ და საბჭოს ოთახში შევიდა.

იორდანე წელათრეული დაიძრა ადგილიდან. გარეთ წვიმდა.

*

* *

ნავახშმევს ტაროსი გაუარესდა. იორდანემ რამდენჯერმე გადასწყვიტა კრებაზე წასვლა. მუშამბა ჩაიცვა. მუშამბისავე ქუდი დაიხურა. მაგრამ ლაფარეს ვერ გაშორდა. კოკისპირულად ასხამდა. ტბა იდგა ეზოში. მოგვიანებით ქარიც ამოვარდა.

იორდანე დაბორკილი ცხენივით ტრიალებდა ფაცხაში. ხან პარმაღში გავიდოდა. დაღვრემილი უცქეროდა შეუნელებელ თქეშს და უკან ბრუნდებოდა.

— ცა ფეხად ჩამოდის... რაღა გეკრებება, — წყრომით მიმართა მარინემ აწრიალებულ ქმარს.

იორდანე ფიქრებში იყო გართული. მარინეს ბუზღუნი არც კი გაუგონია. ერთხელ კიდევ გავიდა პარმაღში. თავი გარეთ გაჰყო, მაგრამ თითქო სავსე კოკა დაასხესო, ამოწუწული უკან შებრუნდა. გოროხი წვეთები ფითრის მარცვლებივით მოგორავდნენ საქოჩრედან. წვერ-ულვაში დაპკურებული ჰქონდა, თითქოს ეს არის აიაზმა ასხურესო.

მუშამბა გაიხადა და ცეცხლს მიუჯდა.

— ჯანდაბას მაგათი კრება და...

აღარ დაასრულა. ჩიბუხი ღადარში ამოუსვა და მყრალი წრეხა თუთუნი მაგრა მოქაჩა. თუთუნის წევა დარდს უქარვებდა და ბრაზსაც უნელებდა იორდანეს.

ეზოში ათაიამ დაიყეფა. ქარის შხუილში ისე შორს მოისმა ნაგაზის ხმა, გეგონებოდათ, მახლობელი მეზობლის ეზოში ჰყეფსო. მაგრამ იორდანე ორიოდ კილომეტრით მაინც იყო მოშორებული მახლობელი მეზობლის ეზო-მიდამოს.

იორდანემ წაუყურადა.

ძაღლი არა ცხრებოდა. ხანდახან წკმუტუნიც ისმოდა (მოტეხილი ფეხი თუ აწუხებდა).

— რაღაც ელანდება საცოდავს... ათაია!

— იქნება სახლში უნდა შემოსვლა! — გამოსარჩლების კილოთი სთქვა მარინემ და ფაცხის კარს მიადგა.

ბნელოდა.

ისლის ღერებზე თქრიალით ჩამოდიოდა სახურავის ნაწრეტი. ქარიშხალი პურის ყანასებრ არხევდა გამართულ კამარას. ლაფარეს იქით ველარაფერს ხედავდა.

— დაიქცევა ქვეყანა! — ყვედრებით ამოიოხრა და ბუჯერს დაუბრუნდა.

კიდეჩამოტეხილ გობზე ცომი შეარგვალა. ცალი ხელით ღადარი გაჩხრიკა და კვერი დააკრა.

იორდანეს ნარჩენი ბეჭი მოაგონდა კვერის დანახვაზე.

უტუ ბერულავაც თვალწინ დაუდგა.

იორდანემ თავი გააქნია. „უტიფარი ყაძახი! როგორ წააგრძელა ენაკომუნა დავაარსოთო. როგორც ცოლშვილს არ გევიმეტებ, ისე გუშინდელ ამბის გამჟღავნებას არ ვიფიქრებდი, მაგრამ“...

ჩაფიქრდა. მუგუზალი აათვალთვალა და გველივით მიაშტერდა. თაკარა ენთო იორდანეს გულშიც. თვალებს აღარ ახამხამებდა.

ქარშეთმა ფაცხის კარი სარაზავს მოჰგლიჯა და ჭრაქი ჩააქრო. აფორიაქდა ფაცხის მყუდროება. შხეფები შუაცეცხლს მისწვდა და მუგუზლები აშუშხუნდა.

იორდანემ ბურტყუნით მიხურა ფაცხის კარი. ურდული გაუყარა და ცეცხლის პირს დაუბრუნდა. ათვალთვალებული მუგუზალი ნაკვერცხლებად დაიფშვნა და ლურჯი ენები აიმართა ნამსხვრევ ხვეულებში.

იორდანე ახლა ელვარე ნაკვერცხლებს არ აშორებდა, გამტერებულ თვალებს. უტუ ბერულავაც არ ასვენებდა.

„ვინ გეკითხებოდა?“ — ჩასძახის ყურში ბერულავას ბოხი ხმა და იორდანე აზრზე მოდის.

— მარინე!

— რა გინდა?

— დღეს ძაან დავაშავე, ხომ?

— რაი, ყაძახო?

იორდანემ აღარ უპასუხა. შეშის ნაჭერი აიღო და ლურჯ ენებად მოლაპლაპე დანაკვერცხლებულ მუგუზალს ჩაახალა.

— რაი დააშავე, ბეჩა? — ვეღარ მოისვენა მარინემ, — ბერულავას რომ წაუდექი პირში?

— ?!

— ცუდი რა სთქვი იმისთანა? ხომ სიმართლეს ლაპარაკობდი?

— გადავამეტე... და გადავიმტერე სამუდამოდ ამხელა ოჯახი. თუმცა... — კვლავ ჩაფიქრდა.

— სიმართლის გამხელა ცოდვად არ წერია.

ათაია ყეფით და წკმუტუნით მოაწყდა ფაცხის კარს.

— გაუღე, ბეჩა, კარი... ცოდვაა პირუტყვი...

იორდანე ზანტად წამოდგა. ფაცხის კარი გააღო და ის იყო ათაიასთვის უნდა დაეძახა: შემოდიო, ვიღაცამ ჩაახველა პარმაღის კუთხეში.

— იორდანე!

— რა კაცი ხარ? ამ წარღვნაში...

— მე ვარ, არ შეგეშინოს... — დაასწრო სტუმრად მოსულმა და იორდანეს მიეგება.

— მიხა ხარ? შემოდი...

მიხა ღვამიჩავა ფაცხაში შევიდა. სიმშრალე არსად გააჩნდა. წყალი ნაკადულებივით ჩამოსდიოდა ტანსაცმელის კიდურებიდან. სიცივისაგან გალურჯებულიყო. ცეცხლი რომ დაინახა, გასაჭირი გადაავიწყდა.

— ხომ შვიდობაა? — ჰკითხა იორდანემ და თვალებში შეატყდა.

მარინე კრიჭაშეკრული უყურებდა მებადურივით გაწუწულსა და გათოშილს მიხა ღვამიჩავას.

— იქცევა ჩემი ოჯახი... მასახლებენ... — ძლივს მოიბრუნა სული მიხამ.

ყველანი გაქვავდნენ.

ათაიამ თანაგრძნობის თვალით შეხედა მიხას, დაყნოსა, ტუჩები მოილოკა და კერასთან მოიკეცა.

ლოგინიდან მძინარე გოჩამ წამოჰყო თავი და გაწუწულ სტუმარს მიაჩერდა. იცნო სტუმარი.

— ბიძია მიხა, რვეულს ხომ მაჩუქებ?

მიხა გამოერკვა. გოჩას მიუახლოვდა. სველი ხელი თავზე მოუსვა და ღიმილით უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, გაჩუქებ, ბიძიკო!

იორდანე და მარინე გაოცებული შეჰყურებდნენ ნამძინარევ ბავშვს. ფიქრობდნენ: ძილში თუ რამე ესიზმრა და გონს ვერ მოსულაო.

— იცანი, ბიძია მიხა, შვილო? — ჰკითხა მარინემ, შეშინებულმა, სიცხე არა ჰქონდეს ბავშვს და არ ბოდავდესო.

— ვიცანი. ბიძიამ ჩემი წერითი შრომა ნახა გუშინწინ და რვეულს შემპირდა საჩუქრად.

ცრემლები მოადგა მიხას.

— გიყიდი, ბიძიკო, ხვალვე გიყიდი... არა, მოიცა.

ჯიბე მოიფათურა. ორი ათშაურიანი ამოიღო და გოჩას ჩაუდო ხელში.

— შენ თვითონ იყიდე, ბიძიკო!

გოჩამ მადლობა გადაუხადა ბიძია მიხას, გადაბრუნდა და ჩაეძინა.

შეწუხებული სტუმარ-მასპინძელი საუბრის განახლებას ველარ ახერხებდნენ.

— რას გემართლებიან? — მოგვიანებით ჰკითხა მარინემ და ცეცხლს შეშა შეუმატა.

— რა ვიცი... ნამუსად მითხრეს: ხუთ ოჯახს ასახლებენ და შენც ურევიხარო. კარსანიძემ თუ გამწირა.

— ხუთ ოჯახს? — გამოაზოგა იორდანემ: — სხვები არ იცი?

— არ მითხრა. მეც აღარ ჩავაცივდი. ისე, უტუ ბერულავა რომ გადაურჩენია ვილაცას, ეს სინამდვილეა. ცხენის ქურდიც არხეინადაა.

— ასე რომ შენ ხარ კულაკი და ქვეყნის დამაქცევარი... არ გამოუვათ. დიდი მთავრობა ბრმა კი არ არის... არ გაუვათ, არა!

დაბეჯითებით სთქვა იორდანემ და ღადარი მოსინჯა: კვერი არ დამწვარიყოსო.

— გამომცხვარია, დედაკაცო!

მუგუზლით მიაწვა და კვერი წამოღადრა.

— ფიცხლად გარეცხე, თუ ქალი ხარ, მიხაც მშიერი იქნება.

— მე არ მოვკვდე... არაფერი არ მინდა. შეკრული მაქვს ყრონტი. ნერწყვს ველარ ვყლაპავ.

— ორი ლუკმა, შე კაცო, სირცხვილია! — შეეხვეწა იორდანე და მარინეს კვლავ შეუცაცხანა: უჩქარეო.

მიხამ შეატყო, დავყოვნდებიო, და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— რაღა დაგიმალო, ჩემო იორდანე, ქალაქს ვაპირებ... მთავრობა მინდა ვნახო... სადგურში გასვლა მეშინია და... თუ არ გაგიძნელდება, რიონს გაღმა გამიყვანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორდანემ თანაგრძნობით ახედ-დახედა გაწუწულ მოგვარეს, ამოიოხრა და მუშამბას მიაშურა. ხმაამოუღებლივ ჩაიცვა საწვიმარი, სანადირო ჩექმებიც.

— წავიდეთ! — მიმართა მიხას იორდანემ.

გარეთ ისევ კოკისპირულად ასხამდა.

*

* *

მზის ჭიატი განატრდა კოლხეთში. სამი დღეა განუწყვეტლივ წვიმს. იორდანეს ეზო წყალმა დაფარა. რიონის გრუხუნი ფაცხას აზანზარებს. ზოგჯერ ისე მოახლოვდება გრგვინვა და ათამაშებული ტალღების შხუილი, გეგონებათ, რიონი კალაპოტს გადასცდაო. იორდანე თვალს ველარ ხუჭავს უბედურების მოლოდინში. დარაჯად დგას: მართლა ღმერთი არ გაუწყრეს, რიონი ნაპირს არ გადმოსცდესო. ჯერ კიდევ ძველთაგან გაუგონია იორდანეს: რიონის კალაპოტის დონე ორი ალაბით მაღალია მიდამოების დონეზეო. რომ ადიდდეს და კალაპოტი გადმოლახოს, იორდანეს ფაცხას ჩაპალიასტომება არ ასცდება. ირგვლივ ჭაობი სალტავს იორდანეს სამოსახლოს. გაქცევასაც ველარ მოასწრებს, თავის გადარჩენაზე რომ მიდგეს საქმე.

წვიმა არ ნელდება.

მეოთხე საღამოს მთვარე შეიცვალა, მაგრამ ტაროსი უფრო გაუარესდა. ობი მოეკიდა ყველაფერს. ბუჯერს ქვეშ სოკოები გაჩნდა. ლოკოკინები უტიფრად დაცოცავენ ფაცხის კედლებზე. ხეებს შავი ლოშქრი მოეკიდა. ქლიავსა და ტყემალს წებოწყალა გაუჩნდა. დაგლეჯილ მედუზას მოგაგონებთ ნაწვიმარი ხეების წებოწყალა.

იორდანე შიშმა შეიპყრო. მას რახანია გადაავიწყდა სოფლის კრება... მიხა ღვამიჩავას გაპარვაც. არც ის იცის, რა მოხდა კრების შემდეგ. ოჯახის მეთვალყურეობაში აღამებს იორდანე უფერულსა და წარღვნის მომასწავებელ დღეებს. საწვიმარი ზურგზე დაალპა: ბალჩას საწრეტი არხები გაუკეთა. ფაცხიდან ჭიშკრამდეც არხი გასჭრა და ეზოში დამდგარ გუბეებს გზა გაუკვალა. მაგრამ ზღვას რა დააშრობს?

მეოთხე ღამეს ქარი ამოიჭრა.

იორდანემ გრძელი ლანდურებით დაჯორგა ფაცხის სახურავი. შიშობდა, ქარმა ისლის ბულული არ გაიტაცოსო.

სასოებამიხდილი შევიდა ფაცხაში. ცეცხლს მიეფიცხა.

ტალახშემოცლილ ჭუჭრუტანებში თავისუფლად დათარეშობს ღამის ჭალიკონი. სხვენიდან ჭვარტლი მოცვივა.

იორდანე ჭერს შეყურებს — სახურავი არ გადამძვრესო.

მთელი ღამე ცეცხლისპირად გაათენა იორდანემ. მარინე გაუხდელი მიწვა, მაგრამ ისიც ფხიზლად იყო. მხოლოდ ბავშვებს ეძინათ ღრმა ბავშვური ძილით.

რიონის გრუხუნი ძლიერდებოდა. ახლოვდებოდა კიდეც. ზოგჯერ ქარიშხლისა და ისხარი წვიმის შხუილი ფარავდა რიონის ტალღების გრგვინვასა და ღმუილს.

იჭიატა თუ არა, იორდანემ საწვიმარი ჩაიცვა და ფაცხის კარი გააღო. მარინე ღადარს ჩხრეკდა ცეცხლის გასაჩაღებლად. ცეცხლგამტანი ჯირკი ჩამქრალიყო. მარინეს ცუდად ენიშნა კერის გაცივება. ჯირკსა და მუგუზლებს თავი გაანება, ნაცარი გადაფოფრა გულმოდგინედ. მუხუდოს მარცვლის ოდენა ნაკვერცხალი იპოვა. ნახშირებს შუა ჩასდო და ბერვა დაუწყო.

ცეცხლი რომ გააჩალა, კარისკენ მიიხედა.

იორდანე კარის ასაკიდ ბოძს მიყრდნობოდა და გულხელდაკრეფილი გაჰყურებდა სივრცეს. არა წვიმდა, არც მზე ანათებდა.

— გადმოსულა? — ჰკითხა მარინემ.

იორდანე ხმას არ იღებდა, თითქო ცოლის შეკითხვა არ გაუგონიაო.

— რა ამბავია, ყაძახო, რამ ჩაგიგდო ენა?

მარინე წამოდგა. თვითონაც კარს მიაშურა.

იორდანე გამოერკვა. მარინეს გაყინული თვალებით შეხედა და გველნაკბენივით ილრიალა:

— დედაკაცო, რა იქნა ჩვენი ჭიშკარი?

მარინე პარმაღში გავიდა. შუბლი მოიჩრდილა, თითქო მზეს ერიდებაო. ჭიშკარი არსად სჩანდა.

ჭიშკრის ადგილას აგოლგოთებული რიონი მიგრიგალებდა.

— ვაი, ჩემო ნაკვდავო ოჯახო! — მოიპოტნა ლოყები მარინემ და გული შეუღონდა.

იორდანემ რიონის ნაპირს მიაშურა.

რიონი მკერდით აწვებოდა მარჯვენა კედარს. ძირს უთხრიდა იორდანეს ეზოს. შერყეული ნიადაგი ირღვეოდა და დგაფუნით ვარდებოდა წყალში.

იორდანე ხელებს ასავსავებდა. ხან ერთ კუთხეში მიირბენდა, ხან მეორე მხარეს მიაწყდებოდა, მაგრამ მარტოხელა კაცი რას გახდება გამძვინვარებული რიონის წინააღმდეგ. აგერ, მის თვალწინ მოთხარა ონავარმა რიონმა იორდანეს ხელით ნამყნობი ვაშლი, შეათამაშა, გაისროლა და ზვირთებს გაატანა. ერთი საათის განმავლობაში ნახევარი ბაღჩაც მოთხლიშა და წაიღო.

უკანასკნელად ვაზიანი ბჟოლა შეარხია, მოსწია, მაგრამ ვაზმა აღარ დაანება. ბჟოლა ყირამალა გადაეკიდა ნაშვავებზე. ყვითელი ფესვები უცნაურად აბრჭყვიალდნენ ფერმკრთალი მზის სხივებზე.

იორდანე ბჟოლას წაეპოტინა. გადავარჩენო — გაიფიქრა.

— ცოდვა გაგვიდიდდა, ცოდვა! — მოესმა იორდანეს მარინეს ციცხმა. — არ ჩავარდე, არ ჩავარდე, ყაძახო!

იორდანემ მოიხედა. ბექობი, რომელზედაც თვითონ იდგა, შეირყა, გაირღვა და... გრუხუნით დაეშვა დაბლა.

იორდანე ვაზს დაეკოფსიალა.

მარინე წივილ-კივილით მიაწყდა ნაპირს, თვითონაც ვაზს ჩაებღაუჭა და ფერწასულ იორდანეს ხელი გაუწოდა მისაშველებლად. სამშვიდობოს გამოსული იორდანე ძაღლივით კანკალებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თფუჰ! — მიაფურთხა გაქსუებულ ონავარს.

ათაია ნაჭიშკრალის მახლობლად დამჯდარიყო და მძვინვარე ტალღებს უყეფდა.

იორდანეს აფრაკივით გაეცინა. ჩქარა ისევ შეიჭმუხნა შუბლი და ნაგაზს გაუწყრა.

ათაიამ ყეფას თავი გაანება და ღმუილს მოჰყვა.

— ჩემო, სასოებით შემონახულო კეჟერა მხალო! — ამოიგმინა მარინემ და ერთადერთ ძირს კეჟერას მოუალერსა: — რაღა მივიფარო აწი შუბლზე?

ათაიაც თითქო მარინეს თანაუგრძნობდა.

*

* *

როგორც იყო, გამოიდარა. მზიან დარს მშრალი ქარი მოჰყვა და წყლით დაუფარავი ადგილები გააშრო.

სკოლებში მეცადინეობა განახლდა. იორდანეს ბავშვებიც გაეშურნენ სასწავლებელში. ოჯახში სიწყნარე ჩამოვარდა.

ზის იორდანე ღვამიჩავა ფაცხის წინ და გამდნარ შოკოლადისფრად აფუშფუშებულ რიონის ტალღებს გაჰყურებს. აღარსად არ მიეჩქარება. გადაავიწყდა ჭალადიდის ტყეში ღვთისანაბარად მიტოვებული შეშაც, ფოთში გამგზავრებაც და, რაც მთავარია, სოფლის კრებაზე წამოჭრილი საკითხებიც.

იორდანემ გაშენებული მიწა დაჰკარგა. დაჰკარგა ბალჩა, ხეხილნარი, წვითა და დაგვით შეძენილი აკაციის მესერი.

იორდანე რიონის ნაპირს უტრიალებს. დგას გულხელდაკრეფილი და რისხვით დაჰყურებს გარღვეულ ნიადაგს, ჩაშავებულსა და ჩაპალიასტომებულ ბახჩას. ოხვრით იგონებს მესერშემოვლებულ ეზოს, შარისპირად გამოჭიმულ კოხტა ჭიშკარს.

„სად გადმოყელა ამ ონავარმა? — ფიქრობს იორდანე. — ჯერ შარას იქით რამდენი მიწა ჩაყლაპა. სასოფლო შარა... ჩემი ბალჩა და ხეხილი... ეგ არაფერი. ვთქვათ, ერთხელ კიდევ შემოუტია ამ გასაოხრებელმა, ფაცხის ლაფარემდე მოაღწევს“.

იორდანე ეზოს უვლის გარშემო. ფაცხის უკან ათიოდ ნაბიჯზე ჭაობი იწყება. ჭაობს პარაზიტი ღელე სჭრის. ამ წყალდიდობისას პარაზიტიც დაიძრა კალაპოტიდან, სადღაც გასავალი იპოვნა და ნოყოდ დამდგარი წყალი მდინარედ იქცა, მაგრამ რა ბედენაა ჭაობში ჩაწოლილი მდინარე? იორდანე მიწას დაეძებს, მიწას... რიონმა დამუშავებული მიწა მოსტა-

ცა იორდანეს... იორდანემ ვისღა მოსტაცოს სამაგიეროდ? მის სამოსახლოს ირგვლივ ჭაობი აკრავს, ტყე და შამბნარი. ჭაობს რა დააშრობს?

იორდანე მუშტრის თვალით უვლის გარშემო მწვანე, ნოყიერებულ ჭაობს. იხვები მედიდურად ჭყუმპალაობენ ჭაობში. ბუჭან ჭიანლუებს იჭერენ და დაბინდებამდე გაბმული ხმით დადღანებენ, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

— ოქში, შე სატურე! — გამოუდგა იორდანე განებივრებულ იხვებს.

იორდანემ რამდენჯერმე შემოუარა ჭაობს. პარაზიტ ღელემდე საცალფეხო ბილიკი გაწალდა. გადაღუნულ თხემლაზე შედგა და მაღლიდან გადახედა ფაცხის უკან დაცემულ ჭაობს.

„დანაკარგს კი აინაზღაურებდა კაცი“! — ერთგვარი კმაყოფილებით წაიბურტყუნა და ფაცხისკენ წავიდა.

„ჭყინტი სიმინდი მაინც ექნება ბავშვებს“.

ფაცხაში შევიდა და ბარი გამოიტანა.

არხების გაჭრას შეუდგა იორდანე. ჭაობის ამოშრობა გადასწყვიტა. ჩიტი ბდღვნად არა ღირსო, — ამბობენ, მაგრამ რა ჰქნას უმიწაწყლო კაცმა. კოლექტივში შესვლა აზრად არ მოსდის, სხვაგან გადასახლებას შეძლება უნდა... იორდანე მეურნეობას არ მისდევს, სარჩო-საბადებელი საკუთარ მიწაზე არასოდეს არ მოუწევია, მაგრამ ბალჩა-ბოსტანზე ხელი როგორ აიღოს?

ამიტომ მიატოვა გახურებული სამუშაო ტყეში. მიაფურთხა ეშმაკს და ჭაობში ჩადგა. ერთხანს გაუძნელდა ტლაპოში მუშაობა. მანკიანი ფეხი ბარზე ვერ დააკარა, მაგრამ მკლავის ღონემ გასჭრა და საქმე წინ წავიდა. იორდანეს, როგორც ყოველ მენავეს, ფეხები მესერივით წვრილი აქვს, სამაგიეროდ ნიჩბებზე ნამუშევარს გულმკერდსა და ბეჭებს აღლი არ გადასწვდება. მკლავის კუნთები მოჭიდავესავით აქვს განვითარებული. ბარს რომ დააწვება, ტარამდე ჩაჰყავს მიწაში.

ზარმლობამდე ხუთიოდე მეტრი არხი გასჭრა. იორდანე კმაყოფილია ნამუშევარით.

ეზოში ბავშვები შემოვიდნენ.

გოჩამ გზა გადაუელა და მამისკენ გაეშურა.

— ბაბაია, მიხა ბიძიამ მოკითხვა დამაბარა, — ახარა გოჩამ.

— ვინ მიხამ, ბაბაია? — ასწია თავი იორდანემ.

— მე რომ ფული მაჩუქა ამას წინათ.

იორდანემ ბარი ჩაფლა და ჭაობიდან ამოვიდა.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა კმაყოფილებით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

თოვლი

მთიდან მოფრინავს თოვლის ბეწვი და
გარედ ფრიალებს, თეთრდება ბარი.
მეგობარივით ქარი მეწვია
და სათოვლაოდ მეძახის ჩქარი.
თოვლია, თოვლი, მსუბუქი ისე
და სასიამო, როგორც ხავერდი.
დაღლილი კვამლი მიილტვის ცისკენ
და მეც კვამლივით ველად გავედი.
ვარსკვლავთა მსგავსი თოვლის ფიფქები
მე მეცემოდნენ დათოვლილ გზაზე.
ფიფქებად ხტოდნენ ზამთრის ფიქრები,
ბუნების სიტყვა და სილამაზე.
და მე ვიჭერდი ფრიალა ფანტელს,
თოვლში უქუდოდ მივქროდი ჩქარა.
ნაძვის ხე ჰგავდა ჩაქრობილ სანთელს,
მოხატულს ჰგავდა ჩვენი ფანჯარა.
მინდოდა ფიფქი რომ შემენახა,
ან ხელის გულზე დამესვა კარგი.
შენთვის მომეძღვნა და შენ გენახა,
როგორ კანკალებს ვარსკვლავის თარგი.
გენახა თოვლის მსუბუქი ფიფქი,
როგორც ჩემს თმაში მშვიდი ჭაღარა.
ზამთრის შეთხზული ბუნების ფიქრი,
მოკანკალე და ძლიერ პატარა.
მინდოდა მეთქვა: დახედე ვარსკვლავს,
რა კარგი არის და რა კრიალა!
ჩემს თმას ამგვარი ჭაღარა ახლავს
და გულს ამგვარი ტრფობის იარა.
მაგრამ როს ფიფქებს ვიღებდი პეშვით, —
თბილ ხელის გულზე დნებოდნენ წამსვე;
ვერ მოგიძღვენი ბუნების ეშხი
და გულნაკლული დავბრუნდი ასე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავბრუნდი შინ და მართლაც ვინანე,
რომ არ გამომყვა თოვლის ფანტელი.
შენს სულში ჩაწვა მწუხრის სინაზე,
ჩემს სულში — თოვლის კორიანტელი.

მოლოდინი

ამაღამ თოვლი სპეტაკ ბეწვებად
ან ვარსკვლავებად გადმოთოვს გარედ.
მოქარგავს სარკმელს, მოხატავს კარებს
და სტუმარივით ნაძვი გვეწვევა.
შორს მარხილები დარეკენ ზარებს,
მოიხმობს თოვლი სუსხიან ქარებს,
ტყეში შტოებიც დაილეწება.

ამიტომ ნაძვი, ტანდახუნძლული,
უცხო მგზავრივით ჩვენთან ჩამოვა,
თითქო იპოვა თბილი კუნძული,
ამოუდგება გვერდში სამოვარს.
თოვლის ხავერდი დარჩება გარედ,
ნაძვი შეამკობს მოხატულ კარებს
და გაუმართავს ბავშვებს საუბარს.

ტანშებუდნული, ნაძვის ტოტებთან
მოვლენ მხედრები თეთრი რაშებით.
ჩიტებს ზაფხული მოაგონდებათ
და იცინებენ ჩვენი ბავშვები.
შემდეგ სიწყნარე შეიპყრობს მხარეს,
გამოაღვიძებს მარხილი შარებს,
აფრინდებიან ცაში შაშვები.

ოთახში მშვიდად კატა ფხიზელი,
ხატაველი და სხივის მხმობელი,
ჩაივლის ნაძვთან დარბაისელი,
რთული ფიქრების უარმყოფელი, —
მე კი გავაღებ ოთახის კარებს
და როს დავხედავ თოვლიან მხარეს,
მომაგონდება ჩემი სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბუა

ნაძვის ხეზეა თოვლის ბაბუა,
ჭრელი ჩიტი და შავი შაშვები.
ყინვამ ბაბუა ხომ გააბრუა
და იცინიან ჩვენი ბავშვები.
შემოხვევიან შვიარს წიწვიანს,
ბაბუასავით თეთრდება ბარი.
მეც მოგონება თითქო მეწვია
და ბუხრის ახლოს ჩამოჯდა წყნარი.
მე მოგონებამ მითხრა ზღაპარი:
ბაბუა შენი ნაცნობი არი.
თეთრი წვერების თეთრი ლამპარი
არ გაგონდება მიუსაფარი?

ჩემი ბავშვობის ოცნება მაშინ
ნაკადულივით დახტოდა ბარში.

და მაგონდება ბაბუა მართლაც —
თოვლში ჭიშკრისკენ ტკეპნიდა ბილიკს.
აღიმართება მოხუცი ნათლად
და სანთელივით წინ გადამივლის.
უყვარდა გზაზე ცხენით რონინი,
ღამით ლოგინში თბილი ბალიში,
და შეწუხებულს კუბოს ლოდინით
წასვლა უნდოდა იერუსალიმში.
მაინც დარბოდა შაშვებზე თოფით,
ახსოვდა საბას ბევრი არაკი,
იყო მინდია თოვლიან სოფლის
და არ ენახა დიდი ქალაქი.
დიდ თოვლობისას თხელ თხილამურით
ის ოსტატურად ბარდებს სტკეპნიდა
და საღამური ხმა სალამურის
აბრეშუმივით სხვენზე ეკიდა.

ჩემი ბავშვობის ოცნება მაშინ
ნაკადულივით დაქროდა ბარში.

ბაბუა ჩემიც მოხუცებული,
ტბის თვალებივით გაოცებული,
ნე მიყვებოდა საოცარ ზღაპარს:
ჭინკები ღამით წნავენო ფაფარს
და ცხენებია გაცოფებული.

ხეზე ასულა ბაბუა ახლაც,
ქვლავ გაოცებით შესცქერის ლამპებს,
და უყვებიან ბავშვები ლაღად
პაპანინის და ჩკალოვის ამბებს.
ან იგონებენ გახა წიკლაურს;
მყინვარის წვერზე ფოსფორი იწვის.
და წიკლაურიც ბაბუა არის
ბავშვებისა და მშობლიურ მიწის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა

რაინდული რომანი[1]

XXIII

„ეამი რაი წულილთა ამოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შენობანი უქმ იქმნენ, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო“.

დავით ალმაშენებლის
„გალობანი სინანულისანი“

მოწეულიყო არე გაზაფხულისა. ლაინისფერ მთებზე ალაგ-ალაგ ელავდა ხასხასა სითეთრე. მწვანე შემოსდგომოდა არაგვის ხეობას.

ჰყვაოდა ნუში.

ქედანისფერი, მგლისფერი და ზღვისფერი ებრძოდნენ ურთიერთს კორდებზე...

მზე ეთხოვებოდა მცხეთის ტაძრების მოოქროვილ გუმბათებს.

კონსტანტინე არსაკიძე ნელის ნაბიჯით ჩამოდიოდა ერთსართულიან ქვითკირის სახლიდან, რომელსაც ჩარდახმორღვეული კოშკი ჰქონდა უკან მოდგმული. ხურსი აბულელის სახლთუხუცესს რატის ეკუთვნოდა ეს პატარა სასახლე ოდესღაც.

როცა ხურსი სარკინოზებთან გაიქცა, სახლეული და სახლთუხუცესი თან წარეტანა, მხევალი ნონაი დასტოვა შინ.

მერმე ის იყო ხუროთმოძღვარის ხარისხი მიუბოძა გიორგი მეფემ არსაკიძეს და ეს სასახლეც მას გადასცეს.

ხილნარი ერტყა სასახლეს გარშემო, ირანულ გემოზე მოწყობილი ბაღჩა, ათიოდე საფუთკრეც შიგ.

მოხუცებული ნონაი მრავალ წელს მარტოკა ცხოვრობდა ამ უკაცრიელ სახლში.

ყველაზე ადრე მწერი და ქვეწარმავალი შეიცნობს ხოლმე კაცთა ოჯახის იავარყოფას.

---

[1] იხ. „მნათობი“, № 12, 1938 წ.

ობობები შეესია კუთხეებს, ხოჭოებით გაივსო კარადები და განჯინები, მორიელებმა გამოსტეხეს ქვითკირი, ცეცხლისფერი მორიელები ზიმზიმებდნენ თაროებსა და ფანჯრის რაფებზე.

ნონაი თავგამოდებით ებრძოდა მათ, ბოლოს გაქცევა გადაწყვიტა, დედათა მონასტერში მონაზნად აღკვეცას აპირებდა, რადგან ამბავი მოუვიდა — რომელიღაც ომში მოჰკლესო რატი.

სწორედ ამ დროს დააბინავეს ტყვე ყოფილი ლაზი მუნ. სიხარულისაგან ცას ეწია ნონაი.

მამისეულ ოჯახში ნებიერად გაზრდილს მეურნის ნიჭი არ მოსდგამდა არსაკიძეს. განადგურების კიდეზე იყო მიმდგარი რატისეული სასახლე.

შერყეულიყვნენ თავკიდურები, ბალავარი მიწისძვრას დაეხეთქა, სახურავის ფიქალი ალაგალაგ ქარს გადაეძრო. ხეხილი დაეზრა ყინვასა და ბუქს.

მიმხედავი არავინ სჩანდა.

არსაკიძე დღენიადაგ ხარაჩოებზე დაბობღავდა. მთელს საქართველოში დაეხეტებოდა, ციხეთა და ეკლესიათა მშენებლობას თვალს ადევნებდა. დაქანცული, კირში ამოთხვრილი ბრუნდებოდა ნასამხრალზე შინ, ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა.

თავათ ხაზავდა გეგმებს, ასწორებდა სხვის მიერ დახატულ დეტალებს, არ ენდობოდა ხელოსნებს ხანაც, სტეკას წაავლებდა ხელს, აქანდაკებდა ბარელიეფებს, ჩუქურთმებსა სჭრიდა უდრეკ ლოდებზე, საფრესკე ნახაზებს ამზადებდა თავათ.

საკუთარ შვილსავით უვლიდა ნონაი ჭაბუკს. იტანჯებოდა მოხუცი დიაცი არსაკიძის უმწეობისა და სიბედშავის შემყურე. დღენიადაგ შრომაში გართულს ჭამაც ავიწყდებოდა. ჯამიანად უკან დასდევდა ნონაი.

შესჭამეო რამე, ეევედრებოდა თავის ახალ ბატონს, რომელსაც ბატონობის უნარიც არ ალმოაჩნდა.

იმ საღამოსაც ჩრდილივით მიიპარებოდა არსაკიძე ბინიდან. ბაღჩაში კაჭაჭსა სთხრიდა ნონაი.

გამოუდგა.

დღეს უმადოდ ისადილე, ბატონო, მცირეოდენი კორკოტი მაინც ინებეო, ეევედრებოდა. არსაკიძეს ეჩქარებოდა, მაგრამ ხათრი დასდო მოხუცებულს. დედას აგონებდა იგი უცნაურის მზრუნველობითა. კორკოტიც არა ჰქონდა მოთავებული, კეცზე შემწვარი ორაგულები მოურბენინა ნონაიმ.

მაგვიანდებაო, მოიმიზეზა არსაკიძემ, ხელიდან დაუძვრა მხევალს.

ბაღჩა გადიარა თუ არა, ფარსმანის სახლს მოჰკრა თვალი.

შევალ და ვინახულებ ავადმყოფ ოსტატს, ეს გაიფიქრა და სწორედ ამ დროს ძელსა ჰკრეს მთავართა სანათლოის ეკლესიაში. ეზოს-

მოძღვარის გუშინდელი საყვედური გააცხენდა ანაზდად: წირვასა და მწუხრზე ვერ გხედავენო, ლაზო.

შემდგომ ამისა, ძველთუძველესი ისტორიები წამოიწყო ხუცესმა: ლაზები იყვნენო პირველქრისტეანნი საქართველოში, მათ ... ეყო ძელი პატიოსანი პირველად. თუ წარმართმა ფხოველებმა არ გადაგარჯულეს, შენ უნდა იყვეო სანაქებო შჯულისმოყვარე.

ამ თავაზიან შეგონებაში უცილოდ ერია იდუმალი ქირდვა. კარგად იცოდა არსაკიძემაც, გულბოროტი რომ იყო ეზოსმოძღვარი ამ-ბროსი, ენაჭარტალა და მთესავი ღვარძლისა.

ახლა, როცა დიდი ხნის წამების შემდეგ, ბედმა გაუღიმა, რალად სჭიროდა მიუსაფარ ტყვე ლაზს, ამ ქვეყნის ძლიერთა გულისწყრომის დამსახურება.

დაქანცული იყო მთელი დღე ხარაჩოებზე თრიალისაგან, შინგაბრუ-ნება ყველაფერს ერჩია, მაინც არ მიეძალა გზას.

მარტის მზეს სიმხურვალე დარჩენოდა მთების უბეებში. ხვადაბუნე-ბის პაწია ვენახებს სხლავდნენ. ალაგ-ალაგ კოცონები ენთო ბაღის კუთ-ხეებში, ლიწინლიწინი გაჰქონდა წალამს.

რქა აეყარა ვაზს, აყვავებულიყო ფშატისა და ატმის ხეები. ლერწე-ბი დასწითლებოდა ნერგებს, მანეულის ბუჩქები ყვითლად ღვივოდნენ, ცეცხლმოდებულ ჯაგებს წააგავდნენ ისინი.

მწუხრი მშვიდობისას უსურვებდა არსაკიძე ვენახებში მომუშაკეთა.

ბავშვებს სიმღერით შემოჰყავდათ მთავართა სანათლოის გარეუბანში ლორ-ხბო. მათ უკან კამეჩის ჯოგები მოიზლაზნებოდნენ თემშარაზე, ნახირები მოსდებოდნენ გზებსა და შუკებს, ყროყინებდნენ თავაწეული კამეჩები, ჭიხვინებდნენ უბელო ჭაკები, ფანლიანი აქლემები მოაკანტუ-რებდნენ თავს, ქერა კვიცები მოკუნტრუშობდნენ ტალახიან გზებზე.

კორდი აიარა თუ არა, სვეტიცხოველი გამოჩნდა შორიდან. თავის საყვარელ ქმნილებისკენ გაექცა თვალი.

გაიხარა ოსტატის გულმა. ორი წლის წინად მიწას არ აჩნდა ბალა-ვარი ამ ადგილიდან. ახალა ხარაჩოების მთელი ტყე იდგა ოთხივე კი-დეს. სვეტები, კოჭები, კაკუტები, ლატნები, ხარიხები და ძელები. . .

სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ჯვარედინი, წრიული და მანდიკური ხა-ზები, ეს ყოველივე ისეთ შთაბეჭდილებას ჰბადებდა შორიდან, გოლია-თური ქარის წისქვილები აუგიათო, ქორტ-ქორედი ხუხულები, დევის ყმაწვილების საოამაშოდ გაკეთებული.

ამ უწესრიგო, უსწორო ხაზების ქაოტიურ ზესწრაფვაში მხოლოდ ოსტატის თვალი თუ ამოიკითხავდა მომავალი ნაგებობის ანაგობას დი-დებულს.

არავინ ისე არ იტანჯება მატერიის ქაოსის შემყურე, როგორც ხელოვანი ამ ქვეყნად.

არსაკიძე გრძნობდა, მეფემ და კათალიკოსმა უდიდეს ოსტატს რომ შეარკინეს იგი. მოხუცებულ ბრძენკაცს უნდა შებმოდა მოკრძალებუ-

ლი, თავმდაბალი ჭაბუკი, მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში.

ღმერთია მოწამე, მას არ მოუწადინებია ეს, არსაკიძეს სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი მწიფე ნაყოფს.

ხალხს გულამაყი ეგონა არსაკიძე უთვინიერესი ბუნებით. ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნებული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოვო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ამ ქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს.

არც თუ ოდესმე გაბედავდა არსაკიძე არაგვისა და მტკვრის შესართავთან ტაძრის აგებას უკვარცხლბეკო ვაკეზე.

აღმოსავლეთიდან ჯვარის ტაძარი გადმოსცქერის მას, სარკინეთისა და ზედაზენის მთების გვირგვინი, ჩრდილოეთიდან, ყაზბეგის მწვერვალიდან ყინვის ბექთარებში ჩაჭედილი მარადჟამობა.

ეს ყოველივე კარგად ესმოდა არსაკიძეს, ამიტომაც ებრძოდა იგი ამ უხეში ლოდების ქაოსს, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს.

ორი წლის წინად, ეს ლოდები, ეს ძელები, ეს აგურები უწესრიგოდ ეყარნენ მიწაზე, დაჰხედა ოსტატის თვალმა, შეეხო ოსტატის ხელი, ქვა ქვაზე შესდგა, აგური აგურს წაეპოტინა, კედლებმა მხარი მისცეს ურთიერთს, თაღებმა კამარა შეჰკრეს, გუმბათმა ნაგებობა დააგვირგვინა. მალე მიეახლება ნაოსტატარს ოსტატი, ქაოსს შემოაცლის სრულყოფილს, ბედნიერი შემომქმედი შესძახებს ქმნილებას: იქმენინ ნათელი!

და ცას მისწვდება ლოდების უცნაური ჰარმონია ცადატყორცნილი და ცაშივე გაყინული სამარადჟამოდ.

„კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე.

უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება“.

უბანი გაიარა ამ ფიქრით მოცულმა ჭაბუკმა, ველი დაიწყო უკაცრიელი. გუგულის ხმა მოისმოდა შორიდან. გაზაფხული გაუბედავად მოსდგომოდა არაგვის ხეობას, გუგული უხმობდა თითქოს, მთების უბეებში დაყოვნებულს.

ბეხრეკა მუხა გაეჭაბუკებინა გაზაფხულის სუნთქვას ძალოვანს. გალურჯებულიყვნენ შტოებზე ლერწმები, ია გამოსულიყო აქაიქ კორდებზე, ავშანის მხმარ ბუჩქებში განაბული. ფაჩუნებდა ღობემძვრალა ნაზამთრალ ფოთლებში, მწითური ჯინჭველების ქარავანი აღმა აჰყოლოდა დაკორძებულ მუხის ტანს. ხოლო ქვევით, დაღვარჭნილ ფესვებთან, შავი ჯინჭველები მისეოდნენ გვამგამოფატრულ, ყვითელ მუხლუხას, ფუსფუსებდნენ გრძელულვაშიანი მეკობრენი, სიცოცხლე ზეიმობდა სიკვდილის კარზე.

კორდზე წამომჯდარი მწყემსი სალამურს უკრავდა. თხები დაგუნტრუშებდნენ ქარაფების ფერხთით. ციკნები კიკინებდნენ მაყვლოვანში მონავარდენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელსა ჰკრეს სამთავროს ეკლესიაში.

მწუხრზე ეჩქარებოდა არსაკიძეს, გადასწყვიტა მოკლეებით მოეჭრა სასაფლაოზე გზა.

საწყალობელი იყო ძველთაძველი საგოდებელი.

ქართული, ბერძნული, არაბული წარწერანი მოსჩანდნენ ლოდებზე, ფრინველთა სკორეს წაებილწათ უპატრონო სამარხები.

ყორნები წამოიშალნენ ქვის ჯვრებიდან, უკმაყოფილო ყრანტალით მიაშურეს მუხოვანს.

მიდიოდა არსაკიძე, შრიალებდნენ ანწლისა და ავშანის მხმარი კლერტოები. თვალს გადაჰკრავდა გზადაგზა წარწერებს, ხანაც სამარხებზე დაყურცულ ქვის ვერძებს გადაჰხედავდა. ზოგ წარწერას კიდევ გაარჩევდა თვალი, ხავსს წარეხოცა ზოგიც.

ქართველი, ბერძენი, სარკინოზი, ყველა წამხდარიყო სიკვდილის წინაშე. ამსოფლიურ ამაოებას მისტიროდნენ, შენდობასა და მოხსენებას ითხოვდნენ ყველანი.

„ნუთუ ცოცხალთა ღმერთი უნდა იყოს იგი, ვისაც ეს მზეგადასული თაობანი შეჰლაღადებენ? თუ სიკვდილის უფალია, ჩრდილების ქვეყნისა და შავეთის თავადი“?

საგოდებელი გადაიარა არსაკიძემ და შელმართი მოათავა. ანწლისა და ავშნის კლერტოები წელამდის წვდებოდა, უსიცოცხლო შარიშური გაჰქონდა ნაზამთრალ ღეროებს.

იძალა სალამურის ხმამ, ძახილს მოუხშირა გუგულმა.

ასე გამოდიოდა: პანის სალამური და გუგულის ხმა უხმობდნენ გაზაფხულს: ამ გავერანებულ საგოდებელშიაც გადმოსულიყო. რადგან ავშანისა და ანწლის ნაფესვარებიდან თავი წამოეყო მორჩს, ყურდაცქვეტილი ყლორტები უღიმოდნენ ცას. აზმორებდა მიწას სიმხურვალე გაზაფხულისა. სადაცაა ყვერს უნდა ამოეხეთქა და ამ ველურ ვეგეტაციას წარეხოცა ეს ხავსიანი ლოდები და ქვის ჯვრები, ეს წარწერანი, ამაოებისა და სიკვდილის მაუწყებელი.

გუნება შეეცვალა არსაკიძეს, კიდევ ერთხელ გადაჰხედა სვეტიცხოველს. კორდი აირბინა ისე მსუბუქად, თითქოს ხელმეორედ შობილიყო ამ ქვეყანაზედ.

მიდიოდა მტკიცე ნაბიჯით და ფიქრობდა თავისთვის:

„ხელოვანებაა თავათ უკვდავება.

მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილი. . . . . .

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“.

შედრკა საკუთარი ფიქრის წინაშე და ეკლესიისაკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვა აჩქარებული ნაბიჯით.

ძელსა ჰკრეს სამთავროში ხელახლა.

ზღვა ხალხი ვერ ეტეოდა ეზოში, გალავნის გარშემო-ზოჯარულიყო ბრბო. ბალღებიანი დიაცები კარიბჭეში ისრისებოდნენ. ჭიხვინებდნენ ქვის ყორეებთან დაბმული ულაყები, დიდკაცების თოროსან ცხენებს დაასეირნებდნენ მეჯინიბენი.

მათხოვრები, ჯამბაზები და მუცლით მეზღაპრენი ქოთქოთებდნენ კარიბჭეებთან. ისმოდა ურთიერთში აღრეული გალობა, ტირილი, ბავშვების ღნავილი და ცხენების ჭიხვინი.

შესავალთან ვიღაც მოხუცი შეაყენა არსაკიძემ.

ჰკითხავდა:

ხატობაზე ხომ არ მოსულაო ეს ამოდენა ხალხი?

არა, ხატობა როდიაო, მელქისედეკ კათალიკოსი იქადაგებს მწუხრის შემდეგ, ამადაც მოაწყდაო ხალხი.

არსაკიძეს არ უყვარდა ის უცნაური სუნი, ადამიანებით გაჭედილ ეკლესიებში რომ ხდება საცნაურ, მხოლოდ ეს უნდოდა ლაზს, ეზოსმოძღვარი დაელანდა როგორმე, ამის შემდეგ მოხდენილად ჩამოსთვლიდა მოვალეობას ამჯერად.

ხალხით გაჭედილიყო ტაძარიც, მაინც ყველა შიგ შესვლას მიესწრაფოდა. ორ-ორ კაცს გამოჰყავდათ გულშემოყრილი ქალები, ერთ მანდილოსანს, გოლიათურ ანაგობისას, ოთხი ვაჟკაცი შემოსდგომოდა, სავსებით ფერმიხდილს ძლივს მიათრევდნენ ბრბოში.

კლიროსიდან მოისმოდა სულზე უტკბესი გალობა. ეს გალობა უყვარდა არსაკიძეს. მხოლოდ ამისთვის დადიოდა წირვაზე, მაგრამ ტაძარში ისეთი ზუნი იდგა, მხოლოდ კანტი-კუნტად მოესმოდა მგალობელთა ხმა.

მწუხრი მოთავებული იყო, როცა არსაკიძემ ტაძრის შუაგულამდის მიაღწია ძლივს.

კათალიკოსს ქადაგება უკვე დაეწყო.

რა უცნაურია შემთხვევის ძალა! სწორედ იაკობის მიერ ღმერთთან ზებრძოლებას ეხებოდა მელქისედეკი.

...„და წიაღ მოიკრიბა იაკობ ყოველივე, რაჲცა იყო მისი და დადგა იგი მარტოჲ მუნ და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადამდე.

და ვითარ იხილა რამეთუ ვერ უძლავს მისსა მიმართ, შეეხო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბოშა ვრცელი ბარკლისაჲ იაკობისი, ბრძოლასა მას მისსა მისთანა და ჰრქვა: განმიტევე მე, რაჲმეთუ აღმოხდა ცისკარი.

და მან ჰრქვა: რაჲ არს სახელი შენი?

ხოლო მან ჰრქვა: იაკობ“.

ეს ადგილი ზეპირად წარმოსთქვა მელქისედეკმა.

შემდგომ ამისა, მტკიცე და შეუდრეკელი ხმით განაცხადა:

მოწესეებსა და მღვდლებს მართებთო კარგად განმარტება ამ ადგილისა, რადგან მწვალებელნი და მკრეხელნი აუგად იყენებენო იაკობის მიერ ღმერთთან ბრძოლის ამბავს.

ამქვეყნიური სახელითა და პატივით გულმოცემულნი შემოქმედს უტოლებენ თავს, ღმერთთან თანაბრძოლობას მიელტვიანო.

აქ ხმა აუმაღლა კათალიკოსმა და იქედნური ღიმილით დასძინა: ამ საცოდავებს ის ავიწყდებათ, ბარკალი რომ მოსტეხაო ღმერთმა თავის უფალთან მორკინე იაკობს.

ბიბინებდნენ კანკელის წინ სანთლები, ელავდა ოქრომკედი კათალიკოსის ომფორზე, ციმციმებდნენ ვარშამანგის ალმასები.

ღაწვისთავები შესწითლებოდა მელქისედეკს, მომნუსხველი მზერით შესცქეროდა იგი გარსმოჯარულ ბრბოს.

ამ წუთში ასე ეგონა არსაკიძეს: მას ერთს შესცქეროდა კათალიკოსი, ეჭვი აღეძრა მცირეოდენი. წეღანდელი ფიქრი ხომ არ შეიცნოვო ამ მოხუცმა გრძნეულების ძალით?

ჯიქურ შეხედა კათალიკოსს, მაგრამ მალე თავი დაჰხარა, ვერ აიტანა მელქისედეკის დაძაბული მზერის სიმძაფრე.

გული უწუხდა კონსტანტინეს, ბრბოში გაჭექილს. ოფლის სუნი მისწვდა მის სათუთ ყნოსვას, ოფლისა, საკმევლისა და მირონის სუნი ურთიერთში აღრეული.

კარებისაკენ უკუიქცა.

მიდიოდა. კი არ მიდიოდა, მხარულით მისცურავდა თითქოს. არსაკიძე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ტაძრიდან, როცა მელქისედეკმა ქადაგება მოათავა.

ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ყოველ კუთხეში.

აბობოქრდა ხალხი, დიდი და მცირე საკურთხევლისაკენ გაეშურა კათალიკოსის დამჭკნარი ხელის ამბორსაყოფად, მაგრამ რადგანაც ბრბოს მრავალი ათასი პირი ჰქონდა, ხოლო მელქისედეკს ერთადერთი მარჯვენა, საშინელი სრესა გაიმართა.

ოთხივე კარიდან შემოაწვა გაჭექილ ტაძარს ხალხი.

მთავარ დიაკვნის კათედრა წააქციეს.

ერთბაშად იკივლა ვიღაც დედაკაცმა, მცირე ხანს ზუზუნებდა შეტბორებული ბრბო, თოთო ბავშვის ცხედარი ამოტივტივდა ორი ვაჟკაცის ხელებზე.

არსაკიძე შეჰზარა თავგადასრესილ ბალღის შეხედვამ, თვალი აარიდა და მთელის ძალღონით დაიძრა გასავლისაკენ, დაქანცულობა გადაავიწყდა გაგულისებულს. ბოლოს ძლივს გავიდა ეზოში საკინძეშემოხეული.

იმ ხანად ასეთი ჩვეულება დასჩემდა არსაკიძეს.

ყოველ ეკლესიას საგანგებოდ ატოლებდა სვეტიცხოველის მომავალ შენობას. ამიტომაც ორჯერ შემოუარა სამთავროს ეკლესიას ბნელში, ნაბიჯით გაზომა სიგრძე და სიგანე. ათიოდე უტევანით უფრო დიდი აღმოჩნდა ახალი სვეტიცხოველი. იამა ეს ამბავი ოსტატს.

მუდამ ასეთი ყოფილა ხელოვანის ბედი.

როგორც ტოილოთი დაბმული ცხენი გარს უვლის ხოლმე დეღეალამ პალოს, აქ მოსძოვს მცირეს, იქ მოიბალახებს, დაიჭერს წვრილ ბალახს, შემო გაჩხიბულივით, ასევე ოსტატს მუდამ თვალწინ უდგა. [illegible] ბის თვისის საგანი, სულ ერთია, სეირნობს იგი, ლხინს ეძლევა, ან და მაშინაც, როცა ბრბოში უსაქმურად დაეხეტება, მარადჟამს თავის პირმშოს დატრიალებს გონების თვალით.

მთვარე ამოსულიყო უკვე.

ცაცხვის ჩრდილში იდგა არსაკიძე, მძინარე ქალაქს, გადასცქეროდა. ჩრდილოს კარიდან ეზოსმოძღვარი გამოძვრა. პირისპირ შეეხეჩა ბნელში მდგარ ხუროთმოძღვარს.

„მწუხრი მშვიდობისა“.

წაიბუტბუტა არსაკიძემ, მაგრამ ეზოსმოძღვარი ისე გაოგნებული იყო, არც კი სმენია ეს მისალმება.

სჩანდა: ვიღაცას უთვალთვალებდა იგი ეკლესიის ეზოში.

კისერი წაიგრძელა ხუცესმა და მიჰყვა დიაცების ერთ ჯგუფს, საქალებოდან გამოსულს იმ წუთში.

არსაკიძე დაინტერესდა.

ნაბიჯს აუჩქარა.

შენიშნა: ფხოვურ სამოსში გამოწყობილ მხევლებს ვიღაც მანდილოსანი მიჰყავდათ ეზოში.

მიუახლოვდა თუ არა, ვარდისახარის შინდისფერი თავშალი შეიცნო არსაკიძემ.

შესაძლოა, შორენა მოჰყავდეთო, ეს გაიფიქრა და წამოეწია. ორიოდა ნაბიჯით გაუსწრო მოახლეებს, უკან მოიხედა ფრთხილად.

თავჩაღუნული მიდიოდა შორენა, სახეს არიდებდა ცნობისმოყვარეთა დაჟინებულ მზერას. გამსჭვირვალე ბლონდი ებურა პირზე, ბროწეულის ყვავილის დარი სითვით ამოქარგული.

ორი ჭაღიანი მოახლე გვერდით მისდევდა. სიყვითლის იერი გადასდიოდა ღაწვებზე. არსაკიძეს ვერ გაეგო, შუქის ანარეკლი იყო ეს, თუ ბუნებრივ ფერად ქცეოდა იგი ტყვეს?

არსაკიძემ შენიშნა, ვარდისახარმა შეიცნო იგი.

ორჯერ მოიხედა ზედიზედ, მზერა აარიდა ჭაბუკმა ქალს.

სწორედ ამ დროს გაიელვა მის წინაშე ეზოსმოძღვარის ლანდმა.

გაეცალა არსაკიძე შავოსანს. ნელის ნაბიჯით მიდიოდა ბრბოში. ცალკერძ ფხოველ ქალების გუნდს უთვალთვალებდა, ცალკერძ შავ ანაფორას ხუცისას.

ისევ მოუარა წადილმა. უნდოდა როგორმე წამოსწეოდა ფხოველ დიაცებს, მწუხრი მშვიდობისა მაინც ეთქვა შეფარვით.

უცნაური ხმები დადიოდა ბოლო ხანს შორენას გამო მცხეთაში. საბელით გადააპარესო იგი მოახლეებმა ღართის კარის ციხიდან ღამით.

ფხოვს გაქცეულაო თორ-აბჯარში გადაცმული ტყვე, ახალ ამბრძოლებას აწყობსო ერისთავის ასული ახლა.

სულ სხვას ამბობდნენ სხვანი: უფლის ციხეში ჰყავსო კოლონკელიძის ქალი მეფეს, დასნეულდაო ბნელში ჯდომისაგან, [illegible]

ასეთი რამეც განაგონი ჰქონდა არსაკიძეს: ბედიის მონასტერს წარგზავნაო იგი კათალიკოსმა, მონაზნად აღკვეცილაო მუნ.

დაწინაურდა არსაკიძე ბრბოში, ისევ წაებლანდა მის მზერას ეზოსმოძღვარის შავი ანაფორა.

მშვენიერი საღამო იყო, გაზაფხულის ამოსუნთქვით დამტკბარი. ცაცხვების შტოებში ელავდნენ ვარსკვლავები, მთვარე გადმოსულიყო სარკინეთის შავჯაგრიან ზურგზე.

ფხოველი ქალების დანახვამ უცნაურად ააფორიაქა არსაკიძე, ტკბილი სიყრმე მოაგონა თვისი, უცნაურად შეწყვეტილი ლხენა სიჭაბუკისა.

ვიწრო ქუჩაში მილაშლაშებდა მლოცველების ბრბო, მარტოობა მრუნდა გულდარდიან ჭაბუკს, ქუჩის გასწვრივ ნანგრევები იყო ძველი, მათ ჩრდილს შეაფარა თავი. მიდიოდა დარდიანი, თავჩაქინდრული.

ვილაცამ უბიძგა მკლავში. რიდით პირახვეული ლანდი ეუცნაურა. შეკრთა, აღელდა, ვარდისახარი შეიცნო მყისვე.

თილისმურად უღიმოდა დიაცი.

წნორის ფოთოლივით ცახცახებდა ვარდისახარი, შორს მიმავალ მოახლეების ჯგუფს არ აცილებდა თვალს.

„სად იყავი აქამდის, რად არ სჩანდი მცხეთაში?“

ეს ჰკითხა არსაკიძემ პირველად.

„ღართის კარის ციხეში ვისხედით“...

„ახლა?“

ახლა შეგვიწყალაო მეფემ, ხურსისეული სასახლე მიგვიჩინა. იმასაც ამბობენ, დროებითა ვართო მანდ, აფხაზეთს გვაგზავნისო კათალიკოსი.

არსაკიძე გაოცდა. სიზმარი ეგონა ეს ყოველივე.

„შენი ამბავი წვრილად გვამცნო ჩვენმა მოძღვარმა, ათანასე ბერმა. მეფეს გაუცვნიხარ ნადირობის დროს, წარჩინება მიგიღიავო. შორენა გახარებულია ამ ამბით. ფხოვიდან თუ გსმენია რაიმე?“

ეუბნება სხაპასხუპით ვარდისახარი, ხურვებაშეყრილივით უცახცახებს ყბები.

ფხოვიდან არაფერი მსმენიაო ჯერაც.

ქალი გაოგნებული შესცქეროდა ვაჟს. არსაკიძეს ბრბოსკენ გაექცა თვალი. ხელი მკლავზე წაავლო გაშტერებულ ქალს.

„გესმის, ვარდისახარ, გესმის, მეც თქვენს ახლოს მიმიჩინეს ბინა. შებინდებულზე მოდი როგორმე, ნონაი იკითხე, სახლთუხუცესის რატის მხევალი. ახლა წადი, ეზოსმოძღვარი გვითვალთვალებს ვგონებ“.

რიდე აიფარა დიაცმა, კედელს აეკრა და ისაფრა ჩრდილი, ბნელში წალასლასდა ლანდი.

უცნაურად მოსწყდა არსაკიძე იოგებში. ნაბიჯს უკლო, სასაფლაოსკენ გადავიქცეო, გაიფიქრა მარტო შთენილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ისეთი იისფერი იყო, ვარსკვლავები მჭვუნვარედ ციმციმებდნენ მოოქვრილ წამწამებს.

ვარდისახარის სქელი ტუჩები თვალწინ დაუდგა, ვნებისაგან უელავდა დიაცს თვალები.

ფხოვური მაღალი ცა მოაგონდა. ვარდისახარის რბილი და ტფილი სხეულის სიტკბო, თავის წაწალთან გათენებული ღამეები.

საოცარმა ნდომამ იფეთქა ჭაბუკის გულში.

ისევ აუჩქარა ნაბიჯს. ფხოველი დიაცები ალარა სჩანდნენ ბრბოში. ლანდივით მოეჩვენა ვარდისახარი წელან, უნდოდა შორენასთვის სახეში ჩაეხედნა, წამიერად მაინც ენახა სიყრმის მეგობარი როგორმე.

ახლა თუ წაახელებდა იგი, არ მოერიდებოდა ეზოსმოძღვარს, ახლოს ჩაუვლიდა, მწუხრი მშვიდობისაო, — ეტყოდა მაინც.

პატარა სამლოცველოს გვერდით ვიწროვდებოდა ტალახიანი ქუჩა. მლოცველების ბრბო შეტბორდა. არსაკიძემ ისარგებლა ამით.

ისევ წააწყდა მისი თვალი შინდისფერ თავსაფარს. შორენას მოქარგულმა ბლონდმაც გაიელვა ჭაღის სინათლეში.

ახლა ეს შენიშნა არსაკიძემ, — გარსმოჯარული მცხეთელი დიაცები მომეტებულის გულისყურით უჭვრეტდნენ ერისთავის ქალსა და მის მოახლეებს.

ფხოვური ჩოხა ეცვა კონსტანტინეს, მიახლებოდა ფხოველ დიაცებს?

ეს თვალში ეცემოდა ყველას.

კვლავ მოუდუნდა ნებისყოფა ჭაბუკს, შესაძლოა, ქალებს დაუშავდესო რამე.

ორი ყმაწვილი ქალი უკან მიყვებოდა ფხოველ ტყვეებს. მანდილიანი ეჩურჩულებოდა რიდემოსხმულს.

რიდით შებურვილმა რაღაცა ჰკითხა მანდილიანს (ეს ვერ გაარჩია არსაკიძემ). პასუხი გაიგონა მხოლოდ:

„კოლონკელიძის ასულია, შორენა“.

„დედოფალივით ქალია, არა?“

ამას ამბობდა მანდილოსანი მაღალი.

„არც ბევრი უკლია...“

ეუბნება რიდემოსხმული.

„რად იტყვი მაგას, ქა?“

„გიორგი მეფის ხარჭაა, ხომ იცი...“

სამსჭვალივით ეცა ეს სიტყვები არსაკიძეს.

უნდოდა მივარდნოდა ენაჭარტალა დიაცს, მიეხალა: სტყუიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი შეიკავა, გველცემულივით გამოტრიალდა, პირდაპირ შეეხეჩა მის უკან მომავალ ეზოსმოძღვარს, მდუმარედ ჩაუარა მას და ბნელ შუკაში გაუჩინარდა.

XXIV

ხუროთმოძღვართ უხუცესის სასამართლოში მოწოდებამ დიდი მითქმა-მოთქმა აღძრა მცხეთის სასახლეში. ნამდვილი ვითარება საქმისა სამიოდე პირმა იცოდა მხოლოდ.

მიუხედავად ამისა, ფარსმანის დასჯას მოითხოვდა დიდი და მცირე, განსაკუთრებით მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მომხრენი. ყველას, ყველას სძაგდა ფარსმანი თავისი ყბადაღებული „წარმართობისა“ და მუსლიმანური ჩაცმულობის გამოც.

არც დედოფალს მოსწონდა თავიდანვე იგი, მაგრამ მის შემცვლელს ვერავის ჰხედავდა ეკლესიათა მშენებლობით გატაცებული, ამიტომაც ითმენდა „სახითა ბარბაროსს და შჯულითა ტარტაროზს“ (როგორც უწოდებდა ხოლმე ეზოსმოძღვარი ფარსმანს).

მარიამ დედოფლის ოცნება ეს იყო: მთელი საქართველო ეკლესიად და მონასტრად ექცია; არა მარტო საქართველო და სომხეთი, მთელი ქვეყანა.

აფხაზეთიდან ახლადჩამოსულს ამბავი დაახვედრეს უფლის ციხეში: მეფემ და კათალიკოსმა ახალგაზრდა, ქრისტეანი ლაზი დააწინაურესო. ფრიად გაიხარა დედოფალმა, თუმცა ჯერ არც არსაკიძე ენახა და არც მისი ნახელოვნები.

უფლისციხეშივე ამცნეს: ფანასკერტელის ქალს გამიჯნურებიაო მოხუცი ფარსმანი. თუმცა ფანასკერტელიც ისევე სძაგდა, როგორც ყოველი ნაშიერი დიდაზნაურთა გვარისა, მაინც მოითხოვდა ფარსმანის დასჯას.

ყველაზე მეტად წ. გიორგის მცხეთის სასახლიდან „გაპარვამ“ დააღონა მარიამი, უდიდესი უბედურების მაცნედ მიიჩნია ეს ამბავი.

მცხეთაში ჩამოსვლისთანავე ითავა და მერმე ის იყო, მეფემ, კათალიკოსმა და ეზოსმოძღვარმა დიდძალი საკლავი წაასხმევინეს ნოკორნას, თაყვანი სცეს ახალ საბრძანისში წმინდანს.

ფხოველნი, წანარნი და ღილღვნი მოაწყდნენ ნოკორნას მონასტერს იმ დღეს.

თავათ კათალიკოსი სწირავდა. ნაწირველს დიდხანს იქადაგა მელქისედეკმა. მეფემ დაიჩოქა და ეამბორა განრისხებულ ღვთაებას. შემდგომ ამისა, დედოფალი მიეახლა ფორთხვით, მდუღარე ცრემლებით დაალტო ხატი, თავის ოჯახზე გულისმობრუნება შესთხოვა წმინდანს.

ამაოდ ეცადა ეზოსმოძღვარი როგორმე წვრილად მოეხსენებინა ფარსმანის დანაშაულის ნამდვილი ვითარება დედოფლისათვის, მაგრამ საა-

მისოდ ისეთი ბიწიერი სიტყვები უნდა ეხმარა, მათი წარმოთქმაც ვერ გაჰბედა შემასმენელმა.

მარიამ დედოფალი სომეხთა მეფის სენაქერიმის ასული, ანუ, შემოიტანა სასახლეში აფხაზთა მეფეებისათვის სავსებით უცხო, ასკეტური სული.

მარიამი თვალს ადევნებდა არა მარტო რელიგიური რიტუალების სასახლეში შესრულებას, არამედ მონასტრებისა და ეკლესიების ყოფას, მღვდელმთავართა, ეპისკოპოზთა, მოწესეთა ზნეობას.

მისი ყოვლისმხილველი თვალი და ყოვლისმსმენელი ყური ეზოსმოძღვარი ამბროსი იყო. იგი უთვალთვალებდა არა მარტო სამღვდელოთა, არამედ თავათ მეფეს, მის ვაზირებსა და ერისთავებს.

ფარსმანის საქმის გამო დაჟინებით სდუმდა გიორგი, რადგან კარგად იცოდა მეფემ: მის მიერ თუნდაც რაიმე აზრის გამოთქმაც განჩინების წინასწარ გამოტანა იქნებოდა უოუოდ.

ზვიად სპასალარიც თავს იკავებდა. მაინც და მაინც არც მას უყვარდა ფარსმანი, მაგრამ როგორც ყოველ საქმეში, აქაც სამხედრო მოსაზრება ამოძრავებდა სპასალარს მხოლოდ.

კარგად ჰხედავდა: დღითი დღე რთულდებოდა ბიზანტიასთან ურთიერთობა. „კომნინის შეთქმულებას“ საშინელი დევნა მოჰყვა, ეს ყოველივე ქართველობას დაატყდა თავზე.

ცნობილია: ვესტარხების ხარისხს მარტოოდენ ქართველებსა და სომხებს ანიჭებდნენ ხოლმე ბიზანტიის კეისრები. უკანასკნელ წლებში მხოლოდ სომხებს მიუბოძა ბასილი კეისარმა ეს ხარისხი.

ბიზანტიონში შეიპყრეს ჯერ კიდევ დავით კუროპალატის დროს სამშობლოდან გაქცეული კლარჯეთელი აზნაურები, სავსებით უბრალოდ დაუკავშირეს ისინი „კომნინის საქმეს“, მსტოვარების მიერ საგანგებოდ შეთხზულს.

ამგვარი ატმოსფერო შეურიგებელ აზრთა სხვაობას იწვევდა გიორგი მეფის სასახლეში. დედოფალი და კათალიკოსი ისე გაიტაცა ბრმადმორწმუნეობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ჰხედავდნენ კეისარში, არამედ ქრისტეანული სამყაროს უზენაესს არსებას, რომელიც, ვითარცა რომის იმპერატორი და „პონტიფექს მაქსიმუს“, მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამ ქვეყნად.

ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობით დაბრმავებულმა თავისი სამეფო გადასცა ბასილი კეისარს სენაქერიმმა, სომხეთის მეფემ.

ზვიადი ამჩნევდა: „კომნინის შეთქმულება“ საქართველოსაკენ მოლერილი მახვილის აღლესვას მოასწავებდა მხოლოდ.

ასეთ დროში ფარსმანისათვის თვალების დაწვა არც ისე იოლად გადასაწყვეტი იყო.

ეკლესიათა მშენებელი დიახაც მოიძებნა, მაგრამ მეფისა და სპასალარის გარდა არავინ უწყოდა, რომ რკინათა მკვეთელ ხმალთა წრთობის საიდუმლო ერთმა ფარსმანმა იცოდა მხოლოდ.

ამ საიდუმლოს სხვისთვის გადაცემას არც აპირებდა იგი.

გარდა ამისა, არც საქართველოში, არც წინა აზიაში ფარსმანზე უფრო დიდი მცოდნე ციხეთმშენებლობისა ზვიად სპასალარს არ ეგულებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

მეფე გიორგი უჩვეულოდ ღელავდა. სამჯერ გადაადებინა საქმე, ბოლოს მარტის 27-ს უნდა წარსდგომოდა სასამართლოს ფარსმანი.

ახმობინა მეფემ მსაჯულთუხუცესი, დედათა მონასტრის წინამდგომი ვერხაულისძის ქალი და ეზოსმოძღვარი.

გამოუცხადა: ფანასკერტელის ქალის საქმე არავისთვის ემცნოთ მსჯავრის გამოტანამდის. თვით მარიამ დედოფლისათვის არ გაემხილათ საქმის შინაარსი. უსასტიკესი სასჯელით დაემუქრა სამთავეს.

შემდგომ ამისა, მსახურთუხუცესი წარგზავნა, მელქისედეკ კათალიკოსი აწვევინა. სამგზის ეახლა იგი მელქისედეკს, სამგზისვე ლოგინად ჩავარდნილი დაუხვდა მელქისედეკი მოციქულს.

მეფე თავათ იყო სასამართლოს უზენაესი წინამდგომი. მისთვის დიაუხერხული იქნებოდა საქმის მოსპობის, ან ფარსმანის შეწყალების მოთხოვნა, რაკი მოაჯის — ფანასკერტელის ქალის ძიება საქმეში იყო ჩართული.

ბოლოს თავათ დააპირა კათალიკოსთან წასვლა, მაგრამ ერთიც ვნახოთ, სადარბაზოდ მოსული მეფე გაეწბილებინა მელქისედეკს?

ეს დიდათ საჩინოდ გახდიდა მათ შორის უჩინარად წარმოებულ ბრძოლას.

რაკი კათალიკოსთან სათათბიროდ წარგზავნილისათვის ფრიად დიდი და იდუმალი საქმენი უნდა გაემხილათ, ზვიად სპასალარმა თავათ შესთავაზა გიორგის: მე ვეახლებიო კათალიკოსს.

მეფემ დაათათბირა ზვიადი, ყოველივე წვრილად უნდა აეხსნა მელქისედეკისათვის.

დიდხანს იჩურჩულეს, ბოლოს დააბარა: არავინ დაესწრო ამ საუბრის დროს.

სპასალარმა უგუნებობა შეამჩნია გიორგის, მიზეზი ჰკითხა. წინა ღამის უძინარი ვარო, მოიმიზეზა.

თათბირი მოთავებული ჰქონდათ, მეფემ თრიაქი გადმოიღო, ნარგილე გააჩაღა და სწორედ ამ დროს მალემსრბოლი ჩამოვიდა ბიზანტიონიდან.

გახსნეს გრაგნილი და ასეთი ამბავი ამოიკითხეს:

ტაოდან იერუსალიმის სალოცავად მიმავალი ბერი ზაქარია შეეპყრო ანტიოქიის დომესტიკს, ბასილისთვის გადაეგზავნა, კეისარს დილეგში ჩაეგდო იგი.

შესწამეს თურმე ზაქარიას, მას მიეტანოს კომნინისათვის გიორგი მეფის მიერ გაგზავნილი წითელი ქოშები, და მისივე სახელით კეისრობა მიელოცნოს განდგომილისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს ეწამებიათ ბერი ზაქარია, მისგან ამას მოითხოვდნენ, დაედასტურებინა ოლონდ: მართლაც გაეგზავნოს თითქოს წითელი ქოშები კომნინისათვის გიორგი მეფეს. მყისვე განთავისუფლებას ჰპირდებოდნენ ბერს, კესარეის საეპისკოპოსო ტახტს აღუთქვამდნენ თურმე.

ზაქარიას მტკიცე უარი განეცხადებინა.

რაკი აღთქმებით ვერა გააწყვეს რა, დილეგში ჩააგდეს კვლავ, ვირთხები მიუსიეს.

როცა დაკითხვებით თავი მოაბეზრეს, სიმუნჯე მოიგონა.

ენა მოსჭრეს თურმე.

რაკი დამუნჯდი, ენა რაღად გინდაო, დასცინოდნენ ღრმად მოხუცებულს.

გიორგი გააცოფა ამ ამბავმა.

წამოვარდა, მუშტებს უშენდა ტაბლას.

„ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი, ბასილი კეისარი“...

ყვიროდა მეფე.

ასეთი სიტყვები აროდეს სმენოდა მისგან სპასალარს.

„ნუ თუ ამას ვერ ჰხედავს დაბრმავებული მელქისედეკი? აღარც მარიამ დედოფალს ესმის ეს საფრთხე“.

ზვიადს გაეხარდა ეს ამბავი ერთის მხრით, მიხვდა: დიდად წაადგებოდა იგი კათალიკოსი სიჯიუტის დასათურგვნელად.

წასვლას დაადგა ზვიადი და სწორედ ამ დროს გაიღო კარი, დედოფალი შემოვიდა დარბაზში.

სიგამხდრეს უფრო მეტად გაემაღლებინა ისედაც ახოვანი, პირხმელი ქალი. ფერგამკრთალი სჩანდა და სახეგამშრალი.

ჩინური, შავი ფარჩა ეცვა, დიდრონი ალმასების მანიაკი ირისეს დარად უთიმთიმებდა ყელის გარშემო. წვრილსა და გრძელ კისერზე უცნაურად დაბერილი, ენერგიული ძარღვები მოუჩანდა, რისხვიანად უელავდნენ წამოსივებული თვალები.

ზვიადმა თაყვანისცა.

მშრალად მიესალმა სპასალარს.

ზედ ეტყობოდა: აფხაზეთში მოგზაურობას თუ შინ დახვედრილ უსიამო ამბებს ფრიად მოექანცა დედოფალი.

როცა სპასალარს სალამითვე მიუგო, ნაძალადევად გაუღიმა. ჭარბად წაცხებულ უმარულს ვერ დაეფარა ჩიტის ნაკვალევივით წვრილი, წვრილი ნაოჭები, ფართე და სევდიან თვალების გარშემო მომდგარნი.

უჩვეულო შარიშურით გაიარა საწოლის დარბაზისაკენ. კარის გახურვაზედაც შეამჩნია ზვიადმა, რალაც დიდი უსიამოვნება უნდა მოსულოდა ცოლქმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიადმა თაყვანისცა მეფეს, ღამე ნებისაო, ჩაილუღულა.

გიორგი მეფე იჯდა, თრიაქსა სწევდა, არც კი გაუგონია სპასალარის გამოსალმება.

დარბაზის კარამდისაც არ იქნებოდა მიღწეული ზვიადი, როცა გიორგიმ თავი აიღო და მიაძახა:

„შენ გეტყვი, ზვიად, მობრუნდი, აქ დაჯე!"

ზვიადი გაოცდა, გიორგის არა სჩვეოდა უკუხმობა მიმავალისა, არც თუ ოდესმე დავიწყნია წარგზავნილისთვის დაბრუნება შესათვლელისა.

როცა ნარგილეს გვერდით მჯდარს თავზე წამოადგა სპასალარი, დიდხანს იყო გაოგნებული, თითქოს დაავიწყდაო, წელან რომ უხმობდა ზვიადს.

იდგა გახევებული სპასალარი, ხედავდა, როგორ უსიტყვოდ იტანჯებოდა მეფე, თმები შუბლზე ჩამოფხატოდა, ღაწვები ჩავარდნოდა, სახე დაგრძელებოდა, თმის ყოველ ღერზე ეტყობოდა, თუ როგორ აფორიაქებოდა ბუნება, საერთოდ გულდინჯსა და უშიშარ ვაჟკაცს.

სპასალარმა ნელა დაახველა, ამით უნდოდა შეეხსენებინა ფიქრით მოცულ გიორგისათვის: რად მიხმეო წელან?

თავი აიღო.

თრიაქი თუ გსურსო?

შეეკითხა იგი ზვიადს.

მადლობა მოახსენა: არა, არ ვწევო თრიაქს.

მეფემ სელზე დაჯდომა ანიშნა თვალით, კიდევ მცირე ხანს სდუმდა... მერმე ამღვრეული თვალები ჯიქურად მიანათა სპასალარს და ეუბნება:

„შენ გეტყვი, ზვიად, თუ მელქისედეკმა შორენას გამო რაიმე გითხრა, რას მიუგებ მაშინ?"

ზვიადი აიმღვრა.

„მხოლოდ იმას, რასაც მეფე მიბრძანებს, პატრონი ჩემი".

გიორგიმ თავი ჩაჰქინდრა და გაუმეორა:

„მხოლოდ იმას, რასაც მეფე გიბრძანებს... ჰმ..."

„რადა ბრძანებთ ამას, მეფეთ მეფეო?"

„არა, ისე ვთქვი"...

მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

„დედოფალი წამეკიდა წუხელ, სჩანს ეზოსმოძღვარს უჭორავნია... მარიამ ყოველივეს ამცნობდა კათალიკოსს, ალბათ. თუ მელქისედეკმა შორენას წარგზავნა მოითხოვა, აფხაზეთს წარგზავნა და ბედიაში მონაზნად აღკვეცა, არამც და არამც არ მისცე ჩემის სახელით დასტური. ხოლო..."

აქ ისევ დადუმდა, მცირე ხნის შემდეგ კვლავ განაგრძო: „ხოლო თუ კათალიკოსი გაჯიქდეს, უთხარი ჩემის სახელით, გირშელს მიათხოვებენთქო შორენას, ყველის ციხის პატრონს, დედიჩემის ძმის წულს.

ეცადე აქამდის არ მოიყვანო საქმე, თუ სხვა ღონე არ იქნეს, დაეთანხმე, გურანდუხტმა მზითევი გადმოუგზავნათქო უკვე, მეფემ დასტური მისცათქო. გირშელს მიათხოვებენთქო, ყველის ციხის პატრონს. ასე უთხარი და ვნახოთ მერმე....“

ხელახლა თაყვანისცა ზვიადმა მეფეს, მან კვლავ ჩაიდო ნარგილეს მილი პირში, გააბოლა. მცირე ხანს რეტდასხმული იჯდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ მიაძახა მიმავალს:

„წითელი ქოშების ამბავი გამოიყენე შენებურად, ზვიად...“

XXV

ბინდი გადმომდგარი იყო სარკინეთის მთებზე, როცა კათალიკოსის ბაღში ფეხი შესდგა ზვიად სპასალარმა. ღვივოდა მიმავალი სხივის ნამუსრევი ატმების აყვავებულ შტოებზე. ფარშავანგების ჩხავილი მოისმოდა საიდგანღაც.

ზვიადს ეს უნდოდა: შეუმჩნეველად შეპარულიყო კათალიკოსის სასახლეში როგორმე.

შველმა გადაურბინა გზაზე. ყურდაცქვეტილი შესდგა ნუშის ქვეშ. ერთი შეხედა, შეკუნტრუშდა და შრამლებისკენ გაჰქანდა ჭენებით. უზარმაზარი ნაგაზები გამოენთნენ ღრიანცელით სტუმარს.

ზვიადს დაცდილი ჰქონდა: საერთოდ არ ერჩოდნენ ძაღლები მას, მაგრამ ესენი ისე მჭიდროდ შემოესიენ, ქარქაშიანი ხმლით იგერიებდა, უყივოდა მყეფარებს.

ბოლოს მისჭირდა საქმე, ერიდებოდა ომებში მრავალნაცად მახვილის ამოღებას, სწორედ ამ დროს გამოსცვივდნენ შრამელებიდან მონები. დატუქსეს ძაღლები.

აივნის კარი გაიღო, ეზოსმოძღვარმა გამოჰყო თავი. ისევ გაუჩინარდა. არ იამა ზვიადს: რად გადავაწყდიო ამ მელაძუა ხუცესს?!

იცოდა: უსიტყვოდ მიხვდებოდა ამბროსი სპასალარის დარბაზობის საგანს, დღესვე მოახსენებდა დედოფალს.

მეფესა და სპასალარს ასე ეწადათ: ყოველივე ისე მოეწყო, ვითომდაც მელქისედეკს თავათ განეჭვრიტოს ყოველივე წინასწარ, საბელმწიფური მოსაზრებით შეეჩერებინოს ფარსმანის საქმე, რა კი ზნეობისა და შჯულის ვითარებანი კათალიკოსის საუფლოს შეადგენდნენ უპირატესად.

კიბის ხარისხზე ფეხი შესდგა ზვიადმა თუ არა, ეზოსმოძღვარმა კვლავ გამოჰყო ტალანიდან თავი.

„მობრძანდით, ზვიად ბატონო“, შემოაგება ღიმილით სტუმარს. მარადმოღუშული, შეყრილი წარბები არც კი გაუხსნია ზვიადს, ისე მიუგდო „მწუხრი მშვიდობისა“ ხუცესს და ღია კარებში შეასწრო ანაზდად.

სამი დარბაზი გაატარა ეზოსმოძღვარმა სტუმარი. საკმეველისა და მურის სუნი სდიოდა ირგვლივ. თაფლის სანთლები ლიცლიცებდნენ ნიშებში ჩარაზმულ ხატების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირჯვრის წერით მიჰყვებოდა სპასალარი ეზოსმოძღვარს. მიფათურობდა გარეშემო დაფანტულ დგამს შორის.

საწოლი დარბაზის კარი ღია იყო, შიგ შესვლამდის თვალი მოჰკრა ზვიადმა მელქისედეკის გაფითრებულ სახეს, უზარმაზარ ბალიშზე მთლად დალეულს.

სასთაულთან უსხდნენ მამათა მონასტრის მამაი სტეფანოზ, მცხეთის მიტროპოლიტი რაჟდენი და გაიოზ ბერი.

სამი მემაშხალე თავზე ადგა სტუმრებს. აქაც უამრავი სანთლები ლიცლიცებდნენ ხატებისა და ჯვრების წინაშე.

როცა კათალიკოსს თაყვანი სცა ზვიადმა და ხელზე ეამბორა მას, დარწმუნდა: სრულიადაც არ უნდა ჰქონოდა მელქისედეკს სიცხე. მიხვდა: ეს „ლოგინად ჩავარდნა“ მხოლოდ იმას მოასწავებდა, რომ მელქისედეკს არა სურდა ჯერჯერობით შეხვედროდა მეფეს.

ზვიადს ისეთი დაფანჩული წარბები და გრძელი წამწამები ჰქონდა, მძინარე ეგონებოდა უცხოს. მიუხედავად ამისა, გაუმხელელ ზრახვათა შეცნობის დიდოსტატიც იყო ზვიად სპასალარი.

ახლა ცხადი იყო, თუ რად გამოსტოვა კათალიკოსმა სამი დღის წინად დანიშნული ბჭობა, სვეტიცხოველის ახალი მასალისა და მუშახელის მოსახვეჭად მოწვეული გიორგის მიერ.

როცა მისალმებანი და ურთიერთის მოკითხვა მოთავდა, ერთბაშად დიდი უხერხულობა შეიცნო ზვიადმა. ამაოდ ეძებდა კათალიკოსთან გასაუბრების საგანს, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა ანაზდად.

ეზოსმოძღვარი ფეხზე იდგა, პირში შესციცინებდა სპასალარს, თავისი რჩხია, ცერცვისფერი თვალებით ეუბნებოდა თითქოს: სთქვი ბარემ, რისთვის მოსულხარ? სულ ერთია, უთქმელადაც ყოველივე ვიცი.

ეკლესიის ყვავებივით დამსხდარიყვნენ დანარჩენი ბერები სარეცელის ირგვლივ. მათგან ისეთი შთაბეჭდილება მიიღო სტუმარმა, დუმილის მოწესედ დამსხდარანო ეს შავოსნები ხატებით მორთულ საწოლის დარბაზში.

გაცივებულ კამეჩსავით ქშინავდა შავწვერა გოლიათი, მამაი სტეფანოზ, ასრუტუნებდა ბუკივით მსხვილსა და მეჭეჭიან ცხვირს, წარამარა ხელს ისვამდა ფაფუკ ლიპამდის მიღწეულ წვერზე.

ძლივს აფახულებდა დიდრონ თვალებს წვერგაბურძგვნილი მიტროპოლიტი რაჟდენი, თრიაქით მთვრალს მიუგავდა სახე, პირმოკუმული იჯდა თხაწვერა მოხუცი ბერი გაიოზ, ცხვირმოკლე და ყურკვეთილი მოხუცი.

კათალიკოსმა წამუყო და ეზოსმოძღვარი ციყვივით დაყუნცდა სელის სკამზე. მის გამოხედვაში ცნაურდებოდა ის ველური სიფხიზლე,

მინდვრის ვირთხას რომ ეტყობა ხოლმე, ველის პირად ახლოგამოსულს სოროდან.

ზვიადი უგუნებოდ შეიქმნა, ხელის გული დაისვა წვერით გაჯაგრულ ნიკაპზე, (როგორც ეს მღელვარების დროს მას სჩვეოდა ხოლმე).

აღარ იცოდა რა ეთქვა, რა მოემოქმედნა?!

მოეხსენებინა კათალიკოსისათვის მარტო შენს მეუფებასთანა მსურსო საუბარი? ეს უთუოდ შეურაცხჰყოფდა თანადამსწრეთა.

ბოლოს როგორც იქნა, ორიოდე ფრაზას თავი მოუყარა და წაილუღლუღა:

„მეფის დავალებით გეახელით უნეტარესო, წვივის ტკივილები განუახლდა, თორემ თავათ გეწვეოდა უთუოდ“.

ესა სთქვა, სელიდან წამოიწია და დასძინა:

ხვალ დილას უფლის ციხეს მაგზავნისო მეფე და სწორედ ამ დროს თავათ კათალიკოსმა შეაგება:

მცირე რამ საუბნო მქონდაო, ზვიად ბატონო, შენთან.

სტუმრები აიყარნენ.

ზვიადმა შენიშნა: ეზოსმოძღვარი სხვებს აცილებდა, მაგრამ ჯერ არა სჩანდა, თავათ იგი თუ წაშავდებოდა აქედან, ვის თანდასწრებითაც საუბარს განსაკუთრებით გაურბოდა სპასალარი.

მცირე ხანს მონუსხულივით შესცქეროდა მელქისედეკის დაშრეტილ სახეს. ახლა მიხვდა ზვიადი: არც კათალიკოსს ნებავდა საუბრის დაწყება, ვიდრე სტუმრების გაცილებას არ მოათავებდა ეზოსმოძღვარი.

სიცოცხლის ნიშანწყალი არ ღიმღამობდა მელქისედეკის სახეზე. მდოგვის ფესვებივით წვრილი, ცისფერი ძარღვები მიიკლაკნებოდნენ ლაწვის თავებიდან საფეთქლებისაკენ.

გულზე ხელდაკრეფილი იწვა პირალმა. მისი გრძელი, ნაოჭიანი ხელები მიცვალებულისას მიაგავდნენ, დალურჯებოდა თითების ნუნები, ხელის ზურგზედაც უსუსური ძარღვები სჩანდნენ, როგორც უმწიფარ ფოთოლს თუთუნისას ატყვია ხოლმე.

საკმარისი იყო წამიერად დაეხუჭა ღილზე უწვრილესი და ღამეზე უშავესი თვალები და იგი სამი დღის მიცვალებულს დაემგვანებოდა უცილოდ.

ცხედრის თმებს მიაგავდა მისი გამოხუნებული, მგლისფერი წვერი, ნიკაპსა და ტუჩპირს შორის ოდნავ გაპუტული.

იწვა და სდუმდა მელქისედეკი.

უსიცოცხლო ბაგენი ისე მოეკუმა, ზედვე ეტყობოდა: დიდძალ ენერგიას ხარჯავდა დუმილის დასაცავად.

ზვიადს უხაროდა მემაშხალეთა თანდასწრებით რომ არ აპირებდნენ ეს ტუჩები ამეტყველებას. ბოლოს შემოვიდა ეზოსმოძღვარი, ხელზე ემთხვია მელქისედეკს და წაცუნცულდა.

კათალიკოსმა წამუყო მემაშხალეთა. ისინიც გავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ხანს კიდევ ასე იწვა ხმაგაკმენდილი, აღმოსავლეთის კეთილს მისჩერებოდა, თითქოს მანდ ჩარაზმულ ხატებს ეკითხებაო თათბირს, ბოლოს ნახევრად ბნელში მწოლარემ დაიწყო ასე:

„ორგზის ვუწვევივარ მეფე გიორგის, მაგრამ ჯანმრთელობამ არ მომცა ნება, რათა ვხლებოდი როგორმე და თავათ მომეხსენებინა იგი, რასაც გაუწყებ, ზვიად ბატონო, ახლა.“

ზვიადი უხერხულად შეირხა სელზე, ისევ დაისვა ხელისგული ნიკაპზე, სმენა დაძაბა, რადგან სახის იერიც უმტკიცებდა მელქისედეკს, რაღაც უცნაური და უკმეხი უნდა წარმოეთქვა ამ წუთში:

„ჯანმრთელობა ჩემი ფრიად შერყეულია, ზვიად ბატონო, უფლის ნებაა ეგეც. არც მე მწადის საქართველოს დაქცევის მოწმე რომ გავხდე. უმალვე დამვსებია ეგ თვალნი და ყურნი დამგმანვია, სმენად ბოძებულნი უფლისა მიერ.

რამე თუ ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმალ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოის თვისის იავარყოფას.

ნეტარ არიან იგინიცა, ვინცა გულმართალ წინაპართა აჩრდილებს შორის ლანდდაქცევას არჩევენ, გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა წიაღში ყოფნას.

ვაჲ მათ, ვისაც იერემიასებრი გოდება წილად ხვდეს, სამშობლოის თვისის დარღვეულ გოდოლთა და ნაციხვართა შორის.

უშჯულობა მოძალებული არს საქრისტეანოსა ზედა. ასეთ დროს შჯულის სიმტკიცე და ზნეობის სიწმიდე თუ ვერ შევინარჩუნეთ, ვერას გვიშველის ის ციხეები, რომელთაც მეოხებითა მეფისათა აშენებ, ზვიად ბატონო, შენ.

ქვეყანა თავზე დაგვემხობა, იავარქმნიან საქრისტეანოს და ველარც ის ცეცხლისმფრქვეველი ხმლები გააწყობენ რაიმეს, გიორგი მეფე რომ აწრთობინებს ფარსმანს, უშჯულოსა და მუცლით მეზღაპრეს.

რადგან ყოველთა დამბადებლისა და ყოვლის მხილველის თვალი სუფევს, ზვიად ბატონო, ყოველგან და მდოგვის მარცვალიც ვერსად დაეცემა თვინიერ ნებისა და ხედვისა მისისა“...

ზვიადს ასე ეგონა: ამ გრძელ წინასიტყვის შემდეგ მაინც მიაღწევსო სათქმელამდის მელქისედეკი. გონებადაძაბული უსმენდა, მაგრამ ერთბაშად ბაგრატ კუროპალატი ახსენა მელქისედეკმა და ჩვეულებისამებრ შეუდგა მის ხოტბას.

„ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა სასოება“ იყოო ბაგრატი, ამიტომაც განავრცოვო მან საქართველო, არც თუ ვინმეს აუგიაო ამდენი ეკლესია, სხვას ვახტანგ გორგასალის შემდეგ.

ყოვლად ქრისტეანი მეფე იყოო ბაგრატი, მიტომაც მიუბოძაო კუროპალატობა მას, „საქრისტეანოს უზენაესმან მამამ — ბასილი კეისარმან“.

გასაგები იყო, თუ ვის ეხებოდა ეს იგავები; გიორგი მეფის ქირდვას მოასწავებდა ეს ყოველივე.

არც იმას ახსენებდა მელქისედეკი, ბაგრატისძემ — გიორგიმ ეურაპალატისა და ნოველისიმუსის ხარისხებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა რომ არჩია.

ბასილის ხსენებისას ხველა აუტყდა მელქისედეკს, ხოლო ზვიადს ბრაზი წაეკიდა. ბრაზი წაეკიდა, რადგან მთელი სიცოცხლის მანძილზე ამას ნანობდა იგი: უხტიკესთან ომში რად არ მოვჰკალიო ბასილი?

ცხენდაცხენ შეეხეჩა ხელჩართულ ბრძოლის დროს მას, მაგრამ ვერ შეჰბედა ქრისტეან კეისარს და მის ნაცვლად პატრიციუს ბასლისკ კულეიბს აძგერა მახვილი.

ხველებისაგან ღონემიხდილ კათალიკოსს ლაპარაკის უნარი წაერთო და ისევ მოკუმა მან თავისი ჯიუტი, ლაინისფერი ბაგენი, რათა ანაზღად შეწყვეტილ საუბრისათვის კვლავ მოეკრიბა ძალა.

სწორედ ამით იდროვა სპასალარმა და ხელისგული ჩამოისვა ნიკაპზე, მღელვარება ძლივს დაიოკა.

სპასალარი ყოველგვარ ენამზეობას მოკლებული იყო, უბრალო საუბარიც ძლიერ უჭირდა ბუნებით მდუმარეს. ლაპარაკის დროს სახე ელრიჯებოდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა, მუშტებს იშველიებდა უნებლიედ, თითქოს ექადნებაო ვისმს, წარამარა სიტყვას ეძებდა.

მღელვარების დროს წინადადებას უმატებდა „არა“-ს.

„თუ ბასილი კეისარი მართლაც უზენაესი მამაა სრულიადის საქრისტეანოსი, როგორც წელან ბრძანე, უნეტარესო, რად აწამებინა მან საესებით უბრალოდ ბერი ზაქარია?.. იგი ხომ ჩვენს მიერ წარგზავნილი მსტოვარი არა ყოფილა?! არა?

არც თუ წითელი ქოშები გაუგზავნია მისის მეშვეობით კომნინისათვის მეფე გიორგის. იერუსალიმს მიდიოდა თურმე ბერი ზაქარია, სულის საცხონებლად, არა“?..

კათალიკოსი სახტად დარჩა ამის გამგონე. მცხეთის მიტროპოლიტი ახლად ჩამოსული იყო ბიზანტიონიდან და სწორედ ზვიადის მოსვლამდის მოახსენებდა კათალიკოსს ბიზანტიის ქართული ეკლესიების ვითარებას, გაკვრით იხსენიებდა ვინმე ზაქარია ბერის შეპყრობას.

მელქისედეკი აიმღვრა, ღაწვის თავები შეუწითლდა, მხოლოდ ეს შეაგება სპასალარს:

„ზაქარია ბერი მართლმორწმუნე როდია, სომეხია იგი“.

„სომეხიაო?“

იქედნურად გაიღიმა ზვიადმა.

„ზაქარია ბერი არტანუჯელი აზნაურია, არიშიანის გვარისა და არიშიანის სომხობა არავის სმენია, უნეტარესო, დღემდის“.

ამ ამბავმა სავსებით დათრგუნა კათალიკოსი. მიტროპოლიტი ასე ამბობდა: ზაქარია დარიშიანი აწამესო ბიზანტიონში. არ ესიამოვნა საკუთარ სამწყსოს მიმართ გულგრილობაში რომ დაიჭირა იგი, მერმე ვინ?

ზვიად სპასალარმა, რომელსაც, მელქისედეკის აზრით, მცირეოდენი წილი ედო ოლთისის ეკლესიის დაწვაში.

ბრაზი წაეკიდა კათალიკოსს, რადგან მიტროპოლიტს სწყეულიდა თავის გუნებაში: ასე რამ გამოაშტერაო ბერიკაცი, დარიშიანი და არიშიანიც რომ ვერ გაერჩია ურთიერთისაგან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მარცხის მიუხედავად არ შემკრთალა მელქისედეკი.

მოურიდებლად აღლესა მახვილი მხილებისა და დაიწყო გიორგი მეფის ძაგება უშიშრად. აქაც შორიდან მოუარა სათქმელს.

იგიც ახსენა, გიორგი რომ მისი ნათესავი იყო მკვიდრი, ნეტარხსენებულმა ბაგრატ კუროპალატმა ჩამაბარაო თორმეტი წლის ყრმა.

ბოლოს როგორც იქმნა მიადგა სათქმელს:

უწესო დედათა მოყვარულიაო გიორგი. კოლონკელიძეს თვალები დაუბნელა, მისი მხოლოდშობილი ქალი ხურსისეულ სასახლეში გადაიყვანა და ხარჭადა ჰყავსო.

მეფის მიერ წინასწარ გაფრთხილების მიუხედავად, ზვიადი არ მოელოდა ამას ყოველივეს თუ შეაგებებდა კათალიკოსი.

ფარსმანის ამბავი დაჩრდილა ამ ამბავმა.

ღართის კარიდან შორენას გამოყვანაც მასთან მოითათბირა გიორგიმ. არც მაშინ ურჩევდა ზვიადი ამის ჩადენას მეფეს.

ღართის კარის ციხე უნდა შევაკეთოვო, მოიმიზეზა მან.

ეს გაახსენდა ზვიადს და სწორედ ამით დააშოშმინა კათალიკოსი.

რაიცა შეეხება ხარჭას, დანამდვილებით ვიცი, გიორგი მეფე აქაც სავსებით უბრალოა, ავი ენების მოტანილი უნდა იყოს ეს ყოველივე. კარგს იზამდაო უნეტარესი, ზოგიერთი სამღვდელო პირის ნათქვამს შეამოწმებდესო წინასწარ როგორმე.

კათალიკოსს გულზე შემოენთო, მიხვდა: ეზოსმოძღვარს რომ გულისხმობდა სპასალარი. ბოლოს თავათაც დაფიქრდა: თუ მცხეთის მიტროპოლიტს არიშიანი დარშიანად მოეჩვენა, ხომ შესაძლო იყო ეზოსმოძღვარსაც არეოდა რაიმე?

ვინ იცის?..

ღართის კარის ციხე რომ შესაკეთებელი იყო, ეგეც მიაგავდა ჭეშმარიტებას.

ზვიადმა რა შენიშნა კათალიკოსი მოლბაო, წელში გაიმართა, თავათაც შორიდან მოუარა უმთავრესს, დიდსა და იდუმალ საქმეთ აუწყებდა კათალიკოსს, წარამარა ისვამდა ნიკაპზე ხელისგულს.

... „მაინც დიდი დღე წინ არ უძევს, უნეტარესო, ფარსმან სპარსს. მეფესა და მე, მიწას მეუფებისა შენისას, გადაწყვეტილი გვაქვს სიცოცხლე მოვუსწრაფოთ მაგ მუცლით მეზღაპრეს, მაგრამ ვშიშობთ, მცირეოდენი გაგულისება და შესაძლოა, სარკინოზებთან გაგვექცეს.

არა?

საიდუმლონი ჩვენი სარკინოზებს მისყიდოს.

არა?

და სარკინოზები კარზე გვადგანან, უნეტარესო, არა?“

შესაძლოა, ხურსი აბულელის დარად გაგვექცესო ფარსმანი.

აბულელის ხსენებამ ჟრუანტელი მოჰგვარა მელქისედეკს, „სატანასთან თანაზიარობისათვის“ თავათ ჰყავდა შეჩვენებული იგი.

ისევ აუტყდა კათალიკოსს ხველა, კვლავ იდროვა ზვიადმა: „ეგმთავრესი მაინც ეგაა, უნეტარესო“, — დაიწყო იდუმალი ხმით, მიმოიხედა ირგვლივ, რა დარწმუნდა ხატების გარდა სხვა არავინ უსმენდა, ხმამაღლა განაგრძო:

„...როგორმე დავსტყუოთ ფარსმანს რკინათა და ძვალთა მკვეთელი ხმლების საიდუმლო, რომელიღაც უცნობი ბუნების ჰინდურ ფოლადსა ჰხმარობს ის წყეული და არაბულ ფხვიერს უცნაურს.

ჯერ კიდევ ნეტარხსენებულმა ბაგრატ კუროპალატმა სამგზის აწამა იგი, დილეგში ჩააგდო, ენის მოჭრას დაემუქრა, ფეხის ფრჩხილები სათითაოდ დააძრობინა, კრინტი არ დასძრა გაჯიქებულმა“.

ზვიადი შესდგა, კათალიკოსს ჩაჰხედა თვალებში, რა დარწმუნდა გულმოდგინედ მისმენსო, მხნეობა შეემატა და დასძინა:

„კვეტარიდან ჩამოყვანილ ტყვე დიაცთა შორის მხევალი გვეგულება, ვინმე ვარდისახარი, კოლონკელიძის ასულის პირისფარეში. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ბებერ ფარსმანს შევართვევინოთ იგი. უწესო დიაცთა მოყვარულია ეგ უშჯულო, ვინ იცის, ეგებ ამ დიაცმა დასტყუოს ეს საიდუმლო მას.“

მელქისედეკი არც ისე ულუბრყვილო იყო, ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაარწმუნა იგი სპასალარმა, ხარჭად რომ არა ჰყავდა მეფე გიორგის შორენა.

ღართის კარის შეკეთების ამბავი მოსჩანდა მარტოოდენ სარწმუნოდ. ისიც იცოდა კათალიკოსმა, ჯერ კიდევ ჭიაბერის ორმოცზე ამ „სიძვის დიაცის“ საჭვრეტად რომ წასულა მეფე.

არც ის დაუმალავს ეზოსმოძღვარს მისთვის, მეფე და დედოფალი რომ წაეკიდნენ ამ ქალის გამო ურთიერთს.

მარიამ დედოფალს ფრიად აფასებდა მელქისედეკი, „ვითარცა წმიდათასწორსა და ეკლესიათა დიდს მოამაგეს.“ (რა უყოთ, რომ აზნაურებს სძაგდათ ეს „სომხის ქალი“?).

მისთვის ცხადი იყო: ღართის კარის ციხეშიაც რომ ჩაეკეტნათ ეს ცთუნებით სავსე დიაცი, მაინც დიდ საფრთხეს უქადდა იგი როგორც დედოფალს, ისე სამეფოის ზნეობას. სწორედ ამიტომაც, ხელი ჩასჭიდა მელქისედეკმა ხელმარჯვე შემთხვევას და ეუბნება ზვიადს:

„მე მივაწვდიდი კარგ თათბირს, ზვიად ბატონო, მეფესა“... სპასალარმა ყური სცქვიტა:

???

„თუ თქვენ ფარსმანის მოჯადოება გწადიათ მართლაც, მე გირჩევდით კოლონკელიძის ასული შეართვევინოთ მაგ უშჯულოსა. თილისმა ქალიაო, ასე ამბობენ, ფარსმანზე უფრორე ახალგაზრდათათვის წარუტაცნია მაგ დიაცს გონება“.

ზვიადი მიხვდა, გიორგის რომ გულისხმობდა მელქისედეკი შეფარვით, მაინც არ დაიბნა.

კვლავ შეეცადა კოლონკელიძის ასული გამოეთიშა ამ საქმეზე, როგორმე, უფრო ენერგიულად ჩამოისვა ხელისგული ნიკაპზე.

„რაც არ უნდა იყოს ერისთავის ქალია, უნეტარესო, ეგ დიაცი, არა? ვიღაც სარკინოზს, თუ ირანელს არ მითხოვდება, არა? გარდა ამისა, ვარდისახარი გრძნეულებით ყოფილა განთქმული. მდაბიორის, მეჯადაგის ქალი, ოვსთა მეფეს ჰყოლია ხარჭად, მერმე ის იყო, ღალატით მოჰკლა ოვსთა მეფე ჭიაბერმა, ციხენი წარულო, ეს დიაცი ტყვედ წამოიყვანა და თავის სასძლოს შორენას უბოძა იგი“.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ მიაშტერა თავისი დიდრონი, მოღუშული თვალები მელქისედეკს, უსიტყვოდ შეატყო, რომ ვერც ამით შეაჯერა კათალიკოსი.

„რაიცა შეეხება ფანასკერტელის ქალს, ეს საქმეც მოგვარებულია, უნეტარესო, წინასწარ.

ცხრა ტბის ცოტა ერისთავის უმრწმესს ვაჟს, დაჩის, სიცოცხლე აჩუქა მეფემ. ასე რომ მაგ უბედურს შევართვევინებთ ფანასკერტელის ასულს, უკვე მიღებულია დაჩისაგან დასტური.

ძიებას რომ მსვლელობა მიეცეს ამჟამად, სახელი გაუტყდება სასძლოს და ფარსმანის სიკვდილი ვერას უშველის ამ სამწუხარო საქმეს“.

კათალიკოსი ყოველგვარი მოკვდინებისა და თვალების დაწვის წინააღმდეგი იყო. აქამდის ფარსმანის გაძევებას მოითხოვდა იგი, მაგრამ ახლა თავათაც დარწმუნდა, მისი გაძევება სარკინოზებს გაახარებდა, ამიტომაც სარწმუნოდ მიიჩნია ეს ყოველივე.

დაეთანხმა სპასალარს: კათალიკოსის შუამდგომლობის მეოხებით მეფე უბრძანებდა მსაჯულთუხუცესს, საქმეს შეაჩერებდნენ დროებით. მელქისედეკი არა ჰკარგავდა იმედს, რომ ასეთი გულმოწყალება ქრისტეს შჯულისაკენ მოახედებდა ფარსმანს.

ზვიადს ასე ეგონა, ამით დასრულდაო თათბირი.

გულხელდაკრებილი იწვა კათალიკოსი, ბაგემოკუმული შესცქეროდა ხატებს. ერთბაშად სახე მიიდრიკა ზვიადისაკენ:

„ეს ყოველივე ჩინებულია და კეთილი, ზვიად ბატონო, მაგრამ... ერთი და უმთავრესი უნდა მოჰგვარდეს მაინც...“

ესა სთქვა მელქისედეკმა, ღილზე უწვრილესი და ღამეზე უშავესი თვალები მიაშტერა სპასალარს:

„გულმეცნიერი ბრძანდები, ზვიად ბატონო, და უჩემოდაც მოგეხსენება, თუ რა მძიმე ტვირთი დამაკისრა ამ სოფლად უფალმა. დედოფალი მარიამი ბრძანდებოდა სამი დღის წინად ჩემთან. იმ სელზე იჯდა და სტიროდა მდულარე ცრემლით.

შემომჩივოდა მეფის გულარძნილობის გამო. გადაწყვეტილი მაქვსო ბედიის სადედო მონასტერში მონაზნად აღკვეცა. მოგეხსენება, მარიამ დედოფალს წმინდანად შეჰრაცხს ეკლესია საქართველოისა ოდესმე, მაგ-

რამ ამჟამად მონაზნად აღკვეცა მისი უთუოდ საზიანო იქნებოდა სამეფოისა ჩვენისათვის.

ამიტომაც მოვითხოვ მეფისაგან, ზვიად ბატონო, კოლონკელიძის ქალი აღკვეცილ იქმნას ბედიის სადედოში".

ზვიადი სახტად დარჩა. მიხვდა, უკუსაქცევი გზა რომ არ გააჩნდა, ამიტომაც შებრძოლებაზე ხელი აიღო მყისვე და მეფის დანაბარები უყოყმანოდ ამცნო კათალიკოსს.

გირშელს, ყველის ციხის პატრონს, მიათხოვებსო გურანდუხტი თავის ქალს, მეფე გიორგის მიუციაო დასტური უკვე.

ეგეც კეთილგონიერად იცნო კათალიკოსმა. . . . . .

ნაშუალამევი იყო, როცა სამმა მემაშხალემ კათალიკოსის ბაღიდან გამოაცილეს სპასალარი.

ზვიადმა მონები დაითხოვა, ვარსკვლავებით მოჭვილ ცას აჰხედა. მოგვთა ხიდის სანახებში იყივლა მამალმა ხოხობმა.

XXVI

ნაღდგომევს მოუთმელად მოელოდა მარიამ დედოფალი ყველის ციხის პატრონის სასახლეში ჩამოსვლას. მას არ უყვარდა ქმრის ნათესავები, მით უმეტესს გირშელი, მაგრამ ამ ჯერად მასზე იყო დამყარებული უკანასკნელი იმედი.

დედოფალი დარწმუნებული იყო, როგორც შორენას დანიშნავდა გირშელი, გიორგი მყისვე ჩამოეცილებოდა ამ „სიძვის დიაცს" და ავ ენებსაც გამოელეოდათ საჭორაო საგანი.

ბოლოს დაიწყო მდინარეების საგაზაფხულო დიდრონაი, არაგვი, მტკვარი და ქსანი განსაკუთრებით გაცოფდნენ იმ წელს, მარიამმა იმედი დაჰკარგა, აღარც სხვანი მოელოდნენ მოკლე ხანში სტუმრებს.

სიყრმის შემდეგ არავის ენახა ყველის ციხის პატრონი მცხეთაში. დიდი და მცირე მას აქებდა იმ დღეებში. შვიდ წელს ჰყოლოდათ სარკინოზებს გირშელი და მისი სამი აზნაური ტყვედ, ბოლოს, ბაირამობის დღეს, ხალიფის სასახლეში მიჰყავდათ თურმე ტყვეები.

დასძგერებიან გულიამებს იბერიელები, საჭურველი აუყრიათ, თოროსანი ცხენები წაურთმევიათ, ბრძოლით გაუკაფავთ გზა, ერთი წლის წამების შემდეგ ყველის ციხემდის მიუღწევიათ ძლივს.

სწორედ კვირაცხოვლობის ნაშუალამევს, შვიდი თოროსანი რაინდი მოადგა დიდი ამალით არაგვის კარის საბრძოლო გოდოლებს.

ქვახვრელთან გადმოელახათ ადიდებული მტკვარი. მდინარეს წარეტაცა ერისთავის მეაბჯრე ქაჩაბურაისძე, ამაოდ გამოსდგომოდნენ აზნაურები. ბოლოს თავათ პატრონს გამოედო თავი, ცხენი დახრჩობოდა მეაბჯრეს.

წამოსწევოდა მხარულით გირშელი, ყმაწვილივით გამოეჩრა სულთმობრძავი იღლიაში, ცურვით გამოეტანა გამოლმა, ისევ გაეცურა მტკვარი, ახლა ცხენდაცხენ გადმოელახა მდინარე.

დიდად გასჭირვებოდათ ქსანზედაც გადმოსვლა.

მეორე დღეს სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა მელქისედეკმა. მთელი მცხეთა ისევ ალაპარაკდა გირშელის მამაცობის გამო. ნაშუადღევს, მელქისედეკ კათალიკოსი, ჭყონდიდელი და მთელი ტაძრეული დიდდარბაზში ისხდნენ, როცა ვერცხლის ჯაჭვიანი დევკაცი დეზების ჟღარუნით შემოვიდა უხმლოდ, შვიდი თოროსანი აზნაურის თანხლებით.

დედოფალს მიეჭრა მყისვე, ცალი მუხლი იატაკს დაჰკრა, თაყვანი სცა და ხელზე ეამბორა. ხელზე ემთხვია კათალიკოსს, გიორგი მეფე გადაჰკოცნა და, როცა სპასალარს მიეახლა, მთელი წყრთით მასზე უფრო დაბალი აღმოჩნდა ზვიადი.

დათვური მოუდრეკელობა მჟღავნდებოდა მის მიხვრა-მოხვრაში, ნახმლევით დაჩეხილი ჰქონდა ღაწვისთავები, ეს ამახინჯებდა მშვენიერ ვაჟკაცს. როხროხა ხმა ჰქონდა, იშვიათად იცინოდა, ფრიად თავმოდრეკილი ქცევაში.

დედოფალი თვალს არ აშორებდა სტუმარს, როცა მეფეს გადაეხვია ეგი, მარიამის მძაფრმა თვალმა შენიშნა: საკმაოდ ცივად შეეგება გიორგი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ჩამოსულ ნათესავს.

მტკვარზე გადმოსვლისას გაცივებულიყო, ახველებდა, მაინც არად იმჩნევდა შეუძლოდყოფნას.

გირშელის გამო უცნაური ამბები ჰქონდა განაგონი დედოფალს: ქალთა სქესს გაურბისო რატომღაც, ღვინოსა და თრიაქს ეძალებაო.

უმშვენიერესი სეფე მოახლე მიუჩინა დედოფალმა სტუმარს; როცა ანჩაბაისძის ქალს წარუდგინეს, გირშელი უცნაურად აიმღვრა, მამლის ბიბილოებივით გაუწითლდა ნიყვივით ფართე, განზე გამდგარი ყურები.

ორიოდე სიტყვას ძლივს მოუყარა თავი.

დედოფალმა ეს ასე ახსნა: ალბათ მუსულმანების ტყვეობაში გადასჩეევიაო მანდილოსნებთან მასლაათს.

პურობა აფხაზთა მეფეების სასახლეებისათვის ჩვეული ცერემონიებით დაიწყო.

უცნაური მადა მოსძალებოდა ნამგზავრს, ნერწყვსა ჰგვრიდა ირმის მწვადების, კეცზე შემწვარი ორაგულების, ორთქლიანი ბეჭისა და მოხრაკულების საამური სუნი. ბუნებით თავაზიანი და მორიდებული ისე ციცქნიდა საჭმელს, როგორც ირემი ნეკერს, გაურბოდა ვაჟკაცი მანდილოსანთა სიახლოეს ჭამას.

ყველა ატყობდა, უხერხულად რომ გრძნობდა თავს პურობის დროს სტუმარი. თავათ მას აოცებდა მეინახეთა მდუმარება სრული. როგორც მეფე-დედოფალი, ისე მთელი ტაძრეული ისე სადილობდნენ, თითქოს ამ სუფრაზე ყველა ემდურისო ურთიერთს.

პურობას ნადიმი მოჰყვა. განმგეთუხუცესმა მოართმევინა დიდ-დიდნი სამწდეურნი ბაგრატეულნი, ატენური, ხიდისთავური და მუხრანული სუფრას არ აკლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო ენატრებოდა მაჰმადიან ქვეყნებში დაყოვნებულს, მაგრამ იცოდა: სასახლეში არ იყო მიღებული ღვინისსმა ჭარბად, ამიტომაც ითმენდა შეძლებისამებრ.

უმადოდ სჭამდა მეფეც, მაგრამ ღვინოს მიეძალა რატომღაც, გირშელსაც ეპატიჟებოდა — მოსვიო, სთხოვდა ჟამიდანჟამზე.

შეუძლოდ ვარო, მოიმიზეზა გირშელმა, ტუჩს მიადებდა სამწდეურს, შესრუტავდა მართლაც მცირეოდენს, სტკბებოდა ღვინის ჭაშნიკითა და ნელსურნელებით.

ადრე გათავდა ნადიმი იმ დღეს, ყველაზე მეტად გირშელს გაეხარდა ეს. სასახლის ბაღში გაიყვანა მეფემ სტუმარი. ყოველი ბუჩქი, ყოველი ხე, თავის სიყრმეს აგონებდა გირშელს.

ამ ყვავილნარში დასდევდნენ იგი და გიორგი პეპლებს, იმ ხილნარში აგებდნენ კაკანათებსა და სასირე ბადეებს, იმ ცაცხვების ფუღუროებში უთვალთვალებდნენ ბუს მართვეებს, ამ მსხლებზე ასულან, ის ატმები გაუკრეფიათ, იმ კაკლების ქვეშ ელოდნენ მწიფე ნაყოფის ცვენას.

მსხლებს ფითრი მოსდებია, ატმებს შტოები შეხმობია, კაკლებს ფუღურო შესდგომია, ლეღვები გადაუჭრიათ, მორჩს შეეცვალა ნაცრისფერი ტანები. ძუძუების დარი კერტები ეგულებოდათ ამ ლეღვებზე, „დედამძუძეებს“ უწოდებდნენ მათ.

კაჭკაჭის ბუდეები დაუნგრევიათ იმ ვერხვებზე, იმ ვაშლის ხეებზე ჩამომსხდარ გვრიტებს გამოსდგომიან ტოლები მშვილდ-ისრით, ამ ცაცხვის ქვეშ ერთ ვირზე მჯდარან მეფე და ერისთავი ოდესღაც, თოროსან რაინდებად მოჰქონდათ სახრეებით აღჭურვილებს თავი.

შაშვის მართვეები ჩამოუყვანიათ იმ თუთის ხეებიდან.

ბედნიერი ბალღობა იჭვრიტებოდა ყოველი ხის ფუღუროდან, ყოველი ბუჩქის ძირიდან. ეს უკვე აღარ იყო მათი სიყრმის ლხენისა წალკოტი, არამედ ნაღვლის მომგვრელი ბაღნარი სევდისა.

საბაზიერო სახლს ჩაუარეს, ქორშავარდნები სთვლემდნენ ხარიხებზე, მონადირეთუხუცესმა მოასხა მეძებრები, მადევრები და მწევრები.

შემოესიენ ძაღლები მეფეს, გირშელს აღტაცება მოჰგვარა ამ სანახაობამ, მხიარულად ყეფდნენ მადევრები, წკმუტუნებდნენ მაძებრები.

ყვითელწინწკლიანი, შავი მწევარი შეახტა გირშელს, ოქსინოს ჯუბაჩა დაუსვარა თათებით.

გიორგი ყვრიმალებს უსრესდა ძაღლებს, პირში ხელს უყოფდა ყოველ მათგანს, ფაფუკ ყურებს იღებდა ხელში, თელგამს უწმენდდა თვალწიდოვანებს.

როცა ძაღლები წაასხეს, გირშელი ეკითხება მასპინძელს:

„შენი ავაზა რა უყავი, გიორგი?“

„ჩემი ავაზა გაცოფდა, ბევრი ვუაქიმეთ, ლენცოფის წვენი ვასცით, ბოლოს ნამეტნავად გაბოროტდა, შემომიტია მეცა.

უნდა გენახა გახელებული, ნაკვერცხლებს ჰყრიდა თვალებიდან, აქოჩრილი, დუჟმორეული ნომეჭრა, ისეთი უცნაური ხმა გამოსცა, რომელიც გაბრაზებულ კატას წამოსცდება ხოლმე. ახლაც სხეულში მაქვს დარჩენილი ის შიში, რომელიც გულში ჩამეჭრა იმ დღეს. ეს შემემთხვა უჯაჭვოდ, უხმლოდ გამოსულს ამ ბაღში.

მალემსრბოლი უშიშარაისძე მოვარდა, შუბის წვერზე წამოაგო გაცოფებული.

„სადაური იყო ის ავაზა, გიორგი?“

„მამაჩემს უთავაზა კეისარმა“.

„მაშ ახლა უავაზოდ ნადირობ?“

„ავაზა ერთი კი არა, ორი მყავს.

ერთმა ირანელმა მომგვარა ბოკვერები შარშან“.

ორმა მონამ შრამელიდან გამოიყვანა ერთი წყვილი ავაზა. მშვენიერი, ხატულა ბეწვი ჰქონდა ხვადს. განსაკუთრებით იგი წააგავდა ვეფხს. გამოხამებულ, სადოღე ცხენივით ტანმოქნილი, მაღალ ფეხებზე იდგა ოგებმაგარი მხეცი.

გრძელი, მოხდენილი ტანი ჰქონდა, ტანზე უგრძესი კუდი, სხივისფერი ულვაშები უბრწყინავდა ჩალისფერ ტუჩპირის გარშემო.

მიდიოდა თავდაწეული, უნდოდ აფახულებდა ყვითლად დაწინწკლულ კატისფერ თვალებს.

ძუ შორი-ახლო შესდგა, გაბზეკილი კუდი გააშეშა, პირდაღრენილი შესცქეროდა უცხოს.

ხვადმა მეფისაკენ წამოიწია, გაუშვითო, უბრძანა გიორგიმ მონას.

როცა მოეახლათ, გირშელი შედრკა.

ფრთხილად მოსინჯა ხმლის ვადა. გიორგიმ დაამშვიდა სტუმარი. ავაზას მისწვდა, ყვრიმალები დაუსრისა მხეცს, ნადირმა თვალები განაბა.

გიორგი იცინოდა.

ზურგზე ხელს უსვამდა გატრუნულ ხვადს.

ბოლოს ხელიდან გაუსხლტა იგი პატრონს, გირშელისაკენ გაიწია ღრენით, მონები მოიჭრნენ, წაიყვანეს გაავებული.

„სადაურია ესენი?“

იკითხა გირშელმა.

„ჰინდუსტანიდან მომგვარეს, ჩიტას უწოდებენ თურმე ამ ნადირს ჰინდონი“.

„ალ-ჰაქიმს ჰყავდა თორმეტი ამათზე უფრო მოზრდილი ავაზა, — ამბობს გირშელი, — ისინი სავსებით დაგეშილნი იყვნენ, ხალიფის ბაღში დასეირნობდნენ, არას ავნებდნენ გამვლელებს“.

„ახლა ისეთ რამეს გაჩვენებ, რაც თვალით არ გენახოს არასდროს.“

როცა სასახლის ბაღი გადაიარეს და ირმის საჩიხემდის მიაღწიეს, გირშელი გაოცდა მართლაც. იგი ირანშიაც იყო ნამყოფი, მაგრამ არც შაჰის

სამხეცეში, არც ფატიმიდების სანადირო პავილიონებში, ამდენი ირემი არ ენახა ერთად თავმოყრილი.

უსაყვედურა გიორგის, ცუდად გყოლიაო მოვლილი.

„ეს ირმები, შენი სასძღოს — შორენას მამას წავართვი, კვეტარის ერისთავს“, — მიუგო გიორგიმ, — თვალი თვალში გაუყარა სტუმარს. შორენას ხსენებაზე ყურები შეუწითლდა გირშელს. მღელვარების, თუ დარცხვენის დასაფარავად საჩიხეს მარგილებს მოსჭიდა ხელები, კისერი წაიგრძელა, საჩიხეში თავი გადაჰყო, თვალიერება დაუწყო ჭორბუდიან რქების მთელ ტყეს.

განსაკუთრებით ფურები გამოიყურებოდნენ მთლად საწყალობელად. ნაზამთრალი ბალანი გასცვენოდათ, ახალი ჯერ არსად სჩანდა, ზოგსაც ისეთი უსუსური ბეწვი ამოსვლოდა აქა-იქ, როგორიც კორდებს მოედება ხოლმე ბალახი, დასუსხული, მეჩხერი, თებერვლის გასულს, როცა არც ზამთარია, არც გაზაფხული და მთებს ჯერ კიდევ ატყვია რილო-ჭრელო თოვლისა.

ნუკრები მიკუჟულიყვნენ ყორესთან, თავჩაქინდრულნი სთვლემდნენ, უცნაურად ძაგძაგებდნენ ბედშავნი მზვარეში.

„საქმე ისაა, — ამბობს გიორგი, — ნუკრობიდანვე მთაში იყვნენ ეს ირმები გაზრდილი, მოვლა კარგი აქვთ, საკვებსაც არ აკლებენ, მაგრამ მცხეთის ჰავას ცუდად იტანენ.“

მონადირეთუხუცესმა ლასტის ფალანგი შეაღო, საჩიხეში შეიყვანა გირშელი მეფემ.

საქონლისა და სკორეს სუნი სდიოდა ირგვლივ.

გირშელმა ნუკრებს გადახედა.

„როგორც სჩანს, აცივებთ ბედშავთ!“

ხარები ატორტმანდნენ უცხოს დანახვაზე, უმშვენიერესს ფურს თვალი დაადგა სტუმარმა.

„ეს არის შორენას საყვარელი, ნებიერა, თავათ გაუზრდია თურმე.“

„ახლაც თუ უვლის თავათ?“

იკითხა გირშელმა.

„აქამდის ღართის კარის ციხეში გავყავდა ერისთავის ქალი. ამჟამად ხურსისეულ სასახლეში ცხოვრობს, როცა შენი სასძღო გახდება, მისი ნებაა, თავის ირემს თუ მიხედავს თავათ.

ათანასე ბერი მიამბობდა, შორენას მოძღვარი: ძლიერ ენატრებაო თავისი ნებიერა“.

გირშელს ჯერ არ ენახა კოლონკელიძის ქალი, მიშტერებოდა ნებიერას, თითქოს ეწადა ამ მშვენიერი, ლომისფერი ცხოველის ანაგობაში როგორმე ამოეკითხა თავისი სასძღოს ბუნება.

მონადირეთუხუცესი და მონები დაითხოვა გიორგიმ. ჩვენ გადავკეტავთო საჩიხეს.

როცა მარტონი დარჩნენ, მანაც შეხედა ნებიერას, მოაგონდა; ის ორიოდე ბედნიერი წუთი, კოლონკელიძის სასახლეში გატარებული იმ საშინელ ღამეს, როცა კვეტარის ციხე აიღეს სამეფოისა. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირშელს მიუბრუნდა ისევ:

„ჩვეულებრივი აზნაურის ასული არ გეგონოს შორენა, ვაჟკაცი და მონადირე ქალია იგი“.

მონადირეო?

???

თავის მამიდებისაგანაც ბევრი რამ ჰქონდა განაგონი შორენას სილამაზის გამო გირშელს, ვერც წარმოედგინა ამ უჩვეულო მშვენების პატრონს მოისარობა და ნადირობა თუ ემარჯვებოდა?

საოცრად მოუნდა საცოლეს ნახვა, უნდოდა ეთქვა სიყრმის მეგობრისათვის, ბოლოს, მაჩვენეთო ეგ ჩემი სასძლოო.

გაახსენდა: გურანდუხტს მოელოდნენ სასახლეში, უმისოდ რომ არ შეხვედროდნენ შორენას. დაძრული სიტყვა ხორხის არეში გაეჩხირა და ეს უთხრა გიორგის:

„დედოფალსა და კათალიკოსს მოვერიდე დღეს, თორემ სწორედ გითხრა, სმა მეწადა პურობის დროს“.

გიორგის შერცხვა, ალბათ შეამჩნია, გულცივად რომ მივიღეო სტუმარი, გაუღიმა გირშელს, მხარზე ხელი დაჰკრა და ეუბნება:

„მაშ კარგი, ძველი დრო მოვიგონოთ ერთი, სმაში გავეჯიბროთ ერთმანეთს.“

მცირე ხანს შესდგა, ახედ-დახედა გირშელს და დასძინა: „თუ ნამდვილი ღრეობა გწადია, უნდა გადავიცვათ როგორმე“.

გირშელი გაოცდა.

ოქსინოს ჯუბაჩა ეცვა, ვერცხლის ბექთარნი მასზედ, ვერ გაეგორა უნდა ჩაეცვა ამაზე უკეთესი სტუმრად წასულს?

„არა, მდაბიორის სამოსი უნდა გადავიცვათ ორივემ.“

გირშელმა გაიღიმა.

კარისკაცთა შორის არავინ ეგულებოდა გიორგის ისეთი, ვისი სამოსიც მოერგებოდა სტუმარს. ზვიადს სთხოვა სანადირო დიდი ტყავკაბა, არც ეგ გამოადგა დევკაცს.

ბოლოს მალემსრბოლი უშიშარაისძე მოაგონდა მეფეს. სასაცილო იყო ნასხვისარში ახმახი გირშელი. უშიშარაისძის ხამლის სამოსი და კურდღლის ტყავის ჯუბაჩაც მოკლე აღმოჩნდა მისთვის. ბოლოს მამამზეს ტყავკაბა გამოსძებნეს, მცხეთიდან წასვლისას დარჩენოდა იგი ერისთავს, უკვე გახუნებული და პეწგადაცლილი საკმაოდ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრ. აბაშიძე

სვენწკის ჩვენება[1]

ჩემო იარალი,
ცაში მუქარით
ქარი დაბრუნდა ყაზარმობიდან,
გარეთ ყინვაა და შინ უგარი
და ისევ ტფილისში გაგლა მომინდა.
ისევ ანათებს ჭალარა თრთვილის,
მზე აღარ დგება გოლიათსავით,
მოსკოვში ვარ და ვიგონებ ტფილისს,
მაინც ტფილისში მგონია თავი.
შემოათეთრებს ფანჯრებს ზამთარი
და თავს როგორც კი წამოვწევ დილით,
მახარებს, არ ვარ მიუსაფარი,
არ ვარ უცხო და გადმოხვეწილი.
გამოვალ ჩუმად კარმიდამოში,
ქარი მომაყრის ფიფქებს შხეფებად,
ნატერფალს თოვლში წამით ამოშლის,
და ისევ სვენწკა შემეგებება.
და ისევ სცივათ სვენწკის გუმბათებს,
ისევ ანთია სადღაც ბუხარი...
მეფე ვახტანგი ცეცხლს შეუმატებს
და იგავს ამბობს საბა-სულხანი.
გაიხსენებენ: მორთხმით ნოხებზე
ისხდენ, ეძახდენ მეფეს დიდ-დღიანს...
გულს მოგონებით მოიოხებენ
და ავთანდილის ლექსებს იტყვიან.
არი ზმობა და გადაძახილი
და მაჯამები ძმურად მიჯრილი,
თვალებმწუხარე და თავდახრილი
კარზე მოდგება გურამიშვილი.
და იტყვის მეფე: „ხედავ ქოჩორას,
თითქო ილოცავს, თვალს ვით ინაბავს,
მთელი ბიბლია ლექსად მოჭორა
და შეეჯიბრა დავით წინაპარს“.

---

[1] სვენწკა — ვსეხსვიატსკოე — ადგილი მოსკოვში, მე-18 საუკუნის ქართველ ემიგრანტების რეზიდენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსდგება, ხელებს გულზე დაიკრეფს,
დაბლა მიართმევს სალამს უფროსებს,
ღარიბი მეფე უქებს შაირებს
და ჰონორარად ხალათს უბოძებს.
მერე მომხედავს წუთით საწყალი,
რომ გამოალოს ჩემსკენ კარები.
შევალ თრთოლვით და გულის ფანცქალით
და პოეტის ჩრდილს შევეფარები.
გაუბრწყინდება თვალები საბას,
მეფეს ფრანგების დესპანს ულოცავს,
მეფე მოელის ფრანგების ამბავს
და აკვირდება ჩემს ჩაცმულობას.
ადგება საბა,

თითქო სანუკვარს

ღებულობს ელჩს და დარბაზის სტუმრებს,
კრძალვით იკითხავს პაპს და გრანდუკას
და ლათინურსაც არ დაიშურებს.
—საბავ, რა უგავს პაპის მოგზავნილს, —
მშველის დავითი, —

ცხოვრობს თქვენს ახლოს,

საქართველოდან არი მგოსანი,
სვენწკაში უნდა რომ დაესახლოს.
— მგოსანი?.. — შეკრთნენ და გაიოცეს, —
გამოქცევია, ალბათ, სარკინოზს.
იქნებ ხელობა მაინც იცოდეს,
მოსკოვში სტამბა გაგვამართვინოს.
— სტამბა! — შეირხა, მშვიდად ტახტს უკან
ანგელოსივით გამოხატული,
გალიმებული იდგა მამუკა,
თუ ეჭაშნიკა მეფის ქართული.
— სტამბა! — შეირხა მეფის ამალა...
— მესტამბეების ჯარს მოვესწარი,
უსტამბო ვარ და ლექსის ამარა,
ჩემი ხელობა მარტო ეს არი!
— ვაგლახ! რად მინდა მგოსნები ახლა,
დაზგაც ალარ მაქვს ბეჭდვის შემომტანს.
მთელი ამალა მგოსნების მახლავს,
კიდევ მგოსანი მეჭირვებოდა?!.
მე, იცის ღმერთმა, რაკი მომაგენ,
არ მემეტები, მაგრამ რად გინდა?
გირჩევ გაბრუნდე სამშობლოსაკენ,
გადაიკარგო ამ ალაგიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიჯობს სიმღერებს მტკვარზე შეექცე,
ჩვენ თვითონ ვწყევლით ამ ცას ნისლიანს.
თოვლში რა უნდა ქართველ მელექსეს,
ყინვაში ძნელი გასაძლისია.
ჩვენ კი...
აქ ჩავრჩით, აქაც ვეძებეთ
ბედნიერება და სიმარტოვე,
სხვას რაღას ვტოვებთ საანდერძებელს,
ანდერძად ლექსი მაინც დავტოვეთ...
ჩვენ ვინ-ღა გვკითხავს დროს და არჩევანს,
საფლავის სილრმეს და სიფართოვეს,
ჩვენი საფლავიც ხომ არ დარჩება,
ეპიტაფია მაინც დავტოვეთ... —
თქვა და ატირდა, სტიროდა საბაც
ბედნიერ სიყრმეს და სულხანობას.
სწყევლიდნენ ბედს და თვითონ დასაბამს,
სოფლის სიმუხთლეს და უხანობას!
სწყევლიდნენ ღშერთს და ყველა წმინდანებს,
საწუთროს, გულზე ცეცხლთა მომდებარს.
წუხილი მათი ვერ ავიტანე
და გავეცალე ცრემლს და გოდებას.
დავდექი კართან, გადმომეხურა
გაბრწყინვებული ცა ჩრდილოეთის,
ვიდექ მარტოკა და უხერხულად
და მომძახოდა ლანდი პოეტის:
— როგორ შორსა ვარ, ბნელში დავეცი;
შენ მზეში დგეხარ, ცამდის მისულო,
სვენწკაში გაწყდა ჩვენი ანდერძი,
ეცადე, იქნებ შენ გაგვისრულო... —
ჩამომძახოდა ხმა დიდებული,
წლებს მისტიროდა დაუდაფნავებს,
ვიდექ მარტოკა გარინდებული
და დავყურებდი ქართულ საფლავებს.
ქვებს შერჩენოდათ გერბები ქართლის,
საფლავებს — ბელტი მიწის, მხურვალის.
ბნელს ჩავყურებდი ლექსების სანთლით
გვიან მოსული ჭირისუფალი.
და მსურდა მათებრ უბრალო ენით
ლექსს მივწვდომოდი მაღალფარდოვანს,
მისთვის, ვინც მტკვრიდან სამშობლო ჩვენი
ხასანის ტბამდის გააფართოვა.

მოსკოვი.
1938 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

მეგობარ მხატვარს

საიდანა გვაქვს ჩემებური ჩუმი ღიმილი,
ნათელი თვალი, როცა არჩევ ფერთა მარულას, —
თანდათან მჯერა — ეგ ღიმი და ეგ მზერა თბილი
ბავშვობიდანვე თანშეზრდილი მდევდა მალულად.

თითქოს გიპოვნე მე შორეულ ღამისთევაში,
შენს ხსოვნას მხოლოდ აჩრდილივით აჩენდა ღამე.
ხომ გახსოვს, ტოლებს სანახევროდ გვაჩუქეს ვაშლი.
რიგ-რიგად ვკბეჩდით მეგობრები — ხან შენ და ხან მე.

გახსოვს, მცხეთაში შავთვალა ხბოს წყნარად ვუსხედით,
სანამ ნახირი დაიძროდა წიწამურიდან, —
ბავშვის ხელებში რომ უთრთოდა მორჩილი ქედი,
ჩვენთან მოჩვეულს ალერსით და მლაშე პურითა.

ერთხელ შევშინდით, სადღაც ახლოს ჩავარდა მეხი,
გაჰკაწრა ბინდი და ჭალებში ყრუდ გაირიყა;
ერთად გავრბოდით, შენ სიპი ქვით იტკინე ფეხი, —
შენ ჩემზე უფრო სათუთი იყავ...

მცხეთის ცამ იცის: მუქი ლურჯი გაირევს ვარდსა,
მერე არაგვში ჩამხობილი მის ფსკერზე იწვის, —
გულიც ასეა — სადარდელი არ ხვდება არსად,
მაინც დუღს, რადგან არ ასვენებს გამოთქმის ხიწვი.

მაშ ნათელ თვალთა წამწამები ისევ გახსენი
და ყალმის მოსმით გამოხატე ფერთა მარულა! —
მჯერა, შუქივით უნებური ღიმილი შენი
ბავშვობიდანვე თანშეზრდილი მდევდა მალულად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ხახუტაშვილი

იოსებ ლალიაშვილი

რომანი [1]

კვალის მიგნება

ჩუმად კვნესის პორფილე, მოკუნტული წევს ბანჯგვლიან საბნის ქვეშ, ხელებს განუწყვეტლივ აფათურებს და მტკივან ადგილებს იზელს გამწარებული.

პორფილეს გარშემო უხვად ტრიალებს სკიპიდარისა და ქლოროფორმის სუნი.

მისი საწოლის რიგზე ოთხი სხვა ავადმყოფი წევს. დაბალი ხმით ლაპარაკობენ. ჩაის ფინჯნები, თეთრი პურის ნაჭრები მაგიდა-სკამებზე ჯერ აულაგებელი აწყვია.

— ჰა, რა დაგემართა, პორფილე? დედაბერივით რასა წუწუნებ? არა გრცხვენიან, იმისთანა ჯოჯოხეთთან, როგორიც რექტორია, გმირი ხარ. და ქარებმა აგრე უნდა დაგჯაბნოს? — ამხნევებს იდაყვზე დაყრდნობილი ამხანაგი პორფილეს და თან ღიმილით შესცქერის.

— აი, ნეტავი თქვენ გაგიდგეთ ეს ქარები და მაშინ ნახავთ, როგორც იგალობებთ, — შეწუხებული ხმით ეუბნება პორფილე.

— არა, ძამია, გალობა თურმე შენი საქმე ყოფილა და შენ ვინლა შეგეცილება! პორფილე, ხუმრობა გაშვებით და, მეტად მშვენიერი ხმა და ფრიად მუსიკალური სმენა გქონია. მოდი, ბიჭო, და მაგ კრუსუნის მაგიერ გუშინდებურად ჩაიმღერე, — ეხვეწებიან სიცილით ამხანაგები.

— მოიცათ, მოიცათ, თქვე წყეულებო... ოხ, ოხ, ოხ... ჯერ ცოტა გამიაროს ამ ტკივილებმა... უხ! — კვნესის პორფილე და საბანქვეშ ხელების ფათურს უმატებს.

შუადღე რომ მოახლოვდა, პორფილეს ტკივილები დაუყუჩდა, შეჭმუხნული სახე გაეშალა, თვალებ-აგიზგიზებულმა საწოლქვეშიდან დამალული ფანდური გამოათრია და ნელა მოჰყვა: „კურდღელმა სთქვა, ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“... ამ სიმღერის შემდეგ პორფილემ იმავ ხმაზე რუსული ეკლესიის საგალობელი მიაყოლა: „ო ო ო ტჩე ნა ააა შ... ი ჟ ე ე ს ი ნა... ნებე... ს ა ა ხ“... ჩახლეჩილი ხმით გააბა პორფილემ, და საავადმყოფოში ხარხარი ატყდა. სიხარული კრთის პორ-

[1] გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 12, 1938 წ.

ფილეს ხმაში. უზრუნველობა და ოხუნჯობა იხატება მის გაბმულ ზუ-ზუნში. ფეხები აღარა სტკივა. თანაც ესიამოვნება, რომ რუსული „მამაო ჩვენო“ ისე კარგად შეუფარდა ხალხურ კილოს. პორფილეს თითქოს მურს იძიებს: ეს ის „მამაო ჩვენოა“, რომლის გალობის დროსაც ყველასთან ერთად მასაც მუხლი უნდა მოედრიკა და რაკი მუხლები ძალიან სტკიოდა, ლოცვის მაგივრად გამწარებული გულში იგინებოდა.

— ვაშა! — იძახიან ავადმყოფები და გულიანად ხარხარებენ.

ამ დროს კარი გაიღო და ზედამხედველი ცოფიანივით შემოიჭრა.

— ეს რა ამბავია! საავადმყოფოა თუ შეითან-ბაზარი? სიწყნარე, თორემ ახლავე ინსპექტორს მოვახსენებ!..

პორფილეს საწოლქვეშ ფანდურმა გაიხმაურა.

— აჰა! შენ აქაც არ ისვენებ?.. ერთი საათის წინ თითქოს კვდებოდი და ახლა აქაურობას იკლებ?.. აბა ეგ საკრავი მიბოძე!

ზედამხედველი პორფილეს საწოლთან მიიჭრა. პორფილე მოიკუნტა და მარცხენა მხრით ლეიბს მაგრა დააწვა. ლეიბს ქვეშ უყდო წიგნი იდო.

პორფილე გაიტვრინა, მაგრამ როდესაც ზედამხედველი დაემუქრა, ჭკუით იყავით, თორემ თქვენი საქმე ისედაც კარგად არ არისო, მან ხმა აღიმაღლა:

— მე არაფერი იმისთანა არ ჩამიდენია, რაც მიუტევებელ ცოდვად ჩამითვალეთ. ტკივილებმა სული შემიწუხეს და სიმღერით მინდოდა თავდავიწყება. არ გაგიგონიათ...

— კმარა, თავი ნუ აგიგდიათ! კარგად იცოდეთ, ამას თავის დღეში თვალით ვერ ნახავთ, — გააწყვეტინა სიტყვა ზედამხედველმა და ფანდურით ხელში კარებისაკენ გაემართა.

— აი, გაგისკდეს თავი! მაგ მამაძაღლმა რა დროს მოგვასწრო!

— ნეტა ამ დროს რა ესაქმებოდა, თუ მოჩენილი არ არის... ოხ, მაგისი!.. — გულიანად აგინებენ ზედამხედველს და ოხუნჯობას და სიცილს ჩუმად მაინც განაგრძობენ.

პორფილეს კი წაუხდა გუნება. ფანდური მოსტაცეს და დაბეზღებასაც დაემუქრნენ.

— ოხ, ამათი რჯული დაიქცეს, ამათი!.. ვის ხელში ვართ და რას გვიშვრებიან?! ნეტა მალე დადგეს ის დრო, რომ ჩუდეცკის ჯავრი ამოვიყარო... ყველას მაგივრად ცეცხლს მე გავუჩენ გულში, გახურებულ შამფურებით დავთხრი ბინძურ თვალებს, ცულით გავუპობ ბოროტ თავს... საზიზღარო, ქვემძრომო, გველო!

კბილებს აკრაჭუნებს სიბრაზით, მოუსვენრად ტრიალებს, მახეში გაბმული მხეცივით შფოთავს პორფილე.

ამხანაგებიც მიუხვდნენ გამწარებას. მათაც იციან მისი ასეთი აღელვების მიზეზი და გაინაბნენ.

საღამომდე იბორგა პორფილემ და როცა ლამფები აანთეს, თჯალები დახუჭა და გაინაბა. ერთადერთ მანუგეშებელ განძად პორფილეს ჩერ-

ნიშევსკის წიგნი ეგულება, ლეიბქვეშ დამალული, და დროს ატარებს. ის ყველაფერს დაავიწყებს.

საღამოზე სიცხის გაზომა არ მოისურვა განრისხებულმა პორფილემ. არც ჩაი დალია და არც წამალი წაისვა, რომ ყველაფერი მალე გათავებულიყო და ფერშალი და მომვლელი ადრე მოეცილებინა თავიდან. მან თავი მოიმძინარა და მთელი საავადმყოფოც მალე დადუმდა.

პორფილე ზოგჯერ ქურდულად შეხედავს ლამფის შუქს, თან ხელის გულს დააცქერდება, — კარგად ვხედავ ხაზებს თუ არაო, და ისევ გაინაბება.

ორი-სამი საათის შემდეგ კარების ჭრიალი და ფეხის ხმაური შესწყდა გარშემო. მხოლოდ ეზოდან მოისმის ვილაცის სტვენა. ხან რაღაც გაიწკრიალებს... ჰო, ეს, ალბათ, მზარეული ქვაბებს ხეხავს და ხვალისათვის ჭურჭელს ამზადებს...

ცოტა კიდევ და მალე მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა.

აგერ, ქვემოთა რიგზე ჩიხლაძის ცხვირმა ისეთი სტვენა გააბა, თითქოს შოშია დანგრეულ ციხეზე გალობსო. პორფილეს გვერდით ბარათაშვილმა მშვიდობიანი ფშვინვა ამოუშვა და მისი ლამაზი სახე ლამფის მკრთალ შუქზე თვალ-დახუჭულ ქანდაკებას დაემსგავსა.

ახლა კი სძინავს ყველას. პორფილეს მოუთმენლობა აღრჩობს. უნდა კითხვას დაეწაფოს, მაგრამ იცის, რომ ბეცი ინსპექტორი ღამის პირველ საათზე ჩამოუვლის სემინარიელთა საწოლებს... შემდეგ საავადმყოფოსაც ინახულებს. პორფილე გულის ფანცქალით ელის ამ დარბაზობის გადასვლას.

აგერ სადარბაზო დერეფანში საათმა თორმეტი ჩამოჰკრა. არ გასულა 25 წუთი, რომ ინსპექტორის ფეხსაცმელის ჭრაჭუნი გაისმა. პორფილემ თვალები დახუჭა და კედლისკენ გადაბრუნდა.

ინსპექტორმა დემურჩოლლიმ საავადმყოფო ხუთი წუთით დაათვალიერა, საწოლქვეშაც შეიხედა და უკანვე გატრიალდა.

მადლობა ღმერთს!.. გათავდა ზვერვა...

თხუთმეტი მოუსვენარი წუთი კიდევ სიფრთხილეს შესწირა და მერე საყვარელ წიგნს ეკვეთა.

ფურცლები ფრთხილად აშრიალდნენ. „რა ვაკეთოთ“, ეწერა სათაურად ჩერნიშევსკის რომანს.

„რა და ჩუდეცკი ჩავაძაღლოთ“, — ასეთი პასუხი გასცა თვალებს პორფილეს აღელვებულმა გულმა. რამდენიმე ფურცელი რაღაც მოუსვენარი გრძნობით გადაიკითხა და მერე, თავდავიწყებულს, შიში და კრთომა მთლად დაავიწყდა. ხანი გადასული იყო და საავადმყოფოში ისე უდროოდ რევიზიას აღარ მოელოდა...

სტრიქონები შავ ზოლებად დაჰქრიან პორფილეს თვალწინ, გული სძგერს ახალგაზრდული აღტაცებით და რა იცის მან, რომ კარების მრგვალ საჭვრეტიდან ინსპექტორის ელამი თვალები სიზმრად მოლანდებულ საშინელებად იცქირებიან.

კითხულობს პორფილე, ფურცელს ფურცელზე აშრიალებს...

უცებ კარმა დაიჭრიალა, ზათქით გაიღო იგი და მოჩვენებასავით ულხმოდ ასვეტილმა სტეპანოვმა შორიდანვე მრისხანედ დაუწყო მზერა.

კარების გაღებაზე პორფილე თავით ფეხებამდე ისე შეირხა, თითქოს ელექტრო-დენმა დაჰკრაო. წიგნი სწრაფად ბალიშქვეშ ამოსდო და ზედ დააწვა.

სტეპანოვი ისე მივიდა გაშტერებული პორფილეს საწოლთან, რომ თვალი არ დაუხამხამებია.

პორფილემაც თვალი თვალში გაუყარა.

— ძილი გაგიფრთხათ, ავადმყოფო? ამ დროს წიგნი მართლა რომ საუკეთესო მეგობარი და გამრთველია, — ჩუმად, მაგრამ გესლიანად მიმართა ინსპექტორმა. — თანაც თუ კარგი წიგნია... აბა მაჩვენეთ, რასა ჰკითხულობთ?!

პორფილე არ იძვრის. ინსპექტორს თვალს არ აშორებს.

— თქვენი ავადმყოფი ამხანაგების ხათრი მაინც შეინახეთ და ხმამაღლა ნუ ამალაპარაკებთ: მაჩვენეთ, რას კითხულობთ, გესმით? — მიმართავს კვლავ ინსპექტორი.

ამხანაგთა ხსენებაზე პორფილემ ბალიშქვეშ ხელი შეაცურა და წიგნი ისე გაუწოდა, წუთით თვალი არ მოუშორებია.

— ა.. აა, ჩერნიშევსკი?! — დამცინავი ღიმილით წამოიძახა მან, როცა წიგნის სათაურს დახედა. რამდენიმე გვერდი გადაფურცლა და კისერ-გადაგდებულმა ირონიულად დაურთო: — ეხლა შეგიძლიანთ დილამდე მშვიდობიანად იძინოთ.

ინსპექტორმა წიგნი დაკეცა, იღლიაში ამოიდო და ამ ნადავლით კარებისაკენ გატრიალდა.

პორფილემ კარგად იცოდა, რომ ეს უკანასკნელი შემჩნევა იყო, უსათუოდ გამორიცხავდნენ სასწავლებლიდან, მაგრამ გადასწყვიტა, დათმობაზე არ წასულიყო. მთელი ღამის განმავლობაში საშინლად ებრძოდა როგორც ფიზიკურ ტკივილებს, ისე გულზე შემოწოლილ ბოღმას და ბრაზს.

მეორე დღეს პორფილეს სიცხე ჰქონდა, გაბრუებული თავი ბალიშზე ფუთიანივით ედო და ხმას არ იღებდა.

სემინარიაში კი უკვე ყველამ იცოდა, რომ დემურჩოღლიმ გაუჩხრეკავი საავადმყოფოც არ დასტოვა და რომ პორფილე წინანდელი ცოდვებისა და ახლა ჩერნიშევსკის წიგნის გულისთვის სემინარიიდან გააძევეს.

ამაზე პირველ დღეს სიცხიანს არაფერი უთხრეს, ხოლო მეორე დღეს ინსპექტორი ხელების ფშვნეტით ისევ თავს წაადგა და უკმეხი კილოთი განუცხადა:

— თქვენ სემინარიიდან დათხოვნილი ხართ, შეგიძლიანთ ტანთ ჩაიცვათ და სახლში წახვიდეთ...

ავადმყოფს სახეზე ალმურმა გადაჰკრა.

— რაო, წავიდე?! ავადმყოფი სად უნდა წავიდე?!

ახლა გაბედულად შეუტია მან და თვალები საშინლად გადმოუტრიალა.

— როგორ არა გრცხვენიათ თქვენი სიტყვებისა: კაცს რომ საკუდილით დასჯა ჰქონდეს გამოტანილი, თუ ის ავად არის, ჯერ შეარჩენენ და მერე წაიყვანენ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. განა ეს მე უნდა გასწავლოთ თქვენ, წმინდა მამებს? ან მე რა დავაშავე ისეთი, რომ სასწრაფოდ გაძევება დაგიდგენიათ და ავადმყოფს ეხლა ძალლივით გარეთ მაგდებთ. უკაცრავად... მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ კარგად არ მოვრჩები და თუ გსურთ, ძალით გამათრიეთ!

პორფილემ საბანი წაიხურა, ინსპექტორს ზურგი შეაქცია და მეორე მხარეზე გადაბრუნდა.

სიტყვა აღარავის არ დაუძრავს. ინსპექტორი ისე სწრაფად გატრიალდა, ვითომ არაფერი არ გაუგონიაო.

ჯაშუშის დასჯა

პორფილეს გამოგდების ამბავი მთელ სემინარიას მოედო. ახალგაზრდები საშინლად გაბრაზდნენ, როდესაც გაიგეს, დაავადებული და სიცხიანი ავადმყოფი გარეთ უნდა გააგდონო.

პორფილეს მართლაც მოსდიოდა ყოველდღე ბრძანება — ჩქარა შენი გუდა-ნაბადი ბიკრიფე და წადიო.

პორფილესთან ერთად მიხა ცხაკაიაზე და ბართლომე მოსეშვილზე ამბობდნენ, რომ ამათი საკითხიც გადაწყვეტილიაო; აჩოჩქოლდა ახალგაზრდობა, ისე აღელდა, რომ აღარავის აღარ ერიდებოდა.

— გესმის, ბართლომე... გესმის, ამაღამ იმ საზიზღარ ჩუდეცკის ჯაშუშს კაი ამბავი უნდა დავაწიოთ, თორემ ახლა ის არის მოჩენილი, შემპარავი ძაღლივით უჩუმრად დაძრწის და ცნობებს კრეფს.

— ჰო, ჰო... მხოლოდ ისე კი უნდა მოვუწყოთ საქმე, რომ არც ერთი ადამიანი ხელში არ ჩავუგდოთ, თორემ მეორე დღესვე პორფილესავით ქუჩაში გაუძახებენ.

სემინარიელები ისევ თავიანთ პატარა ბაღში ისხდნენ და ჩუმად ბჭობდნენ.

— ჩემის აზრით, ნიკოს პროექტი შესანიშნავია, ის ყველას აჯობებს. ეგ ბინძური მამაძაღლი პირველ პალატიდან მეორეში რომ გამოვა, მეორიდან მესამეში, მესამიდან მეოთხეში და ასე შემდეგ, — ზურგს უკან რიგრიგად ყველა პალატაში ლამფები უნდა ჩავუქროთ; გაჩაღებულ ოთახში შესული ვერაფერს ვერ შეამჩნევს, სანამ უკან არ დაბრუნდება. მერე ზურგს რომ იბრუნებს, ის ერთადერთი გაჩაღებული ოთახიც ჩაბნელდება, და აბა მაშინ ვეკვეთოთ.

— მერე და ყველანი გაფრთხილებული არიან? ის ვაჟბატონი სადღა იქნება? იმას ხომ ვერაფერს ვეტყვით, სულ ერთია, გაგვცემს...

— აი, სწორედ დღევანდელი დღით იმიტომ გვინდა ვისარგებლოთ, რომ ის გუშინ ჩუდეცკიმ ავად გახადა და საავადმყოფოში გასწერეს, ალბათ, დაავალეს, პორფილეს კარგად მოუარეო, — სთქვა ბრაზმორეულით მესამემ და გვერდზე გააფურთხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ბიჭებო, ლამფები რომ ჩაქრება, ისეთი სტვენა უნდა ავტეხოთ, რომ შიშის ზარი დავცეთ თავს.

— შიშის ზარი რა არი... აი ამ დაძარღვულ მუშტს ურისავით თავზე რომ დავუშვებ, მგონი, დაბადების დღე დავაწყევლინო, მაგ შეჩვენებულს მაგასა...

— ჰა, ბიჭო, ფრთხილად იყავი, ისეთ ადგილას არ მოახვედრო, რომ შემოგაკვდეს...

— ნუ გეშინიან, ჩვენ ხელთ არ იქნება? ჯერ ნიადაგს მოვსინჯავ და მერე მე ვიცი...

— ისე ვაბურთაო, ისე ვახტუნო, როგორც გაბერილი ტიკჭორა.

ამხანაგებმა ცოტა კიდევ ითათბირეს და შემდეგ კლასებისაკენ გაემართნენ.

უკვე ჩამოღამდა. ჩაის დალევის დროს სასადილოში მეტის-მეტი სიწყნარე იყო. მარტო კოვზების წკრიალი და ზოგჯერ სკამების რახუნი ისმოდა. ყველა თავის ფინჯანს ჩასცქეროდა, საერთო დაღვრემილება სუფევდა.

ეს გარემოება ფხიზელი ადმინისტრაციის თვალში აუცილებლივ ეჭვს დაბადებდა, მაგრამ სტეპანოვმა ეს დაღონება გამორიცხული ამხანაგების თანაგრძნობას და საერთო შიშს მიაწერა. ამ ზომის მიღებამ მას გულში სიამოვნება აღუძრა.

„ათეულების გაწირვა მრავალთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი წამალი ყოფილა და ამას ტყუილად ვერიდებოდით“, — ფიქრობს სტეპანოვი და უკან ხელებ-შემოწყობილი აივანზე ბოლთასა სცემს ნასიამოვნები.

მოწაფეები კი ჩაის შემდეგ კლასებში საღამოს მეცადინეობას ისევ წყნარად განაგრძობდნენ, დაძინების დროსაც საწოლ პალატებისაკენ მშვიდად გაემართნენ და თერთმეტ საათზე სემინარია დუმილმა მოიცვა.

თორმეტის ათი წუთი იყო, როცა უცებ საშინელი ქარი ამოვარდა. არახუნდნენ დაუკეტავი დარაბები, აწკრიალდნენ თუნუქით დახურული სახლების ძველი სახურავები, აზუზუნდნენ ტელეგრაფის ბოძები და ქუჩაშიც მალე შესწყდა ხშირი ნაბიჯის ბაკი-ბუკი.

სემინარიის საწოლ ოთახებში სიწყნარეა. დაბალ ხმაზე გამოლაპარაკებაც კი აღარ ისმის.

მაგრამ ძილი არავის თვალს არ ეკარება. ემზადებიან და გული მოუსვენრად უღელავთ.

თორმეტი საათი შესრულდა, პირველიც მალე წამოეწია, მაგრამ ჯაშუში ზედამხედველი ჯერ არსადა სჩანს. ზოგს ძილი მოერია, თვალებს ლულავს, მაგრამ დაძინებით კი არავინ იძინებს.

ელიან, მოუთმენლად ელიან... აჰა, აგერ პირველმა საათმა დაჰკრა და ქვემოთ, დერეფნის ღია კარებთან, აჩრდილივით უხმოდ ვილაცამ ჩაიარა.

„ხ-ხ-ხ...“ — ახრიალდა პირველი კლასის მოწაფე ცხომელიძე, ვითომ გულიანად ხვრინავს, მაგრამ ეს ნიშანი იყო: ავი სული ჰორიზონტზე გამოჩნდაო, და ყველამ ყურები ცქვიტა.

მეორე საწოლში სამჯერ ვილაცამ წამოახველა და ყველამ უკვე გაიგო, რომ დაზვერვის ჟამი მოახლოებული იყო.

ჯაშუშმა ზედამხედველმაც ბევრი ალარ დააყოვნა და შემობრძანდა.

დანგრეული საბძელივით უშნოდ წამომჯდარი ცხვირი საშინელ მკაცრ გამომეტყველებას აძლევს მის ყიზილბაშურ სახეს. ფართოდ გამოზნექილი დიდი შუბლი და დედაბრისებურად მოკაკული ნიკაპი რაღაც მტაცებელ ფრინველს ამსგავსებს.

მოდის ფრთხილად, ფეხაკრეფით, ალბათ, იმიტომ, რომ პირველი ტკბილი ძილი არ დაუფრთხოს სემინარიელთ. ხელები უკან შემოუწყვია და შუბლქვემოდან აქეთ-იქით მრისხანედ იბღვირება.

გარეთ ქარი გრიალებს, აქ-კი ისეთი სიწყნარეა, რომ ზოგიერთი მოწაფის მშვიდი ფშვინვა ისმის.

„ვითომ ყველას სძინავს? ჰმ... ვიცი, განა არ ვიცი, რომ ზოგს არა სძინავს, მაგრამ გატვრემილია და ჩუმად გდია... ალბათ, სასტიკმა ზომებმა დააცხუნეს და თასმასავით მორბილებულნი არიან“,—ფიქრობს თავისთვის ზედამხედველი.

აგერ სულ ქვემო პალატაში, სადაც მეექვსე კლასელები იწვნენ, რაღაცამ დაიშრიალა...

ზედამხედველმა ყურები ცქვიტა და ნაბიჯი ააჩქარა: აჰა, ალბათ, დაიჭერს. ესეც, ცხადია, აკრძალული ლიტერატურა იქნება...

ზედამხედველმა განვლო ყველა ოთახი და უკანასკნელი ოთახის კუთხეს რომ შეუარა, მის ზურგს უკან ყველა საწოლ ოთახში სიბნელე გამეფდა.

ჯაშუშ ალმზრდელს ახლა განვლილ ოთახებიდან რაღაც სისინის მსგავსი ხმა მოესმა და შესდგა.

— ძა..ღ..ლო!.. ჯაშუშო!..—გაისმა სიბნელეში მრავალთა ჩურჩული, და თავში სისხლმა აჰკრა.

მან უკვე იგრძნო, რომ იმ ღამეს რაღაც ხიფათს გადაეკიდებოდა, მაგრამ მაინც მედგრად, შეუპოვრად წამოიძახა:

— ეს რა ამბავია, ვინა ჰქნა ეს?! ვინა ხუმრობს აგრე მხეცურად?..

ხმა აუმაღლა ზედამხედველმა და ნათელი ოთახიდან გასავლისაკენ რომ პირი შემოიბრუნა, უმალ იქაც სინათლე ჩააქრეს და საშინელი სიბნელე დამყარდა.

— არიქა, ბიჭებო, არ გაუშვათ ეგ საზიზღარი!..

შეცვლილი ხმით დაიწრიპინეს აქეთ-იქიდან და გაქცეულისაკენ ჯანტა-პუნტით წავიდა ბალიშები.

— დაიჭით, ეგ ძაღლი, და მახინჯ ცხვირში ერთი მწარედ შეუბოლეთ! — გუგუნებდნენ აქეთ-იქიდან უცხო ხმაზე.

მალე იატაკზე მრავალი ფეხი რბილად ატყაპუნდა: ახლა კი ეცნენ. სერთუკის კალთებში ხელი წაავლეს და ნაკლული ტიკივით დააჯანჯღარეს. ხმას არავინ არ იღებს, ბატებივით სისინებენ.

— ძაღლო, გამცემო, საზიზღარო!

— რამდენი ვერცხლი მიიღე, იუდა, მოძმეთა გაყიდვისათვის?!

— ფუი, ფუი, ფუი!.. — აფურთხებენ სახეში.

— ჩამოდექით, ჩამოდექით-მეთქი! თქვენ რა იცით, მაგას რაც ეკუთვნის! — ხავის ვილაცის ხმა და მუჯლუგუნით ამხანაგებს მიერეკება.

წუთიც და, თითქოს ნარინჯის ჯოხი გადატეხესო, სიბნელეში მშრალი ტკაცუნი გაისმა. ზედამხედველს ყურმა საშინლად გასწივლა, მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდა, იმავე ღონიერმა მკლავმა თავისკენ ზურგით შეატრიალა და ისეთი მაგარი წიხლი ამოჰკრა, რომ კინალამ გონება დააკარგვინა.

— აი, შე ძაღლო, კიდევ გაბედავ აქ შემოსვლას? — ვილაც ყურში ჩასჩურჩულებს ცოფ-მორეულივით.

— უნამუსო, გარყვნილო!.. ბინძურ გულს კეტით შეგინგრევთ, თუ კიდევ გაბედე რამე.

— ჩამოეცალეთ, გაეთრიოს აქედან!

— გასწი იუდა, სულით მახინჯო!..

— ვაი შენ ტყავს, თუ კრინტი ამოგიღია.

— მაგ ბინძურ მუცელში ჩაიგდე ეგ გესლიანი ენა, თორემ დაგაღრჩობ, შე მამაძაღლო, შენა! — ვილაცამ სულ ახლო დააკრაჭუნა კბილები და ცალი ხელით ყანყრატოში ეძგერა.

— ეხლა ეყოფა, გაუშვით, მერე თუ გაბედა რამე... დედას ვუტირებთ!

აქეთ-იქიდან მიესივნენ ზედამხედველს, რამდენჯერმე მოატრიალეს, თან ხელები დაუჭირეს, უკანიდან სათითაოდ ჭიტლაყი ამოჰკრეს და საერთო სისინით გასავალ კარებს მიაყენეს. შემდეგ თვალებზე პირსახოცი ააფარეს, რომ გაღებულ კარებიდან შემოჭრილ ლამფის შუქზე არავინ არ დაენახა, კარი ფართოდ გააღეს, ხელი ჰკრეს და გამოაგდეს. მის ზურგს უკან კარი ისევ მაგრა ჩაჰკეტეს, უცებ ასანთები ააციალეს, ხელად ლამფები აანთეს, ლოგინები გაასწორეს, სწრაფად ჩაწვნენ და სული განაბეს.

გასავალ კარებთან მწოლარე ერთ-ერთმა მოსწავლემ კარი ისევ გააღო, როგორც ფრინველი ბუდეში, სწრაფად ჩავარდა საწოლში და სული იტვრინა. ყველანი გულის ფანცქალით ელოდნენ განრისხებულ ადმინისტრაციას, მაგრამ ჯერჯერობით არავინ სჩანდა.

თავზარდაცემული ზედამხედველი იატაკიდან ძლივს წამოდგა, ფურთხით დასველებულ სახეზე ხელი მიისვ-მოისვა და ქვემოთ, კიბისკენ, დაქანდა, პალტო ჩაიცვა და ისე გაიპარა, რომ დარაჯსაც არ გაუგია.

ქარი ეხლა უფრო მწარედ სისინებდა და თონესავით ალეწილ სახეს უგრილებდა...

კარიერის გაკეთება ძალიან ძვირად დაუჯდა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ შურსაც ველარ იძიებდა. ან ვინ უნდა გაეცა, რომ ყველა ერთად იყო, ყველას ერთი პირი ჰქონდა და ერთნაირად მოქმედებდა.

„უ...უ... ჯაშუშო, ძაღლო... იუდა... გამყიდველო...“ — ეს სისინი და კბილთა ღრჭენა უკან მისდევს და ცოფით ავსებს მის სულსა და გულს.

ო-ო-ო... წყეულიმც იყოს ის წუთი და ჟამი, როდესაც მან სემინარიაში ადგილი მიიღო. წყეულიმც იყოს ის დრო, როდესაც მან აკადემიის ნიშანი გულზე მიიკრა...

რისთვის? რისთვის? განა ამგვარი დამცირებისთვის?

დეკანოზის გალახვა

სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ პორფილემ ერთ კვირამდე საავადმყოფოში დაჰყო, მაგრამ რაკი მისი რჩენა და მასზე ზრუნვა ამხანაგებს უხდებოდათ, ამასთან ერთად, რაკი ადმინისტრაციასაც შეეძლო ძალა ეხმარა და საავადმყოფოდან გაედევნა, — იგი მეშვიდე დღეს ადგა, თავისი პატარა ბოღჩა გამოჰკრა და გაემზადა. ბოღმა უკვე დადუღებული ჰქონდა, გეგმებიც დაელაგებინა და გარეგნულად სახეზე თითქოს სრული სიმშვიდე ეხატებოდა.

დილით კაშკაშა მზე ამოვიდა. მოკრიალებულმა ცამ ტფილისს უფრო მხიარული სახე მისცა და ხალხიც მეტის ხალისით აამოძრავა.

სემინარიის თეთრმა კედლებმა გაცინებულივით გამოაშუქეს, და პორფილეს ამ შუქმა და ხალისიანმა მოძრაობამ ისევ გაუღვიძა გულში ღრმა სევდა, ისევ აუვსო სული შფოთით.

დღეს წავა. სემინარიას სამუდამოდ მოშორდება. ცხოვრების თავ-გზა აერევა. მერე სოფლად ღარიბი სახლი. წვრილი და-ძმები და დედის ლმობიერებით და სიყვარულით ალსავსე საყვედური...

ნეტავი დედამ ისეთი თვალებით მაინც არ შეხედოს, რომელიც მას ისე უყვარს და ამავე დროს გულს ტანჯვით უვსებს.

მაშ სად წავიდეს? ვის გაუხსნას გული, ვინ მიხვდება, ვინ გაუგებს, რომ იგი მართალია?

სოფლად ყველა დასცინებს, მასხარად აიგდებს, რომ კეთილ ცხოვრებას ვერ შეეგუა, რომ ღარიბი მღვდლის შვილი სემინარიაში მშვენივრად იყო მოწყობილი... არც სახლის ქირა, არც სმა-ჭამა, არც წიგნებისა და სწავლის გადასახადი....

იყო თავისთვის, სახელმწიფო დოვლათით ყელამდე ავსებული. რამდენიმე წლის შემდეგ ანაფორასაც დაულოცავდნენ და სიკვდილამდე

მზად იყო უზრუნველი ცხოვრება. პორფილემ კი ეს ყველაფერი ერთი ხელის წაკვრით დაამსხვრია, თავის ბედს წიხლი ჩასცხო. ვინ დაუჯდებოდა გულგრილად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაყვედრი ლუკმა კი ისე მწარეა, როგორც შხამი.

— დეე, უარესად გავმწარდე... თურმე ცხოვრება უამისოდ არ შეიძლება. მაგრამ აქედან ისე არ წავალ, რომ სახსოვრად ერთი მაგარი გამწარება იმასაც არ ვაგემო.

სწორედ ამ დროს ზედამხედველი შევიდა.

პორფილეს სახეზე სისხლი მოაწვა, ყელის ძარღვები დაებერა, გულმა მძლავრად შემოჰკრა. საწოლს მსუბუქად მიეყუდა.

— დღეს მიდიხართ? მადლობა ღმერთს! ასე სჯობია, ჩემო ძმაო. ან კი სად გაექცევი მთავრობის გადაწყვეტილებას? სხვა არა იყოს რა, პოლიციით გაგაძევებდნენ და სირცხვილი იყო.

ზედამხედველმა ამ სიტყვებით ჩაუარა, ოლონდ ზედ არ შეუხედავს. გესლიანად იღიმებოდა.

პორფილესაც თავი მაღლა არ აუწევია, არც ხმა გაუცია. პატარა გამოკრული ბოღჩა იყო მისი პასუხი: ბრაზმორეულმა ბოღჩას მოუთმენლად ხელი დაავლო და სხვა ადგილზე დააგდო.

ამ დროს საათმა თერთმეტის ნახევარი ჩამოჰკრა. ცოტა კიდევ და მეორე გაკვეთილიც გათავდება, მერე მესამე დაიწყება და პორფილეც მზად უნდა იყოს.

— პორფილე, ბიძაშენმა რატო ეგრე დაიგვიანა? აკი ათი საათისათვის უნდა მოსულიყო?!

— თუ მომიგვიანდეს, თორმეტის ნახევრამდე მიცადეო, — ყრუდ გამოელაპარაკა პორფილე ამხანაგს, რომელიც მესამე საწოლზე იწვა და სახეგაყვითლებული თანაგრძნობით შესცქეროდა პორფილეს.

წუთები კი მიდიან. პორფილე საათს დააცქერდა. მღელვარება ერევა. თავბრუ ესხმის, ზოგჯერ გულიც ერევა, მაგრამ გარეგნულად ძალიან მშვიდად ზის...

ზარი დაირეკა. პორფილეს გულში შუბის წვეტივით რაღაცამ უჩხვლიტა.

ზეზე წამოდგა, ბოღჩას ხელი დაავლო და ავადმყოფებს გადახედა.

— მიდიხარ, პორფილე?

— აბა, ყოჩაღად იყავ, გულ ნუ გაიტეხ და ცხოვრების ლელოს მაშინ გაიტან.

— ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა. აი, დედასა, მეხივით უნდა იყო, პორფილე, მეხივით და ყველაფერს მაშინ დასძლევ.

ავადმყოფებმა თავები წამოჰყვეს, ბალიშებზე დაეყრდნენ. სახეში მისჩერებიან ამხანაგს და ღრმა თანაგრძნობით აცილებენ.

პორფილემ ამხანაგებს თავი დაუკრა.

— მშვიდობით, — საშინელი ხმით ძლივს წაილუღლუღა და ბოღჩაკვიატებულმა კარი მაგრა გაიკეტა.

ზარის დარეკამდე ოცი წუთიღა აკლდა. პორფილემ ივარაუდა: გაკვეთილისათვის ზარი რომ დაირეკება, ჩუდეცკი ბნელი კიბით მესამე სართულისაკენ გაემართება. მანამდის კი ის თავის ადგილზე უნდა იყოს.

პორფილემ სუფთა ჰაერი ხარბად შეისუნთქა, აქეთ-იქით სწრაფად გაიხედ-გამოიხედა და მიხვეულ-მოხვეულ ბნელ კიბისაკენ გაქანდა. კუნჭულში მიდგა და ლოდინი დაიწყო.

ზარი რომ დაირეკა, პორფილეს მღელვარებით ხელ-ფეხი მთლად გაუცივდა.

როცა მეორე სართულის კიბის ჭრიალი და ფეხის ბაკუნი შემოესმა, პორფილე კატასავით აიძაგრა, მუშტები თავისთავად შეეკუმშა, ზურგით კედელს მიეკრა და ელის, მოუთმენლად ელის.

კიბის ჭრაჭუნი კი ახლოვდება და ახლოვდება.

პორფილეს გულის ცემამაც ისე იმატა, რომ ლამის არის, გული საგულედან გადმოუვარდეს...

აგერ, ფარჩის ანაფორამ სულ ახლოს, პორფილეს ყურთან დაიშრიალა, და ის იყო დეკანოზი მესამე სართულის კიბეს უნდა შესდგომოდა, რომ პორფილემ ვეფხვივით ნახტომი გააკეთა და ეძგერა.

ასტყდა ხელჩართული ბრძოლა. პორფილეს ხელი ურიოსავით მაგრა სცემს დეკანოზს თავსა და პირში.

რამდენიმე წიხლი გვერდშიაც ჩაჰკრა, როდესაც ჩუდეცკიმ თავის დაცვა სცადა, პორფილე თმასა და წვერში ეძგერა და გაბუძგული მატყლივით დაუწყო ჩეჩვა და გლეჯა.

დეკანოზმა დასაკლავი მოზვერივით დაიღმუვლა და კვლავ სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ცხრამეტი წლის ვაჟკაცის ძალამ დეკანოზს მალე ხმა ჩაუკმინდა. დიდოური ნაბადივით მაგრა რომ მოთელა და გული იჯერა, წიხლი ამოჰკრა და მთლად მომჩვარებული რექტორი მატყლის ტომარასავით ზევიდან ქვემოთ ჩააგორა.

დაღლილ-დაქანცულ, სიბრაზით გამწარებულ პორფილეს სახე შეშლილს მიუგავდა.

დეკანოზის უცნაური ღმუილი ყველაზე ადრე დარაჯის ყურს შეესმა. ხოლო ძირს დაგორებული დეკანოზი რომ დაინახა, მისაშველებლად გაქანდა.

ახლა სხვებმაც დაინახეს — ყველა იქით გაეშურა და ასტყდა საშინელი ჩოჩქოლი და დავიდარაბა.

ხალხი მოგროვდა. მალე პოლიციაც გაჩნდა და დამნაშავე მოიკითხეს.

პორფილე ისევ საავადმყოფოში შესულიყო და იქ ელოდა.

როცა პოლიციელნი საავადმყოფოში შეცვივდნენ, პორფილე ფეხზე წამოიჭრა და თითქოს დამშვიდებული კილოთი მიმართა:

— ეს მე გახლავართ... შეგიძლიანთ წამიყვანოთ.

— აი, შე ყაჩაღო, შე ავაზაკო! — გაისმა ვილაცის ხმა დერეფანში.

— პირველ ბოძზე ძაღლივით უნდა ჩამოიკიდოს! — მრისხანედ გამოეპასუხა მეორე.

— აბა, წამოდი!.. — მიმართა ერთ-ერთმა პოლიციელმა და კარებისაკენ თვალით უჩვენა.

წელში გასწორებული პორფილე ისე ყოჩაღად გაემართა, რომ ცოცფეხების ტკივილს და არც სისუსტეს გრძნობდა. ხელები კი ისე უხურდა, თითქოს ცეცხლზე მიუფიცხებიაო.

ღვარძლიანი უსტარი

მეორე დღეს, როცა ყველანი კლასებში ისხდნენ და გაკვეთილებს ამზადებდნენ, იოსებ ლალიაშვილი უკანა პარტაზე იჯდა და გადაშლილ წიგნს მუყაითად ჩასცქეროდა.

კლასში საერთო გუგუნი იდგა. იოსები თავით იდაყვს დაყრდნობოდა, მარჯვენა ხელით წიგნს ფურცლავდა და თან ქვეშ-ქვეშ იცქირებოდა.

პარტების წინ ზედამხედველი ცალკე მაგიდასთან იჯდა და ისიც წიგნს ჩასჩერებოდა. მხოლოდ დროგამოშვებით ასწევდა თავს მაღლა და მაშინ მისი თვალები სწრაფად დარბოდნენ კუთხიდან კუთხემდე.

იოსებმა კალამი მოიმარჯვა, პარტიდან რამდენიმე რვეული ამოიღო და ერთი, უფრო სქელი, გადაშალა. მერე, რა დარწმუნდა, რომ ზედამხედველი ისევ წიგნს ჩასციებოდა, რვეულის დაწერილ გვერდს სხვა რვეულები დააფარა და მეორეზე კალამი ოდნავ ააწრიპინა:

„ინსპექტორის დემურჩოლლის პირველ ჯაშუშს თინიევს არავინ არ ეკარება, ყველა ერიდება, როგორც ქეციან ძაღლს“.

იოსებს კიდევ რაღაც უნდოდა ჩაეწერა, მაგრამ წინ სკამმა გაიხმაურა, და იოსებმა მარჯვნიდან მარცხნივ თვალები გააყოლ-გამოაყოლა, ბუტბუტს მოჰყვა, ვითომ ციოხულობდა, თან რვეული შეუმჩნევლად ძირს ჩაათრია, დაკეცა და ისევ პარტაში შესდო.

ამ დროს წინა პარტიდან კოლა ხახუტაშვილმა ღიმილით თვალი ჩაუკრა. იოსები მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, ზეზე წამოიწია და ცოტა მაღალი კილოთი შეეხმაურა:

— ხახუტოვ, გომილეტიკის წიგნი შენა გაქვს? მაშ მოვალ და ერთად ვისწავლოთ.

ამით ზედამხედველს გააგებინა, რისთვის უნდა დაიძრას ადგილიდან, და რაკი ზედამხედველმა არაფერი არა სთქვა, სიჩუმე თანხმობის ნიშნად მიიღო და დაფაცურდა: წიგნები დაკეცა, პარტაში შეაწყო და ამხანაგებთან გაემართა.

ამხანაგებმა მიიწ-მოიწიეს, იოსები გვერდით მოისვეს და ვითომ მისი გულისათვის გაკვეთილის სწავლას ისევ თავიდან შეუდგნენ. წიგნი რიხიანად გადაფურცლეს, გადმოფურცლეს და იმავე ხახუტაშვილმა ხმამაღლა დუდუნი გააბა. მათ წინ მხარბეჭიანი მოწაფეები უფრო გასწორდნენ, რომ ამხანაგებს კარგად ჩამოჰფარებოდნენ, მაგრამ რაკი მაინც სი-

ფრთხილე იყო საჭირო, ხახუტაშვილმა ცოტა ხანს კიდევ იდუღუნა და მერე იოსებს მიმართა:

— აი, ბიჭო, დახე ამ ჯაგარს: ეს წვერების ბუჩქია, ეს ხეორი და წმინდა ბალნები კი თმებია.

ხახუტაშვილმა იოსებს ჩუმად აჩვენა ქაღალდში გამოხვეული თმა და ამხანაგებს სიცილი აუტყდათ.

— მართლა იმისი წვერ-ულვაშის ფერია. ვინ მოგცათ, ბიჭო, ან რად გინდათ ეგ?

— იმისია, ჰო, ჰო! გუშინ ჩოჩქოლის შემდეგ იმ ალაგას ვეძგერეთ, სადაც პორფილემ დეკანოზი გაყვლიფა, და ისე იყო იქაურობა ბალნით სავსე, თითქო ძაღლი გაუკრეჭიათო, — ხითხითებდა ჩუმად უზნაძე და თან წინა მჯდომი ამხანაგის ზურგს ეფარებოდა.

— რას ამბობ, ბიჭო, როგორც ძვირფასი განძი, ხელად წამოვკრიბე და შევინახე, — სიცილითვე განაგრძო კოლამ და ისევ წიგნს ჩააცქერდა.

— რათ გინდა, ბიჭო, სახსოვრად ხომ არ ინახავ? — ჩაეკითხა ჩუმად იოსები.

— სახსოვრად კი არა... უნდა გავუგზავნოთ... იმისი დოვლათია და რათ უნდა დაკარგოს?

ამხანაგებმა სიხარულით გადასწყვიტეს, რომ ერთი ზედმეტი მახვილი კიდევ ჩაეცათ ჩუდეცკისათვის.

ხელად კონვერტი გამოსძებნეს და მისამართი დააწერეს, ხოლო სუფთა ქაღალდი მათ წინ ორიგინალურ რედაქციას ელოდა.

უცებ ხახუტაშვილს სახეზე სიხარულის ღიმმა გადაჰკრა, მან ილიკოს ხელიდან კალამი წაგლიჯა, ერთი სტრიქონი თეთრ ქაღალდზე შავად გააჭრელა და აღტაცებულმა ამხანაგებს დემონსტრატიულად წინ დაუდო.

— აჰა, ძმაო, წაიკითხე, ამაზე კარგი რა გინდა? — სთქვა მან და სიცილისაგან ჩაბჟირდა.

„Твоя о твоих, тебе приносяще за всех и за нас".

ჩაიკითხეს ბიჭებმა და სამივე ერთად წამოწითლდა, სამივეს ცხვირთან და თვალებთან მრავალი ნაოჭი შეეკრა. ყველამ თვალები დახუჭა და ჩუმად ხითხითს მოჰყვა.

— ბიჭო, ეს რა კარგი მოიგონა ამ რჯულძაღლმა! — კვდება სიცილით ილიკო და თან ამხანაგის ზურგს ეფარება.

წინა პარტებზე მსხდომ ამხანაგებს ძალიან უნდათ მიიხედონ, მათაც ჰსურთ გაიზიარონ უკანათა მხიარულება, მაგრამ ზედამხედველი საიდანღაც მოსმენილ ფრუტუნზე თავში ჩაკრულ ბუსავით აქეთ-იქით იბღვირება. წინა პარტაზე მსხდომი ამხანაგები უფრო ძალიან იძაგრებიან, მხარ-ბეჭს ისწორებენ, რომ უკან გამხიარულებული კამპანია კარგად დაჰფარონ.

— რა კარგია, ბიჭო, რა მშვენიერია! მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ცხოვრებაში ერთხელ მაინც აზრიანად გამოვიყენებთ იმას, რითაც ტყუილ-უბრალოდ ათი წლობით თავს გვილაყებენ, — ხითხითებს იოსე-

ბი, მოფარებულ თავს სიამოვნებით იქნევს და მერე ხახუტაშვილს ეუბნება: — მედუზა, ბიჭო, ეხლა ბეჭდური ასოებით უნდა დასწერო, თორემ, ხომ იცი, ოხერი ხალხია, ნაწერს გამოიძიებენ და ერთ ცოდვას კიდევ დაატრიალებენ.

ხახუტაშვილმა სუფთა ქაღალდს ხელი დაავლო და ეს სიტყვები მძიმებივით ბეჭდურით ჩააწიკწიკა, გააშრო, შიგ კოხტად ჩააწყო დეკანოზის ბურდღები, დაკეცა და გაამზადა.

— ბიჭებო, რა კაი დროს მოუვა: დღეს და გუშინ ნაცემი ძაღლივით ეგდებოდა, ამ უსტარს ალბათ არ გადასცემენ, შეწუხდებაო, ხვალ კი უფრო ღონივრად იქნება.

— რა გულდასმით წაიკითხავს!

— ჰო-და, უყურე იმის სერის! რაც ბალნები შერჩა, სიბრაზით მგონი ისინიც მთლად დაიგლიჯოს, — ჩუმად ოხუნჯობენ სემინარიელები და თან მეტი სიცილისაგან ცრემლებით ევსებათ თვალები.

ამ დროს წინა პარტაზე მჯდომმა მოწაფემ ზურგს უკან ხელი გაიწოდა და ოთხად დაკეცილი ქაღალდი დაანახვა ამხანაგებს. ქაღალდი ფიცხლავ ჩამოართვეს და გაშალეს. სამივემ თვალი ერთად გააყოლა ქაღალდს.

სამივეს სახეზე ღიმილი ერთ წამს ჩაუქრა.

„რა გაცინებთ, თქვე სახე-ძაღლებო, — სწერდა მათ მაღლაკელიძე: — პორფილე დღეს გაუსამართლებიათ და სამი წლით ხარკოვის გამასწორებელ რაზმში თურმე გზავნიან. საწყალი მისი დედა და ძმები! თურმე ისე სწრაფად გზავნიან, რომ ვერავის ნახვას ვერ მოასწრებს. რასა ფიქრობთ? საჭიროა ფულისა და სურსათის შეგროვება, თორემ ცოდოა, საწყალი“!

— ეშმაკმა წაიღოს ამათი თავი! სულ ტყუილად არ დაღუპეს საცოდავი! — ჩაილაპარაკა დაღონებულმა ილიკო ხახუტაშვილმა.

იოსები წამოდგა, წიგნს ხელი წამოავლო, შემდეგ ისევ დაიღუნა და მთლად სახე-შეცვლილმა ამხანაგებს ჩასჩურჩულა:

— ჰო, მართლა, არ დაგავიწყდეთ... ხვალ პარასკევია... კუკიაში უნდა შევიყარნეთ. ალბათ, პირველ რიგში პორფილეს საკითხს განვიხილავთ.

გაფითრებულმა იოსებმა ამხანაგები დასტოვა, თავის ალაგს დაუბრუნდა და ისევ წიგნებს ჩაუჯდა.

ჯერ ერთი წიგნი ამოიღო, გადაფურცლა, ზოგ ადგილებზე შეჩერდა. შემდეგ მეორე, და მესამესთან ერთად თავისი დღიურიც ამოაცოცა. იოსებმა წინ გაიხედა, ამხანაგები და ზედამხედველი აათვალიერ-ჩაათვალიერა და მერე კალამს წამოავლო ხელი.

„მე, შამათავა, ჩიქვილაძე, მატაფიევი, ხახუტოვი და უზნაძე ვიყავით კრებაზე კუკიაში. ამ წრეში კვირაში ორჯერ უნდა ვიაროთ — სამშაბათობით და პარასკეობით“, — ჩაიწერა მან თავის დღიურში. რვეული ისევ დაკეცა და შეინახა.

იოსებმა შუბლი ხელით ჩამოიჩრდილა და მოუსვენარ ფიქრებს მისცა თავი:

„საწყალი პორფილე! აი სადამდის მიიყვანეს კაცი. [illegible] ლობით გულზე ცეცხლი ჰქონდა მოდებული. გამკლავება [illegible] ...პა, რისთვის? რისთვის“? — ჩაეკითხა იოსები თავის თავს. მას გაახსენდა გუშინდელი კრება, რომელიც მიხა ჩოდრიშვილის სახლში მოეწყო. იოსებს ეს პატარა უსწავლელი ადამიანი თავისი დიდი ენერგიით, გამბედაობით და თავგანწირვით ძალიან აკვირვებდა. მიხა ჩოდრიშვილს კაი ხანია ეკისრა საიდუმლო წრის ჩამოყალიბება. მას სხვადასხვა დარგის მუშებთან კავშირი გაება, საიდუმლო ბიბლიოთეკაც გამოეჩარხა და გათვითცნობიერებულ ამხანაგებთან ერთად კიდეც დაეწყო ბრძოლა მექარხნეებთან გაფიცვების საშუალებით. ახლა მას არქიელის ქუჩაზე, იქ, სადაც გოლა ჩიტაძე ცხოვრობდა, საიდუმლო ხის საბეჭდი მანქანა მოეწყო და გაჩაღებულ მუშაობას აწარმოებდა. ვინ იცის, ჩოდრიშვილის სახლში რამდენი დარგის მუშები არ იყრიდნენ თავს: დურგლები, მეჩექმეები, მეეტლეები, დერეფანი, სტამბის მუშები, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები და სხვანი.

ამ ხალხს ჯგუფებად ანაწილებდნენ, ხელმძღვანელებად სემინარიის უფროსი კლასის მოწაფეები ჰყვანდათ მიჩნეული.

გოლა ჩიტაძე თავისი ჯგუფით ხუთშაბათ-პარასკეობით დადიოდა და მუშებს ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ფურიეს, ლუიბლანის თხზულებებს უკითხავდა, უთარგმნიდა და რთულ ადგილებს უმარტავდა.

გოლა ჩიტაძე იმჟამად დიდ საქმიანობას აწარმოებდა. ბოლო დროს ჯარშიაც შეედგა ფეხი და უჩუმრად მუშაობდა.

„ოო, ეს ჩვენი გოლა ჩიტაძე ძალიან ჭკვიანი და თავისი სიტყვის ბატონია. რასაც გულში გაიტარებს, იმას კიდეც აასრულებს. ყოჩაღ, ბიჭო“! — განაგრძობდა ფიქრს თავჩაღუნული იოსებ ლაღიაშვილი.

ცოტა ხნის შემდეგ მან თავისი ღლიური გადაფურცლა და ჩასწერა:

„ძლიერი ნებისყოფა ყველაფერს გადალახავს. მეც მინდა ფოლადად ვიქცე. იოსები“.

ამ დროს მეათე მერხზე ერთი ცხვირაფხეკილი, ქერათმიანი სემინარიელი იოსებს ხშირად გეზად გადახედავდა ხოლმე.

მას ჩაფიქრებული ლაღიაშვილი დიდი ხანია მიზანში ჰყავდა ამოღებული, ხოლო როდესაც ახროვილ წიგნებს შორის სქელი რვეული დაუნახა, ფხიზელი ძაღლივით სუნი აიღო.

როცა საღამოს მეცადინეობა დამთავრდა, სემინარიელებმა წიგნები მერხებში შეაწყეს და პატარ-პატარა ჯგუფებად კარებისაკენ გაემართნენ.

იოსებმაც ანგარიშმიუცემლად წამოიწია, წიგნებს სწრაფად ხელი წამოავლო და ყველაფერი მერხში შეაწყო. რაკი კარებისაკენ წამოსულ იოსებს ხელში არაფერი არ ეჭირა, ქერათმიანს გულში სიხარულმა ჩაჭქროლა. მოწაფეების ტალღას აივანზე ისიც გამოჰყვა, მაგრამ მოსახვევ-

ში შეუმჩნევლად ჩამორჩა. როცა კიბეზე უკანასკნელი მოწაფის ფეხის ხმა მისწყდა, მან აქეთ-იქით გაიხედა, ზემო სართულის აივანიც შეათვალიერა და რომ ვერავინ დაინახა, თვალის დახამხამებაზე კლასში შებრუნდა და იოსების მერხთან გაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოყმანი

თუმცა დეკემბერი იყო, მაგრამ არაჩვეულებრივად თბილოდა. ცა მუქ-ლურჯად დაქათქათებდა ქვეყანას, მზიანი და წყნარი ამინდი იდგა.

ლალიაშვილს კი გული მწუხარებით აქვს სავსე.

თანაც ეშინიან, ეს განცდა ამხანაგებს არ შეამჩნევინოს. ვაჟკაცია და პასუხისმგებლობისა ეშინიანო, — ალბათ გაიფიქრებენ ისინი და ამას ერიდება იგი. ნამდვილად კი ძალიან ცუდ გუნებაზეა, სული თითქოს შეხუთული აქვს. რასაკვირველია, რვეულის დაკარგვა ძალიან სწყინს. დარწმუნებულია, რომ ამ საქმეში ჯაშუშის ხელი ურევია. იმ აზრსაც თითქოს შეურიგდა, რომ მას სემინარიიდან დათხოვნა მოელის, მაგრამ ეს აღარ აწუხებს: რაც მოუვა, მოუვიდეს. ღარიბი იყო, ობოლი, დეე, გაუბედურდეს, რა დიდი საქმეა, ცოტაა ქვეყანაზე გზააცდენილი და დაღუპული? მაგრამ რა უყოს იმას, თავისი ამხანაგების გვარები ისე მუქად რომ გააჭრელა დაკარგულ რვეულში?

ო-ო, რა ძნელი ყოფილა სხვის ცოდვაში ჩადგომა! — აი ეს არის, რომ იოსებს მოსვენებას არ აძლევს, იმ ამხანაგებს სახეს არიდებს და გამოუთქმელად იტანჯება.

კვირა დღეა და მოწაფეები მოუთმენლად ელიან სამ საათს, რომ წყნარ ამინდზე სადმე გაისეირნონ.

იოსებიც ხალხის მოშორებას, განმარტოებას ელის.

ვინ იცის, ჩუდეცკიმ მის მიერ აღნიშნულ ამხანაგებს რა დღე დააყაროს!?

მერე ჩოდრიშვილის ბინასაც რომ მიაგნონ? იქაც რამდენი დავიდარაბა უნდა დატრიალდეს და რისთვის, რისთვის?! საერთო საქმისათვის გამოგდება, თვით გაციმბირებაც ასატანია, აქ კი უბრალო დაუდევრობის გამო ამხანაგებს ყელი უნდა გამოსჭრას. როცა მერხის ქვეშ რვეულს ინახავდა, განა არ იცოდა, რომ ჩუდეცკის დავალებით ჯაშუშობა და ჩხრეკა სწარმოებდა? მაგრამ რა ქნას იოსებმა? გოლას მიერ ნაკარნახევი აზრი მის გულს მატლივით შეუჯდა და მოსვენებას აღარ აძლევს. მუდამ ჟამს იმაზე ფიქრობს, ძარღვებ-დაძაბული იმ აზრს უტრიალებს და ყოველივე დანარჩენს ივიწყებს. საშინელი გულმავიწყი გახდა, გონება მთლად აებნა, ყველგან და ყოველჟამს იმაზე-ღა ფიქრობს.

იოსები სადილს შემდეგ ვერის დაღმართით მტკვრის ნაპირისაკენ მიემართება.

ქვევით ჩავიდა. მტკვრის ნაპირი სავსეა ლოდებით და ბუჩქებით. შორეული პერსპექტივა ზედაზნის მთით და ზედ დამხობილი ლოდებით/ცით რაღაც სიამოვნებას ჰგვრის მის გულს.

იოსები ლოდზე ჩამოჯდა და კულულებივით დაგრეხილი ტალღებს მიაშტერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე თვალი მოჰკრა გოლა ჩიტაძეს. იგი დაკლაკნილი ბილიკით რიყეზე სწრაფად მოაბიჯებდა. შორიდანვე ერთმანეთს გაუღიმეს.

გოლამ სიცილით იოსებს მხარზე ხელი დაჰკრა და ისიც ლოდზე ჩამოჯდა.

— იცი, ბიჭო, წუხელის ჩუდეცკის სასწრაფოდ პედაგოგიური კრება მოუწვევია...

იოსებს გულზე რაღაცამ უჩხვლიტა და გოლას სწრაფად თვალებში შეხედა.

გოლა უხერხულად ნაფოტს დასწვდა და დაქუცმაცება დაუწყო.

— კრებაზე სტეპანოვს შენი დღიურის შინაარსი გამოუმზეურებია და დიდი აურზაური ატეხილა.

— ჰო, რაო? — ჩახლეჩილი ხმით ძლივს ჩაეკითხა იოსები.

— რაო და ლაღიაშვილი შეუწყნარებელი მიმართულებისაო, რომ იგი სასულიერო პირებს და სასულიერო მოძღვრებას არაფრად აგდებსო, თავის დღიურში ერთ-ერთ მასწავლებელზე მძულვარებით ლაპარაკობსო და საიდუმლო ქართულ ხელნაწერ გაზეთში დიდ მონაწილეობას იღებსო. ერთის სიტყვით, მეტად მავნე მაგალითია მთელი სემინარიისთვისო.

გოლა ცოტა ხნით გაჩუმდა და რაკი იოსებმა ხმა არ ამოიღო, გადაჭრით განაცხადა:

— ერთის სიტყვით, შედეგი შენთვის ცხადი უნდა იყოს.

გოლა კვლავ გაჩუმდა და იოსებს სახეში შეხედა. შემდეგ სთქვა:

— დაგითხოვეს...

იოსებს ხელახლა გულში რაღაცა გაერჭო, ოდნავ შეიშმუშნა, მაგრამ ხმა მაინც ვერ ამოიღო. გოლამ იგრძნო იოსების ტკივილი და სიტყვა გააგრძელა:

— არა, მთლად კი არა, მაგრამ სახელმწიფო ხარჯიდან მოგხსნეს. ეხლა შენ გარედან მოსიარულე იქნები და თავი თვითონ უნდა ირჩინო.

იოსები ისევ სდუმდა, ოღონდ სახე წამოუწითლდა: აფორიაქებულ გრძნობებს გულშივე იტრიალებდა.

— შენთვის არაფერი არ უთქვამთ?

— არა.

— ჰო, დღეს კვირა იყო და, ალბათ, ხვალ გამოგიცხადებენ. მაინც გასაკვირველია, რომ დღესვე ყანყრატოში არ გეძგერნენ.

— მე, მე... — ჩახლეჩილი ხმით ძლივს წარმოსთქვა იოსებმა, — ვოველოდი ამ ამბავს... ვიცოდი, რომ ეს არ ამცდებოდა, მაგრამ გაგონება მეძნელებოდა. ეხლა კი...

იოსები ზეზე წამოდგა:

— ეხლა გავიგონე და, არ დაიჯერებ, თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მომეხსნა... მორჩა! ამას იქით მეც ისეთივე დაუნდობელი, მკაცრი და სისხლისმსმელი შევიქნები, როგორიც ეგენი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლა სდუმდა და ელოდა. იოსებმა კი ღრმად და თავისუფლად ამოისუნთქა და წამოიძახა:

— დედას ვუტირებ, იაფად არ დაუჯდებათ ყველაფერი ეს, მაცალონ!..

გოლა ხედავდა, რომ იმარჯვებდა. ცოტა კიდევ იყო საჭირო, რომ ცეცხლისთვის ნავთი დაესხა, მაგრამ თავი შეიკავა და იოსებიც დაზოვა. დანარჩენს შემდეგი გამოარკვევსო, გაჭირვება თითონ გადააწყვეტინებსო, გაიფიქრა მან და ისიც ზეზე წამოდგა.

— გესმის, სოსო, მალე კრება გვექნება. ერთად მოვილაპარაკებთ, რა გზას დავადგეთ და რა ღონე ვიღონოთ.

— ჩემთვის ეხლა გზა ერთია... — მოუთმენლად ჩამოართვა სიტყვა იოსებმა. — ეგ დესპოტი გულიდან გველივით უნდა ჩამოვიგლიჯოთ, თავი უნდა გავუჭეჭყოთ. ოხ, იმისი!.. ნეტავი ეხლა აქ მომცა, ისე დავგლეჯდი, რომ არაფერი არ გადარჩენილიყო!

გოლა გაოცდა. იოსები ამწამს სულ სხვა იყო. თითქოს სახის ნაკვთებიც კი შეეცვალა. თვალებში მრისხანება უტრიალებდა. გოლამ მკლავში ხელი გაუყარა, და მშვიდი ლაპარაკით ვერის დაღმართისაკენ იბრუნეს პირი.

მზეც მამადავითის მთის უკან მოფარებას აპირებდა. აღმოსავლეთით ღრუბლები წამოშლილიყვნენ და ტფილისმა მალე პირი მოიქუშა. ნარიყალის მიმართულებით ცივი ქარი ამოზუზუნდა და დღის სილამაზე საღამოს სიმკაცრემ შესცვალა.

იოსებს ფეხები უკანა რჩებოდა. სემინარიაში მისვლა ეხლა ეძნელებოდა და ბოროტებით აღსავსე გულის მიტანა იმ საპყრობილეს მსგავს სასწავლებელში ძალიან უმძიმდა.

მგონი დაიგვიანა კიდეც. სემინარიასთან მიახლოვებულს, აღარც ერთი შეგირდი აღარ შეხვდა. მაგრამ ეხლა მისთვის დაგვიანებას რალა მნიშვნელობა აქვს? ეს დაგვიანება მხოლოდ ზედმეტ საბუთად დაერთვის მის ყოფაქცევას, რისთვისაც ივი ასე დაჰვმეს და დასაჯეს.

„ჰმ, დამითხოვეს... გარეთ გამომაგდეს. მაგრამ ახლა მე ვიცი“... — ბოროტად გაიფიქრა და დერეფანში ფეხი რომ შესდგა, წინ მალალცილინდრიანი დემურჩოღლი შეეფეთა.

იოსების თვალებში ზიზღმა და გესლმა იელვა.

სტეპანოვის თვალებში კი სიცივე და მედიდურობა იხატებოდა.

ერთმანეთს გვერდით ჩაუარეს. იოსებმა ქუდი არ მოუხადა, მაგრამ ასასვლელ კიბესთან წუთით შესდგა და მიიხედა.

— ლალიევ, — დაეწია მას ინსპექტორის შეძახილი: — ხვალ ზარის დარეკამდე ჩემს კაბინეტში მოხვალთ.

— კარგი! — ყრუდ მიუგდო ლაღიაშვილმა და სწრაფად პირი იხეო კიბისკენ იბრუნა.

„ძაღლივით არის აღრენილი, ალბათ, გაიგო“, — გესლიანად გაიფიქრა ინსპექტორმა და მის უზრდელ საქციელს ყურადღება ალარ მიაქცია. მიტრიალდა და ქუჩაში გავიდა.

უკანასკნელი ყოყმანი

მეორე დილით, როცა გაკვეთილების ზარი დაირეკა, იოსები ინსპექტორის ოთახიდან გაქვავებული სახით გამოვიდა. ინსპექტორმა მრავალნაირად შემოუარა, კითხვები ათასნაირად დაუყენა, მაგრამ იოსები სდუმდა.

მხოლოდ როცა სტეპანოვმა განუცხადა, დღესვე უნდა კერძო ბინაზე გადახვიდე, რადგან სემინარიის ხარჯიდან მოხსნილი ხარო, — „გავიგეო“, — მტკიცედ უპასუხა იოსებმა და კარებისკენ გატრიალდა.

ოთხი გაკვეთილი ისე გათავდა, იოსებს არა გაუგია-რა. შემდეგ თავისი წიგნები და რვეულები მოკრიფა და კლასიდან ყველაზე ადრე გავიდა, რომ ამხანაგებს არ გაეჩერებინათ და არ გამოლაპარაკებოდნენ.

გარეთ გამოსულ იოსებს ეუცხოვა ეს თავისუფლება, თითქოს კიდეც გაეხარდა, მაგრამ ამ განთავისუფლებასთან ერთად რაღაც სიმძიმე იგრძნო.

მერე რა ქნას, სად წავიდეს? თავისუფლებას გრძნობს, მუხლებშიაც თითქოს ძალა მოემატა, მაგრამ მაინც სად წავიდეს, სად?..

დაჟინებით ეკითხება იოსები თავის თავს და თან აჩქარებით მიდის.

გაიარა ერთი ქუჩა, მეორეში შეუხვია, იქიდან ვიწრო ქუჩით ნარიყალას მთას მიადგა. ოცი წუთის შემდეგ მორღვეულ არშიასავით გორაზე გაყოლებულ ძველ ნანგრევებზე ავიდა.

იოსები ციცაბოზე გადმოდგა და ტფილისს გადმოხედა.

გამწკრივებული შენობები მაღლიდან კოლოფებივით მოსჩანდნენ. ყოველ მხრივ მიმავალი ქუჩები სადღაც შორს ბილიკებივით ვიწროვდებოდნენ და შემდეგ მხედველობიდან იკარგებოდნენ.

ყრუდ დრტვინავს ქალაქი, თითქოს ოხრავსო.

ვინ იცის, რამდენი ტანჯვა, რამდენი წამება და ცრემლია აქ დაგროვებული?! უსამართლობა იყო, არის და, ალბათ, ყოველთვის იქნება, სანამ სუსტი და ძლიერი არსებობს დედამიწაზე.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში ლაღიაშვილს.

დიდხანს იხეტიალა იოსებმა ნარიყალის მთაზე და კოჯრის მიმართულებით. ათასმა ფიქრმა, მრავალმა განცდამ და სიარულმა მოღალა ახალგაზრდა.

აცივდა. ქარმა ქროლვას უმატა და ქვემოთ ქალაქში მტვრის ბული აფრასავით აღმართა.

იოსებს მოშივდა. თითქოს კიდეც მოდუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ტფილისს თითქოს ნაცრისფერი ზეწარი გადაეფარა. ბინდი ჩამოწვა და აქაიქ მკრთალად აბჟუტდნენ ქუჩის ლამპრები.

ჭარი მწარედ სისინებს. ძვალსა და რბილში ურბენს იოსებს. მუხლები უკვე მოუდუნდა. ცოტა კიდევ და თითქოს გატყდომას იწყებს იოსების სიმტკიცე. გულში ჩაწოლილი ყინული ულხვება, სიბრაზე და ბოროტება სადღაც ჰქრება. სამაგიეროდ რაღაც უცნაური შიში და თავის თავისადმი სიბრალული ებადება, და იოსები იცვლება და სხვანაირდება.

ლალიაშვილი კოჯრიდან მოჭრილ ცივ ქარს სვეტად აღმართულ კლდის უკან ემალება და ახლად გაღვიძებულ გრძნობას თანდათან ემორჩილება.

„მაშ დღეიდან დაიწყო შენი ტანჯვა, იოსებ!“ — რაღამაც ყრუდ ჩასჩურჩულა შეძრწუნებულ ბიჭს და უარესად შეაჟრჟოლა.

„რისთვის, რისთვის უნდა ვიტანჯო ძაღლ-უმადურად სიღატაკეში, ობლად გაზრდილმა ადამიანმა? მეგონა, მალე თავს ვუშველიდი, ცხოვრების გზას დავადგებოდი, საწყალ მოხუც დიდედას ტანჯვა-წამებას შევუმსუბუქებდი და დახე, ამის ნაცვლად რა მომივიდა“!

იოსებს უარესად გააჟრჟოლა. საშინელი ობლობა იგრძნო. იმ წუთს მთელ ქვეყანას მოწყვეტილ ახალგაზრდას თავის თავისადმი გამოსაგლოვი ქვითინი აღმოხდა.

მაგრამ ამან სულ ერთ წამს გასტანა.

„ქვეყანა იმისია, ვინც იბრძვის!“ — თითქოს მეხივით მოიჭრა გოლას ხმა, და იოსებმა თავი მაღლა ასწია, ხელზე ცრემლი იგრძნო, შერცხვა და ზიზღით პალტოს კალთაზე გაიწმინდა.

ამ დროს მარცხნივ, სოლოლაკიდან სამხედრო საყვირის ხმამ ჰაერი გაარღვია და ბრძოლის ჰანგებით გაჟღენთილი ხმები მამადავითის მთას მიაყარა.

იოსები წელში გასწორდა, სიმხნევე ცხელ ტალღებად სახეზე მოაწვა და დასთბა კიდეც.

— ქვეყანა ბრძოლისაა, ხოლო ტირილი უმწეო დედაბრის ხვედრია. მე კი დღეის ამას იქით ბრძოლას წინ წავიმძღვარებ და დეე, გასწყდეს იქ, სადაც გასაწყვეტია.

ნახევარი საათის შემდეგ იოსები ანჩხატის ქუჩაზე გაბედულად აკაკუნებდა გოლა ჩიტაძის ოთახის კარს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი პოეტები

რობერტ ბერნს

(მე-18 საუკ.)

გული მთებისკენ მიიწევს

1. გული მთებისკენ მიიწევს,
   სტოვებს დაბლობის პირებს,
   გული მთებისკენ მიიწევს,
   დაედევნება ირემს,
   დაედევნება მთის ირემს,
   უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს,
   გული მთებისკენ მიიწევს,
   სადაც არ უნდა ვიყვე.
2. მშვიდობა მაღალ მთიანეთს
   და ჩრდილოეთის კარებს,
   დიდი გმირობის სამშობლოს,
   სახელოვნების მხარეს.
   სადაც არ უნდა წავიდე
   უცხო ქვეყნების კარად,
   თან მდევს მაღალი სერების
   მე სიყვარული მარად.
3. მშვიდობა მთებს და მყინვარებს,
   მთების თოვლიან წვერებს,
   მშვიდობა ხევებს, მშვიდობა
   მწვანით დაფენილ სერებს.
   მშვიდობა ტევრებს, კლდეებზე
   გადმოკიდულებს ლაღად,
   მშვიდობა მაღალ ჩანჩქერებს
   და აჩქარებულ ნაკადთ.
4. გული მთიანეთს მიიწევს,
   სტოვებს დაბლობის პირებს,
   გული მთებისკენ მიიწევს,
   დაედევნება ირემს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაედევნება მთის ირემს,
უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს.
გული მთებისკენ მიიწევს,
სადაც არ უნდა ვიყვე.

ჯონ კიტს
(მე-19 საუკ.)

სურათების გამყიდველი

შენ შემეკითხე: რა დავაშავე
რომ შენ არ ძალგიძს დღეს სიყვარული?
იდექ მოწყალე ძვირფას დასავით
და თვალებს ჰყავდა მზე მიმალული.

მძიმე ზამთარი იყო ძალაში
და შენ შეჩერდი გაძარცულ ხესთან.
და გრძნობა შენი, ვიგრძენ, ხალასი
შენს სულს, ვით ქარი ტანსაცმელს, სწეწდა.

რა გიყო, კარგო, მე შენისთანას,
ვიცი, ვერასდროს ვიპოვი ქვეყნად,
ადრე მენახე — განწირულ შეხლას
ვარჩევდი ქცევას მე შენს ტრისტანად.

მაგრამ ჩამაქრეს მე, ცეცხლი დიდი...
ხედავ? შენც მიხვალ. უკვე წახველი.
მე ჩემს გარდასულ სურათებს ვყიდი
ძველ, გარდაუვალ გრძნობის სახელით.

რობერტ სოუთი
(მე-19 საუკ.)

აღმოსავლური საღამო

საღამო მოდის: ამოსული მდინარის მხრიდან
გრძელი ფლამინგო შინ მიფრინავს გაშლილი ფრთებით;
და როცა სხივი ჩამავალი მოხვდებათ ციდან,
იწვიან მისი ჭრელი ფრთები ბრწყინვალე ნთებით.
გუშაგი ელის აღსრულებას საღამოს ნების,
ის სიხარულით სტოვებს მინდორს, სადაც კი დღისით
ფრთოსან მტაცებლებს ძახილი და შურდული მისი
ეგერიებდა და შემდგარი სიმაღლის ზევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი იტანდა მცხუნვარე მზის სხივთ.
არ გესმის! ოქროს სასახლეებთან
ბრამინმა უკვე ჩამოჰკრა საათს.
შორეულ სივრცეს გადასერავს ბრინჯაოს ჟღერა
მიმავალი დღის სიჩუმეში მიგორავს მდორეთ
და, ვით ქუხილი, ედება შორეთს.

ნარწერა ფაფეში

უცხოვ, რომელმაც მოაღწიე ამ მარტოობას,
იცოდე, რომ ეს კუთხე, ახლა შთენილი მარტოდ
უყვარდა ერთ კაცს, ვისი სწრაფვაც დაოკებული
ჰქმნა ამ ბუნებამ. აქ ესმოდა მოჯადოებულს
ამ დიდი ტევრის ატეხილი ვრცელი შრიალი,
ახლაც ხანდახან ზაფხულის ქარს რომ თან მოჰყვება.
ხეების ჩრდილ ქვეშ, იმ პიტალო, ხავსიანი კლდის
ჭრელ ხალიჩაზე იგი ბევრჯერ წამოწოლილა;
ყური უგდია გამჭვირვალე ნაკადულისთვის,
მწვანე ფოთლებით დაბურულ გზას რომ ეშურება.
აქ მას ყოველი, მის გარშემო დაბუდებული,
სიმშვიდის გრძნობით ალავსებდა და სამუდამოდ
განკურნებული, ბედნიერი ხდებოდა იგი.
უცნობო! იქნებ ამის გამო ამ ნაკადულმა
შენს თვალწინ უფრო მომხიბლავად გადაიდინოს,
იქნებ ზაფხულის ქარმა უფრო მელოდიური
ტევრის შრიალი ააღელვოს. ჩამოაშორე
ამ წარწერილ ქვას მაშინ ხავსი და სარეველა.

ვალტერ სკოტ

(მე-19 საუკ.)

ა ს ე ლ ს.

რომელსაც აქვს რომაული კედლიდან ჩამოკრეფილი ყვავილები

ეგ ყვავილები იმ ნანგრევ კედელს
ჩამოაწყვიტე ფერ-მეწამული,
სად იმპერიის დროშები სცემდნენ
და რომის შვილთა იყო მამული.

დღეს იმ მეომრებს, ხიფათ-განვლილებს,
წინ დაფნის ფოთლებს აღარ უწყობენ
და მიუძღვნიან ველურ ყვავილებს
ისინი მხოლოდ ლამაზ უცხოელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომას მურ

(მე-19 საუკ.)

ძვირფასი იყო მისი ქვები და იშვიათი

ინგლისურიდან

ძვირფასი იყო მისი ქვები და იშვიათი,
იდგა მის კვერთხზე ოქროს ბეჭდის ბრწყინვა ზვიადი,
მაგრამ მშვენება ჰქონდა ღირსი უმეტეს ქების,
ვიდრე ის კვერთხი თოვლისფერი და ბრწყინვა ქვების.

„ასულო, მარტოვ და ლამაზო, რამ აგაჩქარა,
არ გეშინიან, რომ გადასცდე ამ შიშველ შარას?
ჰყავს კი ვაჟები ერინს ისე სათნო ან ცივი,
რომ არ შეაცდენს მათ ასული ან ოქროს სხივი?“

„მცირეოდენიც კი არა მაქვს შიში, რაინდო!
ყოველი ვაჟი ერინისა, ვიცი, დამინდობს,
რადგან, თუმც უყვართ მათ ქალები და ოქროს ჭვრეტა,
პატიოსნება სწამთ, რაინდო, მათ უფრო მეტად“.

მან გზა განაგრძო და ღიმილმა უშიშარისა
მწვანე კუნძულზე გაანათა სილრმე შარისა.
მარადიული ელირსება ყველას შენდობა,
პატიოსნებას ერინისას ვინც მიენდობა.

ფელლი

(მე-19 საუკ.)

აპენინები

ისმინე, ჩემო ძვირფასო მერი,
აპენინების ჩურჩული ნელი.
სახურავს ხვდება ის, ვით ქუხილი,
და ჩრდილოეთის ზღვის მოჭმუხვნილი
ღელვით, ღრიალით და რისხვის ქაფით
თითქოს ტუსალთა ირყევა ქვაბი.
როცა აპენინს სცემს დღის ნათელი,
იგი, მძლავრი მთა, რუხი და ბნელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევს დედამიწის და ზეცის შუა;
მაგრამ თუ ღამე მიწაზე მოდის
და ვარსკვლავებზე ქაოსი თუა,
აპენინს იპყრობს ჯავრი და შფოთი.

სიყვარულის ფილოსოფია

ყველა ნაკადი მდინარეს ერთვის
და ოკეანეს ყველა მდინარე,
და აღძრავს ქარი ზეცაში ერთი
მეორის ღელვას ნისლში მძინარეს.
ქვეყნად არავინ დარჩება კენტად,
აერთებს საგნებს კანონი ღვთისა,
რატომ არ უნდა კვლავ უფრო მეტად
შევერთვათ ურთერთს ჩვენ მსგავსად სხვისა?

შეხედე, მთები ჰკოცნიან ზეცას
და ზღვა ზვირთებით ეკვრის ნაპირებს,
თუ ივიწყებენ ყვავილნი დებსაც,
მათ მიტევებას არვინ აპირებს.
სხივების ხვევნით მზე მიწას ჰმოსავს,
მთვარე ზღვას ჰკოცნის ღამის ოცნებით,
მაგრამ რას ვაქნევ მე იმათ კოცნას,
თუ კი არც შენგან დავიკოცნები?

ოსკარ უაილდ
(მე-19 საუკ.)

ბ ყ ე ბ ი

ტყის ღრმა ბინდიდან მინდვრის ბოლოსკენ,
სად რიჟრაჟის ცის შეკრულან თავნი,
სპილოს ძვლის-ჩლიქა, წაბლის-ფერ-თვალა
ჰკრთის ჩემი ფავნი!

იგი სიმღერით მიხტის და ხედავს
ჩრდილს მოცეკვავეს, მისგანვე გაზრდილს,
და მე არ ვიცი, ვის დავედევნო,
მღერას თუ აჩრდილს!

ო, მონადირეე, შეიპყარ ჩრდილი,
შენ კი, ბულბულო — სიმღერა კიდევ,
თორემ მუსიკის ქროლით შეშლილი
ამაოდ მივსდევ!

თარგმანი ინგლისურიდან
გივი გაჩეჩილაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბატი პრევო

მანონ ლესკო

(რომანი)

ნაწილი მეოთხე[1]

ჩემმა იქ ყოფნამ და ბ-ნ დე ტ...-ის ყურადღებამ მანონს უკანასკნელი დარდის ნარჩენიც განუფანტა. „დავივიწყოთ, ჩემო სულიკო, — მივმართე, როცა დავბრუნდით,—წარსული მწუხარება და ვიცხოვროთ უფრო ბედნიერად, ვიდრე ოდესმე გვიცხოვრია. ბოლოს და ბოლოს ამური კეთილი არსებაა. ბედს დრო არა აქვს მოგვაყენოს იმდენი მწუხარება, რამდენიც მან ნეტარება მოგვცა. ჩვენი ვახშამი სიხარულის ნამდვილ გამოხატულებას წარმოადგენს“.

მანონით და ასი პისტოლით ჯიბეში მე უფრო ამაყად და კმაყოფილად ვგრძნობდი თავს, ვიდრე მდიდარი პარიზელი მოიჯარადრე მრავლად დაგროვილი თავისი განძეულით. სიმდიდრე უნდა განიზომოს იმ სახსრებით, რაც ჩვენი სურვილების დასაკმაყოფილებლად მოგვეპოვება. მე კი შეუსრულებელი სურვილი აღარ გამაჩნდა. თვით მომავალიც კი ნაკლებად მაღელვებდა. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაჩემი უარს არ მეტყოდა პარიზში არც ისე მდიდრული ცხოვრებისათვის საჭირო სარჩოზე, რადგან ოცი წლისა ვსრულდებოდი და უფლება მეძლეოდა დედაჩემის მემკვიდრეობიდან ჩემი წილი მომეთხოვა. არ დავუმალე მანონს, რომ ჩემი სიმდიდრე სულ ასი პისტოლისაგან შედგებოდა. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ დამშვიდებით გვეცადნა უკეთესი მომავლისათვის, რაც არ უნდა ამცდენოდა მემკვიდრეობის თუ ბანქოში თამაშის წყალობით.

ამრიგად, პირველი კვირეების განმავლობაში მე არაფერზე არ ვფიქრობდი, გარდა სიამოვნებისა, და რადგან პატიოსნების გრძნობა და ჯერ კიდევ შერჩენილი ცოტაოდენი რიდი პოლიციისადმი მაიძულებდა დღეღეზე გადამედო სასტუმრო ტრანსილვანიის საზოგადოებაში თამაში, ჭკმაყოფილდებოდი ნაკლებ სახელგატეხილ საკრებულოში თამაშით, სადაც ბედი იმდენად მწყალობდა, რომ თაღლითობა აღარ მჭირდებოდა.

---

[1] იხ. „მნათობი“, 1938 წ., № 11, № 12.

ნასადილევს რამდენიმე ხნით ქალაქში მივდიოდი და ვახშმად ბაიოში ვბრუნდებოდი, ხშირად ბ-ნ დე ტ...-სთან ერთად, რომელიც უფრო და უფრო გვიმეგობრდებოდა. მანონმა მოწყენილობის თავის დასაღწევი საშუალებაც გამონახა. ის დაუახლოვდა რამდენიმე მეზობელ ახალგაზრდა ქალს, რომლებიც გაზაფხულზე სოფელში დასახლდნენ. სეირნობას ქალური გასართობებით სცვლიდნენ. ზოგჯერ ქალალდსაც თამაშობდნენ. მონაგებით ეტლის ხარჯს ისტუმრებდნენ. სასეირნოდ ბულონის ტყეში დადიოდნენ, სუფთა ჰაერზე, და როდესაც საღამოთი ვბრუნდებოდი, მანონი ისეთი მშვენიერი, ისეთი კმაყოფილი და ენებიანი მხვდებოდა, როგორიც არასდროს.

მიუხედავად ამისა, ჩემი ბედნიერების ჰორიზონტს ღრუბლები მოედო. მართალია, ეს ღრუბლები უკვალოდ გაიფანტა, ხოლო მანონის ცელქმა ზნემ კვანძი ისე შესაქცევად გახსნა, რომ ეხლაც სიამოვნებას მგვრის მისი სინაზე და გულის სიმშვენიერე.

ერთხელ, ერთადერთმა მსახურმა, რომელიც ჩვენ შეგვრჩა, განზე გამიხმო და შემკრთალმა გამომიცხადა, რომ მეტად საყურადღებო ამბავი მაქვს სათქმელიო. მე წავათამამე; მან მცირე ყოყმანის შემდეგ გადმომცა, რომ ვიღაც უცხოელ წარჩინებულს ქალბატონი მანონი ძალზე მოსწონსო. აღელვებისაგან ძარღვებში სისხლი ამიდუღდა. „მანონს? მანონსაც მოსწონს?“ — გავაწყვეტინე მე უფრო მეტად გაცხარებულმა, ვიდრე კეთილგონიერება მოითხოვდა. ჩემმა სიფიცხემ დააფრთხო.

შეწუხებულმა მიპასუხა, რომ მისი დაკვირვება მაგდენად შორს არ წასულა, თუმცა რამდენიმე დღის განმავლობაში იგი ამჩნევს, რომ ეს უცხოელი ხშირად მიდის ბულონის ტყეში, ეტლიდან ჩამოდის, ხეივნებში დასეირნობს და აშკარად ცდილობს მადემუაზელ მანონთან შეხვედრას. ჩემმა მსახურმა გადასწყვიტა გაეცნო მისი მსახურნი, რათა გაეგო მათი ბატონის სახელი. გაიგო კიდეც, ისინი მას იტალიელ თავადს უწოდებენ და იმათაც ეჭვი აქვთ, რომ მათ ბატონს რაღაც სამიჯნურო ამბავი გაუჩნდა. მეტი ვერაფერი გავიგეო, რადგანაც, — დაუმატა მან კანკალით, — მაშინვე ტყიდან თავადი გამოვიდა, მეგობრულად მომიახლოვდა და სახელი მკითხაო. მიმხვდარა, რომ ის ჩვენი მსახური იყო და მიულოცნია, რომ ასეთი მშვენიერი ქალბატონი გყოლიაო.

მოუთმენლად ველოდი ამბის გაგრძელებას. იმან მოკრძალებული ბოდიშებით დაამთავრა, რაც ჩემი გაუფრთხილებელი აღელვებით ავხსენი. ამაოდ ვარწმუნებდი, ეთქვა ყველაფერი. განმიცხადა, მეტი არაფერი ვიციო. რაც გადმომცა, წინა დღეს მომხდარიყო. მასშემდეგ თავადის მსახურთ ველარ შევხვდიო. წავაქეზე იგი არა მარტო შექებით, არამედ დიდი საჩუქრითაც, და უფრო დამშვიდებით, ისე, რომ მანონისადმი არავითარი უნდობლობა არ გამომეჩინა, ვურჩიე, თვალყური ედევნებინა უცნობის ყოველი ნაბიჯისათვის.

ნამდვილი თუ გნებავთ, მისმა შიშმა ძალზე დამაეჭვიანა. შიშის გამო მას შეეძლო ჩემთვის ნაწილი სიმართლისა დაემალა. მაინც, ცოტაოდენი

ფიქრის შემდეგ, აღელვებას თავი დავალწიე და ვნანობდი კიდეც ჩემს სისუსტეზე. ხომ არ შემეძლო მანონისათვის დანაშაულად ჩამეთვალა, რომ იგი ვილაცას მოეწონა.

ბევრი რამ ცხადჰყოფდა, რომ მანონმა სრულიად [illegible] ...და თავისი გამარჯვების შესახებ. ან რას დაემსგავსებოდა ჩემი სიცოცხლე, ასე ადვილად რომ შემეშვა გულში ეჭვი? მეორე დღეს პარიზს დავბრუნდი; სხვა სურვილი არაფერი მქონია, გარდა იმისა, რომ ჩემი სახსრები ბანქოს თამაშით გამედიდებინა, რათა შემძლებოდა პირველსავე სახიფათო შემთხვევაში შაიო დამეტოვებინა.

იმ საღამოს ჩემი სიმშვიდის შემაშფოთებელი არაფერი გამიგია. უცხოელი კვლავ ყოფილა ბულონის ტყეში და როგორც ნაცნობს, რომელიც წინადღეს გაეცნო ჩემს მსახურს, დაუწყია საუბარი თავისი სიყვარულის შესახებ. მაგრამ ისე და იმნაირად, რომ ცხადი ხდებოდა, — მანონთან მას არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. იგი ათასი წვრილმანის შესახებ ეკითხებოდა. ბოლოს, დიდი დაპირებებით შეეცადა მის მოსყიდვას, ამოიღო, ალბათ, წინდაწინ დამზადებული წერილი, შეაძლია რამდენიმე ოქრო და სთხოვა, გადაეცა წერილი თავისი ქალბატონისათვის.

მასშემდეგ ორი დღე გავიდა. არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. მესამე დღეს ღრუბლები ჩამოწვა. საკმაოდ გვიან დავბრუნდი შინ და გავიგე, რომ მანონი სეირნობის დროს ცოტა ხნით ჩამორჩა თავის მეგობარ ქალებს. მანონმა ანიშნა უცხოელს, რომელიც შორიახლო მისდევდა, მისულიყო მასთან, და როდესაც მივიდა, წერილი გადასცა. უცხოელმა იგი დიდი სიხარულით მიიღო. მანონი მაშინვე განშორდა. რადგან უცხოელს სხვა საშუალება არა ჰქონდა სიხარულის გამოსახატავად, მან წერილი დიდი სინაზით დაჰკოცნა. მანონი მთელ დღეს მხიარულად იყო და შინ დაბრუნების შემდეგაც გუნება არ შესცვლია. მე. ცხადია, ნაამბობის ყოველი სიტყვა ჟრუანტელს მგვრიდა. „დარწმუნებული ხარ თუ არა, — მწუხარედ ვკითხე მსახურს, — რომ თვალებმა არ მოგატყუეს?“ მან ზეცა დაიმოწმა, რომ სიმართლეს ამბობდა.

არ ვიცი, სადამდე მიმიყვანდა გულისწუხილი, რომ მანონი, რომელმაც გაიგო ჩემი დაბრუნება, სწრაფად არ გამომგებებოდა და ჩივილი არ დაეწყო ჩემს შინ არ ყოფნაზე. ამასთან ჩემს პასუხს არც კი დაუცადა და ალერსი შემომაფრქვია, ხოლო როცა მარტო დარჩა ჩემთან, ჩვეულებრივზე მეტად მისაყვედურა, რომ შინ გვიან ვბრუნდები. რაკი მე ვდუმდი, მან განაგრძო საყვედური და სთქვა, რომ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მასთან არც ერთი დღე არ გამიტარებია, რომ მეტს ვეღარ აიტანს. მთხოვდა, ერთი დღე მაინც შემეწირა მისთვის. ამასთან გამოსთქვა სურვილი, რომ მეორე დღეს დილიდან საღამომდე მასთან დავჩენილიყავი. „ნუ სწუხართ, დავრჩები თქვენთან“, — მივუგე მე საკმაოდ მკვახედ. მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს მოწყენილობას და, მხიარულმა, სასაცილოდ ამიწერა ის, თუ როგორ გაატარა დღე. „რა უცნაური ქალია! — ვამბობდი გუნებაში, — რას უნდა მოველოდე ამ შესავლის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ?“ მომაგონდა ჩვენი პირველი გაყრის შემთხვევა. თან მეჯეროდა, რომ მისი მხიარულება და ალერსი გულწრფელი იყო და ყოველივე ამას იგი ბუნებრივად ამჟღავნებდა.

ადვილად შემეძლო ჩემი მწუხარება წაგებისათვის მიმეწერა. რადგან თვითონ მან მომცა მეორე დღეს შაიოში დარჩენის აზრი, ძალიან სასარგებლო შემთხვევად მივიჩნიე იგი, — ამით მე ვიგებდი დროს შექმნილი მდგომარეობის ასაწონ-დასაწონად. ჩემი შინ დარჩენით არაფრის შიში არ უნდა მქონოდა; იმ შემთხვევაში, თუ ისეთს არაფერს შევამჩნევდი, რაც მაიძულებდა გულახდილად ამეხსნა ყოველივე მისთვის, გადავწყვიტე მეორე დღეს ბინა გამომეცვალა და მანონთან ერთად გადავსულიყავ ისეთ უბანში, სადაც თავს დავაღწევდი ამა თუ იმ თავადთან შეხვედრას. ამ გადაწყვეტილების მეოხებით ღამე მშვიდად გავატარე, მაგრამ მან მაინც ვერ გამიფანტა მანონის მომავალი ღალატის შიში.

როცა გამეღვიძა, მანონმა გამომიცხადა, რომ თუმცა დღე შინ უნდა გავატარო, მაგრამ მას მაინც არა ჰსურს ჩემს გარეგნობაზე ჩვეულებრივზე ნაკლებად იზრუნოს, ამიტომ მოისურვა ჩემი თმის დავარცხნა საკუთარი ხელით. საუცხოო თმა მქონდა. იგი ხშირად ერთობოდა ჩემი თმით. მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა ამ საქმეს. რომ მესიამოვნებინა მისთვის, იძულებული გავხდი მის მოსაკაზმავ მაგიდასთან დავმჯდარიყავ და მოთმინებით ამეტანა ის, რასაც ჩემს დასავარცხნად მოიგონებდა. მუშაობის დროს იგი წამდაუწუმ ჩემს სახეს თავისკენ მიიბრუნებდა, ხელებს მხრებზე დამაყრდნობდა და ცნობისმოყვარეობით შემომცქეროდა. შემდეგ რამდენიმე კოცნით გამოჰხატავდა თავის კმაყოფილებას, ისევ დამსვამდა და განაგრძობდა მუშაობას.

ამგვარ ცელქობაში გაიარა თითქმის მთელმა დრომ სადილობამდე. მანონი ისეთი სიამოვნებით ერთობოდა და ისე მხიარული იყო, რომ ამაში არავითარი თვალთმაქცობა არ მოსჩანდა. მაგრამ მე ვერ შემერიგებინა გულწრფელობის ასეთი უტყუარი ნიშნები უმსგავსო ღალატის გეგმასთან, ამიტომ რამდენჯერმე დავაპირე გადამეშალა ჩემი გული და გავთავისუფლებულიყავ იმ ტვირთისაგან, რომელიც ლოდად მაწვა გულზე. მაგრამ ყოველთვის იმედი მებადებოდა, რომ თვითონ ის გამოამჟღავნებდა ყველაფერს, და წინასწარ ვზეიმობდი ამ გამარჯვებას.

დავბრუნდით მანონის ოთახში. იგი კვლავ შეუდგა ჩემი თმის ვარცხნას და მეც თვინიერად ვასრულებდი ყველა მის ბრძანებას, რომ უეცრად მოახსენეს — თავად დე...-ს ჰსურს თქვენი ნახვაო. ამ სახელმა აღმაშფოთა და გამაშეშა. „რაო! — დავიყვირე მე და ხელი ვკარი მანონს: — რაო! ვინ თავადი?“ მან პასუხი არც კი გამცა, შემოუშვითო, დინჯად უბრძანა მსახურს, მაშინვე მობრუნდა ჩემსკენ და თავისი მომაჯადოებელი ხმით მომმართა: „ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო, გთხოვ, ერთი წუთით ლმობიერად მომეპყრა, ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით; ათასჯერ უფრო ძლიერად შეგიყვარებ; მთელს ჩემს სიცოცხლეში შენი მადლობელი ვიქნები!“

აღშფოთებამ და მოულოდნელობამ ენა შემიკრეს. მანონი დაჟინებით იმეორებდა თავის თხოვნას, მე კი სიტყვები ვერ გამომენახა, რომ ზიზღით უარმეყო იგი. ამასობაში წინა ოთახის კარი [illegible] მანონი ერთი ხელით ჩაებღაუჭა ჩემს თმას, რომელიც მხრებზე [illegible] ბოლო მეორე ხელით სარკე აიღო, შემდეგ მოიკრიფა ძალღონე და ამ საკვირველი ყოფით სამუშაო ოთახის კარამდე მიმათრია, იქ მუხლით გააღო კარი და უცხოელს, რომელიც, ხმაურობის გამო, ოთახის შუა ადგილას იდგა, ისეთი სანახაობა წარუდგინა, რომელმაც, ალბათ, ძალზე გააოცა იგი. დავინახე საუცხოოდ ჩაცმული, მაგრამ საკმაოდ ულაზათო გარეგნობის კაცი.

ამ სცენით მეტად გაოცებულმა უცნობმა ღრმა სალამი მაინც მოგვცა. მანონმა ენის დაძვრაც არ დააცადა და სახესთან სარკე მიუტანა: — „ჩაიხედეთ, ბატონო ჩემო", — მიმართა მას, — „კარგად ჩაიხედეთ და ისე გამსაჯეთ: თქვენ სიყვარულსა მთხოვთ; აი ის, ვინც მე მიყვარს და ვისაც შევფიცე საუკუნო სიყვარული. თვითონ თქვენ შეადარეთ. თუ შესაძლებლად მიგაჩნიათ შეეცილოთ ამას ჩემი გულისთვის, მითხარით, რა მოსაზრებით, ვინაიდან გიცხადებთ, რომ თქვენი მონა-მორჩილის თვალში იტალიის თავადები, ყველანი ამ თმის ერთ ბეწვადაც არა ღირან".

ამ ველური სიტყვის შემდეგ, რომელიც წინასწარ უნდა ყოფილიყო მოფიქრებული, შეეცადე თავი გამენთავისუფლებინა. მე სიბრალულსა ვგრძნობდი ამ, ალბათ, საკმაოდ წარჩინებული ადამიანისადმი. მინდოდა ზრდილობიანად შემემსუბუქებინა ეს პატარა შეურაცხყოფა მისთვის. მაგრამ უცხოელი მალე გამოერკვა, და რადგან მისი პასუხი რამდენადმე უკმეხად მეჩვენა, ჩემი განზრახვა სისრულეში არ მოვიყვანე. „ქალბატონო, ქალბატონო, — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა მან, — მე თვალები ამეხილა და ვხედავ, რომ თქვენ არც ისე გამოუცდელი ყოფილხართ, როგორც მე მეგონა".

იგი დაუყოვნებლივ გავიდა, ისე რომ მანონისათვის არც კი შეუხედნია და უფრო დაბალი ხმით წაილაპარაკა, რომ ფრანგი ქალები არაფრით არ ჩამოუვარდებიან იტალიელ ქალებსო. მე არავითარი საბაბი არა მქონდა მეტი პატივისცემა ჩამეგონებინა მშვენიერთა სქესის მიმართ.

მანონმა ჩემი თმა გაანთავისუფლა, სავარძელში ჩავარდა და ოთახი დაუსრულებელი კისკისით გააყრუა. ვერ დავფარავ, რომ მე გულის სიღრმემდე ჩამწვდა ეს მსხვერპლი, რაც მხოლოდ სიყვარულით შემეძლო ამეხსნა, თუმცა ეს სიცელქე გადაჭარბებული მეჩვენა. ამისათვის ცოტა ვუსაყვედურე კიდეც მანონს.

მანონმა მიამბო, რომ ჩემს მეტოქეს რამდენიმე დღის განმავლობაში ბულონის ტყეში იერიში მიჰქონდა მასზე. იგი ცდილობდა ნიშნებით გაეგებინებინა, რომ უყვარდა. ბოლოს წერილით, რომელიც მან მეეტლის ხელით გადასცა, ამცნო თავისი სახელი და ხარისხი, თანაც ალპებს გადაღმა ჰპირდებოდა ბრწყინვალე მდგომარეობას და საუკუნოდ გალმერთებას. შაიოში დაბრუნების შემდეგ მანონმა გადასწყვიტა ემცნო

ყოველივე ჩემთვის. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, — ამ შემთხვევის გამო შეგვეძლო ბევრი გვეცინა. ამიტომ მან თავისი ცბიერი წერილით მოიწვია იტალიელი თავადი თავის ბინაზე. მე კრინტი არ დამიძრავს იმ ცნობების შესახებ, რომლებიც სხვა წყაროებიდან მქონდა მიღებული, — და სიყვარულით დამთვრალმა, სავსებით მოვიწონე მისი საქციელი.

მთელს ჩემს სიცოცხლეში არა ერთხელ შემიმჩნევია, რომ ზეცა ჩემ დასასჯელად ისეთ დროს შეარჩევს ხოლმე, როდესაც ჩემი კეთილდღეობა განსაკუთრებით მტკიცედ მიმაჩნია. იმდენად ბედნიერი ვიყავ ბ-ნ დე ტ...-ს მეგობრობით და მანონის სიყვარულით, რომ ჩემთვის შეუძლებელი იყო იმის შეგნება, რომ შიში უნდა მქონოდა რაიმე ახალი უბედურებისა. ბედი კი თურმე ისეთ განსაცდელს მიმზადებდა, ისეთს ყოფაში მაგდებდა, როგორშიაც თქვენ მე პასიში მნახეთ, ხოლო შემდეგ თანდათან იმდენად სავალალო გახდა ჩემი მდგომარეობა, რომ მისი მარტო წარმოდგენაც კი ძნელია.

ერთ დღეს, როცა ბ-ნ დე ტ...-სთან ერთად ვვახშმობდით, სასტუმროსთან ხმაურით ეტლი შეჩერდა. ცნობისმოყვარეობამ გვაიძულა გაგვეგო, ვინ მოვიდა ასე გვიან. გვაცნობეს, რომ ეს არის ახალგაზრდა გ... მ..., ე. ი. ჩვენი მოსისხლე მტრის შვილი, შვილი იმ გარყვნილი ბებრისა, რომელმაც მე წმ. ლაზარეში მიკრა თავი, ხოლო მანონს — თავშესაფარში, მისი სახელის ხსენებაზე სისხლი თავში ამივარდა. თვით ზეცამ გამომიგზავნა იგი, რათა მამის საზიზღრობისათვის დავსაჯო, — ვუთხარი ბ-ნ დე ტ...-ს, — ის ვერ დამიძვრება ხელიდან, სანამ ერთმანეთს ხმალში არ გავუსწორდებით-მეთქი. ბ-ნი დე ტ...-ი, რომელიც იცნობდა გ... მ...-ს და მის საუკეთესო მეგობრადაც ითვლებოდა, შეეცადა სხვა გრძნობით შევხვედროდი მას. მარწმუნებდა, რომ იგი ძალზე თავაზიანი ახალგაზრდაა, რომ შეუძლებელია იგი მონაწილე ყოფილიყო თავისი მამის საქციელისა; ხოლო საკმაოა მასთან ერთი წუთი დაჰყო, რომ იგრძნო მისდამი პატივისცემა და მოისურვო მისი ყურადღების დამსახურება. ათასი სხვა ქება შეასხა და მერე მთხოვა დავთანხმებულიყავი, მოგვეწვია იგი ვახშმად. მანონისთვის სახიფათო იყო, ჩვენი მტრის შვილს რომ გაეგო, სად ცხოვრობდა იგი, მაგრამ ბ-ნმა დე ტ...-მ დაგვარწმუნა, რომ რა წამსაც იგი გაგვიცნობს და გაიგებს ყველაფერს, თქვენი ერთგული დამცველი გახდებაო. ასეთი საბუთების შემდეგ მე ყველაფერზე უნდა დავთანხმებულიყავ.

ბ-ნმა დე ტ...-მ მოიყვანა იგი, ამასთან წინასწარ გააგებინა, ვინ ვიყავით ჩვენ. იგი მართლაც, ისეთი სახით შემოვიდა, რომ ერთბაშად მოგვხიბლა. გადამეხვია. დავსხედით. ის აღტაცებული იყო მანონით, ჩემით, ყოველივე იმით, რაც ჩვენი იყო და მადიანი ჭამით დიდი პატივი სცა ჩვენს ვახშამს.

სუფრის ალაგების შემდეგ საუბარმა უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. გ... მ...-მ თვალები მორცხვად ძირს დახარა და განაცხადა, რომ მისმა მამამ შეურაცხყოფა მოგვაყენა, რისთვისაც იგი ბოდიშს იხდის. მოკლედ მოვჭრი ჩემს ბოდიშის მოხდას, რათა არ განვაახლო მოგონება,

რომელიც სირცხვილსა მგვრისო, — დაასრულა მან. თავიდანვე გულწრფელი, ის შემდეგშიაც უფრო გულწრფელი აღმოჩნდა, რადგან ჩვენი საუბარი ნახევარ საათსაც არ გაგრძელებულა, რომ შევნიშნე, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მანონმა. მისი გამოხედვა ხანდ-ცევა უფრო და უფრო ნაზი ხდებოდა, თუმცა არც ერთი უხეში სიტყვა არ წამოსცდენია. მაგრამ მე მეტად გამოცდილი ვიყავ სიყვარულში, რომ ეჭვის დაუხმარებლადაც კარგად დამენახა, რა იყო ამისი მიზეზი.

გ... მ...-მ ღამის ნაწილი ჩვენთან გაატარა. წასვლისას გამოგვიცხადა, რომ ბედნიერია ჩვენი ნაცნობობით და გვთხოვა ნება დაგვერთო — ხანდახან მოსულიყო ჩვენთან. თან აღნიშნა, რომ მუდამ მზად არის სამსახური გაგვიწიოს. შემდეგ თავისი ეტლით გათენებისას წავიდა. ბ-ნი დე ტ...-იც მას გაჰყვა.

როგორც აღვნიშნე, ეჭვისათვის არ ვიყავ განწყობილი. მანონის ფიცი უფრო მეტად მჯეროდა ეხლა, ვიდრე ოდესმე. ეს მშვენიერი ქმნილება ისე დაეუფლა ჩემს სულს, რომ მე მისდამი მხოლოდ პატივისცემას და სიყვარულს ვგრძნობდი. აზრადაც არ მომსვლია მანონისათვის დანაშაულად ჩამეთვალა, რომ იგი ახალგაზრდა გ... მ...-ს მოეწონა. აღტაცებული ვიყავ იმით, თუ რარიგ მოხიბლა იგი მანონმა, თანაც ვამაყობდი ისეთი ქალის სიყვარულით, რომელსაც ყველა მომჯადოვებლად სთვლიდა. უადგილოდ მიმაჩნდა გადამეცა მანონისთვის ჩემი დაკვირვებანი. რამდენიმე დღე მანონის ჩაცმა-დახურვას მოუნდა. ვარკვევდით, შეგვეძლო თუ არა თეატრში უშიშრად წასვლა. არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ბ-ნმა დე ტ...-მ კვლავ გვინახულა. ვკითხეთ რჩევა. იგი მიხვდა, რომ მანონის სიამოვნების გამო დასტური უნდა მოეცა. გადავწყვიტეთ, იმავე საღამოს სამივე ერთად წავსულიყავით თეატრში.

მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვეღარ მოხერხდა, რადგან ბ-ნმა დე ტ...-მ განზე გამიხმო და მითხრა: „მასშემდეგ, რაც მე თქვენ დაგშორდით, უხერხულ მდგომარეობაში ვიმყოფები და დღევანდელი ჩემი აქ მოსვლა ამით არის გამოწვეული. გ... მ...-ს თქვენი მიჯნური შეუყვარდა. ამაში ის თვითონ გამომიტყდა; მე იმისი გულითადი მეგობარი ვარ და მზადა ვარ ყველაფერში დავეხმარო, მაგრამ არა ნაკლები მეგობარი ვარ თქვენიც. ვაღიარებ, რომ მისი განზრახვა ულირსია, ვგმობ მას. ამ საიდუმლოს შევინახავდი, რომ ჩვეულებრივი საშუალებებით ცდილობდეს თავი მოაწონოს მანონს. იგი ძალიან კარგად იცნობს მანონის ხასიათს. მას როგორლაც გაუგია, რომ მანონს კარგი და მხიარული ცხოვრება უყვარს. და რადგან მას უკვე მოეპოება საკმაო ქონება, გამომიცხადა, რომ გახზრახული აქვს შეაცდინოს მანონი ძვირფასი საჩუქრებით და ათი ათასი ლივრის გაღებით. თანაბარ პირობებში შეიძლება გამძნელებოდა მისი გაცემა, მაგრამ სიმართლე თქვენს მხარეზეა. მით უმეტეს, მე ვარ მიზეზი მისი გრძნობების აშლისა. რადგან მე გაგაცანით იგი. ამიტომ მოვალედ ვრაცხ თავს გაგაფრთხილოთ იმ უსიამოვნების შესახებ, რომლის მიზეზიც მე ვარ“.

მადლობა გადავუხადე ბ-ნ დე ტ...-ს ასეთი სამსახურისათვის და კვლავ ვიგრძენი მისდამი დიდი ნდობა. გამოვუტყდი, რომ მანონს სწორედ ისეთი ხასიათი აქვს, როგორც გ... მ...-ს წარმოედგინა. მას თვით სიტყვის „სიღარიბის“ გახსენებაც არ შეუძლია-მეთქი. „მაგრამ,— დავუმატე,— იმ შემთხვევაში, თუ მანონს არჩევანი მოუხდება მეტ თუ ნაკლებ ქონებას შორის, დარწმუნებული ვარ, არ მიღალატებს. იმედი მაქვს, რომ არაფერს არ მოვაკლებ და ვფიქრობ, რომ ჩემი სახსრები დღითი-დღე უფრო გაიზრდება. შიში მაქვს მხოლოდ ერთი რამისა, — დავუმატე:— გ... მ...-მ არ ისარგებლოს იმით, რომ იცის ჩვენი ბინა“.

ბ-ნმა დე ტ...-მ დამარწმუნა, რომ ამ მხრით შემიძლია სრულიად დამშვიდებულად ვიყო და რომ გ... მ...-ს შეუძლია სიყვარულის ნიადაგზე სისულელე ჩაიდინოს, მაგრამ სიმდაბლე კი არასოდეს. ყოველ შემთხვევაში თუ იგი რაიმე სისაზიზღრობამდე მივა, მაშინ თვითონ პირველი დასჯის მას და ამით გამოისყიდის დანაშაულს, რომელმაც ჩვენ უბედურებაში ჩაგვაგდო. „თქვენგან მეტად დავალებული ვარ, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ბოროტება უკვე ჩადენილია და მისი წამალი კი საეჭვოა. ამიტომ უფრო გონიერი იქნება, დავასწრო მას, დავტოვო შაიო და სხვაგან სადმე გადავიდე“. „დიახ, — მომიგო ბ-ნმა დე ტ...-მ, — მაგრამ გაგიჭირდებათ მაგის შესრულება, რადგან გ... მ... შუადღისას აქ იქნება. თვითონ მითხრა ეს და სწორედ ამან მაიძულა ასე ადრე მოვსულიყავი თქვენთან და მისი განზრახვაც მეცნობებინა. საცაა, თითონაც მოვა“.

ასეთმა მოულოდნელმა ცნობამ იძულებული გამხადა საქმეს უფრო ღრმად ჩავკვირვებოდი. რადგან, ჩემი აზრით, შეუძლებელი იყო გ... მ..-ს მოსვლისთვის ხელი შემეშალა და, უეჭველია, ძნელი იყო ისე მომეხერნებინა, რომ თავისი გულის ნადები მანონისათვის არ ემცნო, ამიტომ გადავწყვიტე გამეფრთხილებინა მანონი ახალი მეტოქის გამოჩენის შესახებ. ვფიქრობდი, რაკი მანონს ეცოდინება, რომ მე ვიცი ის, რასაც გ... მ...-ი აპირებს, მას იმდენი ნებისყოფა ალმოაჩნდება, რომ უარყოფს მის წინადადებას-მეთქი. ეს აზრი ბ-ნ დე ტ...-ს გავუზიარე. მან მითხრა, ეს მეტად საყურადღებო საქმეაო. „გეთანხმებით, — მივუგე მე:— თუ შეიძლება საერთოდ სატრფოს ერთგულებაზე იმედი ვიქონიოთ, მე ამ იმედს მხოლოდ მის ჩემდამი დამოკიდებულებაზე ვამყარებ. განა მარტო ლამაზ წინადადებებს შეუძლია იგი დააბრმავოს. უკვე მოგახსენეთ, რომ მანონი ხარბი არ არის. უყვარს განცხრომა. მაგრამ მეც ვუყვარვარ, ხოლო ჩემი საქმეები ეხლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ვერ დავიჯერებ, ჩემს თავს იმ კაცის შვილი არჩიოს, რომელმაც იგი თავშესაფარში ჩაამწყვდია“. ერთის სიტყვით, მე ჩემს გადაწყვეტილებას დავადექი, გავიხმე მანონი და გულახდილად ვუამბე ყველაფერი, რაც გავიგე.

მანონმა მადლობა გადამიხადა, რომ ასეთი კარგი აზრისა ვიყავ მასზე და დამპირდა გ... მ...-ს წინადადება ისე მიეღო, რომ მას განმეორების სურვილი აღარ ოაჰბადიბოდა. „ეხლა ში გზით მისი გაბრაზება არ გვმართებს, რადგან მას შეუძლიან დაგვლუპოს. შენ იცი, ჩემო კუდრაჭავ, — დავუ-

მატე მე სიცილით, — როგორ მოახერხებ, უსიამოვნო და უხერხული მიჯნურის თავიდან მოშორებას". იგი დაფიქრდა, შემდეგ მომიგო: „მშვენიერი აზრი მომივიდა, გ... მ... ჩვენი უბოროტესი მტრის ... ჩვენ შამის სამაგიერო მას უნდა გადავუხადოთ. მაგრამ ... ... არაროთ არა უშუალოდ მასზე, არამედ მის ქისაზე. მე მოვუსმენ, მივიღებ მის საჩუქრებს და შემდეგ სასაცილოდ ავიგდებ".

„შენი გეგმა კარგია, — ვუპასუხე მე, — მაგრამ გავიწყდება, ჩემო საბრალო ბავშვო, რომ ეს ის გზაა, რომელმაც ჩვენ პირდაპირ თავშესაფარში მიგვიყვანა".

ამაოდ ვუხატავდი მე მას ყოველგვარ საშიშროებას. მთავარია, ფრთხილად მოვიქცეთო, — მიპასუხა მან და უარჰყო ყველა ჩემი მოსაზრება. მიჩვენეთ ერთი მაინც ისეთი მიჯნური, რომელიც ბრმად არ ასრულებდეს გალმერთებულ სატრფოს ყოველ ახირებას, და დაგეთანხმებით, რომ არ ვიყავ მართალი, ასე ადვილად რომ დავუთმე. გადავწყვიტეთ გ... მ...-ს გასულელება, მაგრამ უცნაური ბედის ჭირვეულობით მოხდა ისე, რომ მე თვითონ გამასულელეს.

თერთმეტი საათისათვის გამოჩნდა ეტლი. გ... მ...-მ ზრდილობიანად ბოდიში მოიხადა იმ სითამამისათვის, რომელმაც გააბედვინა ჩვენთან სადილად მოსვლა. სრულებით არ გაჰკვირვებია ბ-ნ დე ტ...-ს დახვედრა. წინადღეს გააფრთხილა, რომ ისიც ჩვენსა იქნებოდა, მაგრამ რაღაც მოიმიზეზა და უარი უთხრა იმავე ეტლით წამოსვლაზე. თუმცა ჩვენს შორის არ იყო ადამიანი, რომელსაც გულში ღალატი არ ჰქონოდა, მაგრამ სუფრას მაინც ისე მოვუსხედით, როგორც კარგი მეგობრები. გ... მ...-მ ადვილად მოახერხა მანონისათვის თავისი გულისნადების გადაცემა. მე ვერ მისაყვედურებდნენ ხელის შეშლას, ვინაიდან რამდენიმე წუთით განგებ ოთახიდან გაველი.

როცა დავბრუნდი, შევნიშნე, რომ ჩვენი სტუმარი მკაცრი მოპყრობით სასოწარკვეთილებამდე არ მიუყვანიათ. მშვენიერ გუნებაზე იყო, მეც კმაყოფილი სახე მივიღე. თავის გუნებაში ის მე დამცინოდა, მე კიდევ მას. ნასადილევს ჩვენ ერთმანეთისათვის მეტად სასიამოვნო სანახაობას წარმოვადგენდით. წასვლის წინ მანონს კიდევ მივეცი საშუალება გამოლაპარაკებოდა სტუმარს, ასე რომ კმაყოფილი უნდა ყოფილიყო როგორც ჩემი პატივისცემით, ისე კარგი მასპინძლობით.

როგორც კი გ... მ... ბ-ნ დე ტ...-თან ერთად ეტლში ჩაჯდა, ხელებგაშლილი მანონი მომვარდა, გადამეხვია, გადამკოცნა და კისკისს მოჰყვა. შეუცვლელად იმეორებდა ჩვენი სტუმრის სიტყვებს, წინადადებებს: იგი აღმერთებს და მზად არის გაუყოს მანონს ორმოცათასიანი რენტა, რომელსაც უკვე ჰფლობს, ამასთან არ ანგარიშობს იმას, რასაც მამის სიკვდილის შემდეგ მიიღებს. მანონი გახდა მისი გულისა და ქონების ბატონპატრონი; საწინდრად თაკის სიუხვისა მზად არის მიუძღვნას ეტლი, კარგად მოწყობილი სახლი, ერთი მოახლე, სამი ლაქია და მზარეული.

„აი შვილი, რომელმაც სიუხვით მამასაც გადააჭარბა, — ეუბნება მანონს, — გულახდილად ვილაპარაკოთ: ნუთუ ეს წინადადება თავბრუს არ გახვევთ“? — „მეე?“ — გაიკვირვა მან და რასინის ლექსით გამოსთქვა თავისი აზრი:

Moi! vous me soup çonnez de cette perfidiê.
Moi! je pourrais souffrir un visage odieux,
Qui rappelle toujours l'Hôpital à mes yeux?

„არა“, — მივუგე მე და განვაგრძე პაროდია:

J'aurais peine à penser que l'Hôpital, madame,
Fût un trait dont l'anour l'eût graué dans votre âme.

„მაინც გაწყობილი სახლი, ისიც ეტლით და სამი ლაქიით დიდი რამ არის, სიყვარულს კი ბევრი არაფერი გააჩნია, რომ ამას მეტოქეობა გაუწიოს“.

მანონი ცხარედ შემეკამათა, რომ მისი გული მხოლოდ მე მეკუთვნის და ყოველგვარი სხვა სასიყვარულო ისრებისაგან იგი დაცულია. მისი დაპირება შურისძიების ნესტარი უფროა, ვიდრე სიყვარულის ისარიო. შეკითხე — ფიქრობს თუ არა მისგან სახლისა და ეტლის მიღებას. მიპასუხა, რომ ცდილობს ხელში ჩაიგდოს მხოლოდ მისი ფული.

ძნელი იყო ერთი ისე მიეღო, რომ მეორე უკუეგდო. გადავწყვიტეთ, გაგვეგო გ... მ...-ს გეგმა იმ წერილის მეოხებით, რომლის გამოგზავნასაც იგი მანონს დაჰპირდა. მართლაც, მეორე დღეს მანონმა მიიღო წერილი ლაქიის ხელით, რომელიც ულივრეიოდ იყო და რომელმაც ოსტატურად მოახერხა მანონთან გამოლაპარაკება. მანონმა უბრძანა დაცდა და წერილი ჩემთან მოარბენინა. ერთად გავხსენით.

ჩვეულებრივ სატრფიალო წინადადებებს გარდა. წერილში ჩამოთვლილი იყო ჩემი მეტოქის დაპირებანი. ის არ ძუნწობდა: ჰპირდებოდა, როგორც კი მანონი სახლს დაეუფლება, გადაეთვალა მისთვის ათი ათასი ფრანკი, და როცა მოაკლდებოდა ამ თანხას, შეევსო, ასე რომ ეს ათი ათასი მუდამ ნაღდად ჰქონოდა. მანონის ახალ ბინაზე გადასვლის ვადა არც თუ ისე შორს იდებოდა. იგი ითხოვდა მხოლოდ ორ დღეს მოსამზადებლად და ასახელებდა სახლს და ქუჩას, სადაც მეორე დღეს, ნაშუადღევს დაუცდიდა, თუ კი მანონი მოახერხებდა ჩემი ხელიდან თავის დაძვრენას. მას მხოლოდ ეს უკანასკნელი გარემოება აფიქრებდა, ემუდარებოდა მანონს, ამის შესახებ დაემშვიდებია, სხვაში კი, ეტყობოდა, სრულიად დარწმუნებული იყო, მაგრამ დასძენდა: თუ გაუჭირდებოდა მანონს ჩემი ხელიდან დაძვრომა, იგი ამის საშუალებას თვითონ გამონახავდა.

გ... მ... თავის მამაზე ეშმაკი გამოდგა: მას უნდოდა ნადავლი ჩაეგდო ხელში უფრო ადრე. ვიდრე ფულს გადაუთვლიდა. ჩვენ მოვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მანონი. ერთხელ კიდევ შეეცადე დამერწმუნებინა—ხელი აეღო თავის გეგმაზე, დავუსურათე ის საფრ-

თხე, რაც ამ გეგმას მოსდევდა. მაგრამ ვერაფრით ვერ შევარდა მისი გადაწყვეტილება.

მან მოკლედ უპასუხა გ... მ...-ს, არწმუნებდა, რომ დაუყოვნებლივ ჩავა დანიშნულ დღეს პარიზში და სრულიად დამშვიდებულმა დატოვა-დოს მას.

ჩვენ კი შევთანხმდით, რომ მე დაუყოვნებლივ გავემართები ბინის დასაქირავებლად რომელიმე სოფელში პარიზის მეორე მხარეს და გადავიტან იქ ჩვენს მცირე ბარგს. მანონი მეორე დღეს დაუგვიანებლივ პარიზს გაემგზავრება, მიიღებს საჩუქრებს გ... მ...-საგან და მაშინვე მოითხოვს წაიყვანოს იგი თეატრში, თან წაიღებს ფულს, რამდენსაც შესძლებს, ხოლო დანარჩენს გადასცემს ჩემს მსახურს, რომელიც თან უნდა წაიყვანოს. ეს ის მსახურია, რომელმაც თავშესაფარიდან გაანთავისუფლა მანონი და რომელიც ჩვენი ერთგული იყო.

მე დაქირავებული ეტლით უნდა მივიდე სენტ-ანდრე-დეზ-არის ქუჩის კუთხესთან, დაახლოებით შვიდ საათზე, დავტოვო იქ ეტლი და სიბნელეში გავემართო თეატრის შესავლისაკენ. მანონი დამპირდა, რამეს მოიმიზეზებს, ლოჟიდან გამოვა და მე შემომიერთდება. დანარჩენი სიძნელეს აღარ წარმოადგენს: ეტლთან მივირბენთ, სენტ-ანტუანის გარეუბნით პარიზიდან გავალთ და ჩვენი ახალი ბინისაკენ გავწევთ.

ეს გეგმა ახირებული იყო, მაგრამ მისი შესრულება ჩვენ მაინც შესაძლებლად მივიჩნიეთ: ნამდვილად კი უგუნურება იყო იმის იმედი, რომ ჩვენ, გეგმის წარმატებით შესრულების შემთხვევაშიაც კი, თავიდან ავიცილებდით შედეგებს. მიუხედავად ამისა, გეგმა მივიღეთ და ამით სრული დაუდევრობა გამოვიჩინეთ. მანონი წავიდა მარსელის თანხლებით: ასე ეძახდნენ ჩვენს მსახურს. ნაღვლიანად გამოვეთხოვე ჩემს სატრფოს. გადავეხვიე და ვკითხე: „მანონ, ხომ არ მომატყუებთ? ხომ იქნებით ჩემი ერთგული“? უნდობლობისათვის მან ალერსიანად მისაყვედურა და ერთხელ კიდევ შემომფიცა.

იგი პარიზში ჩასვლას სამი საათისთვის ფიქრობდა. მალე მეც გავემართე პარიზისაკენ. საღამომდე დრო ფერეს ყავახანაში გავატარე, წმ. მიხეილის ხიდთან რომ არის. დაბინდებისას გამოვედი, ეტლი დავიქირავე და ვუბრძანე სენტ-ადრე-დეზ-არის ქუჩის კუთხეში გაჩერებულიყო. შემდეგ ქვეითად გავსწიე თეატრის კარებისკენ. გამიკვირდა, რომ იქ მარსელი არ დამხვდა, მას დანიშნულ ადგილას უნდა ეცადნა. ერთი საათით მოთმინება მოვიკრიბე და ლაქიების ბრბოს შევერიე, ვათვალიერებდი გამვლელ-გამომვლელთ. ბოლოს, როდესაც შვიდმა საათმა დაჰკრა და არავითარი ნიშანი აღარა სჩანდა იმისა, რასაც რაიმე კავშირი ჰქონდა ჩვენს გეგმასთან, პარტერის ბილეთი ავიღე, რათა თეატრში შევსულიყავ და დამეთვალიერებინა, იყვნენ თუ არა ლოჟაში მანონი და გ... მ... არც ერთი და არც მეორე იქ არ აღმოჩნდა. ისევ გარეთ გამოველი და საათი და თხუთმეტი წუთი კიდევ დავიცადე. მოუთმელობა და შიში მტანჯავდა, არავინ არა სჩანდა. მივედი ჩემს მეეტლესთან, არ ვიცოდი, რო-

გორ მოვქცეულიყავ. დამინახა თუ არა მეეტლემ, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ და საიდუმლოდ გადმომცა, რომ თითქმის ერთი საათია ეტლში ვიღაც მშვენიერი ქალი გიცდითო. ქალმა ჩემი [illegible] ასწერა და მეეტლეც ამით მიხვდა, რომ სწორედ მე დაველებდა იგი, [illegible] ქალმა გაიგო, რომ მე მალე დავბრუნდები, განაცხადა — დავუცდიო.

მაშინვე გადავწყვიტე, რომ ეს მანონია-მეთქი, მაგრამ როცა მივუახლოვდი ეტლს, დავინახე არა მანონი, არამედ უცნობი ქალის მშვენიერი სახე. ქალმა მკითხა — შევალიე დე გრიე ხომ არა ვარ. სწორედ ის გახლავართ-მეთქი, ვუპასუხე. „თქვენთან წერილი მაქვს, — მომმართა მან: — წერილიდან გაიგებთ, რისთვისაც მოვედი და როგორ გავიგე თქვენი სახელი". — ვსთხოვე დაეცადა, სანამ წერილს მახლობელ სამიკიტნოში წავიკითხავდი. მან ჩემთან ხამოსვლა მოისურვა, მხოლოდ მირჩია, ცალკე ოთახი ამეღო. „ვისგან არის ეს წერილი?" — ვკითხე მე, როცა კიბეზე ავდიოდით, — პასუხის მაგივრად მან წერილი წამაკითხა.

მანონის ხელი ვიცანი. აი, დაახლოებით რას მწერდა იგი. გ... მ...-ს ისეთის პატივით და დიდებით მიეღო მანონი, როგორსაც იგი არ ეოელოდა. ისეთის საჩუქრებით აევსო, რომ დედოფალსაც კი შეშურდებოდა. მანონი მაინც მარწმუნებდა, რომ ამ დიდებასა და ბრწყინვალებაშიც არ გივიწყებო. მანონს ვერ დაუთანხმებია გ... მ... იმავ სალამოს თეატრში წასვლაზე, ამიტომ მან სხვა დღისათვის გადასდო ჩემი ნახვის სიამოვნება, ხოლო ცოტათი მაინც რომ დავემშვიდებინე, მან სხვა საშუალება გამონახა: გამომიგზავნა პარიზის ერთერთი ულამაზესი ქალი, რომელიც წერილს გადმოგცემთო. ხელს აწერდა: „თქვენი ერთგული საყვარელი მანონ ლესკო".

ეს წერილი ჩემთვის ისეთი შეურაცხმყოფელი და სასტიკი იყო, რომ რამდენიმე წუთს სიბრაზესა და მწუხარებას თავი ვერ დავაღწიე. მაგრამ ბოლოს შევეცადე ძალღონე მომეკრიბა და სამუდამოდ დამევიწყა ჩემი უმადური და ვერაგი საყვარელი. თვალი შევავლე ჩემ წინ მდგომ ქალს. იგი მეტად ლამაზი იყო, და მომესურვა, რომ მის სილამაზეს მეც უმადური და ვერაგი გავეხადე. მაგრამ მასში ვერ ვპოვე ვერც მოხდენილი და მიბნედილი თვალები, ვერც ღვთაებრივი მოყვანილობა, ვერც ის ფერი, რომელიც ასე უხვად მიანიჭა მას სიყვარულის ღმერთმა, ერთის სიტყვით, ვერც ერთი ის მშვენიერება, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა ვერაგი მანონი. „არა, არა, — ვუთხარი მას და თვალი მოვაშორე, — იმ უმადურმა, რომელმაც თქვენ აქ გამოგგზავნათ, ძალიან კარგად იცოდა, რომ თქვენი ცდა უსარგებლო იქნებოდა. დაბრუნდით მასთან და გადაეცით ჩემს მაგიერ, რომ დასტკბეს თავისი ბოროტმოქმედებით და, თუ შეესძლებს, დასტკბეს სინიდისის უქენჯნელად. მე სამუდამოდ ვტოვებ მას და ამავე დროს უარვყოფ საერთოდ ქალებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ისეთი მომხიბვლელნი, როგორიც იგია, მაგრამ უეჭველად ისეთივე საზიზღარნი და ვერაგნი არიან".

იმ წუთში მე მზად ვიყავი ოთახიდან გავქცეულიყავ და საბრალამოდ უარმეყო, დამევიწყა მანონი. ხოლო რადგან ბწვავე ეჭვი, რომელიც გულს მიღრღნიდა, მწუხარე და პირქუში სიმშვიდის სახით ჩამომაწვა, ჩემი განკურნება შესაძლებლად მივიჩნიე, მით უმეტეს, რომ ასეთ აბობოქრებული სულიერი მღელვარება არც ერთხელ არ განმიცდია მსგავს შემთხვევებში. ვაგლახ, სიყვარულიც ისევე მასულელებდა, როგორც გ... მ... და მანონი!

ქალმა, რომელმაც წერილი მომიტანა, როცა დაინახა, რომ წასვლა დავაპირე, მკითხა, ხომ არ გადავცემდი რაიმეს ბ-ნ გ... მ...-ს ან მის ქალბატონს. ამის გაგონებაზე ოთახში შემოვბრუნდი და მოჩვენებითი სიმშვიდე უცბათ უსაშინელეს მრისხანებად გადამექცა. „გასწი, — შევსძახე ქალს, — მოახსენე მოღალატე გ... მ...-ს და მის ცბიერ საყვარელს, რა სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა საზიზღარმა წერილმა, მაგრამ გააფრთხილე, რომ დიდხანს არ მოუხდებათ სიცილი, საკუთარი ხელით გამოვღადრავ ორივეს ყელს“. სკამზე დავეშვი, ქუდი ერთ მხარეზე გადავარდა. ჯოხი მეორეზე. მწარე ცრემლების ნაკადული წამსკდა თვალთაგან. მრისხანების შეტევა ღრმა მწუხარებით შეიცვალა. ვსტიროდი, ვოხრავდი და ვკვნესოდი.

„მომიახლოვდი, ჩემო ბავშვო, მომიახლოვდი, — შევსძახე მე ქალიშვილს, — მომიახლოვდი, შენ ჩემს დასამშვიდებლად ხარ მოვლენილი. მითხარი, თუ იცი რაიმე საშუალება ბოღმის და სასოწარკვეთილების წინააღმდეგ, თავის მოკვლის წინააღმდეგ, მასშემდეგ, როცა მოვკლავ ორ მოღალატეს, რომელნიც არ არიან სიცოცხლის ღირსნი. ჰო, მომიახლოვდი, — განვაგრძე მე, როცა შევამჩნიე, რომ მან რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადმოდგა. — მოდი, ცრემლები შემიშრე; მოდი, მოჰფინე ჩემს გულს სიმშვიდე; მოდი, მითხარი მიყვარხარ-თქო. მიმაჩვიე რ3 აზრს, რომ მარტო ჩემს მოღალატეს არ შეუძლიან ჩემი სიყვარული. შენ ლამაზი ხარ, შეიძლება მეც მოვახერხო და შეგიყვარო“. საბრალო ბავშვი, რომელიც თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის ძლივს იქნებოდა და რომელიც ეტყობოდა, უფრო მორცხვი იყო, ვიდრე მისი მსგავსნი, გაოცებული იყო ასეთი სცენით. ის მაინც მომიახლოვდა, რომ მომფერებოდა, მაგრამ მე იმ წამსვე ხელი ვკარი და მოვიშორე. „რა გინდა ჩემგან? — შევძახე: — შენ ხომ ქალი ხარ, შენ ხომ იმ სქესს ეკუთვნი, რომელიც მე მეზიზღება; შენი ნაზი გამოხედვა ახალ ღალატს მიმზადებს. გამეცალე, მარტო დამტოვე!“ მან ღრმა სალამი მომცა უსიტყვოდ და წასასვლელად მიტრიალდა. ვუბრძანე შეჩერებულიყო. „გამაგებინე მაინც, — დავუმატე მე, — რისთვის, როგორ, რა მიზნით გამოგგზავნეს შენ აქ? როგორ გაიგე ჩემი სახელი და ის ადგილი, სადაც შეგეძლო ჩემი პოვნა“?

ქალმა მიამბო, რომ მას დიდი ხანია იცნობს ბ-ნი დე გ...მ...-ი, ბ-ნშა დე გ... მ...-მ ლაქია გაუგზავნა და დაიბარა; ისიც გაჰყვა ლაქიას და ინახულა გ... მ..., რომელიც პიკეტს თამაშობდა ლამაზ ქალთან. მათ გადასცეს ეს წერილი და გააფრთხილეს, რომ მიპოვნიდა ეტლთან, წმ. ანდრიას

ქალის ბოლოში. ვკითხე, ლითხრეს თუ არა მათ კიდევ რამე: იმან გაწითლდა და მითხრა — „დამარწმუნეს, რომ თქვენ დამიახლოვდებით“. „მოგატყუეს, შე საბრალოვ, მოგატყუეს, — მივუგე მე. — შენ ქალი ხარ და მამაკაცი გჭირდება, მაგრამ მდიდარი და ბედნიერი მამაკაცი, — ეს კი ასეთს ვერ იპოვი. დაბრუნდი ბ-ნ დე გ... მ...-თან, მას ყველაფერი აქვს, რაც საჭიროა ლამაზების სიყვარულისათვის. ისინი ასაჩუქრებენ კარგად მოწყობილი სახლებით და ეტლებით. მე კი, მე მხოლოდ სიყვარულისა და ერთგულების მიცემა შემიძლია; ქალებს ეზიზღებათ ჩემი სილატაკე და სათამაშოდ ხდიან ჩემს გულუბრყვილობას“.

ბევრი რამ კიდევ დავუმატე, ხან სამწუხარო, ხან მრისხანე, იმისდა მიხედვით, თუ როდის რომელი გრძნობა იმარჯვებდა ჩემში. ბოლოს, ჩემმა შფოთვამ ისე მომთენთა, რომ ადგილი აზროვნებას დავუთმე. შევადარე უკანასკნელი უბედურება ამის მსგავს სხვა უბედურებებს, რომლებიც აქამდე გადამეტანა და დავინახე, რომ არა ღირდა სხვებზე მეტად ამ უკანასკნელზე გადარევა. მანონს საკმაოდ ვიცნობდი. აგრე რიგად რატომ უნდა შევწუხებულიყავი იმ უბედურობით, რომლის მოლოდინიც ადრევე უნდა მქონოდა. არ ემჯობინება, გამოვიყენო ჩემი ძალონე იმისათვის, რომ რამე წამალი გამოვნახო? ჯერ კიდევ არ იყო გვიან. ყოველ შემთხვევაში, ყოველი ღონე უნდა მეხმარა, რათა სანანებლად არ გამეხადა ის, რომ საკუთარ უბედურებას ჩემივე დაუდევრობით შევუწყე ხელი. შევუდექი იმ საშუალებებზე ფიქრს, რომელთაც შეეძლოთ რაიმე საიმედო გზა ეჩვენებინათ.

ძალით გ... მ...-ს ხელიდან მანონის გამოგლეჯის ცდა საბედისწერო ნაბიჯი იქნებოდა, რომელსაც შეეძლო მხოლოდ დაეღუპე, გამარჯვებას კი ვერ მომანიჭებდა. ვფიქრობდი, ცოტა ხნით მაინც თუ მოვახერხებდი მანონთან გამოლაპარაკებას, რამდენადმე მაინც დავიპყრობდი მისი გულის ნაწილს. მე ხომ ასე კარგად ვიცნობდი მის მგრძნობიარე ადგილებს! მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ვუყვარვარ! თვით ეს ახირებული აზრი — ჩემს დასამშვიდებლად ლამაზი ქალის გამოგზავნა,—ცხადჰყოფდა მწუხარების შემსუბუქების სურვილს.

გადავწყვიტე გამომეყენებინა მთელი ჩემი მოხერხება და როგორმე მენახა იგი. მრავალი საშუალება გავსინჯე და ბოლოს ერთზე შევჩერდი. ბ-ნი დე ტ... პირველი გაცნობის დღიდან მეგობრულად მომეპყრა, ეჭვი არ შემდიოდა მის გულწრფელობასა და ერთგულებაში. გადავწყვიტე დაუყოვნებლივ წავსულიყავი მასთან და მეთხოვა რაიმე გადაუდებელი საქმის მომიზეზებით გამოეძახნა გ... მ... ნახევარი საათი მჭირდებოდა მანონთან გამოსალაპარაკებლად. მე ვადავწყვიტე შევსულიყავ თვით მანონის ოთახში, ხოლო გ... მ....-ის შინ არ ყოფნის დროს ეს ძნელი არ იქნებოდა.

ამ გადაწყვეტილებით დამშვიდებულმა, უხვად დავასაჩუქრე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჯერ კიდევ ჩემთან იყო, და რათა გ... მ...-სთან აღარ დაბრუნებულიყო, გამოვართვი მისამართი და დავაიმედე, რომ

ლამეს მასთან გავატარებდი. ჩავჯექი ეტლში და ვუბრძანე მეეტლეს, რაც შეიძლება ჩქარა წავეყვანე ბ-ნ დე ტ...-სთან. იქედა საბედნიეროდ, იგი ბინ დამიხვდა. გზაში მაშინებდა ის აზრი, ვაი თუ შინ არ დამხვდეს-მეთქი. ორი სიტყვით გადავეცი ჩემი გაჭირვება და ავუხსენი, რა სიმახურე უნდა გაეწია ჩემთვის.

ის იმდენად გააოცა გ... მ...-ს მიერ მანონის შეცთენის ამბავმა (ბ-ნმა დე ტ...-მ არ იცოდა, თუ რა მონაწილეობა მივიღე მე თვითონ ჩემს უბედურებაში), რომ აღმითქვა თავი მოეყარა თავისი მეგობრებისთვის და მათი ხმლების დახმარებით გაენთავისუფლებინა ჩემი სატრფო. გავაგებინე, რომ ამ საქმის გახმაურება შეიძლებოდა დამღუპველი გამხდარიყო ჩემთვის და მანონისათვისაც. „შემოვინახოთ ჩვენი სისხლი უკიდურეს შემთხვევისათვის, — ვუთხარი მე. — ეხლა კი თავში ერთი გეგმა დამებადა, რომელიც ნაკლებ სახიფათოა და მეტი წარმატების მომცემი". მან განაცხადა, რომ მზად არის იკისროს ყველაფერი, რასაც მე დავავალებ, და როდესაც განვუმარტე, რომ საჭიროა მხოლოდ ორიოდე საათით გ...მ...-ს გამოხმობა სახლიდან, ის დაუყოვნებლივ გამომყვა ჩემი თხოვნის ასასრულებლად.

ჩვენ მოვილაპარაკეთ იმაზე, თუ რით შეიძლებოდა მისი მეტი ხნით შეჩერება. ვურჩიე, რომელიმე სამეკიტნოდან გაეგზავნა მისთვის წერილი და ეთხოვა გადაუდებელი საქმის გამო დაუყოვნებლივ იქ მისვლა. მე დავუდარაჯებ და როგორც კი გამოვა შინიდან, ადვილად შევალ მის ბინაში, იქ მე მხოლოდ მანონი და ჩემი მსახური მარსელი მიცნობს. თქვენ ამ ხნის განმავლობაში გ... მ...-სთან იქნებით, ჩამოუგდებთ ლაპარაკს ფულზე, ვითომ წააგეთ, რაც ნაღდად გაგაჩნდათ და შემდეგ კიდევ განაგრძეთ თამაში, რასაც მეტი წაგება მოჰყვა... იმას საკმაო დრო დასჭირდება, რომ თავის სალაროში წაგიყვანოთ, ეს კი საკმარისი იქნება ჩემი საქმის მოსაგვარებლად.

ბ-ნმა დე ტ...-მ ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც მე ვუთხარი. დე ტ...-ი სამეკიტნოში დავტოვე, სადაც მან სასწრაფოდ დასწერა წერილი, მე კი მანონის სახლთან გავჩერდი. დავინახე, როგორ მოვიდა შიკრიკი და რამდენიმე წამის შემდეგ გ... მ... ლაქიის თანხლებით გამოვიდა. დავაცადე, სანამ იგი ქუჩას გასცდებოდა, მერე მივუახლოვდი ჩემი მოლალატის კარებს. გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ მაინც ისეთი მოწიწებით დავაკაკუნე, თითქოს ეკლესიის კარებთან ვიდექი. საბედნიეროდ, კარის გასაღებად მარსელი მოვიდა. ვანიშნე ჩუმად ყოფილიყო. სხვა მსახურთა შიში არ უნდა მქონოდა, მაინც ხმადაბლა შევეკითხე, შეუძლია თუ არა შეუმჩნეველად შემიყვანოს მანონის ოთახში. მან მიპასუხა, ძალიან ადვილია, თუ ჩუმად დიდი კიბით ახვალთო. „წავიდეთ ჩქარა, — ვუთხარი, — და ეცადე, ვიდრე მე იქ ვიქნები, არავინ შემოვიდეს". დაუბრკოლებლივ შეველი მანონის ბინაში.

მანონი კითხულობდა. გამაოცა ამ უცნაური ქალის ხასიათმა. ჩემს დანახვაზე იგი სრულიად არ შეშფოთებულა, მას მხოლოდ ოდნავ გაუ-

ყვირდა, როგორც გაუკვირდებათ ხოლმე ვისიმე მოულოდნელი შეხვედრა. „ოჰ, თქვენა ხართ, ჩემო საყვარელო! — მითხრა მან და ჩვეულებრივი სინაზით გადამეხვია, — ღმერთო ჩემო, რა თამამი ხართ! ვინ იფიქრებდა, რომ დღეს აქ მოხვიდოდით?“ მე გავინთავისუფლე თავი მისი ალერსებისაგან, ყურადღება არ მივაქციე მის ალერსს და ორი თუ სამი ნაბიჯით მოვშორდი. ჩემმა მოძრაობამ აშკარად შეაკრთო. ერთ ადგილას იდგა და სახეშეცვლილი მიყურებდა.

გულის სიღრმეში იმდენად მოხიბლული ვიყავი მასთან შეხვედრით, რომ თუმცა საკმაო საბუთი მქონდა ნაწყენი ვყოფილიყავ, მიძნელდებოდა პირის გახსნა და საყვედურების თქმა. იმავე დროს საშინელი შეურაცხყოფის გამო გული სისხლისაგან მეცლებოდა, მე ცოცხლად აღვადგინე ეს შეურაცხყოფა მეხსიერებაში, რათა განმეახლებინა სიბრაზე და შევეცადე, რომ თვალებში ამენთო სხვა და არა სიყვარულის ცეცხლი. ვიდრე მე ვდუმდი, ის თვალყურს ადევნებდა ჩემს აღელვებას, შევნიშნე, როგორ კანკალებდა, ალბათ, შიშისაგან.

ველარ შევძელი ამ სანახაობის ატანა. „ოჰ, მანონ, — ვუთხარი ნაზად, — მოღალატე და ცბიერო მანონ! რით დავიწყო ჩემი საყვედურები? ვხედავ, გაფითრდით და კანკალებთ, მე კი იმდენად მგრძნობიარე ვარ, რომ თქვენი ოდნავი აღელვებაც კი მაწუხებს, მეშინია საყვედურებით არ შეგაწუხოთ... მანონ, თქვენმა ღალატმა გული მომიკლა. ასეთ ჭრილობას საყვარელს მხოლოდ მაშინ მიაყენებენ, როდესაც სასიკვდილოდ გასწირავენ. ეს უკვე მესამედაა, არ მეშლება ანგარიში, ასეთი რამის დავიწყება არ შეიძლება. თქვენ ეხლავე უნდა გადასწყვიტოთ, როგორ მოიქცეთ, რადგან ჩემი უბედური გული ველარ აიტანს ასეთ სასტიკ მოპყრობას. ვგრძნობ, რომ სუსტდება ჩემი გული და ლამის ტკივილებისაგან გასკდეს. მეტის ატანა აღარ შემიძლიან, — ვთქვი ეს და სკამზე ჩამოვჯექი, — ლაპარაკი აღარ შემიძლიან, ფეხზე ველარ ვდგევარ“.

მან ხმა არ გამცა, მაგრამ როდესაც დავჯექი, მუხლებზე დაეცა, თავით მომეყრდნო და სახე ჩემს ხელებში ჩამალა. იმავე წუთს ხელებზე ცრემლები ვიგრძენი. ღმერთო ჩემო, რა არ გამოვცადე მაშინ! „ოჰ, მანონ, მანონ, — ოხვრით მივმართე მე, — ჩემთვის ცრემლების დაღვრა გვიანაა. თქვენ უკვე სასიკვდილო ლახვარი ჩამეცით! თქვენ მოჩვენებით მწუხარებას ეძლევით. თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება ჩემი აქ ყოფნაა. ეს ყოველთვის ხელს უშლიდა თქვენს სიხარულს. გაახილეთ თვალები, შემომხედეთ, ვინა ვარ. ასეთ მდუღარე ცრემლებს არა ღვრიან იმ უბედურისათვის, რომელსაც უღალატეს და რომელიც ვერაგულად მიატოვეს“.

იგი იმავე მდგომარეობაში იყო, ხელებს მიკოცნიდა. „დაუდგრომელო მანონ, — განვაგრძე კვლავ მე, — უმადურო და ურწმენო ქალო, სად არის თქვენი დაპირება და თქვენი ფიცი? ქარაფშუტა და ცბიერო საყვარელო, რა უყავ იმ სიყვარულს, რომელსაც ჯერ კიდევ დღეს მეფიცებოდი? სამართლიანო ზეცავ, — წამოვიყვირე მე, — აი, როგორ დაგ-

ცინის მოღალატე, რომელიც ესოდენი სასოებით გიმოწმებდა! ახლა ჯილდოვდება ღალატი, ხოლო სასოწარკვეთილება და მარტოობა ერთგულებისა და პატიოსნების ხვედრია“!

ამ სიტყვებთან ერთად იმდენად მწარე ფიქრები მიმაწვა, რომ თვალებიდან უნებურად რამოდენიმე ცრემლი წამსქდა. მანონმა შეცვლილ სახეზე შემატყო, რომ ვტიროდი და ბოლოს სიჩუმე დაარღვია. „მეალბათ, დამნაშავე ვარ, — მწუხარედ წარმოსთქვა მან, — რადგან ამდენი ტანჯვა და აღელვება მოგაყენეთ, მაგრამ წყეულიმც ვიყო, თუ შეგნებულად ან განგებ ჩამედინოს ეს“.

ეს სიტყვები იმდენად უაზრო და არაგულწრფელი მეჩვენა, რომ თავი ვერ შევიკავე საშინელი რისხვისაგან.

„რა საზარელი თვალთმაქცობაა! — შევყვირე მე, — ეხლა კი კარგად ვხედავ, რომ თქვენ მხოლოდ თვალთმაქცი და ცბიერი ყოფილხართ. ეხლა ვიცი, რა სულმდაბალი ყოფილხარ. მშვიდობით, უმგვანო ქმნილებავ! — განვაგრძე მე და წამოვდექი, — ათასჯერ სიკვდილს ვამჯობინებ, ვიდრე შენთან რაიმე ურთიერთობა ვიქონიო. წყეული ვიყო, თუ ოდესმე შემოხედვის ღირსი გაგხადო! იცხოვრე შენს ახალ საყვარელთან, შეიყვარე იგი, შემიძულე მე, ხელი აიღე სინიდისზე და გონიერებაზე, ჩემთვის სულ ერთია“!

ჩემმა აფეთქებამ ისეთი თავზარი დასცა მანონს, რომ როცა წამოვდექი სკამიდან, იგი მუხლმოყრილი, აკანკალებული და სულთქმა შეკრული შემომცქეროდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი კარებისაკენ. მერე მოვტრიალდი და მივაშტერდი. უკანასკნელი ადამიანური გრძნობა უნდა დამკარგოდა, რომ გულგრილი დავრჩენილიყავი მისი მშვენიერების წინაშე.

ჩემთვის იმდენად უცხო იყო ასეთი ბარბაროსული გრძნობა, რომ უცებ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდი, მოვბრუნდი მისკენ, ან უკეთ, ანგარიშმიუცემლად მივვარდი და გულში ჩავიკარი. ვკოცნიდი დაუსრულებლად, განრისხებისთვის ბოდიშს ვიხდიდი. გამოვუტყდი, რომ უხეში ვარ და ღირსი არა ვარ ისეთი ქალის სიყვარულისა, როგორიც ის არის.

სკამზე დავსვი, მუხლთ მოვიყარე მის წინაშე და ვემუდარებოდი, მოესმინა ჩემთვის. რამდენიმე სიტყვით ბოდიში მოვიხადე და ამ სიტყვებში მოვაქციე ყველაფერი ის, რისი გამოცხადებაც შეუძლია ენებით აღსავსე მიჯნურს. ვემუდარებოდი ეთქვა, რომ ყველაფერი მაპატივა. მან მკლავები კისერზე მომხვია და მეუბნებოდა, რომ, პირიქით, მას სჭირია ჩემი გულკეთილობა, რათა დამევიწყა ის მწუხარება, რაც მან მომაყენა. ამასთან მას სრულიად საფუძვლიანად აშინებდა, რომ მე არ ვირწმუნებ იმას, რასაც ის თავის გასამართლებლად მეტყვის. მე სიტყვა გავაწყვეტინე: „ოო, მე თავის გამართლებას არ მოვითხოვ თქვენგან. ვეთანხმები ყოველივე იმას, რაც ჩაიდინეთ. რა უფლება მაქვს თქვენი მოქმედების ანგარიში მოვითხოვო? მე ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვიქნები, თუ

ჩემი ძვირფასი მანონ გულიდან არ ამომიღებს. ყოველის შემძლებელო მანონ, — განაგრძე მე, — შენ, რომელიც შენი სურვილისამებრ ძანრეებ როგორც ბედნიერებას, ისე მწუხარებას, ნება მომეცი, ჩემი მოხსენების შემდეგ გითხრა, რა მაწუხებს და რა მტანჯავს: გამომიცხადე, რა მომელის დღეს? ნუთუ შენ საბოლოოდ მოაწერე ხელი ჩემს სასიკვდილო განაჩენს, ნუ თუ ფიქრობ გაატარო ღამე ჩემს მეტოქესთან?"

პასუხის გაცემამდე იგი ცოტა ჩაფიქრდა. „ჩემო შევალიე, — მითხრა მან უკვე დამშვიდებულმა, — ადრევე ასე ნათლად რომ გამოგეთქვათ ყოველივე, თქვენ თავსაც ააცდენდით მრავალ მწუხარებას და მეც გამანთავისუფლებდით ასეთი მძიმე სცენისაგან. თუ თქვენი ტანჯვა გამოწვეულია მარტოოდენ ეჭვით, მაგას ადვილად ეშველება, რადგან შემიძლია დაუყოვნებლივ გამოგყვეთ ყველგან, სადაც კი მოისურვებთ. მაგრამ მე სულ სხვა რამ წარმოვიდგინე. წარმოვიდგინე, რომ თქვენი შეწუხების მიზეზი იყო ის წერილი, რომელიც მე ბ-ნ დე გ... მ...-ის თანდასწრებით დავწერე, და ის ქალი, რომელიც ჩვენ გამოგიგზავნეთ. მე გავიფიქრე, რომ ის წერილი დაცინვად მიიღეთ, ხოლო ის ქალი იმის ნიშნად, რომ თქვენთან ვწყვეტდი კავშირს და გ... მ...-ს ვუერთდებოდი. ამ აზრმა ძალზე შემაშფოთა. თუმცა მე დამნაშავედ არა ვგრძნობდი თავს, მაგრამ როცა ჩავუკვირდი საქმეს, დავინახე, რომ გარეგნულად ჩემი საქციელი ჩემს სასარგებლოდ არ ლაპარაკობდა. მაგრამ მაინც, — განაგრძო მან, — მე მინდა გამასამართლოთ მასშემდეგ, როცა ყველაფერს გიამბობთ".

და მან მიამბო ყველაფერი, რაც მომხდარიყო მასშემდეგ, როცა იგი გ... მ...-ს შეხვდა. გ... მ...-მ მიიღო იგი, როგორც ნამდვილი დედოფალი. აჩვენა ოთახები, რომლებიც გასაოცარი გემოვნებით და მოხდენილად იყო მოწყობილი, გადასცა ათი ათასი ლივრი და დაუმატა რამდენიმე სამკაული, მათ შორის მარგალიტის სწორედ ის ამბარჩა და სამაჯურები, რომლებიც მანონს წინათ მოხუცმა გ... მ...-მ აჩუქა. შემდეგ სასტუმრო ოთახში შეიყვანა, სადაც საუცხოო საუზმე იყო გაშლილი და უბრძანა საგანგებოდ აყვანილ მსახურთ, ისე მოპყრობოდნენ მანონს, როგორც თავიანთ ქალბატონს. დასასრულ, უჩვენა ეტლი, ცხენები და დანარჩენი საჩუქრები, რის შემდეგაც წინადადება მისცა ვახშმის მოლოდინში ერთი ხელი პიკეტი ეთამაშნათ.

„გამოგიტყდებით, — განაგრძო მანონმა, — რომ გამაოცა ასეთმა სიუხვემ. გავიფიქრე, რომ სამწუხარო იქნებოდა ყოველივე ამის დაკარგვა და მარტო ათი ათასი ფრანკით და სამკაულით დაკმაყოფილება. აქ მთელი სიმდიდრე მოგველოდა და ჩვენ შეგვეძლო გ... მ...-ს ხარჯზე ბედნიერ ცხოვრებას დავწაფებოდით. იმის ნაცვლად, რომ თეატრში წასვლის წინადადება მიმეცა, გადავწყვიტე გამეგო, რა აზრისა იყო თქვენზე, რომ მცოდნოდა, ადვილად შეეძლებდით თუ არა ჩემი გეგმის განხორციელებას. გამოირკვა, რომ იგი ადვილად მოსათვინიერებელი კაცი ყოფილა. მან მკითხა, რას ვფიქრობ თქვენზე და ხომ არ ვნანობ თქვენ-

თან განშორებას. ვუპასუხე, რომ თქვენ ყოველთვის იმდენად თავაზიანი იყავით და ყოველთვის ისე პატიოსნად მეპყრობოდით, რომ შეუძლებელია მძულდეთ. ის დამეთანხმა, რომ თქვენ ღირსეულ ადამიანი ხართ და განაცხადა, რომ მზად არის და სურვილიც აქვს [illegible] ოდეთ თქვენ.

ჩემი აზრით, მას უნდოდა კაეგო, როგორ მიიღებდით თქვენ ჩემი წასვლის ამბავს, განსაკუთრებით, როცა გაიგებდით, სად ვიყავი. მე ვუპასუხე, რომ ჩვენ ისე დიდი ხანია ერთმანეთი გვიყვარს, რომ ეს გრძნობა უკვე შენელდა, მეორეს მხრივ, იგი ქონებრივად, ცოტა არ იყოს, შეზღუდულია და ჩემი დაკარგვა შეიძლება დიდ დანაკლისად არ მიიჩნიოს, რადგან იგი თავისუფლდება ზედმეტი ტვირთისაგან-მეთქი. ბოლოს დავუმატე, რომ პარიზში ჩემი წამოსვლა სხვადასხვა საქმით ავხსენი-მეთქი. თქვენ ნება დამრთეთ და გამომისტუმრეთ, ხოლო როდესაც ჩამოხვედით და გაიგეთ, რომ დაგშორდით, მაინცადამაინც არ შეწუხებულხართ.

„დარწმუნებული რომ ვიყო, — მითხრა გ... მ...-მ, — რომ ის თანახმა იქნება ჩემთან მშვიდობიანად ცხოვრებისა, თვითონ მე გავუწევდი სამსახურს და ნაცნობობას". მე დავარწმუნე, რომ თქვენ ისეთი ხასიათის კაცი ხართ, რომ სულ ადვილად შეეგუებით მას, განსაკუთრებით, — დავუმატე მე, — თუ დაგეხმარებათ თქვენი საქმეების გამოსწორებაში, რომლებიც ძალიან აწეწილ-დაწეწილია მასშემდეგ, რაც თქვენ თქვენს ოჯახს დაშორდით. მან შემაწყვეტინა და გამომიცხადა, რომ ის ყოველნაირად დაგეხმარებათ და თუ თქვენ მოისურვებთ ახალი სასიყვარულო კავშირის გაბმას, ის დაგითმობთ იმ ლამაზ საყვარელს, რომელიც ჩემი გულისათვის დასტოვა.

მე მოვიწონე ეს აზრი, რათა გამეფანტა მისი ეჭვები, — დაუმატა მანონმა. — და შევუდექი ფიქრს იმაზე, თუ როგორ მეცნობებინა ყოველივე ეს თქვენთვის. მეშინოდა, ძალიან არ აღელვებულიყავით, როცა დაინახავდით, რომ მე დანიშნულ ადგილას არ დაგხვდით. ამ მოსაზრებით მე თვითონ მივეცი მას წინადადება, იმავე საღამოს გამომეგზავნა თქვენთან ახალი სატრფო. საშუალება მეძლეოდა თქვენთვის წერილი მომეწერა. იძულებული ვიყავი ეს გაბედული ნაბიჯი გადამედგა, რადგან იმედი არა მქონდა, რომ თუნდა ერთი წუთით თავს გავინთავისუფლებდი.

მან ბევრი იცინა ჩემს წინადადებაზე. დაუძახა თავის ლაქიას და უბრძანა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, დაუყოვნებლივ მოეძებნა მისი ხასა. მას ეგონა, რომ ის ქალი თქვენთან შაიოში უნდა წამოსულიყო, მაგრამ მე ავუხსენი, რომ დაგპირდით თეატრში შეხვედრას, ხოლო თუ რაიმე მიზეზით იქ ვერ შეგხვდებოდით, მაშინ ეტლით უნდა გეცადნათ წმ. ანდრიას ქუჩის ბოლოში. ამიტომ იქ უნდა გაიგზავნოს-მეთქი ქალი, თუნდაც იმიტომ, რომ მოწყენილი არ ყოფილიყავით. თან დავუმატე, რომ კარგი იქნება, თუ ორიოდე სიტყვას მივწერ-მეთქი. ამით მინდოდა გადმომეცა თქვენთვის, თუ რა ცვლილება მოხდა, რადგან უამისოდ თქვენ-

თვის ყველაფერი გაუგებარი იქნებოდა. იგი დამთანხმდა, მაგრამ ძალიან ბული ვიყავი წერილი მასთან დამეწერა, ვფრთხილობდი, ზედმეტი გულახდილობა არ გამომეჩინა ჩემს წერილში.

აი, როგორ მოხდა ყველაფერი,—დაუმატა მანონმა,—მე არათერრა არ დამიფარავს თქვენთვის, არც ჩემი საქციელი და არც ჩემი განზრახვები. ის ქალი მოვიდა; მე ის ძალიან მომეწონა და რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი არ ყოფნა შეგაწუხებდათ, გულწრფელად მინდოდა მას რამოდენიმე წუთით მაინც გაერთეთ. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ მქონოდა საშუალება და თქვენთან მარსელი გამომეგზავნა, მაგრამ ერთი წუთიც ვერ ვიხელთე, რომ გადამეცა ის, რაც მას თქვენთვის უნდა მოეხსენებინა".

მანონმა თავისი მოთხრობა იმით დაამთავრა, რომ გადმომცა, თუ როგორ აღელდა გ... მ... ბ-ნ დე ტ...-ს წერილის მიღების შემდეგ. „ის ყოყმანობდა, — სთქვა მანონმა, — დავეტოვებინე თუ არა მარტო და მარწმუნებდა, დაუყოვნებლივ დავბრუნდებიო. აი რატომ მაწუხებს თქვენი აქ ყოფნა და რატომ გამიკვირდა თქვენი მოსვლა".

მანონის მოთხრობა მოთმინებით მოვისმინე. რასაკვირველია, ბევრი იყო მასში ჩემთვის მძიმე და დამამცირებელი, რადგან ღალატი იმდენად აშკარა იყო, რომ მანონი არც კი ცდილობდა მის დაფარვას. ხომ არ შეიძლება მანონს იმედი ჰქონოდა, რომ გ... მ... მთელ ღამეს ქალწულად დასტოვებდა? ამნაირად, მას გადაწყვეტილი ჰქონდა გ... მ...-სთან ღამის გატარება. რა საამური ამბავია მიჯნურისათვის ამის გაგონება! მაგრამ გამახსენდა, რომ ნაწილობრივ თვითონ მე ვიყავი მანონის შეცთომის მონაწილე. რადგან მე თვითონ ვაცნობე, თუ რა გრძნობებით იყო გამსჭვალული მისდამი გ... მ... და ასე ბრმად დავყევი მისი გიჟური გეგმის ასრულებას. მეორეს მხრივ, მე გული მომილბო მისმა გულუბრყვილო მოთხრობამ და იმ პირდაპირობამ და გულახდილობამ, რომლითაც მან მიამბო ყოველივე, თვით ჩემი შეურაცხმყოფელი წერილმანიც-კი. „იგი ცოდვილია, მაგრამ თვითონ არ უწყის ეს, — ვამბობდი ჩემს გულში. — იგი ქარაფშუტაა და უგუნური, მაგრამ გულმართალი და გულწრფელი". დაუმატეთ ამას ჩემი სიყვარული მისდამი. ყოველივე ეს საკმარისი იყო, რომ მის შეცთომებზე თვალები დამეხუჭა. კმაყოფილი ვიყავ იმ იმედით, რომ იმავე ღამეს გამოვტაცებდი მანონს ჩემს ძეტოქეს. მარნც ვკითხე: ვისთან აპირებთ ამ ღამის გათევას-მეთქი. ამ კითხვამ, რომელიც ნაღვლიანად გაისმა, შეაშფოთა იგი. მან მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი „ჰო"-თი და „არა"-თი მიპასუხა.

შემეცოდა მანონი. შევსწყვიტე ლაპარაკი და პირდაპირ გავეცხადე, იმედი მაქვს, დაუყოვნებლივ გამომყვები-მეთქი. „კარგი, — მიპასუხა მან. — მაშ თქვენ არ იწონებთ ჩემს გეგმას?" — „განა საკმარისი არ არის ის, — მივუგე მე, — რომ ვიწონებდი ყოველივეს, რასაც თქვენ დღემდე სჩადიოდით"? — „როგორ, ნუ თუ ჩვენ თან არ წავიღებთ ათი ათასს ფრანკს მაინც? — მკითხა მანონმა. — მან ეს ფული მაჩუქა და ეხლა მე

მეკუთვნის". ვურჩიე ყოველივე მიეტოვებინა და მხოლოდ იმაზე ეფიქრა, რომ დაუყოვნებლივ გავცლოდით აქაურობას. მართალია, სულ ნახევარი საათი გავიდა, რაც იქ ვიყავ, მაგრამ ვშიშობდი, [illegible] არ დაბრუნებულიყო. იმდენად დაჟინებით მოითხოვდა ხელცარიელი [illegible] გავსულიყავით, რომ გადავწყვიტე, ეს მაინც დამეთმო მისთვის, რაკი მისგან ბევრი რამ მივიღე.

სანამ წასასვლელად ვემზადებოდით, გარეთა კარების რახუნი შემომესმა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს გ... მ... იყო, და ამან ისე შემამფოთა, რომ გამოვუცხადე მანონს, თუ ის არის, მოვკლავ-მეთქი. მართლაც, ჯერ კიდევ არ ვიყავ იმდენად დამშვიდებული, რომ მის დანახვაზე ზომიერება დამეცვა. ჩემს ტანჯვას ბოლო მარსელმა მოუღო: მან გადმომცა ბარათი, რომელიც ჩემთან მოეტანათ. ბარათი ბ-ნ დე ტ...-საგან იყო.

იგი მწერდა, რომ გ... მ... შინ წავიდა ფულის მოსატანად, ამით ვსარგებლობ და გაწვდით ფრიად შესაქცევ იდეასო. მისი აზრით, საუკეთესო შურისძიება იქნება, თუ მოვახერხებ და ჩემი მეტოქის ვახშამს შევექცევი და ღამეს მის ქვეშაგებში გავათევ. ყოველივე ამის შესრულება ძნელი არ იქნება, თუ სამ ან ოთხ კაცს ვიშოვნი, რომლებიც დააკავებენ გ... მ...-ს და დილამდე არ გაუშვებენ, ხოლო თითონ ბ-ნი დე ტ...-ი მპირდებოდა, რომ ერთ საათს მაინც გაართობდა გ... მ...-ს ლაპარაკით, რომელიც მას უკვე დაუმზადებია მისი დაბრუნებისათვის.

ეს ბარათი ვუჩვენე მანონს და ვუამბე, რა ეშმაკობას მივმართე, რომ თავისუფლად შემოვსულიყავი მასთან. ჩემმა და ბ-ნ დე ტ...-ს გამოგონებამ მანონი აღფრთოვანებაში მოიყვანა. რამდენიმე წუთის განმავლობაში გულიანად ვიცინოდით, მაგრამ როცა გ... მ...-ს დაკავების ამბავს შევეხე, ვთქვი, რომ ეს მხოლოდ ოხუნჯობაა-მეთქი. გაოცებული დავრჩი, როცა დავინახე, რომ მანონი დაჟინებით მოითხოვდა მის განხორციელებას. ამაოდ ვეკითხებოდი, სად უნდა მეშოვნა უცებ თავზე ხელაღებული ხალხი, რომელიც გ... მ...-ს დააკავებდა და შემდეგ ერთგულად უდარაჯებდა დილამდე. მანონმა მიპასუხა, მაინც უნდა სცადო, მით უმეტეს, რომ ბ-ნი დე ტ... ერთ საათს კიდევ გვპირდებაო. და როცა მე სხვა მოსაზრებები მოვუყვანე, მიპასუხა, რომ მტარვალი ვარ და არავითარ ანგარიშს არ ვუწევ მას, — აგრე მიმზიდველად ეჩვენებოდა ეს გეგმა: — „თქვენ ვახშამზე მის ადგილს დაიჭერთ,—მიპასუხებდა იგი:—გამოიძინებთ მის ქვეშაგებში, ხოლო ხვალ დილით გამოსტაცებთ მას საყვარელს და ფულს, და ამით საუცხოოდ იძიებთ შურს მამაზედაც და შვილზედაც".

დავუთმე მის დაჟინებას, თუმცა გული მეთანხრებოდა, თითქოს გრძნობდა საბედისწერო კატასტროფას. გავედი ქუჩაში იმ განზრახვით, რომ მეთხოვნა ორი ან სამი გვარდიელისათვის, რომლებთანაც ლესკომ დამაახლოვა, ეკისრათ გ... მ...-ს დაკავება. შინ მხოლოდ ერთი გვარდიელი დამხვდა. ის თავგამოდებული კაცი იყო, გაიგო თუ არა საქმის ვითარება, მაშინვე იკისრა მისი შესრულება. მან მხოლოდ ათი პისტოლი მომ-

თხოვა, რათა მიეცა იმ სამი ჯარისკაცისთვის, რომლებიც მის განკარგულებაში იქნებიან. ვთხოვე, დრო აღარ დაეკარგა. მან ისინი თხუთმეტიოდ წუთში შეაგროვა. მისსავე ბინაზე ველოდებოდი, და როდესაც თავისი ამხანაგებით დაბრუნდა, თვითონ გავუძეღი იმ ქუჩის კუთხეში, სადაც აუცილებლად უნდა გაევლო მანონის სახლში მომავალ გ... მ...-ს. ვთხოვე უხეშად არ მოქცეოდნენ, მაგრამ დილის შვიდ საათამდე ბეჯითად ედარაჯნათ. გვარდიელმა მიპასუხა, რომ გადაწყვეტილი მაქვს ჩემს ოთახში მივიყვანო, ვაიძულო ტანისამოსის გახდა ან, ყოველ შემთხვევაში, ჩემს საწოლში ჩავაწვინო, ხოლო თვითონ მე და სამი მამაცი ჯარისკაცი მთელ ღამეს სმასა და ბანქოს თამაშში გავატარებთო.

მე მათთან ერთად ვიდექი, სანამ გ... მ... არ გამოჩნდა; მაშინ მე რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე, სიბნელეში დავდექი, რათა გავმხდარიყავი მოწმე ამ უჩვეულო სცენისა. მიუახლოვდა მას გვარდიელი დამბაჩით ხელში და ზრდილობიანად აუხსნა, რომ მას არც მისი სიცოცხლე უნდა, არც მისი ფული, მაგრამ თუ ოდნავ მაინც წინააღმდეგობას გაუწევს ან დაიყვირებს, ტყვიას შიგ თავში მიახლის. როცა გ... მ...-მ დაინახა იქვე სამი ჯარისკაცი და გატენილი დამბაჩა, ცხადია, შეეშინდა და წინააღმდეგობა არ გაუწევია. ვხედავდი, როგორ ბატკანივით გაიგდეს წინ.

მანონთან იმწამსვე დავბრუნდი და მსახურთა ეჭვის გასაფანტავად, შესვლისთანავე მათ გასაგონად ვუთხარი მანონს, ვახშმად ბ-ნ დე გ... მ...-ს არ დალოდებოდნენ, რადგან მას გადაუდებელი საქმეები აღმოაჩნდა და მე მთხოვა მოვსულიყავ. ბოდიში მომეხადა და მის ნაცვლად მევახშმა, ხოლო მე დიდ ბედნიერებად მიმაჩნია ვახშმობა ასეთ ლამაზ ქალთან. მანონი მოხერხებულად მეხმარებოდა ჩვენი გეგმის შესრულებაში. სუფრას მოვუსხედით. თავდაჭერილად ვიქცეოდით, სანამ ლაქიები გვემსახურებოდნენ, ხოლო როცა ისინი დავითხოვეთ, მშვენიერი საღამო გავატარეთ. მარსელს ჩუმად ვუბრძანე, დაექირავებინა ეტლი და ეთქვა მეეტლისათვის, რომ ხვალ დილის ექვსი საათისათვის ჩვენს კარებთან ყოფილიყო. შუაღამისას ვითომ გამოვეთხოვე მანონს, მაგრამ მარსელის დახმარებით ჩუმად ისევ დავბრუნდი და გ... მ...-ს ადგილი დავიჭირე მის საწოლში, ისევე, როგორც სუფრაზე.

თარგმანი ფრანგულიდან ქ. ირემაძისა

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეს. ულენტი

„პირისპირ“

ალექსანდრე ჯუთათელის რომანის მეოთხე წიგნი

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის გამოცემამ, — ამ უდიდესმა მოვლენამ ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში, — უფრო მეტად გააცხოველა საბჭოთა ხალხის ინტერესი თავისი სახელოვანი წარსულისადმი, უფრო გააძლიერა და გააღრმავა ხალხის მისწრაფება: ყოველმხრივად და სრულად შეისწავლოს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მეთაურობით წარმოებული გმირული ბრძოლების მთელი გამოცდილება.

ამ მისწრაფებას უდიდესი შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის წარმოებული ბრძოლის საქმეში. პარტიის ისტორიის მოკლე კურსის შესავალში ნათქვამია:

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა გვამდიდრებს სოციალიზმისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების მიერ წარმოებული ბრძოლის გამოცდილებით.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა მტერთან, მშრომელთა ყველა მტერთან ჩვენი პარტიის ბრძოლის ისტორიის შესწავლა გვეხმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში, გვიმაღლებს პოლიტიკურ სიფხიზლეს.

ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ცოდნით.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა გაგვიმტკიცებს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების რწმენას“.

საბჭოთა ხალხის მიერ რევოლუციური წარსულის შესწავლის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებაში საბჭოთა ლიტერატურას უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრება. საბჭოთა მწერლობის ღირსებისა და სახელის საქმეს შეადგენს ისეთ ნაწარმოებთა შექმნა, რომლებიც მხატვრულად განასახიერებენ მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ეპოპეას, დახატავენ ხალხის საუკეთესო

შვილთა, სოციალიზმისათვის მებრძოლ გმირთა მგზნებარე სახეებს, სიტყვის ხელოვნების მთელი ძლიერებით აღბეჭდავენ კომუნიზმის დიადი საქმისათვის თავდადებისა და ამ ბრძოლებში მოპოვებულ გამარჯვებათა მღელვარე სურათებს.

ისტორიულ-რევოლუციურ თემას ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა საბჭოთა ლიტერატურაში. ამ მხრივაც პირველი მაგალითი სოციალისტური რეალიზმის მწერლობის დიდმა ფუძემდებელმა მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი მ მოგვცა. მისი შესანიშნავი და უკვდავი ნაწარმოები „დედა“ იყო პირველი რომანი მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც მთელის სილრმით და სინამდვილით, დიდის გულწრფელობით და გზნებით ასახავს მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის თავდადებულ ბრძოლას ჩაგვრისა და მოხობის წყვდიადით მოცულ სამყაროს წინააღმდეგ. ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე დაწერილი მთელი რიგი რომანები საბჭოთა მწერლებისა შეადგენენ სოციალისტური ლიტერატურის ნამდვილ სიამაყეს. ისინი უდიდესი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობენ ხალხის უფართოეს ფენებში.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, — ეს ღრმად მეცნიერული, ღრმად ხალხური, სტალინური თხრობა ბოლშევიკების პარტიისა და მთელი მშრომელი ხალხის გმირული რევოლუციური წარსულის შესახებ, იძლევა მძლავრ შემოქმედებითს სტიმულს და ჰსახავს ახალ პერსპექტივებს საბჭოთა ლიტერატურის ახალი მიღწევებისათვის ამ მიმართულებით.

ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ნათელია და გარკვეული ჩვენთვის მთელი აქტუალობა და სოციალური ღირებულება ისტორიულ-რევოლუციურ თემაზე დაწერილი, სოციალისტური რეალიზმის სტალინური მეთოდის ნიადაგზე შექმნილი ყოველი მხატვრული ნაწარმოებისა.

უპირველეს ყოვლისა ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს ალექსანდრე ქ უ თ ა თ ე ლ ი ს რომანი — ტრილოგია „პ ი რ ი ს პ ი რ“, რომლის მეორე წიგნიც ავტორმა ეხლახან გამოაქვეყნა.

რომანის საერთო მიზანდასახულობას შეადგენს ქართველი ხალხის ცხოვრების ასახვა ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ მძიმე და სუსხიან წლებში, როდესაც საქართველოში კონტრრევოლუციური მენშევიზმი ბატონობდა.

რას წარმოადგენდა ეს რეჟიმი და როგორი იყო მისი მეთაური პარტიის — მენშევიკების „მოღვაწეობა“? ამ საკითხზე სავსებით ამომწურავსა და ზუსტ პასუხს გვაძლევს ამხანაგი ლ. პ. ბ ე რ ი ა თავის შესანიშნავ ნაშრომში: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“:

„ქართველი მენშევიკები ქართველი ხალხის ყვავლაზე საზიზღარი მოღალატეები და გამცემლები არიან. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მათ მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს. ისინი დაუკავშირდნენ ჯერ გერმანიას, ხოლო შემდეგ

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს და, დაშნაკებთან და მუსავათელებთან ერთად, გადააქციეს ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმად (მენშევიკების კავშირი დენიკინთან, ალექსეევთან და სხვა თეთრგვარდიელ გენერლებთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად).

ქართველი მენშევიკები ქართველი გლეხობის ინტერესების ყველაზე გათახსირებული მოღალატენი არიან. ისინი იცავდნენ ქართველ თავადებსა და აზნაურებს გლეხთა რევოლუციური აღშფოთებისაგან. ისინი ანადგურებდნენ გლეხთა რევოლუციურ აჯანყებებს სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხუმში, კახეთში, სამხრეთ-ოსეთში, დუშეთისა და სხვა მაზრებში. ისინი იყვნენ სტოლიპინის საადგილ-მამულო პოლიტიკის გამტარებელნი.

მენშევიკები ყველა რეაქციული ძალების — აზნაურების, თავადების, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის სულისჩამდგმელნი და დამრაზმველნი იყვნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მენშევიკური „დემოკრატია“ იყო ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული წყობილების ხსნის უკანასკნელი ნავთსაყუდელი.

მენშევიკები იყვნენ მხეცური ნაციონალ-შოვინიზმის და ერთიმეორის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის ხალხთა წასისიანების პოლიტიკის ორგანიზატორები“.

ალ. ქუთათელის რომანი წარმოადგენს ფართო მხატვრულ პანორამას, რომელიც სწორედ ამგვარად ჰხატავს ქართველი მენშევიკების „მოღვაწეობას“ და მათი მეთაურობით შექმნილი „დემოკრატიული სამოთხის“ ვითარებას. რომანი უეჭველი მხატვრული ზომიერებით, სინამდვილით, იდეური სიმახვილით და დამაჯერებლობით ასახავს მთელს ამ პერიოდს, მის ყველა ძირითად პროცესს, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ყოველ სოციალურ ძალას, ასახავს მათ გამძაფრებულ ურთიერთობაში.

ჟანრის მხრივ ეს არ არის ისტორიული რომანი, რადგან მისი მთავარი გმირები არ არიან კონკრეტული ისტორიული პიროვნებანი. და არც კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენათა აღწერის გზას ადგია მწერალი, რაც დამახასიათებელია ისტორიული ჟანრის რომანისათვის. ავტორი მხატვრული განზოგადოების პრინციპს მიჰყვება. იგი ჰქმნის ტიპიურ სახეებს, რომლებიც ამ პერიოდის ამა თუ იმ სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი თვისებებით არიან აღჭურვილნი. იგი ჰხატავს სცენებს და ეპიზოდებს, რომლებიც აგრეთვე ტიპიურნი და დამახასიათებელნი არიან სოციალური ვითარების ამა თუ იმ პროცესის გასაშუქებლად.

ავტორს დაუსახავს შემოქმედებითი ამოცანა: მოგვცეს ეპოქის მთლიანი ანარეკლი. ამიტომ იგი მოვლენიბს მარტო ერთი რომელიმე კუთხით არ აშუქებს, იგი ცდილობს რაც შეიძლება ფართოდ მოიცვას თავისი გმირების მოქმედების დროისა და სივრცის სარბიელი, რაც შეიძლება

მეტად გაშალოს თხრობის ჰორიზონტი, რათა უფრო ვრცელი დიაპაზონის მხატვრული დოკუმენტი შექმნას.

ამიტომ წარმოადგენს რომანის მოქმედების არეს ხან ქალაქი და ხან სოფელი; ხან შამქორის ველი და ხან მესხეთ-ჯავახეთის მხარე; ხან ამა თუ იმ სოციალური წრის ოჯახური გარემოცვა, ხან სისხლისმღვრელი ბრძოლების გაშლილი ასპარეზი; საგარეო ფრონტი თუ შინაგანი სამოქალაქო ომის მოედანი.

აღებული ეპოქის სოციალური ვითარების მთლიანი მხატვრული ანარეკლის შექმნის ამოცანით უნდა აიხსნას აგრეთვე რომანის პერსონაჟის დიდი მრავალფეროვანებაც. რომანში მოქმედებენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრის ადამიანებიც, თავად-აზნაურული წოდების წარმომადგენლებიც, გლეხობის სხვადასხვა ფენის ტიპებიც, სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების პირნიც, მუშები, ჯარისკაცები, სტუდენტები და სხვანი.

ცხადია, რომანის პერსონაჟის ასეთი სიმრავლე და მრავალფეროვანება, მოქმედების სარბიელის ასეთი გაშლილობა და საერთოდ ავტორის მიერ მოფიქრებული შინაარსობრივი დიაპაზონის სიფართოვე იწვევს ნაწარმოების კომპოზიციური ფორმის თავისებურებასაც: ბუნებრივია, რომ ასეთი მასალა ვერ მოთავსდებოდა ვიწრო ფაბულურ რკალში, რაც ტრადიციულად გამომუშავდა ოჯახურ-ყოფითი ჟანრის რომანისათვის. არც ბიოგრაფიული თუ ისტორიული ჟანრის ბელეტრისტიკის სფეროში მიღწეული კომპოზიციური გამოცდილება გამოადგებოდა ავტორს.

ამ მხრივ მწერალი უსათუოდ რთული წინააღმდეგობის გზით წავიდა, და მას შეგნებულად არ დაუხვევია უკან გარკვეული შემოქმედებითი სიძნელეებისაგან. რა გზით და რამდენად დასძლია მან ეს სირთულე — ამის პასუხს რომანის საერთო ანალიზი მოგვცემს. აქ კი უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ ტრილოგიის ორი გამოქვეყნებული წიგნი უდავოდ შეიცავს იდეურ-მხატვრულ მთლიანობას, რომელიც ერთი გარკვეული მსოფლმხედველობრივი ასპექტით, მხატვრული ხედვისა და ხატვის სტილის მთლიანობით ასახავს აღებული პერიოდის სოციალურ ვითარებას. რომანის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს პირისპირ შეჯახებული ორი მტრული სოციალური ბანაკის გამწვავებული ურთიერთობა შეადგენს.

თუ ერთის მხრივ, მთელი რომანის მანძილზე, ავტორი გვიხატავს „დემოკრატიულ სამოთხეში“ გაბატონებულ ვაკხანალიას, აზნაურებისა და სპეკულიანტების ხელისუფლების სრულ უმწეობას და უნიათობას, ჩვენი ქვეყნის კოლონიურ-დამონებულ მდგომარეობას ევროპული იმპერიალიზმის წინაშე. მოზეიმე რეაქციული ძალების თავგასულობას და მათ ჯალათურ პოლიტიკას ერის მშრომელი უმრავლესობის მიმართ, — მეორეს მხრივ ასეთივე თანმიმდევრობით მოგვითხრობს ავტორი იმ მკაცრი და შეურიგებელი წინააღმდეგობის შესახებ, რომელსაც საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, უწევდნენ იმდროინდელი ცხოვრების „ხელისუფალთ“.

თავისუფლების მოყვარულ ქართველ ხალხს, მრავალი საუკუნის მანძილზე სახელგანთქმულს თავისი გმირული ბრძოლით გარეშე დამპყრობელებისა თუ „შინაური“ მჩაგვრელების წინააღმდეგ, ეს ბოლშევიკური დიქტატურის წინაშე მოუხრია ქედი. 1917-21 წლები იყო წლები განუწყვეტელი აჯანყებებისა, რომლებიც ხალხის მრისხანე უკმაყოფილებას და გულისწყრომას გამოხატავდნენ და რომელნიც უფრო და უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობდნენ, მიუხედავად მენშევიკების გვარდიის სასტიკი რეპრესიებისა, დამსჯელი ექსპედიციების თავაშვებული თარეშისა.

ალ. ქუთათელის რომანის ფურცლებზე წარუშლელად აღბეჭდილია ქართველი ხალხის ამ სახელოვანი ბრძოლის მგზნებარე ეპიზოდები. მთელი ნაწარმოები ღრმად არის გამსჭვალული მოპირდაპირე ძალთა ჭიდილის, მრისხანე შეჯახების, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ატმოსფეროთი. ამ დინამიურ, დაძაბულ გარემოცვაში ანვითარებს ავტორი თავისი ნაწარმოების სიუჟეტს, ამოქმედებს იგი თავისი რომანის გმირებს, გვიჩვენებს მათი ხასიათისა და ინტერესების თავისებურებებს.

რომანის მთავარ გმირად ავტორს თავადაზნაურული წრიდან გამოსული ახალგაზრდა ინტელიგენტი კორნელი მხეიძე დაუსახავს. იგი სრულიად მოუმწიფებელი და საზოგადოებრივი ვითარების საკითხებში გაურკვეველი შეხვდა რომანოვების ტახტის დამხობისა და რუსეთში რევოლუციის გამარჯვების ფაქტს. მისი მსოფლმხედველობრივი ყალიბობა, მისი საზოგადოებრივი თვალსაზრისისა და სოციალური ხასიათის ფორმაცია ხდება იმ მძაფრ წინააღმდეგობათა გარემოცვაში, რომლებიც დამახასიათებელნი იყვნენ 1917 — 1921 წლებისათვის საქართველოში. ავტორს უნდა გვიჩვენოს თავისი გმირის სულიერი ცხოვრების ევოლუცია საზოგადოებრივ მოვლენათა ზემოქმედებით. ამიტომ მწერალი ხშირად ამა თუ იმ მოვლენას გვიხატავს იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გადატყდა იგი მისი რომანის მთავარი გმირის — კორნელი მხეიძის შეგნებაში. მაგრამ ამას ავტორი ახერხებს იმგვარად, რომ გმირის მსოფლმხედველობრივმა განსაზღვრულობამ გავლენა არ მოახდინოს რომანში ასახულ მოვლენათა ობიექტურ გაშუქებაზე, არ შეზღუდოს და არ გააყალბოს სინამდვილის ანარეკლი რომანში.

ამ შემთხვევაში ავტორი მაღლა სდგას თავის გმირზე. როგორც ცნობილია, მწერლის ამ თვისებას ენგელსი სთვლიდა რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნილებად. „პირისპირის“ ავტორი ერასოდეს არ უცქერის სინამდვილეს თავისი რომელიმე გმირის სათვალეებით. ავტორს აქვს თავისი გარკვეული ტენდენცია, თავისი კონცეპცია რომანის მასალად აღებული სოციალური ფონის ყოველი კუთხის მიმართ, თავისი ნაწარმოების ყოველი გმირის მიმართ. მაგრამ ეს ტენდენცია მზამზარეულად როდი ტივტივებს რომანის სიტყვიერი ქსოვილის ზედაპირზე, იგი გამომდინარეობს მოქმედების შინაგანი ლოგიკიდან, მომქმედ პირთა ურთიერთ ზემოქმედების სილრმიდან. ამ შემთხვე-

ვაშიც მწერალი კლასიკური რეალიზმის იმ ჯანსაღ ტრადიციას ერთგულობს, რომელიც სანიმუშოდ და მიისაბაძად მიაჩნდათ მეცხრამეტეული სოციალიზმის დიად ფუძემდებლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი ისწრაფვის დამშვიდებული და დინჯი მთხრობელის მდგომარეობა შეინარჩუნოს სიუჟეტური განვითარების თვით უაღრესად დაძაბულ, დრამატიულ მომენტებშიც კი. მწერლის ეს მისწრაფება მოსჩანს რომანის სტილის თვისებებშიც. მწერალი ცდილობს, რაც შეიძლება ბუნებრივი იყოს მისი თხრობის კილო, რომანის სიტყვიერი ქსოვილი, გმირთა სასაუბრო ენა. იგი გაურბის მანერულობას, პათეტიურობას. იგი არასოდეს არ ცდილობს ხელოვნურად დაამციროს თავისი გმირები მტრული, რეაქციული ბანაკიდან, ან განზრახ გააზვიადოს დადებითი ტიპაჟის ინდივიდუალური ადამიანური ღირსებანი.

ყოველივე ეს რომანში სპობს სქემისა და შტამპის საფრთხეს, დამაჯერებლობას და სიმართლის ძალას აძლევს რომანის მდინარებას.

ტრილოგია „პირისპირ" ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არის მისი ორი პირველი წიგნი. და ამ წიგნების ღირსებისა და ნაკლის ერთიანი შეფასების ნიადაგზე სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ალ. ქუთათელმა მოგვცა ქართველი ხალხის ისტორიის ერთი, თუმცა არახანგრძლივი, მაგრამ საკმაოდ რთული პერიოდის მხატვრული ანარეკლი. ამით მან შეავსო ჩვენს მწერლობაში არსებული ერთგვარი ხარვეზი, შექმნა წიგნი, რომელსაც ყურადღებით და ინტერესით წაიკითხავენ არა მარტო ჩვენი თანამედროვენი.

*

* *

„პირისპირის" პირველი წიგნი მენშევიკური პერიოდის ტფილისის ფონზე იშლება უმთავრესად. მასში მძაფრი საღებავებით არის დახატული ერთის მხრივ ცრუპატრიოტული ფრაზეოლოგიით, არსებითად შოვინისტური განწყობილებით შეპყრობილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის, ხელისუფლების სათავეში მოქცეული ავანტურისტების და სხვა რეაქციული ძალების ტიპები, ხოლო მეორეს მხრივ — საბრძოლველად ამხედრებული მუშათა კლასისა და მისი პოლიტიკური ავანგარდის ადამიანთა განზოგადებული სახეები. ამ ორ ბანაკს შორის მოქცეული, გზაგაურკვეველი და მერყევი შუალედი რომანში წარმოდგენილია სტუდენტური ახალგაზრდობისა და, პირველ რიგში, კორნელი მხეიძის სახით.

რომანის პირველ წიგნში გამოხატულებას პოულობენ ისეთი ისტორიული მოვლენები, როგორიცაა ტფილისის ყოფილ ალექსანდროვის ბაღში ბოლშევიკთა მასობრივი მიტინგის ჯალათური დახვრეტა მენშევიკური გვარდიის მიერ, შამქორის ველზე დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია, გამოწვეული მენშევიკური ხელისუფლების განზრახვით — განეიარაღებინა და დაერბია ფრონტიდან სამშობლოში დაბრუნებული რუსი ჯარისკაცების ეშელონები და სხვ. ამავე წიგნში მწერალმა მოგვ-

ცა მთელი რიგი მძლავრად დახატული ბატალური სცენებისა, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმ დაუსრულებელი სისხლისმღვრელი ომების შესახებ, რომლებითაც განუწყვეტლივ გარემოცული იყო „დემოკრატიული სამოთხე“ მისი „მესვეურების“ შოვინისტური-ექსპანსიონისტური შედეგად.

ალ. ქუთათელის ტრილოგიის ამ პირველმა წიგნმა უკვე მიიღო სათანადო შეფასება ჩვენი სალიტერატურო კრიტიკისა და მკითხველი საზოგადოებრიობის მხრივ.

ჩვენი მსჯელობისა და ანალიზის საგანს ამჟამად რომანის მეორე, ახლახან გამოქვეყნებული, წიგნი შეადგენს. ეს წიგნი გვიხატავს მენშევიკური დიქტატურის პერიოდის ქართული სოფლის ცხოვრებას ზემოიმერეთის ფონზე. იგი მოგვითხრობს იმ აუტანელი, ქონებრივად გაღატაკებული და პოლიტიკურად უფლებაახდილი მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც მოექცა ქართველი მშრომელი გლეხკაცობა კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობის წლებში.

რეაქციული ბანაკი წიგნში წარმოდგენილია დეგრადირებული ფეოდალური წოდების, ვაჭარ-სპეკულიანტების და სამღვდელოების ტიპიური სახეებით. ეს ბანაკი თავს მშვიდად და ლაღად გრძნობს მენშევიკური „დემოკრატიის“ სახელმწიფოში, ვიდრე მის მყუდროებას საბოლოოდ არ დაარღვევს არსებული წყობილების დასამხობად ამხედრებული მშრომელი ხალხი.

ამ გარემოცვაში გადმოჰყავს ავტორს თავისი რომანის მთავარი გმირები, და ბუნებრივია, რომ ეს ახალი არე მოქმედებისა იწვევს რომანის შევსებას ახალი პერსონაჟით, სოფლის ცხოვრების დამახასიათებელი სოციალური ფენების ტიპიური ადამიანებით, რომლებიც რომანის მეორე წიგნში მოქმედების ცენტრში არიან მოქცეულნი.

ამ წლებში სოფლად გაჩაღებული სამოქალაქო ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ აქტიურ ძალას ფრონტიდან დაბრუნებული, ბოლშევიკური იდეებით შთაგონებული ჯარისკაცები შეადგენდნენ. მათ განვლეს იმპერიალისტური ომის ჯოჯოხეთი, შემდეგ, მენშევიკურ ჯარში გაწვეულებმა, თავიანთი თვალით ნახეს და თავიანთ ზურგზე განიცადეს მშრომელი ხალხის ამ მოღალატეთა „მოღვაწეობის“ შედეგები. მათს შეგნებაში მტკიცედ ჩაინერგა არსებული წყობილებისადმი ზიზღისა და გულისწყრომის გრძნობა და მასთან ერთად მისწრაფება — გარდაექმნათ ცხოვრება იმგვარად, როგორც ეს რუსეთში მოახდინეს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა.

ამ შეგნებით და ფრონტიდან წამოღებული შაშხანით შეიარაღებული უბრუნდება სოფელს ჯარისკაცი გალაქტიონ გელაშვილი. „პირისპირის“ მეორე წიგნი სწორედ გალაქტიონის მშობლიურ სოფელში დაბრუნების სცენით იწყება. ამ გმირს ჩვენი რომანის პირველ წიგნიდანაც ვიცნობთ, მაგრამ იქ იგი მხოლოდ ესკიზურად იყო მოხაზული. მშობლიურ სოფელში ფეხის შედგმისთანავე ჩვენ თვალწინ აღიმართება იგი მთელი თა-

ვისი მებრძოლი ნებისყოფით, ფიზიკური და სულიერი ძლიერების თვისებებით.

ყველაზე ადრე გზად მომავალი გალაქტიონი მოხუც მეწისქვილეს ხარიტონს შეხვდება. მასთან გამართულ მოკლე დიალოგში უკვე ნათლად მოისახა სოფლის დუხჭირი ვითარების მაუწყებელი ექსპოზიცია: „რა დროა, ხომ ხედავ? კარგად ვინ მამყოფებს?“ — ეუბნება მეწისქვილე გალაქტიონს, და ამ რამოდენიმე სიტყვაში უკვე მკაფიოდ გამოსჩანს მშრომელი გლეხკაცობის აუტანელი მდგომარეობა: შიმშილი, სიღარიბე, სრული უუფლებობა.

რაც უფრო უახლოვდება გალაქტიონი თავის სახლს, თავის ოჯახს, მით უფრო მეტის სიცხადით და სიმძაფრით გრძნობს იგი (და მასთან ერთად მკითხველიც) სოფლური ცხოვრების სიდუხჭირეს. ჯარისკაცის პროტესტისა და მრისხანების პირველ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს მისი სიტყვები, როცა იგი ან გალატაკებული და გაძვალტყავებული სოფლის ფონზე ოტია მდივნის ამაყად წამოჭიმულ საუცხოვო კარმიდამოს შეხედავს: „ოტია მდივანო, შენი ღმერთი კი“... — შეუკურთხა გალაქტიონმა და ამ „შეკურთხებაში“ უკვე გამოსჩანდა ის მწვავე კონფლიქტი, რომელიც საკმაოდ მომწიფებულიყო და თავის გამოსავალს ეძებდა.

ღრმად მოხუც გლეხთან ბაბუა თეოდესთან შეხვედრისა და მცირე საუბრის შემდეგ გალაქტიონს ვხედავთ საკუთარ ოჯახში. აქ მწერალი სადა საღებავებით გვიხატავს თავისიანებთან გალაქტიონის შეხვედრის მგრძნობიარე სურათს. აქ პირველად ვეცნობით ოჯახის ბურჯს — „დევა ვაჟკაცის“, გალაქტიონის მამას, გოჯასპირს, ამ ტიპიურ სახეს ჩვენი მშრომელი გლეხკაცობისა, მისი ძალოვანებისა და სიმტკიცის, შრომისმოყვარეობისა და სიმართლის ცოცხალ განსახიერებას, რომელიც რომანის ერთ-ერთ ცენტრალურ პერსონაჟს წარმოადგენს და რომელიც ავტორს დიდის სიყვარულით და ცხოვლად დაუხატავს.

გალაქტიონის ოჯახში, დიდი ხნით გადაკარგული ვაჟკაცის დაბრუნების აღსანიშნავად, ღარიბული, მაგრამ სიხარულით და წუთიერი ბედნიერებით აღვსილი სუფრა გაიმართა, რომელსაც, გარდა ოჯახის წევრებისა, გარს უსხედან გალაქტიონის ამხანაგები, მაცავით ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, იმავე განწყობილებით და შეგნებით შეიარაღებულნი, როგორითაც გალაქტიონია გამსჭვალული.

ყოფილი ჯარისკაცების საუბარში მწერალი თვალწინ გვიშლის იმპერიალისტური ომის საშინელების ცხოველ სურათებს. ასეთივე მუქი საღებავებით იხატება სუფრაზე მიმდინარე საუბარში ქართული სოფლის, ქართველი გლეხკაცობის დუხჭირი ყოფა-ცხოვრების სინამდვილე და ამ ფონზე უკვე სავსებით გარკვეულად და კანონზომიერად გაისმის გალაქტონის სიტყვები, რომლებიც მოახლოებული ბრძოლების მანიშნებელ სიგნალს მოასწავებენ:

„ლეიდან არავის მისცეთ დრამის ფული, მიწის გადასახადი, არც ლალა. რუსეთში გლეხებმა უკვე შეადგინეს საბჭოები და მემამულეების მიწებიც დაიკავეს“.

„გათავდა, მამა-ჩემო! ამიერიდან ჩვენს ნაშრომს, ნაჯაფს და ნაოფლარს მდივნები ვეღარ წაგვართმევენ. ოცი წელია შენ ამ მამულში მუშაობ და ეს მამული ჩვენია“.

„დარდი ნუ გაქვს, ჩვენი დაშინება აწი აღარავის შეუძლია. გულოვანობით ნურავინ შეგვეცილება. ჩვენ ჯოჯოხეთურ ცეცხლში ვიყავით, დავიჭერით, გამოვრჩით და ისევ ომში გაგვიწვიეს და, ხომ ხედავთ, მაინც ცოცხლები დავრჩით!“

გალაქტიონის ეს სიტყვები მთელი რევოლუციური გლეხკაცობის აზრისა და სწრაფვის გამოხატულებაა. გალაქტიონმა და მისმა მეგობრებმა ისიც იციან, თუ რა რეალურ საფუძველს ემყარება მათი ასეთი პრეტენზია და გადაწყვეტილება. როცა ბაბუა თეოდე შეედავება გალაქტიონს და ეკითხება, თუ ვინ მისცემს გლეხობას ამის უფლებას, „ეს ჩვენი უფლებაა! — უპასუხა გალაქტიონმა, და ჯარისკაცებმა გაქვარტლულ სვეტზე დაკიდულ გალაქტიონის შაშხანას ერთსა და იმავე დროს ჰკიდეს თვალი“.

მშრომელი გლეხობის საბრძოლო განწყობილების გამომხატველი ამ მძაფრი სცენის ღირსეულ ფინალს წარმოადგენს დიდის ექსპრესიით დაბატული სურათი წყვდიადით მოცულ ღამეში სოფლად დაბრუნებული ყოფილი ჯარისკაცების მიერ „უხილავი მტრის“ მისამართით ატეხილი სროლისა. „ნაშუალამევს გალაქტიონმა ჭიშკრამდე მიაცილა და გამოემშვიდობა მეზობლებს“. მარტოდ დარჩენილმა, ღრმა ფიქრებში ჩაძირულმა ნაღვინევმა ჯარის კაცმა გონების თვალი მიმოავლო მთელს თავის წარსულს და თავისი სოფლის ეხლანდელ ვითარებას და:

„უხილავი ნაღველი, კაეშანი შემოაწვა ჯარისკაცს. ყავარაყრილ, გაქვარტლულ ქოხს შეავლო თვალი. ბრაზით გახედა ზედაზენს და ოტია მდივნის სამფლობელოს. შემდეგ შინ შევიდა ნაღვინევი ჯარისკაცი და რა დაინახა შაშხანა, სვეტიდან ჩამოხსნა, ეზოში გავიდა, თვალი შემოავლო მურისფრად ჩანისლულსა და ჩაკუპრულ მთებს, აჯამეთის ტყეს, დამუნჯებულს, და შავნაბადას. შაშხანა მომართა, პირი ზედაზენისკენ აქნევინა, გულდაგულ დაუმიზნა უხილავ მტერს. მოულოდნელმა გრიალმა დაარღვია ბეცი ღამის წყვდიადი და სიჩუმე. ამ დროს რაჟდენი და გიორგი ხელიხელ-გადაკიდულნი იდგნენ ორღობეში, ურთიერთს სიყვარულს, ძმობას ეფიცებოდნენ, ჰკოცნიდნენ და რა გაიგონეს შაშხანის გასროლა, ნაგანები იძვრეს და ააჭახჭახეს. ამას ფრონტიდან ჩამოსული სხვა ჯარისკაცებიც მიჰყვნენ. ზედაზენშიც გავარდა ზედიზედ შაშხანა, ჭიპიკონაშიც, კარისმერეთშიც. ყველგან. კაცი იფიქრებდა, ბრძოლა დაიწყო. გალაქტიონმა გაიღიმა, ესიამოვნა თოფის გრიალი, ხუთივე ვაზნა დასცალა, სახლში შევიდა, დინჯად დაჰკიდა სვეტზე შაშხანა“.

მამის შეკითხვაზე, თუ რისთვის ასტეხა სროლა ამ შუალამეს, გალაქტიონმა უპასუხა:

„გაიგოს, მამაჩემო, ქვეყანამ, რომ ჩვენც ცოცხლები ვართ, ცოცხლებში ვწერივართ და ცხოვრება გვინდა“.

ამრიგად, წიგნის პირველსავე თავებს შევყევართ გამძაფრებულ გარემოცვაში, ასაფეთქებლად გამზადებულ თოფისწამლის ატმოსფერაში. ჩვენს თვალწინ ისახება უსაზღვრო შევიწროვებით და აუწერელი სიღარიბით აღშფოთებული გლეხკაცობის მასა, რომელიც მზადაა პირველ ხელსაყრელ შემთხვევისთანავე მრისხანედ წამოდგეს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართოს მემამულეებისა და ჩარჩ-ვაჭრების ხელისუფლებას.

ალ. ქუთათელს საერთოდ ახასიათებს მოვლენათა ჩვენების მანერა პარალელურ-კონტრასტულ ხაზებში. ამის არაერთ მკაფიო ნიმუშს ვხვდებით ჯერ კიდევ რომანის პირველ წიგნში. გავიხსენოთ თუნდაც კონტრასტული სურათი: ერთის მხრით, ნინოობის დღეასწაული მაყაშვილების ბინაში, ხოლო მეორეს მხრივ — უსაზღვრო მწუხარება და სიდუხჭირე ღარიბი და უბედური მუშა-ქალის ნატროშვილის ოჯახში. რომანის მეორე წიგნშიც ავტორი ერთგულად მიჰყვება პირისპირ შეჯახებული ორი სამყაროს ასახვის ამგვარ მეთოდს.

თუ წიგნის პირველ თავებში მწერალმა ჩვენს თვალწინ მშრომელი გლეხკაცობის მდგომარეობისა და სულიერი განწყობილების ცხოველი სურათი გადაშალა, სამაგიეროდ ამავე წიგნის მეორე ნაწილს გადავყევართ სულ სხვა გარემოცვაში: თავადაზნაურული წოდების ყოფაცხოვრებითს გარემოში. რომანის ეს ნაწილიც ფრონტიდან შინისაკენ მიმავალი ჯარისკაცის მოგზაურობის აღწერით იწყება. მაგრამ ეს ჯარისკაცი სულ სხვაა, ვიდრე გალაქტიონი. იგი კორნელი მხეიძეა, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ახალგაზრდა სტუდენტი, თავადაზნაურული წოდების შვილი, რომელიც, ნაციონალისტური ინტელიგენციის ცრუპატრიოტულ გატაცებას აყოლილი, მოხალისედ წავიდა ფრონტზე და ეხლა დროებით მიეშურება შინისაკენ, სადაც, დედისა და თავისიანების გარდა, ეგულება საზაფხულოდ კარისმერეთში ჩასული თავისი ტრფიალების საგანი — ნინო მაყაშვილიც.

მართალია, კორნელი ეხლა უფრო მომწიფებული და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდაა, ვიდრე იგი რომანის დასაწყისში იყო, მართალია, იმერეთში ჩასვლისას მასაც ნაღვლიანი სიტყვები აღმოხდა: „ჩვენო საბრალო, გაღატაკებულო იმერეთო!“ მაგრამ ის მაინც ისე მწვავედ არ განიცდის სოციალურ ვითარებას. შინისაკენ მიმავალს მას უფრო ბუნების სურათოვნება იტაცებს, ბავშვობის მოგონებები და განყენებული მსჯელობა ტვირთავენ მის აზრსა და გრძნობას. და ავტორიც მიჰყვება თავისი გმირის განწყობილებას. იგი ხატავს ზემო-იმერეთის ფერადოვან, წარმტაც პეიზაჟებს და დიდის ცოდნით და დაკვირვებით განცდილს ყოფა-ცხოვრებითს დეტალებს.

კორნელის ოჯახის აღწერისას მწერალი იჩენს გარემოცვის აღწერილობისა და ტიპაჟის ხედვის იმ უეჭველ ძალას, რომელიც მას მთელი რომანის მანძილზე ახასიათებს. იმერეთის პატარა ფეოდალური ყანმიდამო და შინაგანი ყოფაცხოვრებითი სამყარო აქ ასახულია სრული სიცხადით და სისრულით. აქ მწერალი ხატავს მეტად ტიპიურსა და ამავე დროს მკაფიოდ ინდივიდუალური ხასიათის ადამიანებს. მათ შორის პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს კორნელის დედის, ტერეზას სავსებით დასრულებული პორტრეტი. მომჭირნე, „ოჯახზე გადაყოლილი“, თითქოს კეთილი ბუნებისა და ამავე დროს მემამულურ-მესაკუთრული ინსტიქტით ღრმად გამსჭვალული ქვრივი აზნაური ქალის ეს სახე მწერალმა უკანასკნელ წვრილმანამდე დახატა ცხოველად და ხელშესახებად.

აქვე ვეცნობით მეტად თავისებურ და საინტერესო ტიპს — იონას. იგი იდეურად გასთიშვია აზნაურთა წრეს, ხალხოსნური იდეებით გატაცებულს უარი უთქვამს მამაპაპეულ ქონებაზე და, ღარიბულ ქოხში დასადგურებული, მშრომელი ხალხისადმი თანაგრძნობისა და ერთგულების იდეებით გამსჭვალულა. მან იცის კიდეც, რომ „არ შეიძლება კვერცხიდან გამოიჩეკოს წიწილა, თუ მან არ გასტეხა კვერცხის ნაჭუჭი“, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა და აღშფოთებულმა გლეხობამ მოინდომა „გაეტეხა კვერცხის ნაჭუჭი“, იონა დაბეჯითებით ურჩევდა აჯანყებულთ, თავი შეეკავებინათ ძალადობისაგან და „მშვიდობიანი გზით“ ეწარმოებინათ ბრძოლა.

იონა, ერთის მხრით, უაღრესად ფხიზელი გონების კაცია და თითქმის ცინიზმით შეფერილი ხასიათის ადამიანი, რომელიც ხშირად უქარწყლებს კორნელის თავის რომანტიულ გზნებას ნინოსადმი. ამავე დროს გულის სიღრმეში თვით იონას შეუხორცებელი აქვს ღრმა ჭრილობა, მიყენებული გლეხის გოგონასთან მისი სამწუხაროდ დამთავრებული რომანის შედეგად.

ეს წინააღმდეგობანი იონას ხასიათსა და აზროვნებაში გამოხატულებაა რევოლუციასა და რეაქციას შორის მოქანავე წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მსოფლმხედველობრივი მერყეობისა და ხასიათის დარღვეულობისა.

ტერეზას ოჯახის და მისი გარემოცვის აღწერისას მწერალი ქმნის ცოცხალი სახეების მთელ გალერეას, რომელშიც თავისი რელიეფუობით გამოირჩევიან დურგალი იულო, ღარიბი გლეხი ჯაჯანა მენჟავიძე და დომენტი ხვედელიძე.

მეტად საინტერესოდ აქვს გახსნილი მწერალს ამ უკანასკნელთა ურთიერთობა ტერეზას მიმართ. ისინი თითქოს აზნაურის ოჯახში „მოშინაურებული“ და „გაერთგულებული“ გლეხები არიან, მაგრამ ამ გარეგნული ურთიერთობის მიღმა მწერალი ამჩნევს და გვიჩვენებს ღრმა ანტოგონიზმს, ინტერესთა მძაფრ წინააღმდეგობას, რომელიც გლეხთა აჯანყების მოახლოვებით დაძაბულ ატმოსფეროში ბუნებრივად იჩენს თავს.

რომანის შემდეგ თავებში მწერალი თანდათან გვაახლოვებს სამოქალაქო ბრძოლების ქარცეცხლთან, გვიხატავს სოფლის მოსახლეობის მწვავე დიფერენციაციას და დაძაბული ურთიერთ-წინააღმდეგობის ცხოველ სურათებს. აი ტფილისიდან კარისმერეთს სტუმრად მიმავალ ესტატე მაყაშვილის შესახვედრად სადგურისაკენ მიმავალი კორნელი გზად გაივლის „კარისმერეთის ბირჟაზე". აქ იგი შეხვდება გალაქტიონს, რომელთანაც ერთად ჯარში მსახურებდა. კორნელი ვერ ამჩნევს, თუ რა უფსკრულია გათხრილი გალაქტიონსა და მის შორის. გალაქტიონმა კი კარგად იცის ეს და კორნელისთან საუბრის შემდეგ თავის ამხანაგებს მიმართავს: „თუ ეს წყობილება არ დაინგრა, ასეთები ერთი ათასად გამრავლდებიან და დედას გვიტირებენ. მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ მაგათი მამულისა და მიწა-წყლის მიღებაზე ფიქრს". მოედანზე ცხარე კამათი გრძელდება მწვავე საზოგადოებრივი საკითხების გამო. კორნელი კი ამ დროს, სადგურისაკენ მიმავალი, ფოთოლთა შრიალს უსმენს და ფიქრობს, „საიდუმლოა უძველესი ამ შრიალში დამარხული".

წისქვილთან გავლისას კორნელი გლეხებს ესაუბრება. აქ ისევ ვხედავთ გოჯასპირს, ჩვენი მშრომელი გლეხების ამ საუცხოოდ შემკრებ სახეს, რომელსაც ავტორი ყოველი გამოჩენისას მეტის სიმკვეთრით და სიცხოველით ხატავს.

რკინისგზის სადგურზე კორნელი ხედავს უცხოელი მხედრობის ეშელონებს. აქ მწერალი რამდენიმე შტრიხით გვიხატავს იმდროინდელ საქართველოს კოლონიურ მდგომარეობას უცხოეთის კაპიტალისა და მისი იმპერიალისტური ჯარების წინაშე.

რომანის შემდეგს განვითარებაში ერთმანეთს სცვლიან ფეოდალური წოდებისა და გლეხობის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათები, გლეხთა რევოლუციური აჯანყებისა და დამსჯელი ექსპედიციების თარეშის დინამიკურად დახატული სცენები, კორნელის და ნინო მაყაშვილის რომანიული ურთიერთობის ეპიზოდები და სხვ.

მასალის დიდი ცოდნით, ღრმა დაკვირვებით, მახვილი მხატვრული ხედვით აგვიწერს მწერალი აზნაურული ფენების ცხოვრებას, გვიხატავს ამ წოდების ადამიანთა ცხოველ პორტრეტებს. დასახელებულ სახეებს გარდა, ამ მხრივ ინტერესს იწვევს იმერელი მემამულის ოტია მდივნის პორტრეტი, რომელიც მკითხველის თვალწინ სდგას ცოცხლად, მთელი თავისი არსებით, გარეგნობით, ზნეობრივ-გონებრივი სამყაროთი. ასევე ცხოველი საღებავებით არის დახატული ოტია მდივნის მეუღლის ბაბოს სახე. საერთოდ ოტია მდივნის ოჯახი, მისი მთელი გარემოცვა, მოურავი ბეგლარი, ოტიას სახლში გამართული ქეიფი, სადაც ვხედავთ მენშევიკური გვარდიის „გმირს" — დათა ყიფიანს და პარაზიტული წოდების ადამიანთა მთელ გალერეიას, — ყოველივე ეს რომანში ნაჩვენებია დიდი აღწერილობითი ძალით და ნამდვილი რეალისტური სიმძაფრით.

ბაბოს დაირა და ოტიას „ჩარირამა ბებია“ მკითხველს თითქო უშუალოდ ესმის. ამ შემთხვევაში ავტორი ხატვის პლასტიურ სიცხოველესაც სცილდება და გარკვეულ სმენითს ასოციაციებს ჰბადებს მკითხველის ცნობიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლური ცხოვრების ფონზე უფრო რელიეფურად მოსჩანს პლატონ მოგველაძის ნილაბი, რომელსაც ალ. ქუთათელის რომანის მკითხველი პირველ წიგნიდანაც იცნობს. მოგველაძე ტიპიური განსახიერებაა ქართველი დეკადენტური ინტელიგენციისა, რომელიც, ერთის მხრივ, ევროპული, მოდერნული კულტურის დაგვიანებული ეპიგონობით იყო ცნობილი, ხოლო მეორეს მხრივ — ნაციონალური ეგზოტიკით გატაცებული ცრუპატრიოტულ პოზაში გვევლინებოდა. პლატონის ყოველი სიტყვა, ყოველი ჟესტი, მისი სულიერი სამყაროს, ინტერესებისა და თვალსაზრისის ყოველი დეტალი მეტყველებს ამ ადამიანის სიყალბისა, ხელოვნურობისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტილობის შესახებ. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მარტო ის სურათი, როცა მენშევიკების დამსჯელი ექსპედიციები ცეცხლის ალში ჰხვევენ ღარიბი გლეხების ქოხებს, ამავე წუთებში პლატონ მოგველაძე ბოდლერის სტრიქონებს კითხულობს ზეპირად და ფუჭი, ფუქსავატი პარადოქსებით ირთობს თავს.

რომანის მეორეხარისხოვან, ეპიზოდურ პერსონაჟსაც ავტორი ხშირად ჰხატავს ცოცხლად და ხელშესახებად. ჩვენ უშუალოდ ვხედავთ და თვალწინ გვიდგას „კარისმერეთის ბირჟის“ გმირთა მთელი გალერეია: იასონ ჯანჯღავა, ანტუშა, ვანიკო, მიკიტანი მოსეშვილი და სხვები.

ამრიგად, „დემოკრატიული სამოთხის“ „ზედაფენა“, ამ რეჟიმის მიერ წამოტივტივებული და გააქტიურებული პარაზიტული სამყარო, რომანში ასახულია თავისი ნამდვილი ბუნებით. აღსანიშნავია, რომ ავტორს ტენდენციურად არ დაუმცირებია ამ სამყაროს ადამიანთა თვისებანი და ამით არ შეუნელებია ჩვენი წარმოდგენა იმ საშიშროებაზე, რომელსაც ეს სამყარო წარმოადგენდა მშრომელი ხალხისათვის, სოციალიზმისათვის.

მშრომელი გლეხობის ის დაძაბული საბრძოლო განწყობილება, რომელიც ასე მკაფიოდ გვიჩვენა მწერალმა წიგნის პირველსავე ფურცლებზე და რომელიც თანდათან იკუმშება, ღრმავდება და მძლავრდება მთელი რომანის მანძილზე, უკვე პოულობს თავის მძაფრ გამოვლენას. კარისმერეთის საბაზრო მოედანზე გალაქტიონ გელაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია მილიციელებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ბოლშევიკი ჯარისკაცის დაპატიმრება. ამას მოჰყვა ბოლშევიკი ჯარისკაცების მიერ ადგილობრივი მილიციის განიარაღება. ეს იყო სამოქალაქო ომის უკვე რეალური დასაწყისი. მთელი ამხედრებული მშრომელი გლეხობის აზრი და ნებისყოფა გამოთქმულია გალაქტიონ გელაშვილის სიტყვებში, რომლითაც მან თავის მამას — გოჯასპირს მიმართა: „გათავდა, გოჯასპირ, უკან დასახევი გზა აღარაა, დღეიდან შეტევაზე უნდა გადავიდეთ“.

და იწყება კიდეც შეტევა. ბოლშევიკებისა და მათ გარშემო დარაზმული მოწინავე გლეხების პირველ არალეგალურ კრებაზე ვანო მახა-

თაძე გარკვეული საბრძოლო მოწოდებით გამოდის. აზნაურის ოტია მდივნის ოჯახში გამართული ღრეობის დროს, სადაც განცხრომას ეძლეოდნენ მენშევიკური გვარდიის „გმირები“ და სოფლის რეაქციული ძალები, აჯანყებულმა გლეხებმა მოულოდნელი თავდასხმა მოაწყეს, განაიარაღეს და დააპატიმრეს დამსჯელი ექსპედიციის მეთაური ყიფიანი და მისი „თანამებრძოლნი“.

მწერალს უკვე გაჩაღებული სამოქალაქო ბრძოლის ატმოსფერაში გადავყევართ. ჩვენს თვალწინ ბრძოლის ველია გადაშლილი, სადაც ერთმანეთის წინააღმდეგ გამოსულა, ერთის მხრივ, უსაზღვროდ აღფოთებული გლეხკაცობა, ხოლო მეორეს მხრივ — გერმანული იმპერიალიზმის მიერ ზურგგამაგრებული კონტრრევოლუციური მენშევიზმის მხედრობა და გვარდია.

მწერალი გვიხატავს დიდი ექსპრესიით აღბეჭდილ ბატალურ სურათებს, რომელთაც მკითხველი ცხოველი ინტერესით ადევნებს თვალყურს. აქ მწერალი ღრმა ემოციური ზემოქმედების ძალას აღწევს. ბრძოლის ქარცეცხლში მკაფიოდ გამოსჩანს აჯანყებული ხალხის ხელმძღვანელი ბოლშევიკური ბირთვი: ვანო მახათაძე, კირილე მეძმარიაშვილი, მიხა ფრუიძე, გალაქტიონ გელაშვილი; რაჟდენ ტურიაშვილი, ნიკო გოცირიძე და სხვები. ხალხის ერთგული შვილები, მუშა-ინტელიგენტი და გლეხი-ბოლშევიკები ბრძოლის ავანგარდულ ხაზზე დგანან და არა მარტო იდეურად მეთაურობენ რევოლუციურ მოძრაობას, არამედ თავისუფლების საქმისათვის მებრძოლი რაზმი საუკეთესო და უერთგულეს ჯარისკაცებად გვევლინებიან.

რევოლუციური გლეხობა დამარცხდა ძალთა უთანასწორო დაპირისპირებაში. გერმანიის სარდლობის მიერ „დემოკრატიული რესპუბლიკისადმი“ მიწოდებულმა თვითმფრინავებმა გზა გაუკაფეს მთავრობის არტილერიას და ფაქტიურად გადასწყვიტეს ბრძოლის ბედი.

აქ მწერალმა მოგვცა ცოცხალი მხატვრული ილუსტრაცია დიდი ლენინის სიტყვებისა, რომლებითაც მან მენშევიკური მესვეურების მიერ შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობა“ დაახასიათა: „საქართველოს დამოუკიდებლობა არის გერმანული ხიშტებისა და მენშევიკური ხელისუფლების კავშირი ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“.

იწყება თავაშვებული რეაქციის თარეში. გვარდიელები არბევენ სოფლებს, სწვავენ და ანადგურებენ გლეხობის სახლკარს, მათ სარჩოსაბადებელს. სრული ანარქია და არევ-დარევაა ირგვლივ. მწერალი გვიხატავს მშრომელ ხალხზე გამარჯვებული კონტრრევოლუციის შურისძიების შემზარავ სურათებს.

მთელი წიგნის ერთ-ერთ უძლიერეს მომენტს წარმოადგენს ის სურათი, სადაც აღწერილია დამსჯელი ექსპედიციის მიერ ჩადენილი ბარბაროსობა — გალაქტიონ გელაშვილის მამის, გოჯასპირის ჩამოხრჩობა:

„შორს მაღლობზე ტოტებ-დაგრაგნილი მუხა ირხეოდა მონაბერი ქარისაგან და მის უზარმაზარ ტოტებზე ჩოხაგახდილი საცვლების ამარა ჩამოკიდებული ვიღაც მოხუცი ქანაობდა“... „სოფელში სამარისებური სიჩუმე იდგა, არავინ არ სჩანდა. თითქო მოსახლენი მიწაში ჩამძვრალანო. ხოლო ბებერი ძაღლი ჰყეფდა ისევ ილაჯგაწყვეტით და ბავშვი კნაოდა ქოხში გულსაკლავად“... „მუხაზე ჩამოკიდებული დევ-კაცი გლეხი ნელა ქანაობდა მონაბერი ქარისაგან. პირს ხან აღმოსავლეთისაკენ იზამდა, ხან დასავლეთისაკენ, თითქოს ლიტანიას აკეთებსო“... „ჩამოხრჩობილს ენა გადმოეგდო, სახე და თავკისერი გასივებოდა, გალურჯებოდა და ზოგგან კუპრისფერი გადაჰკროდა“... „ხელები გაბოჭილი ჰქონდა, ჩამოშვეტილ და გაშეშებულ ხელსა და ფეხზე თითები მოკრუნჩხოდა, შრომით დაკოჭრილ ვეება ხელებზე ძარღვები დაზიდულიყო“... „ქარმა იმძლავრა, წელამდე დაფენილი თეთრი წვერი შეურხია გოჯასპირს, ორად გაუყო, შეურხია ტანჯვით შეტეხილი გაფანჩული წარბები, კეფაზე ლომის ფაფარივით დაყრილი თმა. კიდევ უფრო გააქანა ქარმა ჯალათების მიერ ჩამოხრჩობილი ბერიკაცი, ხან მაღალ გორისაკენ აქნევინებდა პირს, ხანაც აჯამეთის ტყისაკენ, თითქოს ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხი სამშობლოს ეთხოვებაო“.

ამ სურათით შექმნილ მძიმე შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს გალაქტიონის ცოლის — ასინას მიერ გოჯასპირის დატირება და შემდეგ გლეხი-ქალების მოთქმა-ტირილი, რაც მწერალს ძლიერი და მძაფრი საღებავებით აქვს დახატული: „ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები შემოვიდნენ. ყორნებივით დაირაზმნენ ღობის გასწვრივ თავზარდაცემულნი და გაკვირვებულნი. თავსაფრები გაისწორეს, ერთმანეთს გადახედეს და მიინაბნენ. ჯერ ერთი დაიძრა მაღლობიდან დალმართზე და მერე ყველანი გამოემართნენ გოჯასპირისაკენ შავი კაბის კალთების შრიალით. მეწინავე შეჩერდა, უცნაურად გააქნია თავი და დასჩხავლა: გოჯასპირო! ასინამ გველნაკბენივით აიღირა თავი, ხმა გასცა, და მერე სოფელი სარკოია ქალთა ტირილმა, მოთქმამ და კივილმა შეზარა“.

ეს მძაფრად დახატული სურათი მენშევიკური ხელისუფლების ჯალათობისა წარუშლელ მხატვრულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის აღაგზნებს მკითხველის აზრსა და გრძნობას ამ ვერაგული ბოროტების ორგანიზატორთა მიმართ.

ამ სურათის ძალამ საბოლოოდ გამოაფხიზლა კორნელი მხეიძე, გარკვეულ კალაპოტში ჩააყენა მისი მერყევი სულიერი ცხოვრება. მან აშკარად იგრძნო, თუ როგორი ბოროტი და მუხანათური ძალა მოქცევია სათავეში ქვეყნის მმართველობას. კორნელი გამოერკვა, იდეურად გაიზარდა და უკვე ურყევად და გაბედულად მიმართავს იგი მენშევიკური გვარდიის წარმომადგენელს:

„თქვენ ნაფოტს კი არა, გოლიათ მუხას, ჩვენ სიამაყეს, ქართველი ხალხის ათასწლოვან ფესვებს სჭრით და აგდებთ დედამიწიდან“... „ფეხებზე

მკიდია მე გვარდია! ისინი საქართველოს ხალხს აწიოკებენ, სტანჯავენ და უნდათ აღგავონ პირისაგან მიწისა".

ამის შემდეგ კორნელი უფრო ახლოს მიდის მშრომელი გლეხობის აზრთან და გულთან. მას ვხედავთ გლეხის მენჟავიძის ოჯახში, სადაც იგი თავს შიხაურულად გრძნობს, თითქოს მშობლიურ გარემოცვაში იყოს. იგი გულმხურვალედ ეხმაურება დომენტი ხვედელიძის გასაჭირს. კორნელი უკვე მზადაა გაეთიშოს თავის წარმომშობ წრეს და მწვავე წინააღმდეგობა გაუწიოს თავის საყვარელ და მოამაგე დედასაც კი, თუ ეს უკანასკნელი უკან არ დაიხევს თავისი მემამულურ-მესაკუთრული ინტერესებისაგან.

ამ იდეურ გარდატეხის მიჯნამდე მიღწეული კორნელი ტფილისს შიემგზავრება. ამით მთავრდება ალ. ქუთათელის ტრილოგიის მეორე წიგნი.

*
* *

რომანის მთელი განვითარების მანძილზე მწერალი ინარჩუნებს გარემოცვისა და გმირებიუ პლასტიკურად ხატვის ცხოველ ძალას. მოქმედების არე, ოჯახურ-ყოფითი თუ კლასობრივი ბრძოლის მასობრივ-დინამიკური სურათები რომანში დახატულია იმგვარად, რომ ისინი ნათლად წარმოისახებიან მკითხველის ცნობიერებაში, თითქოს ჩვენ კი არ მოგვითხრობენ მათ შესახებ, არამედ ჩვენ უშუალოდ ვხედავთ, ვგრძნობთ და განვიცდით აღწერილ მოვლენებს, როგორც მათი უშუალო მოწმენი და მონაწილენი.

ალ. ქუთათელს ახასიათებს პერსონაჟის ხატვის თავისებური მანერა: რომანის მოქმედების სარბიელზე ამა თუ იმ გმირის პირველი გამოსვლისთანავე მწერალი ერთბაშად მოხაზავს ამ გმირის პორტრეტის კონტურს და შემდეგ ყოველ მის გამოჩენისას იგი ახალი და ახალი შტრიხებით ავსებს და ასრულებს ნახატს. ამიტომ ამა თუ იმ გმირთან ყოველი ახალი შეხვედრისას მკითხველი მის ახალს, მანამდე უცნობს ხაზს ხედავს გარეგანი ნიღაბისას თუ ხასიათისას. პერსონაჟის ხატვის ეს მძიმე, ასე ვთქვათ, დინამიკური ხერხი აცხოველებს ინტერესს გმირისადმი.

ალ. ქუთათელი პეიზაჟის აგრეთვე თავისებური და საინტერესო მხატვარია. ბუნების სურათს იგი გვაძლევს ორგანიულ მთლიანობაში გმირის განწყობილებისა თუ მოქმედების გადმოცემასთან. იგი ხშირად პეიზაჟის აღწერილობის რამდენიმე ფრაზას ჩაურთავს თხრობის მდინარეობაში, მაგრამ ისეთი ფერწერითი ძალით, რომ ჰქმნის ბუნების სურათოვნების სრულ ილლუზიას. განსაკუთრებულ ამსახველობითს ეფექტს აღწევს მწერალი ყოფა-ცხოვრებითი მასალისა და ბატალური სურათების მხატვრული გადმოცემისას.

რაც შეეხება რომანის ენობრივ მასალას, მის სტილს (ამ ცნების ვიწრო გაგებით), ამ მხრივ მწერალს მეტად ინტენსიური მუშაობა ჩაუ-

ტარებია და მიუღწევია კიდეც ბუნებრიობისა და სისადავის რთული ხელოვნებისათვის. ავტორის ღირსებას შეადგენს ის, რომ იგი იმერეთის ფონზე გაშლილ რომანში ახერხებს, ერთის მხრივ, ყოველი მთქმელი პირი ალაპარაკოს მისთვის დამახასიათებელი ენით, ხოლო იმავე დროს ირგვლივ გადაიჩეხოს პროვინციალიზმის საშიშროებაში და რომანის სიტყვიერი ქსოვილი ქართული სალიტერატურო ენის დონეზე დააყენოს.

გასაგებია, რომ ამ მდგომარეობის მიღწევა მოითხოვდა გარკვეულ მხატვრულ ზომიერებას, ტაქტს, ენის სიტყვიერი მასალის მხატვრულ გრძნობას. თუ სიტყვის ოსტატობის თვალსაზრისით ქუთათელის რომანის მეორე წიგნს მისსავე პირველ წიგნთან შევადარებთ, ნათლად დავინახავთ უდავო წინსვლას და მწერლის უეჭველ შემოქმედებითს ზრდას.

როდესაც ალ. ქუთათელის რომანის ღირსებათა შესახებ ვლაპარაკობთ, ცხადია, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ ნაწარმოებს არა ჰქონდეს ნაკლი.

რომანში მოცემული ორი ხაზი — მძაფრი სოციალური გარემოცვის ასახვა და კორნელის პირადი რომანის, მისი პირადი ბიოგრაფიის გადმოცემა — ვერ არის მოქცეული ორგანიულ მთლიანობაში. მართალია, კორნელის აზროვნებასა და ხასიათის ევოლუციაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მის გარშემო დატრიალებული სოციალური მოვლენები, მაგრამ რომანში ეს ორი ხაზი მაინც დამოუკიდებლად ვითარდება, მათი ურთიერთი დამოკიდებულება მეტად მკრთალად არის რომანში დახატული. ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს რომანის კომპოზიციაზე, ანელებს სიუჟეტური დრამის თანმიმდევრულ მთლიანობას, აფერხებს მწერლის მიერ დახატულ ფართო პანორამის მოქცევას ერთ მხატვრულ ფოკუსში. რაც დამახასიათებელია კლასიკური რეალისტური რომანისათვის და რომლისკენაც უთუოდ უნდა მიისწრაფოდეს სოციალისტური ეპოქის მხატვრული პროზაც.

რომანის მთავარი გმირი კორნელი მხეიძე შედარებით მკრთალად გამოსჩანს რომანში. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ მწერალმა თავისი ნაწარმოების ცენტრში დააყენა არა რომელიმე გარკვეული, თავისი ინტერესებისათვის შეგნებულად მებრძოლი სოციალური ფენის ადამიანი, არამედ საზოგადოებრივი შუალედის ორ ბანაკს შორის მერყეევი ფენის წარმომადგენელი, დაუდგენელი ხასიათის, ყალიბობის პროცესში მყოფი ბუნების ახალგაზრდა ინტელიგენტი, რომლის ფიგურაც სწორედ ამიტომ შედარებით ბუნდოვანია და მკრთალი რომანში.

მოქმედების ფონის, სოციალური გარემოცვის ცხოვლად დახატვის ამოცანით გატაცებულმა ავტორმა თავისი მხატვრული ენერგიის სათანადო ძალა ვერ მოახმარა მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მთავარ გმირთა სახეების დახატვას. გლეხთა რევოლუციური აჯანყების ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებიდან მხოლოდ ერთი გალაქტიონ გელაშვილი მოსჩანს რომანში მთელი თავისი ადამიანური ბუნების სიცხადით. დანარჩენები: ტურიაშვილი, მეძმარიაშვილი, მახათაძე, ფრუიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოცირიძე და სხვები ესკიზურად დახატულ სახეებს წარმოადგენენ და მათ ვერ ვხედავთ ისე ცხადად და მკვეთრად, როგორც, მაგალითად, ოტიას, ტერეზას, იონას, ბაბოს, გოჯასპირს და სხვებს.

ალ. ქუთათელის რომანის საერთო იდეურ-მხატვრული დონე უფლებას გვაძლევს წარვუდგინოთ მას კლასიკური რეალისტური მწერლობის ის დიდი მოთხოვნები, რომლებიც აუცილებლად შეესაბამებიან ჩვენს საბრძოლო ამოცანებს სოციალისტური ეპოქის ლიტერატურის მშენებლობის დარგში.

აღნიშნული დეფექტები, რა თქმა უნდა, ვერ ჩრდილავენ რომანის უდავო იდეურსა და მხატვრულ ღირსებებს.

ალ. ქუთათელის რომანის მეორე წიგნის ანალიზი და შედარება ამავე რომანის პირველ წიგნთან ცხადად გვიჩვენებს, რომ ავტორი შემოქმედებითად იზრდება, რომ ღრმავდება და ძლიერდება მისი მხატვრული ენერგია, შემოქმედებითი ალღო და უნარი.

რომანი „პირისპირ“ და, კერძოდ, მისი მეორე წიგნი, საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის თვალსაჩინო მიღწევაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე ინგოროყვა

ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა[1])

I

ქართული მწერლობის დასაწყისი

პირველი პერიოდი ქართული მწერლობისა — ანტიური ხანა

* * *

ქართულ კულტურას უძველესი სათავეები აქვს.

ქართველი ერი არის კულტურის მემკვიდრე ხეთას წრის ხალხთა, რომელთაც უძველეს ხანაში შეჰქმნეს ბრწყინვალე კულტურა, ერთ-ერთი წამყვანი კულტურათაგანი ძველი აღმოსავლეთისა.

არქაული დამწერლობის ძეგლები, რომლებიც ეკუთვნიან მეორე და პირველ ათასეულებს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, შეიცავენ ცნობებს ქართველი ხალხის უშუალო წინაპრების, ხეთას ჯგუფის ხალხების— მუსხების (მესხების) და თობელების (ჰიბერების) შესახებ, რომელთაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ ხეთას ხალხთა კოლექტივში მე-12 საუკუნიდან ვიდრე მე-7 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს.

ხეთას სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა კატასტროფის შემდეგ მცირე-აზიის ტერიტორიაზე, მომდევნო საუკუნეებში ყალიბდება ქართველურ ტომთა სახელმწიფოებრივობა კავკასიაში, საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე.

ჩვენ აქ არ შევდივართ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის განხილვაში და აგრეთვე არ ვეხებით საკითხს არქაულ დამწერლობათა შესახებ ხეთას ხალხთა ენებზე. ჩვენს მიმოხილვას აქ ვიწყებთ საკუთრივ ქართული

---

[1]) ავტორი ამზადებს გამოსაქვეყნებლად ქართული მწერლობის ისტორიის მთლიანს ვრცელს კურსს. ამ-ჟამად, „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ისტორიისათვის“, რომლის ერთი ნაწილი — ქართული ლიტერატურის შესახები — მზადდება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მოთავეობით, ავტორს უხდება წინასწარ გამოაქვეყნოს მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა, სადაც წარმოდგენილია ქართული მწერლობის განვითარების მხოლოდ ზოგადი ქარგა. წერილის განსაზღვრული ფარგლების გამო, რიგი საკითხებისა თეზისური სახით არის მოცემული.

ლიტერატურიდან, რომელიც თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე განვითარდა, და რომელიც სარგებლობდა არა ქართულის ტიპის, რომელიმე ძველი ენით, არამედ საკუთრივ ქართული ენით, ე. ი. იმ ენით, რომლითაც დაწერილია ქართული მწერლობის ტექსტები მე-4—5 საუკუნეებისა, რომლითაც დაწერილია შოთა რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანი (მე-12 — 13 საუკ.), და რომლის ტრადიციები განუხრელად გრძელდება დღემდე, მე-20 საუკუნემდე.

★

ახალი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი კავკასიის ტერიტორიაზე — იბერია და კოლხეთი — განვითარების მაღალ დონეს აღწევენ ანტიურ ეპოქაში, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

განთქმული გეოგრაფოსი სტრაბონი, რომელმაც თავისი შრომა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გამოაქვეყნა, ასე იწყებს იბერიის აღწერილობას:

„და მართლაც იბერია თავის მეტ ნაწილში მშვენივრად არის დასახლებული ქალაქებითა და აგარაკებით, ასე რომ აქ გვხვდება ...ხუროთმოძღვრული ხელოვნების თანახმად ნაგები საცხოვრებელი სახლები, ბაზრები, და სხვა საზოგადოებრივი შენობანი“.

იბერიის კულტურის მაღალ დონეს ამ ეპოქაში მოწმობენ ჩვენ დრომდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები.

პომპეუსის ლაშქრობათა შემდეგ, იბერია შედის ახლო პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობაში დასავლეთის ქვეყნებთან. ამავე დროს იბერია უშუალო ურთიერთობაში იმყოფებოდა ირანის აღმოსავლურ იმპერიასთან.

იბერია ამ ხანაში მნიშვნელოვანს პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთში. საკმაოა მოვიგონოთ, რომ იბერიის მეფე ფარსმან I (I საუკ.) წარმატებით უწევდა მეტოქეობას თვით ირანის იმპერიას. ცნობილია, რომ იბერიამ ერთხანად გაავრცელა თავისი მფლობელობა ირანის გავლენის სფეროებზე, პირველ საუკუნეში იბერებმა დაიპყრეს არაქსის აუზი, არმენია, და არმენიის მფლობელებად პირველ საუკუნეში ჩვენ ვხედავთ ფარსმან I-ის ძმას მითრიდატ იბერიელს და ფარსმან I-ის შვილს რადამისტის. (იხ. C. Tacitus, Annales, VI, 32—36, XI, 8 — 9, 44 — 51, XIII, 37).

იბერიის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხვედრითი წონის მაჩვენებელია თუნდაც, მაგალითად, ის საგანგებო მიღება, რომელიც გაუმართავთ რომში იბერიის მეფის ფარსმან II-ისათვის (II საუკუნე). ანტიური ხანის ისტორიკოსი დიონ კასიუსი მოგვითხრობს:

„ფარსმან გაემგზავრა რომს მეუღლის ოანხლებით... მისი სამფლობელონი გაფართოებულ იქმნენ, და თითონ მას რომში არაჩვეულებრივი პატივი მიაგეს. მეუღლესთან ერთად მას უფლება

მისცეს მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში, და თვით ფარნაბაზის ქანდაკება, ცხენოსანის სახით წარმოდგენილი, დადგმულ იქმნა ბელონის ტაძარში.

ეს მოხდა 138 წელს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბერიის კულტურა ამ ეპოქისა — ორი კულტურული შენაკადის თავისებურ შეჯვარებას წარმოგვიდგენს, — აღმოსავლური კულტურისა (ძირითადში ირანულის), და დასავლური ელინისტური კულტურისა.

რაც შეეხება მეორე ქართულ მხარეს — კოლხეთს, იგი თავისი კულტურის საერთო ხასიათით უფრო დ ა ს ა ვ ლ უ რ ი იყო, ვიდრე იბერია (რასაც კოლხეთის თვით გეოგრაფიული მდებარეობაც განსაზღვრავდა); კოლხეთი ანტიურ ეპოქაში უახლოესად დაკავშირებულია ელინურ მსოფლიოსთან.

ანტიური ხანის ავტორი თემისტიოსი (IV ს.) გადმოგვცემს, რომ ელინურ განათლებას დიდი წარმატება მოუპოვებია კოლხეთში, რომ კოლხეთი გამხდარა ელინისტური კულტურის კერად და „მ უ ზ ა თ ა ს ა დ გ უ რ ა დ". თემისტიოსის სიტყვით, კოლხებს მის დროს თვით ელინთა სადღესასწაულო ყრილობებზე უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მშვენიერეტყველებით.

რომ კოლხეთმა ანტიურ ეპოქაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ამის შესახებ აქ მოვიყვანთ კიდევ ერთ ცნობას აგათია სქოლასტიკოსისა, რომელიც ანტიური ხანის დასასრულის მწერალია. აგათია კარგად იცნობდა კოლხეთს; მან დაგვიტოვა ვრცელი ისტორია იმ ბრძოლებისა, რომელსაც აწარმოებდა რომი და ირანის სასანიანთა იმპერია — კოლხეთში პოლიტიკური გავლენის მოპოვების მიზნით.

აგათია შემდეგსა სწერს დასავლეთ-საქართველოს ქართველური ტომის კოლხების — ლაზების შესახებ.

(კ ო ლ ხ ი ძველი სახელწოდებაა; ლ ა ზ ი — ახალი სახელწოდებაა კოლხთა იმავე ეთნიური ჯგუფისა. კ ო ლ ხ ე თ ს გვიან ანტიურ ეპოქაში ეწოდება ლ ა ზ ი კ ა).

„ლაზები — დიდი და მეტად სახელოვანი ხალხია. ისინი მბრძანებლობენ სხვა დიდ (კავკასიურ) ტომებზე. ლაზები ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, და უნდა ითქვას, არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ხალხთა შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოებზე არიან დამოკიდებულნი (— ლაზიკის სამეფო ამ დროს რომის გავლენის სფეროშია მოქცეული), — მე არ მეგულება არც ერთი სხვა ხალხი, ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, ბედნიერი თავისი სიმდიდრითა და ქვეშევრდომთა სიმრავლით, ხელსაყრელი (გეოგრაფიული) მდებარეობით, მოსავლიანობის სიჭარბით, და თვით ხალხის ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... მას შემდეგ [რაც არგო მოადგა კოლხეთის ნაპირს] — კოლხებმა ხელი მიჰყვეს მეზღვაურობას, და ვაჭრობაშიაც დიდს სარგებლობას ნახულობენ. და საერთოდ ისინი სრულებითაც არ არიან ბარბაროსები,

და არც ეწევიან ისეთს ცხოვრებას, როგორსაც უკანასკნელი, ბომაელებთან კავშირის დამყარების შემდეგ ლაზები-კოლხები გადავიდნენ მოწესრიგებულ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე და ეანონებზე დამყარებულ ცხოვრებას ეწევიან... აი ასეთი არიან ლაზები".

რომ ლაზიკა-კოლხეთში სახელმწიფოებრივი წყობილება მართლაც კარგად ორგანიზებული და დაწინაურებული ყოფილა, ამისი მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ კოლხებს მოწყობილი სახელმწიფო არქივები ჰქონიათ, სადაც შეგროვილი ყოფილა სახელმწიფოსათვის ყველა მნიშვნელოვანი საბუთები. ლაზების დესპანების სიტყვებიდან ირკვევა, რომ ლაზებს სახელმწიფო არქივებში დაცული ჰქონიათ დოკუმენტები, ზავის წიგნები და ხელშეკრულებათა პირები, რომლებითაც კი ლაზები ოდესმე სხვა სახელმწიფოებს შეჰკვრიან.

★

როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ქართველური ტომების — იბერების და კოლხების — კულტურულ დონეს ანტიურ ეპოქაში, საგულვებელი ხდება, რომ მათ ამ ხანაში უნდა ჰქონოდათ მწერლობა, და, როგორც ირკვევა, ჰქონიათ კიდეც.

ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია პირველ ყოვლისა თვით ქ ა რ თ უ ლ ი ა ლ ფ ა ბ ე ტ ი.

ქართული ანბანის შემოღების თარიღი საკმაო მიახლოებით შესაძლოა დადგენილ იქნას თითონ ანბანის პალეოგრაფიულ თავისებურობათა მიხედვით.

ქართული ანბანი ეკუთვნის გარკვეული ხანის მცირე-აზიული ალფაბეტების ჯგუფს. ქართული ანბანი არაა შექმნილი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იგი ჩამოყალიბებულა ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ქართველური ტომები — ხეთას ჯგუფის ხალხები ჰ ი ბ ე რ ე ბ ი (თობელები) და მ ე ს ხ ე ბ ი მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდენ. ჰიბერებს (თობელებს) და მესხებს, როგორც ირკვევა, თავდაპირველად ჰიეროგლიფური დამწერლობა ჰქონიათ [1]); ხოლო ხეთას სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობის უკანასკნელს პერიოდში, მე-8 — 7 საუკუნეთა მიჯნაზე (ჩვენს ერამდე) ისინი გადასულან ალფაბეტურ დამწერლობაზე.

ქართული ალფაბეტური დამწერლობის შემოღება უნდა მიეკუთვნოს ძველს ისტორიაში კარგად ცნობილი ხეთას უკანასკნელი დიდი მეფის, მესხთა და ფრიგიელთა მფლობელის მ ი თ ა ს ხანას, რომელიც ასურულ წყაროებში მოხსენებულია მ ი თ ა მ ე ს ხ ი ს სახელით, ხო-

[1]) თობელებისა და მესხების უძველეს დამწერლობას სჩანს წარმოადგენს ეგრეთწოდებული „ხეთური" ჰიეროგლიფური დამწერლობა, რომელიც დღემდე არ იყო სათანადოდ ამოშიფრული. ავტორს ჩატარებული აქვს მუშაობა ხეთური ჰიეროგლიფური დამწერლობის დეშიფრირებაზე, რომელიც ახსნას ქართველური ენების საფუძველზე ჰპოულობს.

ლო ძველ-ბერძნულ წყაროებში Μιδας ფრიგიელის სახელით არის ცნობილი.

მითას დროს მცირე-აზიის ქართველური ტომები — მესხები და თობელები ახლო ურთიერთობაში შედიან ელინურ მსოფლიოსთან. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ მითა პირველი იყო არა-ელინთა შორის, რომელმაც თაყვანი სცა ელინურ რელიგიურ სიწმიდეებს და ელინური კულტის ცენტრში — დელფოში გამოგზავნაო საჩუქრად ოქროს ტახტი. (ჰეროდოტეს, მისივე სიტყვით, თვით უნახავს ეს ტახტი, რომელიც მის დროს ჯერ კიდევ დაცული ყოფილა დელფოში. არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ჰეროდოტე, რომელიც პერიკლეს ეპოქის თანამედროვე და ფიდიასის მომსწრე იყო, დიდად აქებს მითას მიერ გამოგზავნილი ოქროს ტახტის ხელოვნებას, იგი მას შესანიშნავ ძეგლად სთვლის. აქედან შესაძლოა წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მაღლა მდგარა არტისტიული კულტურა, კერძოდ მეტალურგიული ოქრო-მქანდაკებლობა მესხთა და თობელთა შორის, რაზედაც, გარდა ჰეროდოტესი, სხვა უფრო ძველი წყაროებიც მიუთითებენ, პირველ რიგში ასურული წყაროები, აგრეთვე ბიბლია).

აი ამ ეპოქაში მომხდარა მესხებისა და თობელების გადასვლა არქაული ჰიეროგლიფური დამწერლობიდან უფრო სრულყოფილ ალფაბეტურ დამწერლობაზე. მესხებისა და თობელების ალფაბეტს საფუძვლად დასდებია არქაული-ბერძნული ალფაბეტი, სახელდობრ ამ ალფაბეტის ის სახეობა, რომელიც გავრცელებული იყო VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე, 700-იანი წლების ახლო ჩვენს ერამდე, მცირე-აზიის ბერძნულ მსოფლიოში.

რომ ქართული ანბანი წარმოშობილია არქაული-ბერძნული ალფაბეტიდან, ამას ცხად-ჰყოფს ქართული და არქაული-ბერძნული ალფაბეტების შედარებითი პალეოგრაფიული ანალიზი. ქართულ ანბანში შერჩენილია ამ ეპოქის ბერძნული ალფაბეტიდან ასოთა მოხაზულობის ნიშნოვანი თავისებურობანი, შერჩენილია აგრეთვე ასოთა რიგი, შერჩენილია გარკვეულ ადგილებში ის ასოები, რომლებიც VII საუკუნის შემდეგ ხმარებიდან გამოვიდა და თანდათანობით გამოაკლდა ბერძნულ ალფაბეტს; როგორც ქართულს, ისე ბერძნულს ალფაბეტში მიღებულია მსგავსი გამოთქმა თანხმოვანი ბგერებისა, და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ქართულში ჩვენ გვაქვს ხმოვან ბგერათა გარკვეული ნიშნებით გადმოცემის ის წესი, რაც პირველად არქაულ-ბერძნულში დამკვიდრდა და სემური ალფაბეტებისათვის უცნობი იყო; ამას გარდა ქართულ ალფაბეტში თავდაპირველად მიღებული ყოფილა არქაული ბერძნულისათვის დამახასიათებელი „ბუსტროფედონული“ წერა, რასაც არც სემური ალფაბეტები იცნობენ, და რასაც არც შემდეგი ხანის კლასიკური ბერძნული ალფაბეტი იცნობს.

ყველა ამ ნიშნეულობათა მიხედვით, რაზედაც აქ დაწვრილებით ალარ შევჩერდებით, უდავოდ დასტურდება, რომ ქართული ანბანი გა-

მომუშავებულა მცირე აზიაში არქაული-ბერძნულის ალფაბეტის საფუძველზე, VIII — VII საუკუნეთა მიჯნაზე, 700-იანი წლების ახლო ჩვენს ერამდე.

აი ეს ანბანი ქართველურ ტომებს, იბერებს და მესხებს, მცირე-აზიიდან მოუტანიათ თავის ახალ სამშობლოში, კავკასიაში, თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე, სადაც, როგორც მოვიხსენეთ, ანტიურ ხანაში ყალიბდება ქართველურ ტომთა ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი: ი ბ ე რ ი ა და კ ო ლ ხ ე თ ი.[1])

ქართული ანბანის უძველეს ნიმუშებს ჩვენ ვხვდებით კავკასიის ტერიტორიაზე, მატერიალური კულტურის განათხარ ძეგლებზე, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის წინა-საუკუნეებს ეკუთვნიან.[2])

★

ქართული მწერლობის შესახებ ანტიურ ეპოქაში ჩვენ შევჩერდებით აქ ორ ცნობაზე, რომელთაგან ერთი ქართულ წყაროებშია დაცული, მეორეც ბერძნულში.

ელინისტურ ხანაში, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შემდეგ (—რომლის გავლენის სფეროში კავკასიაც იყო მოქცეული—), იბერიაში მკვიდრდება ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ თ ა დინასტია.[3])

დინასტიის დამაარსებელის შესახებ, რომელიც ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ს სახელით არის ცნობილი, ქართულ წყაროებში დაცულია გადმოცემა:

> „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა (ე. ი. იბერიასა) შინა ქართლოსისასა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული... ა მ ა ნ ვ ე შ ე ქ მ ნ ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი“.

ცნობა ეხება მესამე საუკუნეს, 300 — 250-იან წლებს ჩვენს ერამდე.

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ცნობა? რომ ეს გადმოცემა არაა უსაფუძვლო და სინამდვილის ელემენტებს შეიცავს, ეს შემდეგიდან ირკვევა.

ძველი ქართული წარმართული კალენდარის შესწავლიდან დასტურდება, რომ მე-3 საუკუნეში ჩვენს ერამდე მომხდარა რეფორმა ქართული კალენდარისა და შემოღებულ იქმნა ნაციონალური წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ჩვენს ერამდე. ეს

---

[1]) იბერიის სახელმწიფოში უმთავრესად გაერთიანებული იყო მცირე-აზიიდან მოსული ქართველური ტომი იბერები და ნაწილობრივ მესხები (სხვა აბორიგენულ ქართველურ ტომებთან ერთად). ხოლო კოლხეთში შედიოდა უმთავრესად აბორიგენული ქართველური კოლხთა ტომი, სვანებით, და ნაწილი მცირე-აზიიდან მოსული მესხთა ტომისა.

[2]) ქართული ანბანის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია კოლხეთის ტერიტორიაზე, დაბლა-გომში (არქეოლოგიური გათხრები პროფ. ნ. ბერძენიშვილისა).

[3]) „მეფენი ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ ნ ი“ (ფაუსტოს ბიზანტიელი).

თარიღი, 284 წელი, საიდანაც იწყება ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვა, როგორც ირკვევა, არის თარიღი იბერიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა იბერიაში.

რასაკვირველია, არსებობა მოწესრიგებული კალენდარისა ლიტერატურის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს იგულისხმებს.

ამ-რიგად ცნობა, რომ ფარნავაზმა „შ ე ქ მ ნ ა მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი“ — ქრონოლოგიურად ემთხვევა და დასტურდება ისეთი დოკუმენტალური ჩვენებით, როგორიც არის რეფორმა კალენდარისა და ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვის შემოღება 284 წელს.[1])

★

ქართული მწიგნობრობის არქაული ეპოქის შესახებ საგულისხმო ცნობა აქვს დაცული აგრეთვე ანტიური ხანის ბერძენ ავტორს ხარაქს პერგამელს (II საუკ. ჩვენი ერასი).

უძველესი დროიდან — ჯერ კიდევ ჰომიროსის ეპოქიდან — ცნობილია ლეგენდა არგონაველთა მოგზაურობის შესახებ კოლხეთში.

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ არგონაველნი მოვიდნენო კოლხეთში, რათა წაელოთ ოქროვანი საწმისი (ვერძის ოქროს-საწმისიანი ტყავი).

ეს ლეგენდა დიდის პოპულარობით სარგებლობდა ანტიურ ხანაში და მას სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევდენ ანტიური ავტორები.

კერძოდ ხარაქს პერგამელს დაცული აქვს ასეთი განმარტება ამ ლეგენდისა. „ოქროს საწმისი“ ეს არისო „ოქრო-დამწერლობა“ ანუ „ხრისოგრაფია“, ე. ი. განსაკუთრებული ხელოვნება წერისა ოქროს ასოებით. წესები ამ ხელოვნებისა, ოქროს ასოებით წერისა, აწერილი იყოო ტყავებზე, და რომ არგონავტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურესო საბერძნეთიდან კოლხეთში.[2])

ხარაქსის ეს ცნობა მეტად საგულისხმოა.

რასაკვირველია, არგონაველნი არ მოსულან საქართველოში ამგვარი კეთილშობილური მიზნით, რომ შეესწავლათ კოლხებისაგან „ოქრო-

---

[1]) აღვნიშნავთ აქვე, რომ ძველ-ქართულ ნაციონალურ ერას, რომელიც 284 წლიდან იწყება, ეწოდება „ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს (ალექსანდრობითი) წ ე ლ ი“. როგორც ცნობილია, დიადოხების ეპოქის ყველა დინასტები, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შემდეგ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, ხელისუფლების პირველ-სათავედ ალექსანდრე მაკედონელს სთვლიდენ, როგორც იმპერიის დამაარსებელს, ხოლო თავის-თავს აღიარებდენ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრედ ანუ მოსაყდრედ თავიანთ სამფლობელოში. აქედან წარმოსდგება ეს სახელწოდებაც ძველი ქართული წელთაღრიცხვისა „ალექსანდრეს წელი“.

[2]) მოგვყავს აქ სათანადო ტექსტი ევსტათი თესალოკელისა, რომელსაც დაუცავს ექსცერპტი ხარაქს პერგამელიდან:

...Καίτοι ὁ Χάραξ το Χρυσοῦν δέρμα μέθοδον εἶναι λέγει χρυσογραφίας μεμβράναις ἐμπεριειλημμένην, δι' ἣν ὡς λόγου ἀξίαν τὸν τῆς Ἀργοῦς καταρτισθῆναι στόλον φησί.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწერლობა", ხელოვნება წერისა ოქროს ასოებით. არგონაველთა ინტერესები, ალბათ, ბევრად უფრო პროზაული და მატერიალური ხასიათისა იყო, მათ ალბათ კოლხეთის ოქრო უფრო აინტერესებდათ, ვიდრე კოლხთა მწიგნობრობა.

მაგრამ ხარაქს პერგამელის ცნობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ხარაქსის დროს, როგორც ირკვევა, კოლხეთში გავრცელებული იყო „ოქრო-დამწერლობა" (ხრისოგრაფია), ანუ ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა.

ხრისოგრაფია, ოქროვანი ასოებით წერა ტყავზე ანუ პერგამენტზე საბერძნეთშიაც იყო ცნობილი (კერძოდ იგი ცნობილი იყო თვით პერგამში, რომელიც მწიგნობრობის განთქმულ ცენტრად ითვლებოდა ელინისტურ ხანაში, და საიდანაც იყო თვით ხარაქს პერგამელი). მაგრამ ხრისოგრაფია განსაკუთრებით კოლხეთში ყოფილა მიღებული, იგი, როგორც ირკვევა, სპეციფიურ კოლხურ ხელოვნებად ითვლებოდა. ხარაქსი იმ აზრს ადგა, რომ კოლხებმა კი—არ შეითვისეს ხრისოგრაფია ბერძნებისაგან, არამედ პირიქით, ხრისოგრაფია საბერძნეთში კოლხებისაგან გავრცელდაო.

ხარაქსის ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ მწიგნობრობა კოლხეთში უძველესი ხანის ამბად ითვლებოდა. მწიგნობრობა, კერძოდ ხრისოგრაფია, არა მარტო ხარაქსის დროს არსებულა კოლხეთში, არამედ ხარაქსის შეხედულებით იგი უძველესი ხანიდან — თვით არგონაველთა ეპოქიდან მომდინარეობდა.

ასეთია ის მნიშვნელოვანი ცნობები, რომელიც დაცულია ქართული მწერლობის არქაული ხანის შესახებ როგორც ქართულს, ისე ბერძნულს საისტორიო წყაროებში.

★

უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლები ანტიური ხანისა ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, გარდა რამდენიმე ექსცერპტულად დაცული ტექსტებისა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი.

ქართული მწერლობის ადრინდელი ხანის ძეგლების დაღუპვა გამოწვეული იყო უმთავრესად ქრისტიანობის გავრცელებით. ქრისტიანობა გაბატონებულ სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა საქართველოში მე-4 საუკუნის დასაწყისში. მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია სდევნიდა ეგრეთ-წოდებულ „წ ა რ მ ა რ თ უ ლ ი" ხანის ლიტერატურულ შემკვიდრეობას. ჩვენამდე შენახულა პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში აუტოდაფეს უმართავდენ არა თუ „წარმართულ" ლიტერატურას, არამედ ქრისტიანობიდან გადახრილ „ერეტიკული" იდეების შემცველ თხზულებებსაც. ასე, მაგალითად, მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში დასწვეს ქართველი მწერლის მობიდანის თხზულებანი, რომელიც მანიქეიზმის მოძღვრების იდეების შემცველი ყოფილა. „დასწვა ყოველი წერილი მისი (მობიდანისი) ჭეშ-

მარიტმან ეპისკოპოსმან (საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსთა მთავარ-მან) მიქაელ" — გადმოგვცემს მემატიანე.

თუ რა წესით ხდებოდა ხოლმე ჩვეულებრივ „სჯულის განწმედა" ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, აღვნიშნავთ აქ მის ერთს მაგალითსაც, რომელიც ეხება ჰერაკლე კეისარის ხანას, მე-7 საუკუნის პირველ მესამედს. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობას საქართველოში უკვე სამი საუკუნის ისტორია ჰქონდა განვლილი, წარმართთა და მაზდეიანთა დევნა, „სჯულის განწმედა" ცეცხლითა და მახვილით ჯერ კიდევ არ ყოფილა დასრულებული. მემატიანე მოგვითხრობს:

> „ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რათა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ, და ყოველნი მოგვნი და ცეცხლის-მსახურნი, ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლის-ღება არა ინებეს, ზაკვით თანა-აღერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვილი, და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს. ხოლო ჰერაკლე განწმიდა სჯული ქრისტესი"-ო, გადმოგვცემს ისტორიკოსი.

ასეთ პირობებში, როდესაც მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია ცეცხლითა და მახვილით სდევნიდა თავის მოწინააღმდეგეებს, — სპობდა წარმართობის, მაზდეიანობისა და ერეტიკოსობის ყოველგვარ ნაშთს, — განადგურდა ძველ-ქართული „წარმართული" ხანის მწერლობა. „წარმართობის" დროიდან მომდინარე სალიტერატურო ძეგლები მოსპობილ იქმნენ, ხოლო ზოგი მათგანი თუ შემთხვევით გადარჩა, ისინიც თანდათან დავიწყებას მიეცა და დაიღუპა, რადგან მათ გადაწერასა და გავრცელებას არავინ მისდევდა.

ძველი ქართული „წარმართული" ხანის ქართული მწერლობის ბედი ჩვენ ბევრ რამეში გვაგონებს ისლამის წინა-დროინდელი ირანული ლიტერატურის ბედს.

როგორც ცნობილია, ირანული მწერლობა წინა-მუსულმანური ხანისა თითქმის მთლიანად დაღუპულია, გარდა სრულიად მცირე მოცულობის ფრაგმენტებისა. სალიტერატურო მოწმობათა მიხედვით, და აგრეთვე თარგმანებისა და ექსცერპტების მიხედვით, რომლებიც უმთავრესად არაბულ ლიტერატურაშია შერჩენილი, უცილობელი ხდება, რომ ირანული მწერლობა, რომელიც ფაჰლაურ (საშუალო-ირანულ) ენაზე არსებულა, წარმოადგენდა დიდი მასშტაბის ლიტერატურას. აქ ბრწყინვალე განვითარება მიუღია საერო მხატვრულ მწერლობას (— საისტორიო-საგმირო ეპოსი, რომანტიული ეპოსი, საზღაპრო ეპოსი, დიდაქტიური ეპოსი, ლირიკა); არსებობდა სამეცნიერო მწერლობის დარგებიც (მათემატიკა, ასტრონომია, კოსმოგრაფია, მედიცინა), ფილოსოფიური ლიტერატურა, ეთიკური ხასიათის თხზულებანი („პენდ-ნამე"), ენციკლოპედია („აინ-ნამე"), დოლმატიურ-რელიგიური ლიტერატურა. — მთელი

ეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძველი წინა-მუსულმანური ხანის ირანისა მთლიანად დაიღუპა მომდევნო ეპოქაში, რომელიც მოჰყვა ისლამის გავრცელებას ირანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

უძველესი „წარმართული“ ხანის ქართული მწერლობა თუმცალა გადგურდა მომდევნო ეპოქაში, მაგრამ მისი გავლენა, ბუნებრივია, უკვალოდ ვერ გაჰქრებოდა და არც გამქრალა. გავლენა „წარმართული“ ხანის ქართული მწერლობისა მოსჩანს შემდგომი ხანის ქართულს ლიტერატურაში. ახალმა ქართულმა მწერლობამ, რომელიც მე-4 საუკუნეში ქრისტიანობის საფუძველზე წარმოიშვა, შეითვისა ძველი წარმართული მწერლობიდან როგორც ანბანი, ისე — სჩანს — ზოგიერთი ლიტერატურული ტრადიციებიც (კერძოდ ტრადიციები საერო მხატვრული მწერლობისა). შეითვისა ამ ახალმა ლიტერატურამ ძველი ლიტერატურიდან სავსებით დამუშავებული, უაღრესად მდიდარი სალიტერატურო ენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი ქრისტიანული მწერლობის უძველეს ტექსტებში უკვე მოცემულია ქართული სალიტერატურო ენის კლასიკური ნიმუშები, და ისეთი ძეგლები, როგორიცაა, მაგალითად, ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი ს თხზულება, რომელიც ზუსტად მე-5 საუკუნით თარიღდება, ეკუთვნის ძველი ქართული პროზის უბრწყინვალეს ნაწარმოებთა რიცხვს.

★

ამ-რიგად, ქრისტიანული ხანის ქართულმა მწერლობამ, როგორც მოვიხსენეთ, შეითვისა წარმართული ხანის ქართული მწერლობიდან ანბანი, გამომუშავებული სალიტერატურო ენა, და ზოგიერთი სალიტერატურო ტრადიციებიც (—კერძოდ ტრადიციები საერო მხატვრული მწერლობისა).

მაგრამ „წარმართული“ მწერლობის მემკვიდრეობა მარტო ამით არ განისაზღვრება.

ამას გარდა, როგორც ირკვევა, ჩვენ დრომდე გადარჩენილა თვით ფრაგმენტებიც წარმართული ხანის ძველი ქართული მწერლობისა. ასე, წარმაროული მწერლობის მთელი რიგი ფრაგმენტები და ნაწყვეტები მოიპოვება გადმონაწერებისა და ექსცერპტების სახით ადრეული ქრისტიანობის ხანის ძეგლებში.

აღვნიშნავთ აქ ზოგიერთს ასეთს ექსცერპტებს.

1. ქართულს მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ქრისტიანობის ხანის უძველესს საისტორიო თხზულებას წარმოადგენს, მოიპოვება უაღრესად საყურადღებო ცნობა ქართველურ ტომთა ერთი ნაწილის სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ — ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეებში.

ეს ცნობა დიდი სიძველით არის აღბეჭდილი და ავთენტიურობის ბეჭედს ატარებს (— ცნობაში აღნიშნულია თვით გადმოსახლებულ „სახლთა", ე. ი. გვართა, რაოდენობაც). ამ ცნობის შემცველი ტექსტი, როგორც ირკვევა, მომდინარეობს რომელიღაც ძველი, და ზესტად ეს ტექსტი ძირითადში კარგად ორიენტირებული, წარმართული ხანის საისტორიო თხზულებიდან.

2. იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანეში მოიპოვება სია წარმართობის ხანის ქართველი მეფეებისა ექვსი საუკუნე ნახევრის მანძილზე, დაწყებული მე-4 საუკუნის დასასრულიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს და მოყვანილი მე-4 საუკუნის დასაწყისამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა.

ამ სიაში, მართალია, მოიპოვება ზოგიერთი ანაქრონისტური ცნობა, ზოგიერთი ადგილი სიისა სჩანს დაზიანებულა და დამახინჯებულა დროთა განმავლობაში, — მაგრამ ეს ანაქრონიზმები და დაზიანება არ არის მეტი იმასთან შედარებით, რაც ჩვენ, მაგალითად, თვით ქრისტიანობის ხანის შესახებს ზოგიერთ ქრონიკაში გვაქვს.

ძირითადში კი, როგორც ამას ცხად-ჰყოფს ამ სიის პრეციზული ანალიზი, ეს სია უცილობლად ავთენტიურობის ბეჭედს ატარებს და მომდინარეობს წარმართობის ხანის საისტორიო თხზულებებიდან.

> აქ ჩვენ გვაქვს ისეთი საყურადღებო სინქრონიული შეხვედრანი, როგორიცაა, მაგალითად, იბერიის მეფის არტაგის (არტოკის) მეფობის დროის დამთხვევა პომპეუსის დროსთან.[1])
>
> სიაში გვხვდება სინამდვილის მაჩვენებელი ისეთი რეალიადეტალები, როგორიცაა, მაგალითად, ცნობა არსოკის შესახებ, რომ მან „კასპი შეიპყრო და უფლისციხე განაგო".
>
> სიაში მოიპოვება ისეთი ნიშანდობლივი ჩვენებანი, როგორიცაა, მაგალითად, ცნობა ღადამის შესახებ, რომ მან — ოცი დღე იმეფა.
>
> ირკვევა ამასთან ისიც, რომ წარმართული ხანის ქართველ მეფეთა სიები ძველ ქართულ წყაროებში, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, — ვარიანტულ განსხვავებებს შეიცავდა. ამით აიხსნება ზოგიერთი საყურადღებო დაცილება „მოქცევაჲს" მატიანის სიისა და მეორე სიისა, რომელიც „ქართლის ცხოვრების" კრებულშია დაცული. საყურადღებო სხვაობას იძლევა აგრეთვე მესამე ძეგლი, შატბერდული ნინოს ცხოვრების ტექსტი, რომელიც იბერიაში წარმართობის ხანაში 36 მეფეს სთვლის. ყველა ამ შემთხვევებში, როგორც სჩანს, ჩვენ საქმე გვაქვს წარმართობის ხანის სხვადასხვა საისტორიო თხზულებებიდან მომდინარე ცნობებთან, რომლებიც

---

[1]) იხ. სქოლიო 1.

ამა-თუ-იმ ხანის შესახებ ზოგი უფრო დაწვრილებითს, ზოგი კი უფრო მოკლე უწყებას შეიცავდა.

უნდა აღინიშნოს ამასთან ისიც, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანეში მოყვანილი ცნობები წარმართობის ხანის ქართველ მეფეთა შესახებ, როგორცა სჩანს, შემოკლებით არის გამოკრებილი ძველი წყაროებიდან. ამისი მაჩვენებელია მთელი რიგი ნიშნები. (ასე, მაგალითად, „მოქცევაჲ"-ს მატიანეში აღნიშნულია, რომ რევს ეწოდა „მართალი", ხოლო რისთვის ეწოდება მას ეს სახელი, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი).

ასეთია, მოკლედ, ის ჩვენებანი, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ „ქართლის მოქცევაჲ"-ს პირველი ნაწილი, რომელიც ეხება წარმართულ ხანას, დაწყებული მე-4 საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს, და მოყვანილი მე-4 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა, დამოკიდებულია ძირითად ფენში წარმართობის ხანის ქართული საისტორიო თხზულებებიდან.

3. გარდა „ქართლის მოქცევაჲს" მატიანისა, წარმართული ხანის ქართული მწერლობის ზოგიერთი ექსცერპტები და გადანაშთები ჩვენ გვაქვს აგრეთვე მეორე ძველ ქართულ ძეგლში, რომელიც ეკუთვნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს და რომელსაც ეწოდება: „ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველითგანთა მამათა და ნათესავთა".

რომ ავტორს ხელთა ჰქონია უძველესი ხანის ქართული წყაროები, ეს განსაკუთრებით ცხადად მტკიცდება ამ თხზულების იმ ადგილებიდან, რომლებიც ძველი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას ეხება. გეოგრაფიული ნომენკლატურა ამ ძეგლისა განსაკუთრებული არქაულობის ბეჭედს ატარებს. ტექსტში მოყვანილი გეოგრაფიული სახელები მთელ რიგ შემთხვევებში უკვე აღარ იხმარებოდა მომდევნო ქრისტიანულ ხანაში.

ავტორის პირველწყაროების დიდი სიძველის მაჩვენებელია კერძოდ ეთნოლოგიური ცნობები. ასე, თხზულებაში აღნიშნულია, რომ „დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე არს სვანეთი". სვანების ტერიტორიად აქ იგულისხმება არა მარტო იმერეთის მთის პირი, არამედ შემდეგდროინდელი ქართლისა და კახეთის ჩრდილო ნაწილიც, მთის სანაპირო მხარე ვიდრე დიდოეთამდე. აქ აღბეჭდილია უძველესი სურათი ქართველურ ტომთა გეოგრაფიული გავრცელებისა, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს აქეთ არ გადმოსცილებია.

4. წარმართული ხანის ქართული მწერლობის მეტად მნიშვნელოვანი ექსცერპტები მოიპოვება აგრეთვე ძველ-ქართულს საკალენდარო-ქრონოლოგიურსა და ასტრონომიულ ტექსტებში.

ძველი ქართული კალენდარის საკითხი ჩვენ განხილული გვაქვს სპეციალურ მონოგრაფიაში და ამის გამო აქ ამ საგანზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. გამორკვეულია, რომ ძველი ქართული კალენდარი გან-

საკუთრებული სიძველის ნიშნებს ატარებს და იგი წარმართობის ადრეულ ხანაში ყოფილა შექმნილი. 284 წელს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს მომხდარა არქაული ქართული კალენდარის მოწესრიგება, რა დროიდანაც იწყება ნაციონალური ქართული ერა, ალექსანდრიელ (ანუ ალექსანდრობითი) წელთაღრიცხვის სახელით ცნობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმართული ქართული კალენდარი შემდეგ გადმოვიდა ქრისტიანულ ხანაშიაც და ერთხანად იგი ხმარებაში იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. შემდეგ იგი შესცვალა ნაწილობრივ ზოგად-ქრისტიანულმა რომაულმა კალენდარმა, მაგრამ ზოგი ელემენტები ძველი ქართული წარმართული კალენდარისა ისევ ხმარებაში დარჩა.

ჩვენამდე მოღწეულა მთელი რიგი ადრინდელი საკალენდარო-ქრონოლოგიური თხზულებებისა. ასე, სამი საკალენდარო-ქრონოლოგიური ტექსტი მოიპოვება 870—904 წლებში გადაწერილ ქართულ ხელნაწერში (S-38). მოღწეულა აგრეთვე საკალენდარო-ქრონოლოგიური ტრაქტატი, გადამუშავებული ქართველი მეცნიერის იოანე-ზოსიმე სინელის მიერ მე-10 საუკუნის ნახევარში.

იოანე-ზოსიმე სინელის ტრაქტატიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მის დროს ჯერ კიდევ ხმარებაში ყოფილა საკალენდარო-ქრონოლოგიური აღრიცხვისა და საკალენდარო სხვადასხვა ელემენტების გაანგარიშებისათვის (მზისა და მთვარის მოქცევა, ზედნადები და სხვა) ორგვარი სისტემა: ერთი ეს იყო „საეკლესიო"-ქრისტიანული გაანგარიშება, ხოლო მეორე სისტემას ეწოდებოდა გაანგარიშება „დ ი ვ ა ნ ი თ ა". ეს უკანასკნელი ძირითადად ძველ-ქართული წარმართული კალენდარიდან მომდინარეობდა.

მოღწეული საკალენდარო-ქრონოლოგიური ძეგლების შედარებითი შესწავლა ცხად-ჰყოფს, რომ ის საკალენდარო-ქრონოლოგიური ტექსტები, რომლებიც დაცულია S-38 ხელნაწერში, შეიცავს პირდაპირს ექსცერპტებს წარმართობის ეპოქის საკალენდარო-ქრონოლოგიური თხზულებებისა. ეს დასტურდება პირველ რიგში ტერმინოლოგიის მიხედვით.

ასე, ტერმინი „ჟ ა მ ი".

„ჟამი" ძველ-ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში ნიშნავდა ზოგადი მნიშვნელობით „დროს", ხოლო ვიწრო მნიშვნელობით „საათს". ამ-გვარი მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს უკვე ქრისტიანული ხანის პირველ ძეგლებში, როგორიცაა დაბადებისა და სახარების თარგმანები მე-4 — 5 საუკუნეებისა.

ხოლო S-38 ხელნაწერში დაცულ საკალენდარო ტექსტში ტერმინი „ჟამი" სულ სხვას ნიშნავს. „ჟამი" აქ ეწოდება არა დროს — ზოგადად, და არა საათს ვიწრო მნიშვნელობით, არამედ „ჟამი" ეწოდება 30-დ ღ ი ა ნ თ ვ ე ს. და მართლაც, როგორც ირკვევა, ასეთი ყოფილა სიტყვა „ჟამი"-ს თავდაპირველი უძველესი მნიშვნელობა.

ამ-რიგად S-38-ის საკალენდრო ტექსტში ტერმინი „ერი“ მოცემულია ისეთის მნიშვნელობითა და შინაარსით, რაც ხმარებიდან გამოსულა ჯერ კიდევ ჩვენი წელთ-აღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ბევრად ადრე, ვიდრე ქართულად ითარგმნებოდა ქრისტიანობის პირველი ძეგლები — სახარება და ბიბლია.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ წარმართული ხანიდან მომდინარეობს როგორც საკალენდარო ტექსტები და აგრეთვე ტერმინოლოგია, კერძოდ თვეების სახელები (— სურწყუნისი, იგრიკისაჲ, ქველთობისაჲ, ტირისკნისი, ტირისდენისაჲ და სხვ.), ისე მნათობთა სფეროების სახელები: ცორანო, ჭირანო, მელტარო, და სხვა, ზოდიაკოთა ძველი სახელწოდებანი (სახვ-ქალწული და სხვ.), ან-და მზის გაზაფხულის ბუნიობის (დღე-ღამის გასწორების) ასტრონომიული წერტილის აღმნიშვნელი ტერმინი მარიოტა, ასევე მთელი რიგი სხვა ტერმინებისა.

დასასრულ აქ შევჩერდებით კიდევ ერთს სალიტერატურო ცნობაზე, რომელიც წარმართული ხანის სალიტერატურო მემკვიდრეობას ეხება.

ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულია გადმოცემა, რომ ქართულს ენაზე წინა-ქრისტიანულ ხანაში არსებობდა „წ ი გ ნ ი ნ ე ბ რ ო თ ი ს ი“.

ასე, ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ წარმართობის ხანის ქართველმა მეფემ მირიანმა, მოისმინა რა ქადაგება ნინოსი, „იწყო გამოძიება სჯულისა“ და გადიკითხაო წარმართული „ნ ე ბ რ ო თ ი ს წ ი გ ნ ი“, რომელიც თან ჰქონდაო მირიან მეფეს.

ვახტანგ გორგასარის მემატიანე აგრეთვე მოგვითხრობს ნ ე ბ რ ო თ ი ს წ ი გ ნ ი ს შესახებ, რომ „მამათა ჩვენთა ფარულად ეპყრათ წიგნი ესე“, და რომ ნებროთის წიგნი ხელთა ჰქონდაო ზემოთმოხსენებულს მეფეს მირიანს.

რას წარმოადგენდა ეს წიგნი?

ლეონტი მროველი და ვახტანგ გორგასარის მემატიანე შედარებით გვიანი დროის, ქრისტიანობის ხანის მწერლებია და ისინი უკვე აღარ იცნობენ ამ წიგნის შინაარსს. მათ დრომდე, სჩანს, მიუღწევია მხოლოდ ცნობას, რომ წარმართულ ხანაში ქართულს ენაზე არსებულა რაღაც წიგნი, რომელიც „ნებროთის წიგნის“ სახელით ყოფილა ცნობილი, და ამ გადმოცემას ისინი ავსებენ „განძთა ქვაბის“ მოთხრობიდან ამოღებული ცნობებით.

„ნებროთის წიგნი“ — სჩანს წარმოადგენდა მაზდეიზმის (ზოროასტრიზმის), ე. ი. ცეცხლის თაყვანისმცემლობის მოძღვრების შემცველს რომელიღაც თხზულებას. მაზდეიზმი (ზოროასტრიზმი), როგორც ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ფართე გავრცელებით სარგებლობდა წინა-ქრისტიანულ საქართველოში.

ნებროთი — მაზდეიანობის მოძღვრად და დამაარსებლად იყო მიჩნეული; ნებროთი არის alter ego ზოროასტრისა (ზარატუსტრასი).

VI საუკუნის ერთს ძეგლში, რომელსაც „განძთა ქება“ ეწოდება, და რომელიც ასურული ენიდან არის გადმოღებული ქართულად, მოიპოვება საყურადღებო ცნობები ნებროთ-ზარატუსტრას და მისი წიგნის შესახებ. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„და დღეთა ნებროთ გმირისათა გამოჩნდა ცეცხლი აღმოსავალით, რამეთუ გამოვიდა ქვეყანით, და ვითარცა იხილა ნებროთ, თაყვანისცა, და დაადგინნა მღდელნი, რათა თაყვანისცემდენ ცეცხლსა და აკმევდნენ გუნდრუკსა... მათ ჟამთა შევიდა ნებროთ იანკონს... და ვითარცა მიიწია საცავსა მის ზღვისასა, პოვა მუნ იონიტან... და დაადგრა მის თანა სამ წელ და ისწავა ნებროთ იონიტანისაგან წიგნი სიბრძნისა... და აღმოვიდა აღმოსავალად, იწყო წურთად წიგნსა მას, და ფრიად დაუკვირდა ესე ყოველსა ერსა, ვითარ იგი ნებროთ სიბრძნის-მეტყველებდა...

„ხოლო იგი წიგნი, რომელი ისწავა ნებროთ იონიტან გრძნეულისაგან, არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა, ამისთვის რამეთუ ვარსკვლავთ-რიცხვად არს, არამედ სპარსნი უწოდენ ღირსად წმიდად, ხოლო ბერძენნი უწოდენ ვარსკვლავთ-რიცხვად წიგნსა მას, ხოლო მოგვნი ფ ე დ სახელსდებენ, რომელ არს წიგნი სიტყვისა. ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღვრება ეშმაკთა სიბილწისა, და უმეცარნი იტყვიან, ვითარმედ ჭეშმარიტ არსო, ხოლო არს კარი გრძნებისა და შეგინებისა“.

ამ-რიგად, როგორც ირკვევა, „ნებროთის წიგნი“-ს სახელით ცნობილი ყოფილა ზოროასტრული თხზულებანი, და გასაგებია ამის შემდეგ, რომ წინა-ქრისტიანულ საქართველოში, სადაც ზოროასტრიზმი ფართე გავრცელებით სარგებლობდა, და სადაც ერთხანად ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგიადაც კი იყო აღიარებული, ქართულს ენაზე ზოროასტრული თხზულებანი არსებულიყო.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ თვით მირიან მეფე, როგორც ეს დასტურდება ქართულ საისტორიო წყაროთა ჩვენებიდან, მაზდეიანობის მიმდევარი იყო. გასაგებია ამის შემდეგ, რომ იგი „სჯულის გამოძიების“ საკითხთა გამო „ნებროთის წიგნს“ მიმართავდა.

უფრო გვიანაც, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა განმტკიცდა საქართველოში და სახელმწიფო რელიგიად იქნა აღიარებული, მაზდეიანური „ნებროთის წიგნი“ ერთხანად კიდევ გადარჩენილა, და, როგორც გადმოგვცემს ვახტან გორგასარის მემატიანე, „მამათა ჩვენთა ფარულად ეპყრათ წიგნი ესე“.

ქართული ეპიკური თქმულებანი

წინა-ქრისტიანული ხანის ძველ საქართველოში არსებულა მითოლოგიური და საგმირო ეპოსი, რომელსაც მოუთხრობდნენ და ამღერებდნენ მგოსნები (რაფსოდები).

ჩვენ აქ ვეხებით ძველ ეპიურ თქმულებებს იმდენად, რამდენადაც მათ უშუალო გავლენა ჰქონდათ მომდევნო ხანაში წარმოშობილ ქართულ საერო მხატვრულ მწერლობაზე.

★

ძველი მგოსნების (რაფსოდების) შესახებ, და აგრეთვე ძველ-ქართულ ეპიურ თქმულებათა გამო, საყურადღებო ცნობებია დაცული საისტორიო წყაროებში.

ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, აგვიწერს რა II საუკუნის ქართველი მეფეების ფარსმან ქველისა და მირდატის თავგადასავალს და გმირის ფარსმანის ტრაგიკულად დალუპვას, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შეუდარებელი გმირი ფარსმანის ამბავს მოუთხრობდნენო მგოსნები:

„ყოველთა შინა ქალაქებთა და დაბნებთა... — დასხდიან მ გ ო ს ა ნ ნ ი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი, და იხსენებდიან სიქველესა და სიმხნესა, სიშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა“.

ლეონტი მროველის თხზულება, რომელზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, შეიცავს მთელ რიგ გადანაშთებს ძველი ქართული საგმირო ეპოსიდან.

მაგალითისათვის მოვიყვანთ აქ ლეონტი მროველის მიერ შემონახული ძველი ეპოსის ფრაგმენტებიდან ერთ ტექსტს, სადაც აწერილია თარგამოსიანთა და ნებროთიანთა მითიური ბრძოლა:

„იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა ს ა ს ტ ი კ ე ბ ა ს ა ჰ ა ე რ ი ს ა ს ა:
რამეთუ მტვერი ფერხისა მათისა — ვითარცა ღ რ უ ბ ე ლ ი ს ქ ე ლ ი;
ელვა აბჯრისა მათისა — ვითარცა ე ლ ვ ა ც ი ს ა;
ხმა პირისა მათისა — ვითარცა ხ მ ა ქ უ ხ ი ლ ი ს ა;
...ტყორცა ქვისა მათისა — ვითარცა ს ე ტ ყ ვ ა ხ შ ი რ ი;
და დათხევა სისხლისა მათისა — ვითარცა წ ვ ი მ ი ს ა ღ ვ ა რ ი“.

ამ ეპიურ ფრაგმენტში, როგორც ვხედავთ, ბოლომდე გატარებულია თანამიმდევარი პარალელიზმი ბრძოლის აღწერასა და ბუნების მოვლენათა შორის. ბუნების სურათი აქ თანამიმდევრად იშლება ასეთის თანდათანობით: ჯერ იწყება ს ა ს ტ ი კ ე ბ ა ჰ ა ე რ ი ს ა, გამოჩნდება ღ რ უ ბ ე ლ ი ს ქ ე ლ ი, ღრუბელში გამოკრთება ე ლ ვ ა ც ი ს ა,

შემდეგ ხმა ქუხილისა, მას უკან სეტყვა ბორი, და ბოლოს წვიმისა ღვარი. ბუნება აქ მოცემულია ორგანიულს მთლიანობაში, როგორც „ჰაერის სასტიკების" ერთი მთლიანი სურათის თანდათანი გაშლა, და ამის გვერდით მისი შესაფარდი პარალელური სურათი თარგამოსიანთა ბრძოლისა მითოლოგიურ ასპექტშია გადატანილი.

ანალოგიური სურათი ჩვენ გვაქვს აგრეთვე მეორე ძველ-ქართულ ეპოსშიაც, ამირანის თქმულებაში, სახელდობრ ამირანის თქმულების იმ ადგილას, სადაც გადმოცემულია ლრუბელთა-ბატონის მოახლოვება ამირანთან (ქეთუკამარის მოტაცების შემდეგ).

ამ ფრაგმენტის მიხედვით შესაძლოა წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი მგოსნების — რაფსოდების პოეტური სტილის შესახებაც.

ნარკვევის ფარგლები ჩვენ არ გვაძლევს ნებას შეეხოთ ძველ-ქართულ ეპიურ თქმულებებს მთელის მოცულობით.

ქართული უძველესი წინა-ქრისტიანული ხანის თქმულებებიდან ჩვენ გამოვყოფთ და საგანგებოდ შეგვჩერდებით ორ ეპიურ ციკლზე: პირველი მათგანია ვარათრაგნის (ვახტანგის) ეპოსი, მეორე — ამირანის (პრომეთეს) ეპოსი.

ვარათრაგნის (ვახტანგის) ეპოსი

ვარათრაგნი (—იგივე ვართრანგი, ვახტანგი, ვაჰაგნი, ვაჰრანი) მაზდეიანური ღვთაების სახელია. მაზდეიანობა (ზოროასტრიზმი), როგორც აღნიშნული გვქონდა, უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა საქართველოში. საისტორიო წყაროების ცნობებიდან დასტურდება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მაზდეიანური კულტი საქართველოში ფართე გავრცელებით სარგებლობდა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ქართული მაზდეიანობა არ უნდა წარმოვიდგიოთ ჩვენ შეურევნელად, როგორადაც იგი ძველ ირანში იყო მიღებული, ორთოდოქსალური ზოროასტრიზმის სახით. მაზდეიანობა გარდაქმნილა ქართულს ნიადაგზე, იგი შერევია და შერწყმია ძველ-ქართულს წარმართობას, და ამ ნიადაგზე წარმოშობილა სინკრეტული ქართულ-მაზდეიანური კულტი.[1])

როგორც ირკვევა, წინა-ქრისტიანულ ხანაში ქართულად არსებულა ეპიური თქმულებანი ქართულ-მაზდეიანური პანთეონის გარშემო. ამათ რიცხვს ეკუთვნის ვარათრანგის (—ანუ ვახტანგის, ვაჰაგნის) ეპოსი.

ძველი სომეხთა ისტორიკოსი მოსე ხორენელი, რომელიც ბაგრატიონთა კარზე მოღვაწეობდა, ახლო იცნობდა საქართველოს, და როგორც ირკვევა თვით მისი ისტორიის ტექსტიდან, — იცოდა ქართული ენა და ქართველურ მსოფლიოსთან იყო დაკავშირებული, — გადმოგვცემს უაღრესად საინტერესო ცნობას ვარათრაგნის ეპოსის შესახებ, რომელიც

[1]) იხ. სქოლიო 2.

წარმართულ ხანაში გავრცელებული ყოფილა ივერიაში (საქართველოში). იგი სწერს:

„...ვაჰაგნი (ვარათრაგნი). ამ უკანასკნელის შესახებ ლეგენდას მოგვითხრობს:

„მშობიარობის ტკივილებს განიცდიდა ზეცა და დედამიწა.
მშობიარობის ტკივილებით შეპყრობილი იწვა ძოწითმოსილი ზღვა.
ზღვამ შვა წითელი ლერწამი.
ლერწამის ყელიდან ამოდიოდა კვამლი.
ლერწამის ყელიდან ამოდიოდა ალი.
ალიდან ამოდიოდა ვაჟი.
მას ჰქონდა თმები ცეცხლისა,
მას ჰქონდა წვერი ალისებრი,
ხოლო თვალები — მზე".

„ჩვენ თვით გაგვიგონია, — განაგრძობს მოსე ხორენელი, — თუ როგორ მღეროდნენ ამას ქნარის აყოლებით. შემდეგ სიმღერაში უმღეროდნენ ვაჰაგნის (ვარათრაგნის) ბრძოლას ვეშაპებთან (დრაკონებთან) და ვაჰაგნის მათზე გამარჯვებას. ყოველივე, რასაც მღეროდნენ მგოსნები (ვაჰაგნი — ვარათრაგნის შესახებ) დიდად ემსგავსებოდა ჰერაკლეს გმირობათა მოთხრობას. მღეროდნენ აგრეთვე მის აპოთეოზას. და იქ ივერთა (ქართველთა) ქვეყანაში ამართული იყო კერპი (ქანდაკება) მისი სიმაღლისა, რომელსაც მსხვერპლით პატივსცემდნენ".

მეორე მწერალი — გრიგოლ მაგისტროსი — აგრეთვე მოგვითხრობს, რომ ქართველი მგოსნები ვარათრაგნის (ვაჰრანის) შესახებ ლექსებსა სთხზავდნენ და სიმღერით ღმერთსავით ადიდებდნენო.

ვარათრაგნი მზის ღვთაების ასპექტია — როგორც ირანულს, ისე კავკასიურ პანთეონში.[1]) უძველესი ლექსი ვარათრაგნის დაბადების შესახებ, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, იძლევა სურათს მზის დაბადებისა — ძოწითმოსილი ზღვის წიაღიდან, ცეცხლის თმებით, ალისფერი სახით, და მზე — თვალით.

„მზის-თვალი" ვარათრაგნი ებრძვის სიბნელეს, რომელიც მითოლოგიურად „ვეშაპის" სახით არის განსახიერებული; ვარათრაგნი ამარცხებს ვეშაპს და ჰკლავს კიდეც. ვარათრაგნის მუდმივი ეპითეტია „ვიშაპაკალ" („ვეშაპა-კალ"), ე. ი. ვეშაპის მკვლელი.

გარდა ამ მოკლე ცნობებისა, რომელიც დაუცავთ მოსე ხორენელსა და გრიგოლ მაგისტროსს ვარათრაგნის ეპოსის არსებობის შესახებ წარმართული ხანის საქართველოში, — უფრო სრული და ვრცელი ანარეკ-

---

[1]) კავკასიური პანთეონის ძველი ინტერპრეტატორები, ადრეული ქრისტიანული ხანის მწერლები, კავკასიურ ღვთაებას ვაჰაგნის (ვართრაგნის) უფარდებენ ელინურ აპოლონს (იხ. აგათანგელოსი).

ლი ვარათრაგნის ეპოსისა ჩვენ გვაქვს ერთს ძველ-ქართულს თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“.

თუმცა ეს ძველ-ქართული თხზულება უკვე ქრისტიანულ-ეპოქას ეკუთვნის, მაგრამ ავტორს აქ შემოუნახავს უძველესი ქართული წარმართული ეპოსის ნაშთი.

თხზულება „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“ ლეგენდარულ ასპექტში წარმოგვიდგენს V საუკუნის საქართველოს მეფის ვახტანგ დიდის თავგადასავალს.

თხზულება დაწერილია IX საუკუნეში,[1] ე. ი. 4 საუკუნით არის დაშორებული ვახტანგის ეპოქას. ავტორი იძლევა ვახტანგის აპოთეოზას, იგი სწერს არა ისტორიას, არამედ ეპიურ-საისტორიო რომანს, და მას გადააქვს ვახტანგ მეფის პიროვნებაზე წარმართული ღვთაება ვარათრაგნი-ვახტანგის ეპოსის ელემენტები.

აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ რეალიას, საიდანაც დასტურდება, რომ „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ მოიპოვება ანარეკლი ვარათრაგნის ეპოსის უძველეს საგმირო თქმულებათა.

ჯერ თითონ სახელი. „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარს ერქვაო „სპარსულად ხ უ ა რ ა ვ ა რ ა თ რ ა გ ნ ი“ ხოლო ქართულად ეწოდაო ვახტანგ.[2]

„ხ უ ა რ ა“ — ეს არის მაზდეიანური ტერმინი-თეოლოგემა, აღნიშნავდა მაზდეიანურ ღვთაებათა მზიურ ბრწყინვალებას, იგი მიემართებოდა მაზდეიზმის ნათლოსან ღვთაება-იაზატებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ღვთაება ვარათრაგნი. ამ-რიგად „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ დაცულია პირდაპირი ჩვენება, რომ მოთხრობაში გადატანილია მაზდეიანური ღვთაების ვარათრაგნის საგმირო თქმულებათა ელემენტები, ვახტანგს აქ პირდაპირ მიემართება თვით ღვთაების სახელი და ღვთაების ეპითეტიც: „ხუარა ვარათრაგნი“—„(მზიურად) ბრწყინვალე ვარათრაგნი“.

შემდეგ. სიტყვა „ვარათრა“, რომელიც შედის ღვთაების სახელში „ვარათრაგნი“ აღნიშნავს ფ ა რ ს.

ხოლო ვახტანგის შესახებ „ჰამბავში“ მოთხრობილია, რომ ვახტანგს ჰქონდაო ჯადოსნური ფ ა რ ი ვიგრის ტყავისა, რომელსაც ვერ ჰკვეთდა მახვილი.

საინტერესოა თვით ეს „ვ ი გ რ ი“, რომლის ტყავისაგან შექმნილია ეს ჯადოსნური ფარი. „ვ ი გ რ ი“ — გვიან ხანაში ნიშნავდა კროკოდილოს, ხოლო მისი პირვანდელი მნიშვნელობა არის მითოლოგიური ცხენი: „ვეშაპი“. გარდა ამ მითოლოგიური ტერმინისა „ვიგრი“—„ვეშაპი“ ძველ-ქართულში შერჩენილია მითოლოგიურ წარმოდგენათა აღმნიშვნე-

[1] თარიღის შესახებ იხ. ქვემოთ.
[2] იხ. სქოლიო 3.

ლი ანალოგიური რთული ტერმინები: „*ვიგრ-დევი“ (ე. ი. „ვეშაპი-ბოროტი არსება“), „*ვიგრ-კუროდ“ (მინოტავრი, დრაკონი).

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთაება ვარათრაგნი „ვეშაპის“ მებრძოლია; ვარათრაგნის მუდმივი ეპითეტი არის, როგორც ეს მოვიხსენეთ, „ვიშაპაკალ“—ე. ი. ვეშაპის მკვლელი.

ამ-რიგად ის ჯადოსნური ფარი, რომელიც ჰქონდა ვახტანგ-ვარათრაგნის, და რომელსა „ვერ ჰკვეთდა მახვილი“, შექმნილია იმ ვიგრი-ვეშაპის ტყავიდან, რომელიც ვახტანგ-ვარათრაგნიმ დაამარცხა და მოჰკლა კიდეც.

შემდეგ. მაზდეიზმის „იაზატების“ ე. ი. ნათლოსან-ღვთაებათა ჯგუფში, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა აჰურამაზდის ქმნილება ვარათრაგნი, არის აგრეთვე ქალი, რომელიც არის ასული ანუ ქმნილება იმავ აჰურამაზდისა. ეს ქალი „ნათლოსანი“ ჩვენ გვხვდება აგრეთვე კავკასიის მაზდეიანურ პანთეონში, ასე, მაგალითად, ძველ-სომხურ პანთეონშიაც, სადაც მას ეწოდება „ლუსინ“ (დაი ვარათრაგნისა); „ლუსინ“ პირდაპირის მნიშვნელობით მნათობს, მანათობელს ნიშნავს.

ხოლო „ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ აგრეთვე დასახელებულია ვახტანგ-ვარათრაგნის დაი, რომელსაც ეწოდა „ხუარა-მზე“, „მანათობელი მზე“ (ე. ი. იმავე თეოლოგემური ეპითეტის „ხუარა“-ს დართვით), და რომელიც „ჰამბავში“ წარმოდგენილია ვახტანგის მსგავსად როგორც მითოლოგიური, ზღაპრული არსება.

ასე, მაგალითად, „ვახტანგის გორგასარის ჰამბავში“ მოთხრობილია ერთ ადგილას ხუარა-ვახტანგისა და ხუარა-მზეს შესახებ, რომ ვახტანგი იყო „უმაღლეს ყოველთა კაცთა... უშვენიერეს სახითა, ძლიერი ძალითა, რამეთუ სიმაღლე მისი იყო ათორმეტი ბრჭალი კაცისა, და იყო საზარელ და გოლიათ... ჭურვილი ქვეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქაჲ და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის მხართა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა... და ერთი დაი მისი ხუარა-მზეცა იყო ძლიერი და შვენიერი“...

„ხუარა“-ვახტანგის დის „ხუარა“-მზის მეორე ასპექტია „მიჰრანდუხტი“ (ესეც თეოფორული სახელია: მიჰრა-მითრა).

ვახტანგის დას, ნათლოსანი ღვთაების განსახიერებას, მოწინააღმდეგე („ბნელი“) ძალები გაიტაცებენ და ტყვედ ჰყავთ კავკასიონის მთებში, ოვსეთ-ჩერქეზეთში.

„ვახტანგ გორგასარის ჰამბავში“ აღწერილია ვახტანგის ლაშქრობა კავკასიონში დატყვევებული ნათლოსანი დის გამოსახსნელად. ლაშქრობის ეს აღწერილობა, რომელიც მითოლოგიურ სახეებშია მოცემული, ვარათრაგნის ძველი საგმირო თქმულებიდან მომდინარეობს.

მოგვყავს აქ ერთი ნაწყვეტი ლაშქრობის ამ აღწერილობისა, როგორც ძველი ქართული საგმირო ეპოსის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში.

ვახტანგ-ვარათრაგნი, მისული თავისი სპით კავკასიონ-ოვსეთში დის გამოსასხნელად, გამოითხოვს ბრძოლაში მოწინააღმდეგე მხარის ბუმბერაზს — ბაყათარს.

„ვახტანგ... აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილი ჯავშნითა, და ალიდო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ამერ ჰკვეთდა მახვილი. და ჩავლო გვერდი, და მიდგა მახლობელად მდინარისა, ხმა უყო ბაყათარს...

„გამოვლო მდინარე ბაყათარ და უწყო სროლად ისრისა. მაშინ ვახტანგ სიფრცხლითა თვალთა თვისთა და სიმახვილითა გონებისა მისისაჲთა ჰრიდებდა ისარსა, რამეთუ შორსავე იხილის ისარი მომავალი, და უხლდებოდა, და სიმარჯვით მიეახლებოდა.[1]) ამიერ და იმიერ სპათაგან იყო ცემა ბუკებისა და დაფდადაფთა. და იზახდეს ხმითა აღწევნულითა სპანი ორნივე, ქართველთანი და ოვსთანი, ზომლითა იძრვოდეს მთანი და ბორცვნი.

„და ვერ შეჰკრა ისარი ორისა ისრისაგან მეტი ბაყათარ ფარსა ვახტანგისასა, და ვერა უკვეთა ყოვლად. და კვალად ჰკრა სხვა ისარი ცხენსა ვახტანგისასა და გააგდო შიგან. და ვიდრე დაეცემოდა ცხენი\ვახტანგისა, მოუხდა ზედა (ვახტანგ), და უხეთქნა ხრმალი მხარსა ბაყათარისასა და ჩაჰკვეთა გულამდე. მაშინდა დაეცა ცხენი ვახტანგისი, სწრაფით მიჰყო ხელი და შეიპყრა ცხენი ბაყათარისი... და აღჯდა ცხენსა ბაყათარისსა, და მოდგა მახლობელად სპათა თვისთა და ჰრქვა ხმითა მაღლითა: მხნე იყავთ და განძლიერდით...

„ხოლო ოვსნი წარმოდგეს ქარაფსა ზედა და დაასხეს ისარი. ვითა წვიმა მძაფრი... მაშინ ცხენ-თოროსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, აღხდეს ვაკესა... და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის. ხოლო ვახტანგ უკეთუ მარჯვენით კერძო იბრძოდა, მარცხენით კერძნი ძრწოდის, და თუ მარცხენით კერძო იბრძოდა, მარჯვენით კერძნი ძრწოდიან. და ეგოდენსა მას ჟამსა შინა, ხმასა სპათასა — ხმა ვახტანგისი იცნობებოდა ვითარცა ხმა ლომისა...“

ვახტანგ-ვარათრაგნი გაიმარჯვებს. მოვლის და მოსტყვენავს კავკასიონს, ოვს-ჩერქეზეთს. გამოიხსნის დასა და ტყვეებს.

ეს ეპიზოდი ვარათრაგნის ეპოსისა, ვახტანგ-ვარათრაგნის კავკასიონის მთებში შესვლა ნათლოსანი დის გამოსახსნელად, სჩანს ლექსადაც იყო დამუშავებული ძველ მგოსანთა მიერ. შენახულა ლექსითი ვერსიის ფრაგმენტი:

„ვახტანგ მეფე ლმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზედ ფეხი შესდგა,
დიდმან მთებმან შექმნეს დრეკა.
ოვსეთი გარდაიარა
ჩერქეზეთსა გარდარეკა...“

---

[1]) ვახტანგ-ვარათრაგანი მშვილდ-ისარს არ ჰხმარობს, იგი იბრძვის ხმალითა და ჰოროლით.

ამირანის (პრომეთეს) ეპოსი

ამირან-პრომეთეს თქმულება — ეს არის ერთი უდიადესი თქმულებათაგანი, რომელიც ძველმა მსოფლიომ გვიანდერძა. ამირანი — ეს არის განსახიერება ადამიანის თავისუფლების მოყვარული სულისა. ამირანის მიერ ცეცხლის მოტაცება ზეციდან, მინიჭება ცეცხლისა ადამიანთათვის, ამირანის ტიტანიური ამბოხება, მისი გმირული ქედ-შეუდრეკელობა, და დასასრულ, ამირანის ტრაგიული ბედი, — დღემდე ჰხიბლავს კაცობრიობის ფანტაზიას.

ძველი-ელინური გადმოცემა პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კ ა ვ კ ა ს ი ა ს სთვლიდა. ეს იმიტომ, რომ თქმულება კავკასიიდან არის გადასული ელინურ მსოფლიოში. და მართლაც თვით ელინი მწერლები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ პრომეთეს თქმულება კავკასიური წარმოშობისაა.

ელინ მწერლებს ამასთან ერთად დაუცავთ საყურადღებო დეტალები პრომეთეს თქმულების ძველი კავკასიური ვერსიის შესახებაც. მათი სიტყვით ის, რასაც ელინი მწერლები მოგვითხრობენ პრომეთეს შესახებ — კავკასიური თქმულების განმეორებას წარმოადგენსო. ფილოსტრატე ათინელი (II — III ს.) აღნიშნავს, რომ კავკასიაში ყველას სჯერაო, რომ პრომეთე ნამდვილად არსებობდა, გადმოცემას სინამდვილედ სთვლიან, და მოუთხრობენ, რომ პრომეთე დასჯილ იქმნაო ზევესის მიერ კაცთმოყვარეობისათვის.

ფლავიუს არიანე, რომელმაც 134 წელს მოვლო დასავლეთ საქართველოს სანაპირო, მოგვითხრობს: „კავკასიონის ერთი მწვერვალი გვიჩვენეს, რომელსაც სახელად ეძახიან ს რ ო ბ ი ლ ი, და რომელზედაც თქმულების თანახმად ზევესის ბრძანებით მიჯაჭული იყო პრომეთეოსი“.

ფილოსტრატე ათინელისა და სხვა ბერძენი ავტორების ცნობათა მიხედვით ამირანის მიჯაჭვის ადგილის შესახებ მრავალგვარი გადმოცემები არსებულა საქართველოში. ფილოსტრატე აღნიშნავს, რომ ერთი თქმულების თანახმად ამირანი მიჯაჭვული იყოო კავკასიონის ორთავიან მწვერვალზე — ე. ი. იალბუზის მთაზე. მეორე გადმოცემით ამირანი კავკასიონის ქედის გამოქვაბულში იყო მიჯაჭვული, და ამ გამოქვაბულის მთის ძირს უჩვენებენ ხოლმეო.

არსებულა მესამე გადმოცემაც (— და ეს გადმოცემა ყველაზე უძველესი ყოფილა), რომლის თანახმად ამირანის მიჯაჭვის ადგილად მიჩნეული ყოფილა ფ ა ს ი ს-მ თ ა, ე. ი. კავკასიონის მთის ის მწვერვალი, საიდანაც ღებულობს სათავეს რიონი (კლასიკური ფ ა ს ი ს ი). ამ მთას ჰრქმევია „ამარანის“ ანუ „ამირანის“ მთა.

ბერძენ ავტორებს, როგორც ირკვევა, კარგად სცნობიათ პრომეთე-ამირანის ქართული სახელწოდება „ამარანი“ (resp. „ამირანი“). ირკვევა ამასთან ისიც, რომ მეორე სახელწოდებაც გმირისა „პრომეთე“, — აგრე-

თვე კავკასიიდან, ქართველური ენების მსოფლიოდან არის შეთვისებული ელინურ გადმოცემაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

ქართულს ენაზე დღემდე შენახულა პრომეთე-ამირანის დიადი ეპოსი — მთელი რიგი ვერსიების სახით. ეპოსი ნაწილობრივ პროზაული, ნაწილობრივ ლექსითი ტექსტების სახით არის წარმოდგენილი.

ამირანის თქმულების პირვანდელი სახის მთლიანად აღდგენა ყველა ვერსიების საფუძველზე — შორს წაგვიყვანდა, და აქ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთს მთავარ მომენტზე.

ამირანი არის შვილი ცხოველთა მფარველის ღვთაება-ქალის დალიხა[1]) და ვაჟის სულა კალმახელისა. ამირანის დაბადების შესახებ მითოლოგიურ მოთხრობას (—რაც ინტერესს წარმოადგენს თქმულების მითოლოგემის ანალიზისათვის) — აქ აღარ ვეხებით.

ამირანი გმირია. ამირანის გმირული მოღვაწეობის მთავარი საქმეა,— ზეციდან ცეცხლის მოტაცება. ქართულს ეპოსში ეს ეპიზოდი მითოლოგიზირებულია ზენა-ღვთაების ქალის ქეთუ-კამარის მოტაცების სახით.

ამირანი ებრძვის ავ-სულებს, დრაკონებს. ამირანის გმირობა კაცთმოყვარეობით არის შთაგონებული (ჯერ კიდევ ანტიური ხანის ჩანაწერში — ფილოსტრატეს გადმოცემაში — ხაზგასმულია, რომ კავკასიურ თქმულებაში ამირანი კაცთმოყვარე გმირად იყო წარმოდგენილი და ამირანი კაცთმოყვარეობის გამო იქნა დასჯილიო). ეპოსში ჯერ-ოდ მოთხრობილია, რომ ამირანმა ადამიანის საჭმელი პური გაშინჯა, და როდესაც ხელი მოუჭირა, ნახა, რომ პურს სისხლის წვეთმა გამოჰყონაო. ამირანი იტანჯებოდა იმის გამო, რომ პური, რომელსაც ადამიანები სჭამენ, სისხლის წვეთით არის შესვრილი, და უნდოდა რომ ადამიანს უსისხლო პური ჰქონოდაო.

ამირანის გმირული მოღვაწეობა ტრაგიულად სრულდება. კაცთმოყვარე დიდი გმირი შეებრძოლება ღმერთს. ამის შედეგად ამირან დაისჯება. ამირანს ღმერთი მისჯაჭვავს კავკასიონის ქედის გამოქვაბულში და ზევიდან მას კავკასიონის მთა დაეფარება.

მიჯაჭვულ ამირანთან ერთად გამოქვაბულში იმყოფება მისი ერთგული ფრთოსანი გოშია, ორბის ნაშობი ყურშა. ამირანის გვერდით გდია მისი გორდა ხმალი, მაგრამ იმდენად მოშორებით, რომ ამირანი ვერ მისწვდომია ხმალს, რომ მით განჭკვეთოს ჯაჭვი.

წლის მანძილზე გოშია ლოკავს ჯაჭვს, და ჯაჭვი წვრილდება. წლის მანძილზე ამირან ეწევა ჯაჭვის მანას (პალოს) და მანა ამოვარდნაზე არის მიმდგარი. გმირის განთავისუფლების ჟამი თითქოს ახლოვდება.

მაგრამ სწორედ ამ-დროს მოფრინდება ფრინველი (ეს ის ფრინველია,—ორბი,—რომელიც თქმულების ელინურ ვერსიაშიც არის მოხსენე-

[1]) რომელსაც აგრეთვე ეწოდება „ა ფ ს ა — თ ი", იგივე *ფ ა ს ა, რაც ა მ ი რ ა ნ ი ს მთის — ფ ა ს ი ს მთის სახელწოდებაშიაც არის დაცული.

ბული, და რომელიც მიჯაჭვული გმირის გულ-ღვიძლს მიეკრება და კორტნას დაუწყებს).—ამ წამით ისარგებლებენ ღვთაების მტერი არსებანი, — მჭედლები, რომლებიც სამჯერ დაჭკრავენ [illegible] ლებული ჯაჭვი ისევ გამრთელდება, ხოლო ამოვარდნაზე მიმდგარი ჯაჭვის მანა ისევ ძირამდის ჩაესობა დედამიწაში.

ასეთია ზოგადი ქარგა ამირანის დიდი ეპოსისა.

ამირანის ეპოსი, როგორც ირკვევა, უძველესი ნაციონალური თქმულებაა ქართველური ტომებისა.

აღსანიშნავია, რომ ამირანის ეპოსს გავლენა მოუხდენია სხვა, უფრო გვიან წარმოშობილ ძველ-ქართულ ეპიურ თქმულებებზე.

კერძოდ ამირანის თქმულების ელემენტები გადასულა ვარათრაგნის იმ ეპოსშიაც, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ასე, ვარათრაგნის ეპოსიდან შემდეგი საყურადღებო ეპიზოდი აქვს მოთხრობილი მე-7 საუკუნის ავტორს ანანია შირაკელს.

ამ მოთხრობის თანახმად ვარათრაგნი (ვაჰაგნი) მოჰპარავს ღვთაებას ბარ-შამს ჩალას; და როდესაც ვარათრაგნი ამ ქურდობის შემდეგ სწრაფად მიემართება უკან, ჩალას ცის კაბადონზე სცვივა პატარ-პატარა ნაფცქვენები, რომლისაგანაც ცაზე გაჩნდება მცირე ვარსკვლავთა ის გაბმული ზოლი-სარტყელი, რომელსაც „ირმის ნახტომი“ ეწოდება. ვარსკვლავთა ამ სარტყელის ძველი მითოლოგიური სახელია „ჩალის ქურდის ნაკვალევი“ და ეს სახელი დაკავშირებულია ჩალის მოპარვის მითოსთან.

ეს ეპიზოდი ვარათრაგნის ეპოსში, როგორც ირკვევა, გადასულია ამირან-პრომეთეს ეპოსიდან. აქ ჩვენ გვაქვს გამოძახილი პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცების თქმულებასთან.

პრომეთე მოჰპარავს ზევსს ცეცხლსა და მას სწორედ ჩალა-ლერწამში დაჰმალავს. და ვარსკვლავთა ზოლი ცაზე გაჩნდება არა ჩალის უბრალო ნაფცქვენებიდან, არამედ ჩალა-ლერწამში დამალული ცეცხლის ნაპერწკლებიდან. ვარსკვლავთა ზოლი-სარტყელი „ჩალის ქურდის ნაკვალევი“ — ეს არის ის ასტრალური გზა, რომელსაც გაივლის ცეცხლის მომტაცებელი პრომეთე-ამირანი.

ამირან-პრომეთეს თქმულებას, როგორც ირკვევა, ასტალური მითოსი უდევს საფუძვლად. ეს სჩანს თუნდაც ამირანის ეპოსის აქ მოთხრობილი ეპიზოდიდანაც, რომელიც ვარსკვლავთა სარტყელის წარმოშობას ეხება.

მაგრამ ამირანის თქმულების მითოლოგიის შესახებ აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს. ჩვენ ამ-გზის გვაინტერესებდა ამირანის ეპოსის მხოლოდ იდეურ-მხატვრული კონცეპცია, და არა თქმულების მითოლოგიური საწყისები. ამირანის ეპოსის მითოლოგიას მთელის მოცულობით ჩვენ საგანგებოდ ვეხებით ცალკე გამოკვლევაში.

აღვნიშნავთ აქ მხოლოდ, რომ პრომეთე-ამირანი, როგორც ირკვევა, უძველესს თავდაპირველ მითოსში წარმოდგენილი ყოფილა ღვთაება-ვარსკვლავის სახით. ამასთან არის დაკავშირებული ამირანის პარალელური სახელწოდებანი * ამრა-ხუტუ, * ამრ სკკლი || * მარ-სკკლი (იგივე ძველ-ქართული „მარ-სკკლავი") — დაცული ამირანის ეპოსის ვერსიებში.

ირკვევა ამასთან ისიც, რომ პრომეთე-ამირანი ძველ ქართულ წარმართულ პანთეონში მიჩნეულ ყოფილა ქართველურ ტომთა ერთი ნაწილის ნაციონალურ ღვთაებად. ამის გამო პრომეთე-ამირანის ღვთაება-ვარსკვლავს ეწოდებოდა არა მხოლოდ „მარ-სკკლი" (მარსკკლავი, ვარსკვლავი), არამედ ამ ვარსკვლავს მიემართებოდა ქართველური ტომის ეპონიმური-სატომო სახელიც.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ამირანის ეპოსის ზოგიერთი ელემენტი იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ თვით ეპოქაც, როდესაც ამირანის ეპოსი ჩამოყალიბდა. ეს არის ის უძველესი ხანა, როდესაც ქართველური ტომები ჯერ კიდევ სამხრეთით მკვიდრობდა და ხეთას ხალხთა კოლექტივში შედიოდა.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ამირანის ეპოსს გავლენა მოუხდენია უფრო გვიან ეპოქაში წარმოშობილს ქართულ საერო მხატვრულ მწერლობაზედაც.

ასე, ძველ-ქართულ საგმირო რომანს, რომელსაც „ამირან-დარეჯანიანი" ეწოდება, განუცდია ზოგიერთ ხაზებში გავლენა ამირანის ძველი საგმირო ეპოსისა. (თვით სახელი ამ რომანის გმირისა „ამირანი" — ბომდინარეობს ამირან-პრომეთეს ძველ-ქართული ეპოსიდან).

შეხვედრა ამირანის ეპოსთან ჩვენ გვაქვს აგრეთვე დიდი რუსთაველის უკვდავ პოემაში „ვ ე ფ ხ ი ს-ტ ყ ა ო ს ა ნ ი". ასე, შოთას პოემის გმირთა სამება, რომელიც ქაჯეთის ციხიდან გამოიხსნის ნესტან-დარეჯანს, ბევრ ხაზებში გვაგონებს ამირანის თქმულების სამს გმირს, რომლებიც ზეციური კოშკიდან გამოიყვანენ მზეთა-მზეს ქეთუ-კამარს.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ შეხვედრა რუსთაველისა ამირანის ეპოსთან თუმცაღა არ სცილდება სიუჟეტის ცალკეულ ელემენტებს, აქ გვაქვს შეხვედრა მხოლოდ ზოგიერთ ცალკეულ ხაზებში. მაგრამ ეს შეხვედრა — პირველის შეხედვით ეპიზოდური — მაინც მეტად საგულისხმოა. ვეფხის-ტყაოსანში ჩვენ გვაქვს არა უბრალო განმეორება და სესხება ამირანის ეპოსიდან, არამედ ამირანის ეპოსის ზოგიერთი მომენტის მხატვრული გარდაქმნა, ახალ მხატვრულ ასპექტში წარმოდგენა.

ქართველი ხალხის ნაციონალური გენიის ორი უდიადესი გამოვლინება მხატვრული შემოქმედების სფეროში, — შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი და უძველესი ქართული ნაციონალური ეპოსი პრომეთე-ამირანისა, — ეხმაურებიან ერთმანეთს არა მარტო თავისი უნივერსალური დიაპაზონით, ზოგად-კაცობრიული იდეებით, არამედ ნაწილობრივ მხატვრული კონცეპციით.

(დასასრული პირველი წერილისა)

შენიშვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

(სქოლიო 1, გვ. 173).

სახელი არტაგ ॥ არტოკ „მოქცევაჲს“ მატიანის სიაში დაზიანებულია გრაფიკულ ნიადაგზე და იკითხვის: არიკ (< არტკ). მეორე სიაში, რომელიც დაცულია ლეონტი მროველის მატიანეში, შენახულა სწორი წაკითხვა ამ სახელისა: არტაგ.

აღვნიშნავთ აქვე, რომ შედარებითი ანალიზი „მოქცევაჲს“ მატიანის და ლეონტი მროველის სიებისა ცხად-ჰყოფს, რომ მთელი რიგი სახელებისა ამ სიებში დაზიანებულა დროთა განმავლობაში მრავალგზისი გადაწერის დროს, ზოგი მათგანი სჩანს დაზიანებულა უფრო ადრე — ვიდრე ეს სიები „მოქცევაჲს“ მატიანეში და ლეონტი მროველის თხზულებაში მოხვდებოდნენ.

ასე, სახელი „ქარრამ“ „ქართამ“. ნამდვილი გამოთქმა ამ სახელისა არის „ქ ა რ ძ ა მ“ (როგორც ეს დაუცავს მოსე ხორენელს). შეცდომა წარმოშობილა ასოების ძ, რ და თ-ს მსგავსების გამო ასომთავრულ დამწერლობაში.

სახელი ბარატმან (> ბრატმან) და ბარტამ. ნამდვილი გამოთქმა ამ სახელისა, როგორც ირკვევა, არის ბ ა რ ა ც მ ა ნ. შეცდომა წარმომდგარა ასოების ც-ს და ტ-ს მსგავსების ნიადაგზე. ბარაცმან არის იგივე ფარაცმან, ფარასმან, — კარგად ცნობილი სახელი კლასიკური წყაროებით.

ასევე დაზიანებულია ორგზის სახელი: მირ.

აგრეთვე როკ, დერუკ, ადერკ, — ერთი და იმავე სახელის სახეშეცვლილს დაწერილობას წარმოადგენს.

2.

(სქოლიო 2, გვ. 179)

მაზდეიანობის გარდაქმნა ქართულს ნიადაგზე, მისი შერევა ძველ-ქართულ წარმართობასთან და ჩამოყალიბება საქართველოში სინკრეტული ქართულ-მაზდეიანური კულტისა — დასტურდება მთელი რიგი ჩვენებებით.

ამისი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ საქართველოში მიღებული ყოფილა მაზდეიანურ ღვთაებათა წარმოდგენა კ ე რ პ-ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა თ ა სახით, რაც ორთოდოქსალური ზოროასტრიზმის თვალსაზრისით შეუწყნარებელი იყო. ასე, საქართველოში არსებულა ვ ა რ ა თ რ ა გ ნ ი — ვ ა ჰ ა გ ნ ი ს კერპი. კერპის სახით ყოფილა წარმოდგენილი აგრეთვე მთავარი მაზდეიანური ღვთაება ა ჰ უ რ ა მ ა ზ დ ა — ა რ მ ა ზ ი; ეს დასტურდება არა მხოლოდ „მოქცევაჲს“ მატიანის, ნინოს ცხოვრების და ლეონტი მროველის მატიანის გადმოცემებით, არამედ ამას ადასტურებს აგრეთვე არქაული ჰაგიოგრაფიული ტექსტი, — „კალისტრატეს მარტვილობის“ ძველ-ქართული ვერსია.

3.

(სქოლიო 3, გვ. 181)

„ვახტანგ გორგასარის ჰამბავის“ მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერში სახელ• ვ ა რ ა თ რ ა გ ნ ი — ვახტანგი დაზიანებულად არის დაცული. ნაცვლად პირველადი წაკითხვისა: „ხუარა ვარათრაგნი“ აქ წარმოდგენილია დაზიანებული ტექსტი: „ვარნა-ხუა(ს)რო-თა(ნ)გი“.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ თვით სახელი ვახტანგი, ანუ უფრო ძველი სახით ვ ა ჰ თ ა ნ გ ი (* ვ ა ჰ რ თ ა ნ გ ი) არის ფონეტური სახესხვაობა იმავე მაზდეიანური ღვთაების სახელისა: „ვართრანგი“ ॥ „ვარათრაგნი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეორგ დოდოხიანი — თხზულებანი, ტომი I,

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წელი

ლიტერატურის ისტორიაში ცოტა როდია მაგალითი, როდესაც ერთადერთი ნაწარმოების ავტორი საქვეყნოდ ცნობილი გამხდარა. სომხურ მწერლობაში გ. დოდოხიანი სწორედ ასეთი სახელით სარგებლობდა, როდესაც ერთადერთი ლექსის — „მერცხალოს" ავტორად ითვლებოდა. ეს ლექსი იმდენად შესამჩნევი იყო, რომ თავის დროზე ხალხის სასიმღერო ჰანგად იქცა და ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ქართულ, რუსულ ენებზე გადაითარგმნა.

გ. დოდოხიანის თანამედროვეებმა იცოდნენ, რომ მას სხვა ნაწარმოებნიც ჰქონდა, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ დოდოხიანი მათ არ აქვეყნებდა, შეუქმნა მას ერთი ლექსის ავტორის რეპუტაცია. მართალია, თავის დროზე დაიბადა ეჭვი იმის შესახებაც, ეკუთვნოდა თუ არა „მერცხალო" დოდოხიანს, მაგრამ ეს საკითხი სადაო აღარ არის მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა არა მარტო ამ ლექსის ავტოგრაფი, არამედ გ. დოდოხიანის სხვა უამრავი ლექსიც.

გ. დოდოხიანი არ არის ისეთი მწერალი, რომელსაც რაიმე მიმართულება შეექმნას მწერლობაში, მაგრამ ის ფაქტი, რომ მწერლობამ შეინახა მისი თუნდაც ერთი ლექსი, იმას ამტკიცებს, თუ რა ძლიერად გამოხატა მან ამ ლექსში ის განწყობილებანი, რომელნიც ხალხის სულისკვეთებას ეხმატკბილებოდნენ. ეს განწყობილებაა სამშობლოსადმი სიყვარულის ძლიერი გრძნობა, რომელიც სომეხი ხალხის უმძიმესი ჩაგვრის პირობებში პროგრესიული მწერლობის ერთერთი ძირითადი თემა იყო. ამ მხრივ გ. დოდოხიანის „მერცხალო" მართლაც შესანიშნავია თავისი ლირიზმით და სამშობლოსადმი სიყვარულით. ამიტომაც მიიღო იგი ხალხმა და სასიმღერო ლექსად გადაქცია. ამ ლექსს მღეროდნენ არა მარტო სომხეთში, არამედ ჩვენშიაც.

გ. დოდოხიანი 60-იანი წლების მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის. სწავლა-განათლება მიიღო რუსეთში იმ პერიოდში, როდესაც პროგრესიულ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიც იყვნენ ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და სხვები. გ. დოდოხიანს სიკვდილამდე შერჩა ამ ადამიანებისადმი სიყვარული. დოდოხიანი სწავლობდა უცხოეთშიც, ხოლო შემდეგ მასწავლებლობდა რუსეთში. სწერდა ბლომად, მაგრამ არ აქვეყნებდა, ალბათ, იმიტომ, რომ მეტად თავდაბალი კაცი იყო. სომხეთის ლიტერატურულმა საზოგადოებრივმა დოდოხიანის გარდაცვალების შემდეგ (1908 წ.), როგორც ეტყობა, ვერ მოახერხა მისი ნაწერების გამოქვეყნება, თუმცა მისი „წიწერნაკი" ყოველთვის თავსდებოდა სხვადასხვა ანთოლოგიაში.

ის, რაც მოუხერხებელი გახდა ძველად, ცარიზმის დროს, მოხერხდა საბჭოთა პირობებში. ახალგაზრდა მკვლევარმა ი. ბ ე გ ლ ა რ ო ვ მ ა, დაინტერესებულმა გ. დოდოხიანის შემოქმედებით, თავი მოუყარა მის უცნობ და მუზეუმის არქივებში გაფანტულ გამოუქვეყნებელ ლიტერატურულ ნაწარმოებებს და შესძლო მათი ცალკე ტომად გამოცემა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ეს საქმე მოხერხდა საქართველოს უნივერსიტეტის დახმარებით.

უმართებულობა იქნება სათანადოდ არ შეფასდეს ი. ბეგლაროვის ნაბეჭდი გ. დოდოხიანის გამოუქვეყნებელი ლექსების აღმოჩენისა და გამოქვეყნების საქმეში, მაგრამ გ. დოდოხიანის აღნიშნულ თხზულებათა სარეცენზიო გამოცემას ზოგიერთი ნაკლიც ახლავს. რა საჭირო იყო, მაგალითად, „მერცხალოს“ რამდენ სხვადასხვა თარგმანის გამოქვეყნება ქართულად, ხოლო რუსულად — ამავე ლექსის ექვსი თარგმანისა? მოთავსებულია აგრეთვე თორმეტი ავტოგრაფი და სხვა. რედაქტორს შეეძლო ყოველივე ეს მოეხსენებია თავის სარედაქციო შენიშვნებში, რასაც დაინტერესებული მკითხველი უთუოდ მიაგნებდა.

რა შუქს ჰფენენ გ. დოდოხიანს ახლად გამოქვეყნებული ლექსები? „წიწერნაკის“ ცნობილ ავტორს ეს ლექსები საკმაოდ უმაგრებენ ზურგს, რომ იგი ჩაითვალოს ღირსეულ და, რაც მთავარია, პროგრესიული მოძრაობის გამომხატველ მწერლად. მართალია, ლექსების დიდი უმეტესობა არა ბრწყინავს მხატვრული ძლიერებით, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი სახის გასათვალისწინებლად დიდ მასალას წარმოადგენს. ამ მხრივ ამ ლექსების გამოქვეყნებას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დოდოხიანის შემოქმედების, ისე სომხური ლიტერატურის კვლევისათვის.

წიგნს წამძღვარებული აქვს ი. ბეგლაროვის წერილი გ. დოდოხიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

„წიწერნაკი“ უსათუოდ შესანიშნავი ლექსია, მაგრამ არაა სწორი ბეგლაროვის განცხადება, თითქოს ამ ლექსმა „გვარტომობის საზღვრები გაარღვია და მსოფლიო კულტურის უმშვენიერ-ეს ძეგლად იქცა“. წერილში ადგილი აქვს მრავალ სხვა სტილიური ხასიათის ლაფსუსსაც.

გ. დოდოხიანის „თხზულებანი“ გამოცემულია კარგად.

ა. ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

ხალხური ლექსი ლენინზე 5
ი. გრიშაშვილი — ახალი წელი (ლექსი) 6
პ. ჩხიკვაძე — ახალი ხმელეთი (რომანი) 7
სიმ. ჩიქოვანი — ლექსები 61
კონსტ. გამსახურდია — დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა (რომანი) 65
გრ. აბაშიძე — სვენწკის ჩვენება (ლექსი) 94
მაყვალა მრევლიშვილი — მეგობარ მხატვარს (ლექსი) . . . 97
ანა ხახუტაშვილი — იოსებ ლაღიაშვილი (რომანი) 98

დასავლეთის მწერლობა

ინგლისელი პოეტები — თარგმ. გივი გაჩეჩილაძისა 118
აბატი პრევო — მანონ ლესკო (თარგმ. ქეთ. ირემაძისა) . . . 123

კრიტიკა

ბეს. ულენტი — „პირისპირ" — რომანი ა. ქუთათელისა . . . 145

ლიტერატურის თეორია და ისტორია

პავლე ინგოროყვა — ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (წერილი პირველი) 163

ბიბლიოგრაფია

ა. ს. — გეორგ დოდოხიანის თხზულებანი 189